


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

31 აგვისტო 2007

№18 (44)



ლევან ბრეგაძის მისტიკური ეტიუდი
ასორინის მოხუცი ინკვიზიტორი
დალილა ბედიანიძის ლექსები
სკოტლანდ-იარდის ისტორია
სახალხო სკოლის განაჩენი
პრეზიდენტის კატა



შინაარსი

ერი და გეოგრაფია	2	როსტომ ჩხეიძე „სამშობლოდან“ „ქაქუცა ჩოლოყაშვილამდე“ (მარჯანიშვილელთა ახალი სპექტაკლი)
ქსერას-ინტერვიუ	6	„მზის სითბო მმართველთა ქალას“ (საუბარი რეზო ადამიასთან)
პროზა	8	გურამ ოდიშარია პრეზიდენტის კატა (რომანი)
პოეზია	18	დალილა ბედიანიძე შენი ფრთის ქვეშ, უფალო
პოეტის ერთი ლექსი	22	გივი ალხაიშვილი წერილი (პათეტიკური)
ანეკდოტი	23	ფრანსისკო გარსია პავონი სანსალსო სკოლის სასიკვდილო განაჩენი
უსმოეთის სმოკაპიდან	24	რუსუდან ბერიძე იმედგაცრუებული გავშვობა (უილიამ საროიანის ნოველები)
მოგონებათა სივარი	27	სერგეი მაქსიმოვი პეჩორის თავადი
ღიალოგი	35	მარინე გელაშვილი სამკალი ფრიად არს (შეხვედრა ისრაელში რუბენ ენობთან)
კრიტიკა	40	თამარ ბარბაქაძე „...[„ბოროტების...“ „არტისტული...“] ...ყვავილები.. და „გაბუნაწვერების თაიგული“ (გიორგი ლობჯანიძის პოეტური კრებული)
ღებამთხვევის მკვირ	45	სკოტლანდ-იარღის ისტორია
რეპორტაჟი	49	ეკა ბუჯიაშვილი წყაროები ქართული სათავიდან (იაკობ გოგებაშვილის ხსოვნის დღე)
სპორტი	53	მანანა არველაძე იალქნების სიმფონია (რეგატა – სპორტის გაღვიძებული სახეობა)
ფიქრები	55	ლევან ბრეგაძე უბის ნიბნაკიდან
ახალი თარგმანები	58	ასორინი სამი ნოველა
მოზაიკა	63	თესავენ თავისუფლების თესლს

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 77) 48-12-24
გავრცელება – (995 99) 93-18-52
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა თეგი“
საბეჭდო, თბილისი, სარაიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მკაჯა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია
კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მკაჯა ჯაფარიძე
გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: სოხუმის სანაპირო

ნიკა თავაძე ქაქუცა ჩოლოყაშვილის როლში

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 14 სექტემბერს

როსტომ ჩხეიძე

„სამშობლოდან“ „ქაქუცა ჩოლოყაშვილად“

მარჯანიშვილთა ახალი სპექტაკლი

ლეგენდად გადმოსულა დავით ერისთავის „სამშობლო“ დადგმა 1882 წლის 20 იანვარს.

თავისებურ სიმბოლოდ, ნიშანსვეტად შემოგვრჩენია ეს თარიღი.

ქართული დროშების აფრიალება სცენაზე ღრმა და სასიკეთო ცვლილებებს მოასწავებდა საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ყოფაში, მიუხედავად ტრაგიზმის გარდუვალობისაც.

აღექსანდრე ახმეტელის რეჟისორობის ეპოქაში „სამშობლო“ გამოძახილად და იმ ლეგენდის გაგრძელებად განმტკიცების ნიმუშად ჩალაგდებოდა მისი რომანტიკულ-ჰეროიკული სპექტაკლები.

ეს გამოძახილი კიდევ რამდენჯერმე განმეორებულა – ახალციხის თეატრი სულაც ამ მიზნით დაარსდებოდა – და თითქმის ყველა თაობის მსახურებელს განუცდია ხელშესახებად, თუ რა ჟინი და ჟრუანტელი უვლიდათ იმ დაუვინყარი 20 იანვრის შემსწრეთ, რომელნიც თურმე ისტორიული მოვლენის შუაგულში იდგნენ, ოღონდ ვერასოდეს იფიქრებდნენ, ტაშისციემით ხელებს რომ გადაიტყავებდნენ, მერე კი დრამატურგსა და რეჟისორს შინამდე მიაცილებდნენ, ეპოქის ნიშანსვეტსაც რომ ქმნიდნენ და ზოგადეროვნული სიმბოლიკის აუცილებელ რგოლსაც.

ეს ხელშესახები განცდა სულ სხვაა.

გონებით კი აღარ ხვდები მაშინდელ განწყობილებას, თითქოს ხიდი გადებული იქამდე და დედოძარღვსაც შეხებიხარ.

ხელი გეცმადუნება, ჩამოჰყვებ და ჩამოთვალო ყველა ის სპექტაკლი და რეჟისორი, „სამშობლოს“ სულიერ ჩამომავლებად ვინც გესახება, მაგრამ ვაითუ შორს გაგიტყუოს ამ ჩამონათვალმა და ჯერჯერობით ბოლო სპექტაკლს ამიტომაც გამოაცალკევებ – „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშს დახვეწილობით, ექსპრესიით, სიმართლით, სულისკვეთებით, სანახაობრივი შთამბეჭდაობით.

ლეგან წულაძის ერთ საუკეთესო რეჟისორულ მიღწევას – ჩინებული პიესის მარჯვედ მორგებას მსახიობთა ანსამბლზე, ყველა რაღაც კოლორიტს, მოხდენილ შტრიხს რომ ჰმატებს მთავარი გმირის ამაღლებულ სახებას, რომანტიკული სულისკვეთებისათვის შესაფერის ბუმბერაზულ ხასიათს.

„ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ შესაძლოა არც იყოს პიესა კლასიკური განსაზღვრებით.

პიესა არც „ქრონიკა“ ყოფილა – სათაური უკვე თავის დაზღვევაა; სიუჟეტის დრამატულ გაშლას ნურც ელოდებით, ეს უფრო ილუსტრირებული ლექციააო.

პირობითად ასეც მოიხსენიებდნენ გურამ ქართველიშვილის იმ პირველ მცდელობას, ვაკის თეატრალურ სარდაფში რომ ჰპოვებდა სცენურ სიცოცხლეს.

დრამატურგს ისტორიკოსი სჭარბობდა? თუნდაც გადაეჭარბებინა – მთავარი ისაა, მოხდენილად ამოეხვეოდა ჯვაროსანთა ეპოქის სურათები, მკაფიოდ მოიხაზებოდა ხასიათები და დავით აღმაშენებლის მონუმენტური სახე-ბაც ისეთი ღრმა, ფაქიზი ნიუანსებით გამოიკვეთებოდა, რეალური პიროვნების ადამიანურ ბუნებას რომ განგაცდევინებდა.

დავით აღმაშენებელი არ იდგა კვარცხლბეკზე, მინას დაბჯენოდა მთელი არსებით და ისეთი ძალდაუტანებლობით ეხვეოდა ამაღლებულის შარავანდში, სულდიდ ქმნილებათ რომ სჩვევიათ – ხან მიწისანი რომ არიან და ხან ცისა.

დრამატურგს – ლექტორ-ილუსტრატორი უნოდეთ, თუ გნებავთ – ოდნავადაც არა სძლევდა ცდუნება, აჰყოლოდა პაროდირების მოდურ გატაცებას, ასე მოძალეზულს კრიზისული ეპოქის ჟამს, აჰყოლოდა ოდნავადაც კი, არამცთუ გადაემეტებინა და ისტორიასა და გამორჩეული მეფის სახელსა და ჰეროიკულ-სახელმწიფოებრივ ღვანლს შეხებოდა უდიერად.

აკაკი ხიდაშელის მსახიობურმა ხელოვნებამაც ბევრნილად განსაზღვრა დავით აღმაშენებლის უბრალოება და შინაგანი სიდიადე, ყოველივე კი ოთარ ეგაძის მდიდრული რეჟისორული პალიტრითაა წარმოსახული, და ყოფითი სურათები და ბატალური სცენები იმგვარი დინამიზმით ამიტომაც ენაცვლება ერთმანეთს და შთამბეჭდავ განცდად გარდაისახება, „სამშობლოს“ იმ დაუვინყარი დადგმისაკენ რომ მიგახედებდა გონების თვალთ.

„ქრონიკა“ წარმატებული მოსინჯვა აღმოჩნდებოდა გურამ ქართველიშვილისათვის დრამის კანონთა იღუმლების გადასალახად, და თუმც „ქაქუცა ჩოლოყაშვილსაც“ ერთგვარად დაჰყვება ილუსტრირებული ლექციის იერი, ის უფრო მეტადაა პიესა.

ეგაა, ავტორი ვერა კმარობს უმთავრეს ეპიზოდთა გამორჩევას გმირის ბიოგრაფიიდან და ფეხდაფეხ მიჰყვება მის მღელვარე ცხოვრებას დოღში გამარჯვებიდან (საქართველოს დაპყრობის ასწლიან ზეიმს რომ ეძღვნება, მაგრამ ქართველთა ჰეროიკულმა სულმა და ეროვნული სიამაყის შენარჩუნების ჟინმა უკვე უნდა მიგანიშნოს, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მის სახელში გასიმბოლოებული ახალი თაობა ამ უღელს დიდხანს ვერ იგუებეს) უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ტფილისიდან პარიზამდე, შორეულ დეკორაციად მატანის პეიზაჟიც აუცილებლად რომ უნდა იყოს ამოზრდილი, გმირის მშობლიური სოფლის, და ეს პეიზაჟი პირველად პარიზულ სცენაში უნდა გადაიხსნას, მღელვარე ფიქრებისა და ხილველის უპირველესი თანაზიარი სწორედ იქ გახდეს მსახურებლისათვის.

„ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ კლასიკური აღნაგობის პიესა რომ ყოფილიყო – თუნდ მოდერნისტულ ყაიდაზეც დაშლილიყო მისი კომპოზიციური სტრუქტურა – ამდენი დრო ვერ დაეთმობოდა ილია ჭავჭავაძის დევნისა და წინამურის ტრაგედიის გარემოებებს.

არც გმირის აღსასრულის სცენით დამთავრდებოდა.

თავისთავად ჟრუანტელის მომგვრელია თოფების საცაცეზე ნაზდით დასვენებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვის რიტუალი, გლოვის სიმღერაში გახვეული.

შესაფერისი აკორდია სტოკის (ჯემალ მონიავა) – ვინც რემონ დიუგესთან (ზაზა იაკაშვილი) ერთად აერთიანებს კომპოზიციურ ჩარჩოს – სიტყვებიც, ქვეყნისათვის თავგანწირვას რომ გამოაცხადებს გმირის ცხოვრების ანდერძად და საშვილიშვილო მაგალითად.

სცენაზე წარმოსახული ქრონიკის სტილს სწორედაც მისადაგება ეს ყოველივე.

თუმც დრამატული ძარღვის ირგვლივ რომ იყოს შეკრული პიესა, მოქმედება იქ განწყდებოდა და ფინალური აკორდიც ელიზბარ ვაჩნაძის სიტყვები იქნებოდა, გეო სუმიჩზე შურს რომ იძიებს მისი ოჯახის აკლებისა და მამის მოკვლისათვის: შენს წინაპრებს გადაეციო.

ქაქუცას შეფიცულნი იძულებულნი არიან მიატოვონ საქართველოს საზღვრები და გაუნელებელ ნოსტალგიად წაიყოლონ თან იმ ტრაგიკული ქვეყნის ხსოვნა, რისი მონატრებაც დაანგრევს ზეზეულად შეფიცულთა ბელადს და ასე ნაადრევად განუმზადებს სამარეს.

წასვლის წინ სიმონიკო ჩოლოყაშვილმა (ირაკლი ჩოლოყაშვილი) და ბადურამ (თემო ქამხაძე) პოლკოვნიკი (თემურ კილაძე) უნდა ააფეთქონ თავის მცველებიანად, თუმც თვითონაც თავი განირონ.

შეფიცულნი კაბინეტში უნდა შეეჭრან კალესა (მარლენ ეგუტია) და ავქსენტის (ალეკო გენაძე) და ორივე ნაკლან თავიანთ უამრავ ცოდვა-დანაშაულს.

და ელიზბარ ვაჩნაძეც (ბექა გოდერძიშვილი) რისხვად უნდა მოველინოს გეო სუმიჩს, ვისაც გადარჩენილი ჰგონის თავი და ეამაყება საკუთარი სიმარჯვე, დაუუსხლტი თავდასხმელებსო.

ვის დაუსხლტება – ელიზბარის ხელით უნდა ჩაინთქას პირგადახსნილ მიწაში.

და ეს დრამატული სურათები გამჭვირვალე მინიშნებაა პიესისა და გმირის ბიოგრაფიის უმთავრესი სწრაფვის – უთანასწორო და თავგანწირული ბრძოლა გრძელდება სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე.

მოჩვენებითა დამარცხება, რადგანაც სული რჩება გაუტეხელი და ღვთაებრივ შურისგებასთან გაიგივებული, ვაჟა-ფშაველას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსისა არ იყოს: სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადაო.

ამ ყაიდის სპექტაკლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონის ხელშესახებად აღდგენას.

და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სამზადისი ყველაზე მძაფრად, ყველაზე ხელშესახებად წარმოსახავს საუკუნის დამდევის ისტორიულ-პოლიტიკურ ატმოსფეროსა და განწყობილებებს და მიანიშნებს მაყურებელს გმირის ღვანლის სულიერ უწყვეტობას, მის მემკვიდრეობითობას ილიას სახელმწიფოებრივ იდეალებთან.

ილიას ნაქონი პორტსიგარის სამახსოვროდ გადაცემა მისთვის სიმბოლურად ადასტურებს სულიერ ჩამომავლობას. ილიასა და ქაქუცა ჩოლოყაშვილს შორის შემაერთებელი რგოლი კი ის კოტე აფხაზია, ვინც სამხედრო ცენტრს ჩაუდგებოდა სათავეში და ამ ცენტრის წევრთა შეპყრობა და დახვრეტა ბევრწილად განსაზღვრავდა აგვისტო-სექტემბრის სისხლიანი დღეების მწარე დასასრულს.

აჯანყებას მთავარი დასაყრდენი გამოეცლებოდა. და კოტე აფხაზი ილიას ნაქონ პორტსიგარს რომ გადასცემს შეფიცულთა ბელადს, იმ ჰეროიზმსაც მასვე უანდერძებს, თვითონ რისი ბოლომდე გამუდმანებაც არ დასცალდა.

ეგ კი არის – რატომ უნდა წარმოთქვამდეს რუსულად გამოსათხოვარ სიტყვას, თანამზრახველებთან ერთად დახვრეტის წინაშე მდგარი?

არა ყოფილა ცოტა არ იყოს გარუსებული სხვა ქართველი გენერლებივით, მშობლიურზე მეტად რუსული სიტყვა-პასუხი რომ უფრო ემარჯვებოდათ, თუმც ქვეყნისათვის თავს დასდებდნენ.

ის კი არა, გარდუვალი აღსასრულის წინაშე გარუსებული გენერლებიც ქართულად წარმოთქვამდნენ უშიშარსა და იმედიან სიტყვას და ანლა კოტე აფხაზისაგან ეს რამდენიმე რუსული ფრაზა ყურსა ქრის მაყურებელს.

შესაძლოა სადავო იყოს პიესის დასაწყისში ფრანგ დედა-შვილს შორის საუბარი მშობლიურ ენაზე. გარკვეული კოლორიტისათვის? სტოკი და დიუგე თუ შეიძლება ქართულად საუბრობენ და სცენის პირობითი ენა ამას თავისუფლად იტანს, ასევე აიტანდა ფრანგი დედა-შვილის ქართულ მეტყველებასაც. თუმც ისიც შესაძლოა, რომ ამ



დავით ხურცილავა (გეო სუმიჩი) და კოტე თოლორაია (თავადი ვაჩნაძე)

შემთხვევაში ანგარიში გაუწიო ავტორისა და რეჟისორის სურვილს – უცხოეთში გმირის გადახვევის ილუზია მაყურებელს შეუქმნან უცხო ენის მეოხებითაც. იყოს ნება მათი. მაგრამ რაც აშკარად თვალშისაცემია, ის აღარ უნდა დაიჟინონ და კოტე აფხაზი, ვისი ჰეროიკული სახელითაცაა შესული 1923 წლის შეთქმულება საქართველოს ისტორიაში, ტყვიის წინაშე მდგარი ქართულად გამოამშვიდობონ სასტიკ სინამდვილესაც და... მაყურებელსაც.

ნურც იმას დაიჟინებენ, გიმნაზიელთა პირველი გამოჩენა – დოღზე დასასწრებად – ასევე უნდა დარჩესო. არადა, ცოტა შესაცვლელია – თუკი ეპოქას გავითვალისწინებთ – რადგანაც გიმნაზიას უნდა შეეფერებოდეს და არა სკოლას, XX საუკუნის დამდეგს და არა საბჭოურსა თუ პოსტსაბჭოურ ხანას.

სიხალისის, სითამამის, მეგობრული შეხუმრების წარმოსახვა გადამეტების გარეშეც შეიძლება, ტლანქ ონავრობაში რომ არ გადაიზარდოს. პანდურს ამოარტყამენ თუ არა ერთმანეთს ან მოსწავლე გოგონას ჩანთას წასტაცებენ და გადაუგდებ-გადმოუგდებენ, ეს უკვე ვეღარ იქნება XX საუკუნის დამდეგის სურათი.

საბჭოურ კინემატოგრაფს არაერთხელ მიუმართავს ამ მოდელისათვის, რომელიც გარკვეულ ტრაფარეტად დადგინდა – მომავალი გმირები სიყმაწვილისას ონავარზე ონავრები უნდა იყვნენ, მეზობლებსა თუ მასწავლებლებს უკვე გამოტირებული რომ ჰყავთ, მაგათგან კაცი არ გამოვაო. და სწორედ ისინი, რომელთა მომავალსაც ასე უიმედოდ შეჰყურებდნენ, ჩაიდნენ საბრძოლო თუ ზნეობრივ გამირობას.

ეტყობა, სცენარისტებს სადღაც ამოეკითხათ, კონტრასტის ხერხი საკმაოდ წარმატებულია მხატვრულ ქმნილებაში, მითუმეტეს, გამძაფრებული დრამატიზმისასო, და მოუბეზრებლად ატრიალებდნენ ამ ტრაფარეტს.

„ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ დრამატურგსაც ეს მოდელი შემოპარვია და გადაჭარბებაც ამას მოჰყოლია.

ეს სურათი სრულიად რომ არ შეჰფერის ეპოქის ზოგად ფსიქოლოგიურ იერს, თვითონ სპექტაკლის მსვლელობა ადასტურებს ყველაზე თვალშისაცემად, როდესაც ნინო მეღვინეთუხუცესი (ლელა მეზურიშვილი) საყვედურს ჰკადრებს მასზე უგონოდ შეყვარებულ გმირს: ჩვენ ჯერ შენობით ლაპარაკზე არ გადავსულვართო.

მაშინ... ამ რეპლიკას უნდა შეელიონ.

მაგრამ როგორი შესაღვია, როდესაც სწორედ ეპოქის შინაარსიდანაა ამოზრდილი.

რაკილა სპექტაკლს საგანმანათლებლო-შემეცნებითი მისია დაჰკისრებია, მოსარიდებელია მკვეთრი ჩარევა ისტორიულ პირთა ხასიათებსა და მოღვაწეობის გეზშიც.

მხატვრულ ქმნილებას სჩვევია ხასიათთა თუ ისტორიულ ეპიზოდთა შეცვლა-გარდასახვანი სიუჟეტის განვითარების კვალბაზე. მწერალი იქამდეც კი შეიძლება მიუსულიყო, რომ სვეტიცხოვლის ფასადზე გამოკვეთილი გონიოანი მარჯვენა – სიმბოლო ამშენებლის დიდი ხელოვნებისა და ისტორიის წინაშე პირნათელი დგომის – მოჭრილ ხელად გაეაზრებინა და რომანის უმთავრესი კონფლიქტი სწორედ მის ირგვლივ გაეშალა. დიდად წარმატებული აღმოჩნდებოდა ეს ცდა, მაგრამ გიორგი პირველის ჟამის აღდგენისას ქრონიკების სტილისტიკით, გუ-

რამ ქართველიშვილისა არ იყოს, ვინმემ რომ მოინადინოს იმ ეპოქის გაცოცხლება ილუსტრაციებად, არამცთუ ეს მოტივი დაარღვევდა ისტორიულ სიმართლეს, არამედ სხვა არაერთი ეპიზოდის, სცენისა თუ ხასიათის გადმოტანა „დიდოსტატის მარჯვენადან“.

ამ თვალსაზრისით თუ განვსჯით, გაუმართლებელი მოჩანს ნოე ჟორდანიასა (დავით დვალისვილი) და ფილიპე მახარაძის (ვაჟა გელაშვილი) პოლარული დაპირისპირება ილია ჭავჭავაძესთან მიმართებით და წინამურის ტრაგედიის ცოდვაში მართოდენ ბოლშევიკური ფრაქციის გარევა.

ორივეს თანაბრად ედო წილი.

ის გარემოება, რომ დასაანახავად ვერ იტანდნენ ერთიმეორეს, ხელს ვერ შეუშლიდათ, ერთნაირი გაშმაგებითა და ულმობელობით მოემზადებინათ ერის მამის სამოქალაქო სიკვდილი. არ მორიდებოდნენ არანაირ შეურაცხყოფასა და ცილისწამებას და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები, განურჩევლად ფრაქციულობისა, გადაეკიდებინათ ილიასათვის.

მერე უკვე ნაკლებ მნიშვნელოვანია, სასხლეტს ვინ გამოჰკრავს თითს და მკვლეელი უშუალოდ ფილიპე მახარაძის დირექტივით მოქმედებდა თუ ნოე ჟორდანიასი.

ილიას წინააღმდეგ ერთსულოვანნი იყვნენ და ერთნაირადაც აღაფრთოვანა ორივე წინამურში გასროლილმა ტყვიამ – უზარმაზარი ბარიერი მოშალა მათ წინაშე იმ გასროლამ და რატომაც არ აღტაცდებოდნენ.

ნოე ჟორდანიას რომ ჩამორეცხ წინამურის ცოდვას, ნებით თუ უნებურად ისტორიული სიმართლეც დაირღვევა და ამ პიროვნების ხასიათის მთლიანობაც.

ნოე – ის არის, სწორედაც ის, ფილიპეს პოლიტიკური ტყუპისცალი.

ისტორიული სიმართლე, თორემ ნაძალადეგში ბიბლიოთეკის გახსნისას ილიას ჩაქოლვას რომ დაგეგმავს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ოღონდ მუშების ხელით მოინდომებენ განზრახვის აღსრულებას და კიდევ დაუშენენ ქვებს, რასაც ეროვნული იდეოლოგიის შემოქმედი ბედის წყალობით გადაურჩება, უფრო მხატვრული გამოწვინაგონია, ვიდრე რეალობა, მაგრამ საცხებით გამართლებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა და განწყობილებათა ზუსტი წარმოსახვით.

სინამდვილეში მაშინ ილიას ჩაქოლვა არავის განეზრახა, ეგაა, საგულდაგულოდ მოემზადებოდნენ სოციალ-დემოკრატები, ილიას რომ მოვიწვევთ და სიტყვას აუცილებლად წარმოთქვამს, საპასუხო სიტყვით მუშები მიესივნონ და ხალხის თვალში გააშავონო.

ილია მხოლოდ შესანიშნავს შეწირავდა ბიბლიოთეკას და ეტლის საფეხურზე ფეხშედგმული გულდასმით მოუსმენდა მუშების გამოსვლებს, რომელნიც მას ვეღარ მიადგებოდნენ გამზადებული ფრაზებით და იძულებულნი შეიქნებოდნენ გადაეფიქრებინათ ილიაზე თავდასხმა.

სხვათა შორის, ილია მარიამ დემურისასთან საუბრისას მოწონებას გამოთქვამს მუშათა ორატორული გამოსვლებით.

მაშ ქვები საიდან გაჩნდა სპექტაკლში?

ესაა დანაშაულო სცენა, თავისებურად სიმბოლური გამოხატულება ილიას წინააღმდეგ წლობით გაშლილი პუბ-

ლიცისტურ-პოლიტიკური ლაშქრობისა, წვეთში არეკლილი უმწარესი ხვედრი და რეალური ეპიზოდის გადასხვაფერება არამცთუ არღვევს ისტორიულ სიმართლეს, თეატრალურ ენაზე სახიერად გადააქვს მოღვაწის ტრაგიკული ბედისწერაც და საზოგადოებრივი ცხოვრების აჭრილი მდინარეც.

პიესა, ცხადია, ვერ განვდებოდა ყველა შეფიცულსა თუ აჯანყების თავგამოდებულ მონაწილეთ – ვერც წამიერად გაიღვებდნენ და ვერც მოხსენიება მოხერხდებოდა.

აუცილებელიც გახლდათ და ტრაგიკულ ხიბლსაც სძენს სპექტაკლს დასახვრეტად გაყვანილ სამხედრო ცენტრის წევრთა სათითაოდ ჩამოთვლა.

ამ ყაიდის დადგმაში ისიც კარგია, გენერლები: გიორგი მაზნიაშვილი (კოტე თოლორაია) და დავით ჭავჭავაძე (ვალერი კორშია) – რომ გაკრთებიან. ამ სახელებს უნდა ეტრიალა და კიდევ გამოიძებნა მათთვის შესაფერისი სურათები მოქმედების მსვლელობისას, ოღონდ... შალვა ამირეჯიბის არარსებობა ცოტა არ იყოს სახამუშოა.

ალექსანდრე სულხანიშვილივით (როლანდ ოქროპი-რიძე), ელიზბარ ვაჩნაძესავით, სიმონ ბაგრატიონივითა (დემეტრი ტატიშვილი) და ლელო ჩიქოვანივით (ზვიად სხირტლაძე) თუ არ გამოჰყვებოდა მთელ საგას, სადღაც უსათუოდ უნდა გამოჩენილიყო – რაღა სადღაც, აჯანყების დაწყების წინა ხანებში – როგორც დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრმა, 22 აგვისტოს კოტე ანდრონიკაშვილთან, იასონ ჯავახიშვილსა და დავით ონიაშვილთან ერთად ფარული შეკრებისას გადაწყვიტა, რომ ამბოხების დადგე 28 აგვისტო გამოცხადებულიყო. და კიდევ ავიდნენ 24 აგვისტოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკში.

შალვა ამირეჯიბი, ერთი საუკეთესო პუბლიცისტი (სხვათა შორის, პოეტური კრებულის ავტორიც), იმ ეპოქისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის სანდო მემატიაზე, გმირის მოკლე ბიოგრაფიაში ამ ეპიზოდს საგანგებოდ ჩაურთავს:

– 28 აგვისტოს, ბედენის მთაზედ, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თავმჯდომარემ კ. ანდრონიკაშვილმა ქაიხოსრო – ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა და ღამით დაიწყო აგვისტოს გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში.

თვითმხილველისათვის ეს არის ღრმად სიმბოლური სურათი, რომელიც პირდაპირ შეიძლება გადასულიყო სპექტაკლში, როგორც მისწრება მისი ჰეროიკული სულისკვეთებისათვის.

სპირიდონ კედიას სახელის ხსენებაც მხოლოდ გაამდიდრებდა ამ ყაიდის სპექტაკლს. ბათუმში კი იმყოფებოდა მარტის იმ მწარე დღეებში, მაგრამ გაქცეულ მთავრობას არ ვაპყვებოდა და სამშობლოში დარჩებოდა – ეროვნულ ძალთა წინამძღოლად და არა მტერთან შერიგების მიზნით. სამხედრო ცენტრის საიდუმლო ორგანიზაციაც იქვე ჩაისახებოდა მისი თაოსნობით და, სამოქმედო გეგმა რომ შემუშავდებოდა, შინაგან მზერას ყველა ქაქუცა ჩოლოყაშვილს მიაპყრობდა.

მოგვიანებით მტკიცებას მოჰყვებოდნენ: ქაქუცა ეროვნულ-დემოკრატი არა ყოფილა და ამიტომ ეს პოლიტიკური პარტია თუ მისი ლიდერი სპირიდონ კედია რაზ-

მის უფროსად ვერ დანიშნავდაო. მაგრამ მიხილ ქავთარაძე, ყოველმხრივ გარკვეული იმ რთულსა და აბურდულ მოვლენებში, დაზუსტებით ასე დააზუსტებდა: საქართველო იმ დროს გამეფებულ ხელისუფლებას არ ცნობდა და ამ ხელისუფლების როლს აკუთვნებდა იმ პოლიტიკურ პირთ, რომელნიც ქვეყნის გათავისუფლებისათვის ილენოდნენ. ამგვარ პოლიტიკურ ავტორიტეტთან, კერძოდ, სპირიდონ კედიასთან მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების შედეგად გავიდა ტყვეში ქაქუცა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი კედიამ „რაზმის უფროსად დანიშნა“, მაგრამ არც იმას ნიშნავს, რომ ქაქუცამ ეს საქმე თვითნებურად წამოიწყო.

სპექტაკლის სახელთა მაგიას აკლია ლევან რაზიკაშვილის გაელვებაც – ვაჟა-ფშაველას უფროსი შვილისა და ქაქუცას თანაკლასელის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. სხვაგვარად წარმართებოდა მისი ბედი, სამხედრო კარიერის ნაცვლად მილიციაში მოუწევდა სამსახური და რაზმის მეთაურობაც ჩაბარდებოდა. სწორედ მას დაევალებოდა ამბოხებულ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან შებრძოლება, მაგრამ ნაცვლად თავდასხმისა, ხელს შეუწყობდა სიყმანვილის მეგობარს, უვნებლად გაცლოდა ალყას. და კიდევ შეენიერებოდა ლევან რაზიკაშვილი ამ თავგამოდებას.

აკლია მისა ხელაშვილის გაელვებაც, სახალხო პოეტიკისა და ქაქუცას რაზმელის, მუხანათური მოკვლა რომ არ აცდებოდა აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდგომ. ქაქუცასაც უძღვნიდა დითირამბს და საკუთარ ბედისწერასაც მწარედ დაიტირებდა: ლექსო, ამოგატეო ოხერო, თორემ იქნება ვკვდებოდეო... და კიდევ შეერქოდა ეს შთამბეჭდავი სტრიქონები ხალხური პოეზიის საგანძურს – მისას სახელის ხსენება მაინც აღარ შეიძლებოდა და ეს ლექსი შემორჩებოდა უხილავ ძეგლად.

როგორც მისწრება მისი ჰეროიკული სულისკვეთებისათვისო...

ეს ჰეროიკა, ექსპრესია, სპექტაკლის შთამბეჭდაობა უსათუოდ განელდებოდა, მთავარი გმირის შემსრულებელი ისეთი შესაფერისი რომ არ იყოს, როგორც ნიკა თავაძე აღმოჩნდა – მისი გარეგნული პორტრეტიც, მიმოხვრაც, ხმის ტემბრიც ზუსტადაა მორგებული იმ ზოგად იერს, საზოგადოების ცნობიერებაში როგორცაა შემონახული ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხატება.

ბატალურ სცენებშიც, მღელვარებისა თუ სიმშვიდის წუთებშიც, ყოფით სურათებშიც, სიყვარულის ღრმა ლირიზმით განსმჭვალულ კადრებშიც ოდნავადაც არაფერი არღვევს გმირის პორტრეტს და თავიდან ბოლომდე ინარჩუნებს სპექტაკლის წარმართველ მუხტს.

ეს სხვა სირთულეა – მთელი საგა შენს მხრებზე რომ გადაგაქვს, და ის კიდევ სხვა – ეპიზოდური გაელვებებით რომ ახერხებ დაუფინყარი პორტრეტის შექმნას, გარეგნობითა და ძუნწი შტრიხებით, მაგრამ რაოდენ მეტყველით. მიმიხვდებოდით – გაა ბურჯანაძე იგულისხმება კოტე აფხაზის როლში.

წლების წინათ ოთარ მეღვინეთუხუცესის უჯუშ ემბა, მარჯანიშვილელთა სპექტაკლში „ჰაკი აძბა“, სწორედ დახვეწილი პორტრეტიცა და ძუნწი, ზუსტად გამოზომილი მოძრაობებით დაგვამახსოვრებდა თავს. სალაპარაკო ბევრი არაფერი ჰქონია სცენაზე, მაგრამ გარეგნობა თვითვე

ღალადებდა მის პიროვნულ ხასიათსაც და ბედისწერასაც. მაყურებლის თვალში დათა თუთაშხიას როლი გადაფარავდა პოპულარობით უჯუმ ემხას როლს, სატელევიზიო სერიალი, რა გასაკვირია, ამ მხრივ გადააჭარბებდა სპექტაკლს და ამიტომაცაა, რომ ეს მსახიობი უპირველესად „დათა თუთაშხიას“ მთავარი გმირის სახეებასთანაა გაიგივებული, მაგრამ უჯუმ ემხას სცენური სიცოცხლის შექმნა ყოველთვის დარჩება მსახიობური ხელოვნების ნიმუშად, როგორც ამიერიდან კოტე აფხაზისაც.

და კიდევ ერთი წარმატებული როლი.

დავით ხურცილავა თითქოს უფრო კომიკური ყაიდის მსახიობია. ყიფჩალთა ბელადის ლამბარის („ქრონიკა“) განსახიერებისას საგულსხმო ხასიათს ქმნიდა, მაგრამ არა რალაც გამორჩეულს. მაგრამ ნიჭის მრავალმხრივობა იქ უკვე შეიმჩნეოდა და ამ სპექტაკლში გეო სუმინის ხასიათის გამოკვეთა ამ მრავალმხრივობის ყველაზე მკაფიო, ყველაზე ხელშესახები დადასტურებაა.

არანაკლებ ტრაგიკოსად წარმოგვიდგა მსახიობი და ისეთი სიღრმითა და ნიუანსობრივი ანალიტიზმით გადახსნა ფესვებმოკვეთილი, უწინაპრო, სულიერებისგან სრულიად დაცლილი ადამიანის პორტრეტი, სიმბოლოს სიმალღემდეც აზიდა, და ამიტომაცაა, მისი მკვლევლობისა და ჩაჩხვის სცენაში მაყურებელიც რომ მონანილეობს ელიზბარ ვაჩნაძესთან ერთად – თითქოს ყველამ ერთად

გაუყარა ხანჯალი იმ ჯოჯოს, ვინც ავ ბედისწერად გადასწოლია მთელ ქვეყანას და შობს კალეებსა და ავქსენტებს, ბოროტების თავთავისებურ ამონაყართ, რომელთა გარეშეც არც 25 თებერვლის ტრაგედია დაგვიდგებოდა და არც ავგისტო-სექტემბრის მწარე ყამი.

გეო სუმინის ჩაჩხვით რომ მთავრდებოდა სპექტაკლი და ქაქუცასა და მის შეფიცულთა იმედიანი ფრაზით: კვლავ დავბრუნდებით ქვეყნის ხსნადო, – იქნებ განცდებს აყოლილი მაყურებელი სცენაზეც აჭრილიყო.

მაინც ერთ არსებად ქცეულა სცენა და დარბაზი, მაინც უკიდურესობამდეა დაჭიმული მათი შემაერთებული ნერვი, მაინც მონანილე ხარ იმ ჰეროიკული დღეებისა და წლების, მაინც ძალდაუტანებლად გითრევს ოსტატურად დადგმული ბატალური სცენები და, რა გასაკვირია, უეცრად განწყდეს ის დაჭიმული ნერვი და მათ გვერდითაც რომ აღმოჩნდე.

თუ არა და – აქედან, დარბაზიდანაც მიხვედრილხარ, თუ რა ყინი და ჟრუანტელი უვლიდათ იმ 20 იანვრის შემსწრეთ.

...დროშა კი მაინც უნდა ფრიალებდეს, ბედენის მთაზე ქაქუცა ჩოლოყაშვილისათვის გადაცემული ბაირალი, იმ სულითა და რწმენით განმსჭვალული, ვაჟა-ფშაველა ამ სტრიქონებშიც რომ გამოჰხვევდა: გადმოდგა ბორბალოზედა თავისუფლების მთვარეაო.

„მზის სიტომ მმატებდა კალას“




საუბარი რეზო ადამიასთან

ცნობილი ქართველი მხატვარი რეზო ადამია იმ ბედნიერადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც 1996 წელს, პარიზში გამართულ მსოფლიო საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობდნენ. მისმა ნამუშევრებმა დიდი მოწონება და საპატიო დიპლომი დაიმსახურა. მას შემდეგ საფრანგეთის ხელოვნების ცენტრი მხატვარს თითქმის ყოველწლიურად პარიზში იწვევს. მისი ნამუშევრები იფინება თითქმის ყველა საგამოფენო დარბაზსა და გალერეაში. პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში მის მიერ შექმნილი ხატი ასვენია. 2007 წლის შემოდგომაზე, სანტა ლიზეს გრან პალეს საგამოფენო დარბაზში, სადაც იფინებოდა იმპრესიონისტთა და პოსტიმპრესიონისტთა ტილოები, ბატონი რეზოს ორი ნახატი იქნება წარდგენილი: „ყვავილების ზეიმი თბილისში“ და „ნოტრდამის პეიზაჟი“ (ორივემ შესარჩევ კონკურსში გაიმარჯვა).

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში რეზო ადამიას 23 ნამუშევარია დაცული. ახლახან კი რუსთაველის საზოგადოებამ თავისი საგამოფენო დარბაზი დაუთმო. ექსპოზიციაზე მხატვრის 75-მდე ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ძირითადად ორი თემა გამოიკვეთა – „კოლხური“ პეიზაჟი და „პარიზული“.

– ბატონო რეზო, რუსთაველის საზოგადოების დარბაზში გამოფენილი თქვენი ნამუშევრები ალბათ ერთგვარი ანგარიშია. ისინი წლობით იქმნებოდა თუ მხოლოდ ერთ წელსაა შესრულებული?

– აქ წარმოდგენილი ფერწერული სურათების თემა – „კოლხური თოვლის იდუმალება“ – სხვადასხვა დროსაა შესრულებული. ძირითადად 1992 წელს. ჩემს ახლობ-



ლებს გული წყდებათ, რომ იმხანად შექმნილ ნამუშევართა დიდი ნაწილი უცხოეთშია გაფანტული. კერძოდ, პარიზის კოლექციონერთა და სხვადასხვა გალერეის საკუთრებაა. როგორც მახსოვს, რამდენიმე ტილო ინგლისში, იტალიაში, ჰოლანდიასა და ესპანეთშია, სამი სურათი – ერთი „კოლხური ოდა ზამთარში“ და ორი „ჯარგვალი თოვლში“ – ინახება რომში, ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონსა და მის მეუღლე, იტალიელ პრინც როსინთან. ამ პერსონალური გამოფენისათვის წინასწარ აღრიცხული ნახატებია წარმოდგენილი, რაც შეეხება „პარიზული მისტიკის“ სურათებს, მათგან უმეტესობა 2006 წელსაა პარიზშივე შექმნილი. რამდენიმე ტილო წინა წლებიდანაც დაემატა.

– თქვენს ნამუშევრებში ძირითადად ორი თემაა გამოკვეთილი: მშობლიური კოლხური – ძირითადად ზამთრის პეიზაჟები, და პარიზული – საფრანგეთში შექმნილი. კოლხურ, სამეგრელოს თემაზე შესრულებულ ნახატებში უმთავრესად თეთრი, ლურჯი და ყავისფერი ტონები სჭარბობს, საფრანგეთს შესრულებულში კი – ნათელი, მხიარული ფერები. რამ განაპირობა მათი ამ კუთხით დანახვა?

– „კოლხური თოვლის“ პეიზაჟებს ვქმნიდი 1992-1993 წლებში. იმ მძიმე პერიოდში, როდესაც ქრისტიანულ და ადამიანურ გზას აცდენილი ქართველი ქართველს უსწორდებოდა. იმავდროულად ჩემი სოფლის, ძველი სენაკის, ნახევრად დანგრეულ ეკლესიასაც ვაშენებდი. ამ სამიხელი და შემზარავი სურათების შემყურე გულდათუთქული და დაძაბული ვხატავდი ზამთრის თოვლიან პეიზაჟებს და მთელი განწყობა თავისთავად გადმოდიოდა ტილოებზე. გული მტკიავა, რომ ეს უმდიდრესი ქვეყანა მოუვლელით ყველაზე უღარიბესთაგანია დედამიწაზე... ვხატავდი და სურათებიც სევდით ივსებოდა. მადლობა უფალს, მზის სითბო რომ მმატებდა ძალას.

ხოლო რაც შეეხება პარიზის თემას, ეს ხომ დაუსრულებელი დღესასწაულისა და სულიერი ზეიმის, მსოფლიო ხელოვნების ქალაქია. თუმცა იქაც ბოგინობს ყოველთა შემუსვრის საშინელი ძალა. ბევრს უკვირს, ნახატებში ასეთი სრულიად განსხვავებული განწყობილების სურათებს როგორ ქმნიოთ. ნიჭზე რომ ვილაპარაკოთ, არაფერი მაქვს სატრაბახო, მაგრამ მინდა ვაღიარო, რომ ნახატების უმეტესობა უღრმესი განცდითაა შექმნილი. შრომისადმი უცნაური დამოკიდებულება მაქვს, ყოველ წუთსა და წამს რაღაც ძალა მანიჭებს ენერჯიას, მაგრამ ხანდახან უკმარისობის გრძნობაც მეუფლება.

– აღიარებული მხატვარი ბრძანდებით. თქვენი გამოფენები ეწყობა საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში. ხანგრძლივად გინევთ უცხოეთში ყოფნა. არ გიჭირთ ერთი ცხოვრების რიტმიდან მეორეში გადართვა?

– ხელოვანის სულიერი და გონებრივი განვითარებისათვის შემოქმედებითი მივლინება ძალიან სასარგებლოა. მოკლე ხნით უცხოეთში სამუშაოდ გასვლისას შენი სულის უფაქიზესი უჯრედი ვერ ასწრებს ნოსტალგიით დაავადებას. ცხოვრებისეული და შემოქმედებითი სირთულეები კი ყველგანაა. უცხო ქვეყნებში მრავალი სხვადასხვა პრობლემაცაა. იქ ჩასული ადამიანი უცხო გარემოში იმყოფები, არამშობლიურ სამყაროსთან სრული შემოქმედებითი ზიარება ხელოვანისათვის ძალიან ძნელია, ლამის მეორედ დაბადების ტოლფასი, ჩვენ კი, ქართველთა უმეტესობა, ნოსტალგიურნი ვართ. ვინც კი თავისი გაუკუღმართებული ბუნებით, სხვათა გავლენით მიიღტვის კოსმოპოლიტიზმისაკენ, კაცური კაცობის, რაინდობის, სულიერი, ეროვნული თუ პიროვნული ინდივიდუალობის სრული დაკარგვის მსხვერპლი ხდება.

– თქვენს ნამუშევართა მფლობელები კერძო კოლექციონერები, გალერეები და მუზეუმები არიან. არ გიჭირთ ნახატებთან განმორება? როგორც ცნობილია, შემოქმედი

თითოეულ ქმნილებაში სულის ნაწილს დებს, როგორია მათი გასხვებისას თქვენი განწყობილება?

– რა თქმა უნდა, ნებისმიერი შემოქმედისათვის თავისი ნაწარმოები სულის ნაწილია. ამქვეყნად მხოლოდ ხელოვანი ემორჩილება ახალ-ახალ სულჩასახულ ქმნილებათა დაუსრულებელ შექმნას. ძალიან ძნელია შენს ნაწარმოებთან განმორება, მაგრამ სიკვდილიც ხომ ერთ დროს ყველასა და ყველაფერთან დაგვაშორებს? ასე რომ, სულის უცნაური კანონებიდან გამომდინარე მაინც უნდა გავაშვილოთ. შედეგი შენი ფიზიკური გადარჩენაა. მხატვრის სურათი თუ მოხვედბა ფერწერის მოყვარულისა და ინტელექტუალის ოჯახში, შესანიშნავია, ხოლო მუზეუმის მუდმივ კოლექციებში დამკვიდრება ყველაზე მნიშვნელოვანი და საუკეთესო პირობა სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის. შემოქმედის ქმნილებანი არ უნდა ჩაიკეტოს. ვიდრე ცოცხალი ხარ, მათ ღირსეული პატრონები უნდა აღმოუჩინო. ზოგიერთი მხატვარი სიკვდილამდე ვერ იშორებს თავის ქმნილებებს. ალბათ მეც ასეთ ბუნებისა ვახლავართ.

– თქვენ აქტიური ლიტერატურული საქმიანობითაც გამოირჩევით. თქვენი გამოკვლევები ხშირად იბეჭდება. საინტერესოა თქვენი წერილები გალაკტიონზე, ტერენტი გრანელზე, ვან გოგზე, კანდინსკიზე, ფიროსმანზე, ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდაზე“. როგორ უთავსებთ ერთმანეთს ხატვას, წერასა და კითხვას?

– ძალიან რთული შეკითხვაა. ხელოვანის სულის კოსმიურ მანქანას დაკვირვებით უნდა ჩახედო, თანაც უშეცდომოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამეხებული სული დატრიალდება კალმიდან გონებაში და ნერვიულ ნოტაზე გადაგიყვანს. თუ მხატვრის სული ზედმეტად ალტკინებულია და განცდებით სავსე, მაშინ მისი განკურნება მხოლოდ ლიტერატურასა და წერას შეუძლია. მე პირადად კითხვითა და წერით სულიერად ვიკურნები. ისე მწერლური სულისა ვარ. თუ გონებამ შემინყო ხელი, მკითხველს რომ მოეწონება და ესიამოვნება, ისეთი ნაწარმოების შექმნას ვაპირებ (ბატონი რეზო, ჩანახატების სახით, პატარა მოგონებებს წერს – ლ.გ.).

უსაზღვრო სიამოვნების გრძნობა და განცდა მეუფლება ხელოვნების შედეგების დათვალიერებისას, მუსიკის მოსმენისას, წიგნის კითხვისას. საფრანგეთში – ლუვრში ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ ხილვამ კინალამ ჭკუიდან შემშალა. ასევე ბედნიერ ადამიანად ვთვლიდი თავს ვან გოგის, მოდილიანისა და სხვათა შედეგების გაცნობის შემდეგ. არაერთხელ გადამიკითხავს „ვეფხისტყაოსანი“, „მერანი“, ვაჟას, ილიას, აკაკის, ტერენტი გრანელის, ნიკო სამადაშვილის ნაწარმოებები.

ბედნიერია ქართული ენა გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ოთარ ჩხეიძის, გურამ დოჩნაშვილის ზეციური ფენომენით.

ლიტერატურა და ხელოვნება ხომ ერთმანეთისაგან განუყოფელია. ადამიანის განკურნება, ესთეტიკური და სულიერი საზრდოს მიწოდება მხოლოდ მათი წყალობითაა შესაძლებელი.

ესაუბრა
ლია გუსევა

გურამ ოდიშარია

პრეზიდენტის კატა

1.

არაუკარიას აყვავილების დრო იდგა.
ანუ მაისი.

ბრაზილიურ არაუკარიასთან ერთად ანონაცა და ბი-გარადიც იწყებს ყვავილობას და კიდევ – ლირიოდენ-დრონიც.

რაფიოლეპისიცი, რა თქმა უნდა, თუმცა რაფიოლეპისი, ხანდახან, ცოტა მოგვიანებით გაიკვირება ხოლმე.

ის მაისი კი მეტად უცნაური დადგა, ან იქნებ სწორედ ისეთივე, როგორც სხვა მაისები იყო, მაგრამ მოგეხსენებათ, კაცის გულისა და გონისა – მაისიდან მაისამდე მაისი ავიწყდება.

რაფიოლეპისის თავი რომ დავანებოთ, წარმოიდგინეთ, საპნის ხეცა და ფილადელფუსიცი აყვავდნენ, წესით კი, პირველსაც და მეორესაც, ივნისში ან ივლისში უნდა დაენყო ეგ საქმე.

არა, მაინც... და, მართლაც, საოცარი მაისი შემოფრიალდა სოხუმის ბოტანიკურ ბაღში იმ წელს.

მაისი – ილუზიონისტი.

ალისუმმა და კოსმეამაც, რომლებიც, ჩვეულებრივ, მთელი წლის განმავლობაში ჰყვავიან, მაინცდამაინც, მაისში გაიგიჟეს თავი, გაიათმაგეს ყვავილები და გააბრუნეს ტურისტები.

ასე იყო.

მოკლედ, იმ მაისსაც მაისში კვლავ შესანიშნავად გამოუვიდა თავისი ძველი ფოკუსები.

ის... ის კი იჯდა მშვიდად, სიტყვას არ იღებდა და თან ნონოპელის ხასხასა და წითელ, მინი-მინიატურული ჰაერობურთებივით, ტელეეკრანზე გადიდებული მძივებით ერთიმეორეზე ასხმულ ყვავილებს შესცქეროდა.

და ბაღში უკვე შუადღეს მოახლოებული, მაგრამ ჯერ მაინც კიდევ დილის ნორჩი, ღამენათევი ნიავის მორიდებული შრიალი ისმოდა.

კიდევ – ფრინველების გალობა.

„რამდენმა კაცმა არ იცის ნონოპელის არსებობა, – სევდიანად ფიქრობდა იგი, – და რა ცუდია, რომ არ იცის... და რა კარგია, რომ არ იცის“.

ნონოპელს იმ დღეს განსაკუთრებულად მკვეთრი სურნელი ასდიოდა.

„მკვეთრი სურნელი... მაშასადამე, მალე ხანმოკლე წვიმა გადაგიფრენს,“ – განაგრძობდა ფიქრს.

თეთრი ხალათი ეცვა. სხვებსაც თეთრი ხალათები ეცვათ. სამეცნიერო საბჭოს სხდომა ჰქონდათ. სულ, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ოცდაორნი იყვნენ.

მომხსენებას ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი კითხულობდა. მომხსენებელი „ლიმონის ჯგუფიდან“ იყო და ამჯერად ყინვაგამძლე ლიმონის ჯიშებზე საუბრობდა. ტიპიური

მეცნიერი: სათვალისანი, თითქმის გამელოტებული, მშვიდი, ერთი შეხედვითაც, წესიერება-პატიოსნების განსახიერება, ოჯახის ერთგული მამა, ქვეყნის ერთგული მოქალაქე, ექსპერიმენტატორ-მეცნიერთა ერთგული თანამებრძოლი.

უკვე ნახევარი საათი გასულიყო, რაც საუბრობდა. კიდევ ნახევარი საათი უნდა ელაპარაკა.

მიხეილმა, მიხეილ თემუროვიჩმა (მან, ვინც ნონოპელს შესცქეროდა) ისურვა ასე – იმ დღესაც ღია ცის ქვეშ ჩაეტარებინათ სხდომა. გრძელი მაგიდა პირდაპირ პეკანის ხისა და პალმების ერთმანეთში გადახლართულ აჭურულ ჩრდილზე დაადგმევინა.

უყვარდა ბოტანიკურის გრილი და მწვანე ჩრდილები, ზღვისა და ბაღის შერწყმული ნიავეებით, ლურჯ-მწვანე მაცოცხლებელი ნიავეებით განათებული ჩრდილები.

ჩაი მოსვა. ეამა.

საერთოდ, ჩაი უშაქრო უფრო მოსწონდა, მაგრამ იმ დღეს ნახევარი კოვზი შაქარი ჩაიყარა ჭიქაში.

შაქარი კუბური იყო. შაქრის ლერწმის შაქარი. თეთრი, თეთრზე თეთრი. იქნებ იმის გამო ჩაიყარა შაქარი, რომ კუბური იყო. დიახ, ჰქონდა მიზეზი.

ჩაის სვამდა და თან ბაღს უსმენდა, მომხსენებელსაც.

როდესაც ყინვაგამძლე „ლიმონის ჯგუფელმა“ მოხსენება ჩაათავა, სიჩუმე ჩამოვარდა, ანუ მხოლოდ ბოტანიკურის ხმებილა ისმოდა.

წუთმა განვლო, ორმაც.

ყველა მას მისჩერებოდა. აბა, რას იტყოდა ხელმძღვანელი.

და თქვა მან:

– კარგი რამ იყო, პატივცემულო... მაგრამ არ შემეძლია, აქვე არ აღვნიშნო, რომ სანამ თქვენს მეცნიერულ მსჯელობას წარმართავდით, აი, იმ ხეზე, აი, იმ ხის მარცხენა ტოტზე, აი, ის შაშვი სამჯერ ებდღვნა დედალ შაშვს... და სამივეჯერ წარმატებულად... ისე, ხანდახან თავზე მათი ბუმბული გვაცვიოდა, სხვათაშორის, პატივცემულო....

მისი სიტყვები ნიავემა უცხო მცენარის თესლივით მიმოფანტა ბაღში.

და იმავდროულად თითქოს ბაღში კი არა, სადღაც, მაღალ ცაში წასკდათ სამეცნიერო საბჭოს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს სიცილი.

და რადგანაც პეკანისა და პალმების ჩრდილქვეშ უმრავლესობა ქალები იყო, ქალების კისკისი მეტად საამოდ ჯაბნიდა და ახშობდა და ფარავდა მამაკაცების ხორხოცს. თუმცა მიზეზი ამისა, ალბათ, არა მარტო მანდილოსანთა სიმრავლე გახლდათ.

ერთ-ერთ ქალთაგანის კრიალა კისკისს კი სხვებისაგან კარგად გამოარჩევდა იმ მაისს მისი სმენა.



ჭეშმარიტად, მისთვის იმ კრიალა სიცილის მაგიური ძალა ბევრად აღემატებოდა ყველა სხვა სიცილის ერთობლივ ენერგიას.

ის სიცილი თამამი მზერის მქონე ქალბატონს ეკუთვნოდა.

„ამ ქალის წინაპარი უთუოდ აბრაგი იქნებოდა,“ – უფიქრია ხოლმე მას ადრე ქალზე.

დიახ, დიახაც, ასეც გახლდათ – აგრესიულად ნაზი და ნაზად აგრესიული იყო მშვენიერი, ბალზაკის ასაკის ქალბატონი (განა, რა ვთქვა მეტი, დანარჩენი თავად წარმოიდგინეთ).

როდესაც მხიარულება ჩაცხრა, გამოჩნდა პეკანის ტოტი და იმ ტოტზე შემომჯდარი გაფხორილი შაში. მისი ჯუფთი არსად ჩანდა, მაგრამ არც არავინ დაეჭვებულა, რომ ის, სწორედ ის და მხოლოდ და მხოლოდ ის გახლდათ ის მამალი შაში, რომელმაც ეს-ესაა ზედიზედ სამჯერ ააგრიგალა თურმე პეკანი და ერთი კაცის გარდა, რატომღაც, ეს ვერავინ შენიშნა.

მოკლედ, სხვებისთვის მხოლოდ მისი სიტყვების შემდეგლა გაისმა ბალის ხმები, თითქოს ვიღაცამ ძველი, ბავშვობისდროინდელი რადიო ჩართოო.

პეკანი ირონიულად შრიალებდა.

იმ დღეს ქალაქში არ იყო მწუხარების ცრემლისათვის არც ერთი ნამცეცი ადგილი და არც ერთი ნამი დრო.

დიახ, სწორედ ის ჟამი იდგა, როდესაც არაუკარია აყვავდა ბაღში.

და ჯერ კიდევ ძალიან ბევრმა, ბევრზე ბევრმა არაფერი იცოდა ნონოპელზე, არც პრეზიდენტ ჯონ ფიცჯერალდ კენედის კატაზე... თუმცა მაშინ არც თავად იცოდა რაიმე იმ კატაზე, რადგანაც მაშინ მხოლოდ იმ კატის შორეული წინაპრის (ბაბუის ბაბუის ბაბუის) კნავილი თუ ლოკავდა სოხუმის ვარსკვლავებით მოზიემე ცის იღუმალელებას.

და კიდევ – მაშინ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული მეცნიერული კვლევა, რომელიც მოგვიანებით ცალკე წიგნად შეიკრა და ასე მონათლა – „შაში ფრინველია მგალობელი“.

და კიდევ...

რაც მთავარია, ჯერ კიდევ ძალიან დიდი დრო იყო დარჩენილი აფხაზეთის ომამდე, ძალიან დიდი და ძალიან მოკლე – სულ რამდენიმე ათეული წელი და სულ რამდენიმე წამი.

პრაქტიკის კატა

სტალინის სიკვდილის შემდეგ, ფაშიზმზე გამარჯვებულ, II მსოფლიო ომში ოც მილიონ მოქალაქედალუბულ (წინა წლებში უამრავ ადამიანდახვრეტილ) საბჭოთა კავშირს, იგივე – პლანეტის ერთ მეექვსედს, XX საუკუნის ოთხმოციან წლებში, ყოვლად მოულოდნელად, მოსალოდნელი რყევები დაეწყო.

მისი ფოლადის გიგანტურ კარკასს ვერა და ვერ ამტკიც-ანივთებდნენ საგულდაგულოდ გამოჩარხული ხუთკუთხა ემბლემითა და შესაბამისი წარწერით დამშვენებული ვერცხლისფერი ქანჭიკები – „Со знаком качества“.

ვერც სამხედრო პარადები.

ვერც ფიცი-მტკიცები.

ვერც КГБ.

დაინყო და დაინყო და დაინყო... ახალ ბაბილონს წყალი შეუდგა.

კარგად მასხოვს, ზოგიერთი საბჭოთა მოქალაქე იმასაც ასაბუთებდა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სსრკ-ს მხოლოდ ის მიზეზიც დაფიქრებდა, რომ ის დახვრეტილი ბავშვების – ალექსი რომანოვისა და მისი დების სისხლზე ააგესო. და განა მარტო მათი, სხვა ბავშვების სისხლზეცო.

ასეც იყო.

ამასა და სხვა დანარჩენზე უამრავი რამ ითქმოდა ნასულში. უამრავი რამ ითქმის მომავალშიც.

მოკლედ, იქ, კომუნისტურ სამშობლოში, ახალი, გაუგებარი, „სხვა“ დრო იფოთლებოდა, იზრდებოდა, ღონიერდებოდა, ემზადებოდა აბოპოქრებისათვის.

კომუნისტური პარტია, რომელსაც, ერთ დროს, ერთმა გზააბნეულმა გენიოსმა ეპოქის სინდისი და ღირსება უწოდა, ნიშნავდა და ათავისუფლებდა მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ასევე – ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხელმძღვანელებსაც.

და, რა თქმა უნდა, არც აფხაზეთი იყო გამონაკლისი. კრემლის კედელთან სტალინის დასაფლავებიდან სსრკ-ს დემონტაჟამდე, აფხაზეთში კომპარტიის რამდენიმე პირველი მდივანი შეიცვალა. თითოეულმა პირველმა აფხაზეთის ცხოვრებაში თავისი კვალი დატოვა.

მაგრამ მათ შორის, ერთი განსაკუთრებული გახლდათ – მიხეილ ბლაჟბა, მიხეილ თემუროვიჩი.

ბლაჟბა ხრუშჩოვის მმართველობის დროს მოღვაწეობდა და მის საქმიანობასაც ნაწილობრივ იმ პერიოდის სულისკვეთება განსაზღვრავდა. თუ სხვა ხელმძღვანელებმა, ასე თუ ისე, ზედმინევენით პარტიულ-დისციპლინირებული პედანტობით შეინარჩუნეს იმდროინდელი ლიდერის კლასიკურ მოდელს მიახლოებული იერი, ბლაჟბა ამას არც კი ცდილობდა – ის ბევრისთვის გაუგებარი, სრულიად უცნაური წესით ცხოვრობდა.

მართალია, ხრუშჩოვის დარად, ისიც სტალინური ფოლადის პერიოდის ბევრი შემოჭვველი თვისებისგან სრულიად თავისუფალი არ გახლდათ, მაგრამ ამავე დროს, თითქოს ბუნების ჩაუნვდომელი კანონების წყალობით, ძერწავდა თავისსავე – ფრიად ეგზოტიკურ-პიკანტური თავკაცის სახეს. ამ საქმეში თანასწორად და პარტნიორად, წარმატებულად და ჰარმონიულად მოქმედებდნენ ის პერიოდიცა და მიხეილ ბლაჟბაც. ამის მიღწევა კი მხოლოდ ძალიან ნიჭიერ, ან თავისებურად ძალიან ნიჭიერ კაცს შეეძლო.

მართლაც, ხანდახან წინასწარგანსაზღვრულივით შეხვედებიან ხოლმე ერთმანეთს დროის რომელიმე განსაკუთრებული მონაკვეთი და ზუსტად იმ მონაკვეთს მისადაგებული ადამიანი. სწორედ ასეთი იყო XX საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთი და ბლაჟბა. მიხეილ ბლაჟბა. მიხეილ თემუროვიჩი.

ყოველთვის ასე, – „მიხეილ თემუროვიჩ,“ მიმართავდნენ მას. და მხოლოდ ამ სახელით, უფრო ზუსტად, საკუ-

თარ და მამის სახელმწიფო სახელით მოიხსენიებენ ახლაც („მიხეილთემუროვიჩი“), ისინი, რომლებიც პირადად იცნობდნენ მას და რომლებიც უკვე თითო-ოროლად შემორჩნენ ნუთისოფელს, ანუ რომლებსაც მეტი ნაცნობი უფრო საიქიოსა ჰყავთ, ვიდრე სააქაოს.

საერთოდ, რუსული „ვიჩ“-ი, ისევე, როგორც სრულიად საბჭოთა ბიუროკრატიულ სივრცეში, რა თქმა უნდა, აფხაზეთის სახელმწიფო დაწესებულებებშიც ხშირად გაისმოდა. კომკავშირულ ორგანიზაციებში 19-20 წლის ბიჭები სულ ამ „ვიჩებით“ მიმართავდნენ ერთიმეორეს: დავით ნიკიფოროვიჩი, ვლადიმირ დურმიშხანოვიჩი, გიორგი ვლადიმეროვიჩი... რა თქმა უნდა, ნალვლიან-ირონიული ღიმილის მომგვრელი იყო ის, რომ ლენინისთავა სამკერდენიშნიანი ბიჭუკელები „ვიჩ“-ების სოლიდურად წარმოთქმას, ჰალსტუხის სწორად განასკვნასა და პირის პარსვას ერთდროულად სწავლობდნენ. კიდევ – ეფექტური სადღეგრძელოების ყოჩაღად და საქმიანად წარმოთქმას ითვისებდნენ გამოცდილი პარტიულ-სამეურნეო მუშაკებისაგან. ასე ვთქვათ, „იზრდებოდნენ“. ეს ყოველივე და კიდევ უამრავი რამ მათ „დიდი და თბილი“ სავარძლების დასაპყრობად სჭირდებოდათ. ისე იწვრთნებოდნენ, ვითარც სპეცრაზმელები, რომლებმაც მძევლად მომავალი უნდა აიყვანონ, თან სწრაფადაც და ყოველგვარი „იალღიშების“ გარეშე.

სამოციანი წლების დასასრულის სსრკ-ში, საბჭოთა იდილიის კომუნისტური კაპიტალიზმის აღმოცენების ხანაში, ჰორიზონტზე გამოჩნდა და სწრაფი განვითარება დაიწყო ორად გახლეჩილმა – კოსმოსისა და კომფორტისაკენ გასწრაფულმა ახალმა თაობამ, ანუ იგივე, თაობამ – მეოცნებეთა და პრაგმატიკოსებისა, იგივე – ლირიკოსებმა და კომფორტის ხალხმა...

ასეთ დროს სულ სხვა იყო, სულ სხვაგვარად ჟღერდა აფხაზეთში ერთი კაცის სახელი, მამის სახელი და გვარი – „მიხეილ თემუროვიჩი ბლაჟბა“.

„ვიჩი“ „ვიჩად“, მაგრამ ყველა, ვისგანაც გამიგონია „მიხეილ თემუროვიჩი“, წარმოთქმისას რაღაცნაირ მელოდიურობას აფენდა ამ ორ სიტყვაში და რატომღაც სახე უნათდებოდა.

„მიხეილ თემუროვიჩი“ მათთვის, ვინც კარგად იცნობდა, ერთი სახელივით ჟღერდა – „მიხალთემუროვიჩი“ და არა მის სახელ-მამის სახელივით.

და მეც შევეცდები, „მიხალთემუროვიჩი“ ერთი, მსოფლიოში იმ ერთადერთი, უნიკალური სახელივით მოვიხმო ამ წიგნში და მისი მეგობრების თუ ახლობლების ინტონაციით გავიმეორო და არა ქართული ენისათვის უფრო უპირიანი „ბატონი მიხეილით“, „მიხოთი“, „მიხათი“, ან სულაც – „მიშათი“. თუმცა, ხომ ვიცით, რომ ეს „ვიჩ“-ები ქართული ენისათვის უხეშად ჟღერს და, საერთოდ, კომუნისტურ სამშობლოსთან ერთად ისიც პოლიტიკურ წყაღდილობებს გაჰყვა. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდები.

მგონი, უკვე გამომდის კიდევ. აბა, მიაყურადეთ – „მიხეილ თემუროვიჩი“... ხომ განსხვავდება იგი პარტიულ-ბიუროკრატიული „მიხეილ თემუროვიჩისაგან“?

რა თქმა უნდა, განსხვავდება. ოღონდ მიყურადებაა საჭირო და მაშინ „მიხეილ თემუროვიჩი“ ჭეშმარიტ „მიხალთემუროვიჩს“ დაემსგავსება.

მთელი ქვეყანა მისი მეგობარი იყო. სრულიად უცნობზეც ასე იტყოდა – მეგობარია ჩემიო.

ათ ნელზე მეტი ხნის განმავლობაში აფხაზეთის საოლქო კომიტეტს პირველკაცობდა, მერე სულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მუშაობდა, გენეტიკოსი გახლდათ (არა, მის ნეკროლოგს როდი ვწერ).

თავის ერთ მეგობართან ერთად აღფრედ ნობელზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ნობელი მისი სისხლით ნათესავი ყოფილიყო (ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ჯერ კი ვიტყვი, რომ მოხიბლული იყო ნობელით, უფრორე, მისი პრემიით).

იაპონელ მილიონერთან, მასავით მოუსვენარ კაცთან – ტაიდაი კასიოსთან მეტად საოცარ ხელშეკრულებებს აწერდა ხელს (ამაზეც – ქვემოთ).

ბიჭვინთაში არისტოტელეს საფლავს ეძებდა... (მოდით, ამაზეც სხვა თავში ვილაპარაკოთ).

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

XX საუკუნის ისედაც აჩქარებულ რიტმს თავისი აჩქარებული ნაბიჯებითა და აჩქარებული ცხოვრებით უსწრებდა.

კოსმოსის კაცი იყო, განა კომფორტის. და კიდევ – ბევრი სხვაც იყო.

გაგარინის „Поехали“ და მთვარეზე არმსტრონგის პირველი ნაბიჯი მთელს კაცობრიობასთან ერთად, ამერიკელებთან თუ რუსებთან, ნიგერიელებთან თუ მაღალიზიელებთან... მსოფლიო ევოლუციებთან თუ რევოლუციებთან ერთად, მასაც ეკუთვნოდა.

და, ალბათ, უპირველესად ეკუთვნოდა იმიტომ, რომ, როდესაც ადამიანობის ფენომენდავინყებულ ეპოქა ადამიანს სხვა გალაქტიკებზე ეძებდა, ის ადამიანს დედამინაზე პოულობდა და უფრთხილდებოდა (არა, მის სადღეგრძელოს როდი ვამბობ).

სხვათაშორის, პირადად იცნობდა გაგარინსაც და არმსტრონგსაც, ორივესთან ღვინო ყანით ჰქონდა დალეული, თანაც „ვახტანგურად“.

ისე, ასევე სხვათაშორის, დღეს, როდესაც სამუშაოს საძიებლად მთელს პლანეტაზე მოხეტიალე ჩემი თანამემამულეებისათვის ამერიკის ვიზა ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე ძველ-ახალი ამერიკული პოეზია, ჩემი ახალგაზრდობის წლები მახსენდება – მეგობრებთან ერთად ლამის აკრძალული ამერიკელი პოეტების ლექსებს რომ დავეძებდი.

და ისიც შორეულ სიგნალებს გვიგზავნიდა – ამერიკა! ჩემს თაობას უგზავნიდა სიგნალებს – თავისი ვიეტნამით, თავისი ხიროსიმით და ნაგასაკით, რომლებიც 1945 წლის ატომური დაბომბვის შემდეგ უფრო ამერიკისა გახდნენ, ვიდრე იაპონიის; ასევე – კარიბის ზღვის კრიზისით, მუსიკით, ჰამბურგერით, კენედით...

და ეპოულობდით ჩვენს ამერიკას სოხუმის პორტში სულ რამდენიმე საათით ღუზაჩაშვებული უცხოეთის გემების მეზღვაურებთან ნაყიდი ჯინსებით, საღეჭი რეზინით, ანსამბლ „ჩიკაგოს“ ჩანანერებით, ელვის პრესლით, ვარსკვლავიან-ზოლებიანი დროშით, წვერიანი ჰემინგუეის მოკრივეებითა და მონადირეებით, ვისკით, „კოკა-კოლაით“, „ამერიკის ხმით“...

და ველოდით ჩვენს ამერიკას ჯიბრზე კომუნისტური პროპაგანდისა.

ამერიკის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი კომუნისტურ აფხაზეთში კონცერნი „პეპსი კოლა“ იყო. კონცერნი გულრიფშის რაიონში აშენდა. ამერიკელი ზღვაოსნების მასპინძელ სოხუმს უნდოდა, კონცერნის პროდუქცია სოხუმის ეგიდითა და სახელით გამოშვებულიყო. მასსოვს, მაშინ გულრიფშელები სოხუმელებზე გაგულისდნენ: ეს უსინდისო უსამართლობააო (უსამართლობა კი არა მხოლოდ, არამედ უსინდისო უსამართლობაო).

და თქვა მაშინ მიხეილ თემუროვიჩმა ასე:

– „პეპსი კოლა“ გულრიფშელებისაა, ისევე, როგორც იქ აშენებული ფსიქიატრიული საავადმყოფო. თუ „პეპსი“ ჩვენია, სოხუმელების, მაშინ საგიჟეც სოხუმის სახელით უნდა გაფორმდესო.

ამაზე სოხუმელები გაყურდნენ. ასე გახდა ამერიკელების „პეპსი“ გულრიფშელებისა.

და შემდეგ დაამატა:

– სხვათა შორის, „პეპსის“ ამერიკის გემო აქვს.

ასე შემოდიოდა ამერიკის გემო აფხაზეთში.

თავად, მიხეილ თემუროვიჩი, რამდენჯერმე იყო ამერიკაში ნამყოფი.

ერთხელ, იქიდან ახლადდარუნებულმა, ნალვლიანად გვითხრა:

– ამერიკა, ბიჭებო, კარგა მაგრად განვითარებული საბჭოთა კავშირია, მეტი არაფერი.

მერე უფრო ნალვლიანად დაამატა:

– ნუ ელოდებით ამერიკას... ამერიკისა ვერაფერი გავიგე, ვერც ის, სად არის... ისე, ხანდახან, კი, ძვირფასებო, მგონი, ამერიკა ამერიკაშიცაა...

ფოტოგრაფულად მასსოვს ის მომენტი: სუფრასთან ვისხედით ჩვენ – სტუდენტები და ის, ზუსტად მამაჩემის ხნის კაცი. ხელში იზაბელას ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა. იზაბელა მის მშობლიურ სოფელში იყო დაკრეფილი და დანურული, ერთ პატარა აფხაზურ სოფელში – გუფში (ოჩამჩირის რაიონი).

გუფში კი დაიბადა, მაგრამ მიხეილ თემუროვიჩი მაინც სოხუმელი გახლდათ, თხემით ტერფამდე სოხუმელი. იმ ქალაქში აღსრულდა, როგორც თავად ამბობდა, უღიადესი მისტერია, ანუ (როგორც დაამატებდა) – მისი სულის სოხუმშიზაცია.

და სწორედ მასზე, მის სოხუმშიზირებულ სულზე მიყვებოდნენ ათასგვარ ამბებს უკანასკნელ წლებში სოხუმელი აფხაზები, ქართველები, სომხები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები, ებრაელები, ესტონელები, გერმანელები... გავაგრძელო?...

მიყვებოდნენ: სოხუმში, თბილისში, მოსკოვში, სტამბოლში, სოჭში, სანკტ-პეტერბურგში, ნალჩიკში, ათენში... არ გავაგრძელებ.

ერთმა იმათგანმა ასეთი რამ მითხრა: ყოველ ადამიანს თავისი უშუალო ურთიერთობა აქვს ღმერთთან, ყოველი ადამიანი ბიბლიაში თავის ბიბლიას კითხულობს. და რა ცუდია, რომ შენ ძალიან კარგად არ იცნობდი მიხეილ თემუროვიჩს. ძალიან კარგად რომ გცნობოდა, მაშინ ხომ მისი ბიბლიაც გეცოდინებოდაო.

და მეც დავინწყე მისი ბიბლიის ძიება.

და მალე მივხვდი, რომ მის ბიბლიას ვერ მივაკვლევდი, თუ მისი ყურანი არ მეცოდინებოდა, არ მეცოდინებოდა

მისი ბუდიზმი, მისი საგალობლები კრიშნაზე, მისი პირადი ფსალმუნები...

მეორემ ასე მითხრა: რალაც-რალაცებს კი წერ, მაგრამ რატომ სიტყვას არ გამოიმეტებ მიხეილ თემუროვიჩზე, შენ რა, არა ხარ სოხუმელი? ყველამ ყველაფერი უნდა იცოდეს მასზე. და, საერთოდ, რა ხდება, ვერ გავიგე, ჩვენ ისეთ კარგ რამეებს ვთავაზობთ მსოფლიოს, როგორცაა: საცივი, აჯიკა, ხაჭაპური, ელარჯი, ჭაჭის არაყი, თეთრი თუ შავი ღვინო... და მსოფლიომ არაფერი იცის ამაზე. მსოფლიომ არაფერი იცის მიხეილ თემუროვიჩზე, არც კუკურ-ჩაიზე, არც ვიანორ ფანჯოვიჩზე, არც „ამრაზე“, არც „ბრეხალოვკაზე“... ჩვენზე არაფერი იცინა. რა ხდება, საერთოდ, ვერ გავიგე, შენ რა, სოხუმელი არა ხარ?... არ გიკვირს ეს?... შენ მაინც ხომ იცი, ვინ იყო მიხეილ თემუროვიჩი... ის იყო...

და მერე ჩაფიქრდა, ჩაფიქრდა და გაყურდა.

ვინ იყო მიხეილ თემუროვიჩი?

ათეულობით კაცს გაუხსენებია ჩემთან საუბრისას ის. მგონი, ასზე მეტს.

როდესაც, ასე, ალბათ, ას ოცდამეათემ გამოძებნა და მასზე მესაუბრა, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მიხეილ თემუროვიჩი, დროთა განმავლობაში, სოხუმის ფოლკლორის მთავარი გმირი გამხდარიყო, სოხუმ-ქალაქის მითების მთავარი პერსონაჟი. ვხუჭავ თვალებს და ახლაც ვხედავ მას – ქალაქის ერთ-ერთ ყავახანაში, ან ერთ-ერთ რესტორანში, ან ერთ-ერთ კაფეში, მეგობრების წრეში მჯდარს... მის ზურგს უკან კი, ფონად, თეთრი გემებით დახუნძილული სოხუმის პორტია... ზაფხულია, მზიანი დღე, თითქოს უნდა ცხელოდეს, მაგრამ აქ გრილა – შავი ზღვიდან ნიაჟი უბერავს.

და მე გადავწყვიტე, ნიგნი დამეწერა მიხეილ თემუროვიჩზე – „პრეზიდენტ ჯონ ფიცჯერალდ კენედის კატა“ („პრეზიდენტის კატა“ მისი შემოკლებული სახელწოდებაა). თუმცა, ნუ გეგონებათ, რომ ეს ნიგნი მართლა კენედიზე და მის კატაზეა...

მამ ასე, ვინცე წერას, თქვენ, იმედი მაქვს, – კითხვას.

გაგიგონიათ, ალბათ, ზღაპარივით ამბავია, მაგრამ ნამდვილი: ერთი ხალხი, უცხო ქვეყანაში გადახვენილი ხალხი, მშობლიურ დამწერლობას ასე ინახავდა – ამ ხალხის რომელიმე ერთ ოჯახს ევალებოდა მჭადი მხოლოდ ანბანის პირველი ასო – ა-ნის ფორმით გამოცეხო; მეორე ოჯახს ბ-ანის ფორმის მჭადის ცხოზა დააკისრეს, სხვებს კიდევ გ-ანის, დ-ონის, ვ-ინის და ასე შემდეგ, ანბანის ბოლო ასომდე. ის ხალხი უცხოეთში ასე ინარჩუნებდა მშობლიურ ანბანს, მშობლიურ ენას. იმ ანბანით იკვებებოდა, იმ ანბანის მჭადით იზრდებოდნენ მათი ბავშვები, რომლებსაც საშინაო მშობლიური ენიდან იწყებოდა. ისინი იმ ანბანით ასაფლავებდნენ გარდაცვლილებს და ქორწილს უხდიდნენ ახალგაზრდებს. ჭირში თუ ლხინში ყველა ოჯახს თავ-თავისი, ანბანის ბგერათა ფორმის გამოცხო-ბილი მჭადები მიჰქონდა და წმინდა ღვინოსთან ერთად იმ ხალხის დამწერლობა თავს ასე იყრდა სუფრაზე...

დამწერლობა სახელწოდებით (ანბანი თუ შრიფტი) – მიხეილ თემუროვიჩი მიმოფანტულია (ძირითადად სოხუმელებში). ზოგმა მხოლოდ ერთი ასო იცის ამ დამწერლობისა, ზოგმა ორი ან სამი. ერთად კი უკვე – არავინ.

და ეს წიგნი სწორედ რომ მცდელობაა მისი გახსენებისა, ძიებისა, აღდგენისა.

ასე რომ, ვზივარ და წერად ვარ ქცეული. ვწერ ისე, როგორც მახსოვს და ვწერ იმაზე, რაზეც მესაუბრებოდნენ სხვები. ანუ ისე ვწერ, როგორც ახსოვთ სხვებსაც – ის, მისი თავგადასავლები, მისი მეგობრები, მისი ქალაქი. საერთოდ, ჩვენთვის, ადამიანებისთვის, ხომ ყველაფერი ისე ხდება, როგორც გვახსოვს და არა ისე, როგორც იყო.

ამიტომაც, უმორჩილესად გთხოვთ, წაიკითხოთ მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც ამ წიგნშია მოხმობილი და არა ის, რომლებიც აქ არ წერია.

ხომ არსებობს კითხვის ასეთი წესი – როცა კითხულობ იმას, რაც წიგნში არ წერია. არ წერია, მაგრამ იგულისხმება. ხან ავტორი გულისხმობს, ხანაც – მკითხველი. ხანაც ორივე ერთად, შეთქმულებივით.

ამ წიგნში კი არაფერი იგულისხმება ისეთი, რაც არ წერია.

ვწერ წიგნის თავებს ისე, როგორც მიამბობდნენ. სხვადასხვანაირად, სხვადასხვაგვარად. თავად ჩვენს გმირსაც ხომ ძალიან უყვარდა სტილის მრავალფეროვნება. ასე მაგალითად, ზოგჯერ სადღეგრძელოს „მამაო ჩვენოსავით“, ლოცვასავით წარმოთქვამდა, ზოგჯერ – სოხუმური ჟარგონით. ყველაფერი დამოკიდებული იყო მისი და მისი მეგობრების საერთო განწყობილებაზე.

არსად არ მომყავს მოგონებების ავტორთა სახელები და არც გვარები. თუნდაც იმიტომ, რომ ყოველივე ეს დაამძიმებს წიგნს. მე კი ძალიან მინდა წიგნი იყოს საამო – ზღვის სურნელივით, მსუბუქი – მხიარულ სუფრასავით, მიხეილ თემუროვიჩის მიერ მონაყოლი ანეკდოტივით, ზაფხულის პლაჟივით ფერადოვანი, ჩიტის გალობასავით და ლამაზი ქალის სიცილივით სისხლის გამაშამპანიურებელი...

არ ვიცი, რა გამომივა: წიგნი-ქალბატონი თუ წიგნი-სადღეგრძელო თუ წიგნი-ლოცვა, წიგნი-ხომალდი თუ მხოლოდ წიგნი-მოგონება. ცოტ-ცოტა ყველაფერი თუ... თუ... ვნახოთ.

მთავარია, არ დაგვეკარგოს გარდასულ დღეთა სინათლე.

და ლუზა უადგილო სიღრმეში არ ჩავაშვებინოთ ტექსტს!

და გვერდი ავუქციოთ ყველა წყალქვეშა რიფს!

და არ შევჯდეთ მეჩეჩზე!

და ზურგის ქარი იყოს ჩვენი შემნე!

და, ღმერთო, შენ არ მოუშალო ჩვენს ხომალდს შვიდი ფუტის სიღრმე კილს ქვემოთ!..

აქედანვე ვგრძნობ, ზოგი ამბავი ფრიად მცირე იქნება, ძლიერ მცირე, იაპონური ლექსივით. რა ჰქვია – ხაკუ, თუ ხეკუ, ტანკო თუ ტანკი? დამავინწყდა. არც დრო მაქვს, ლექსიკონში ჩავიხედო. რამდენსტრიქონებიანია ის ლექსები – ოთხი თუ ექვსი? არც ეს მახსოვს... იქნებ სამი...

მაგრამ მცირე თავებიც ხომ საჭიროა. როგორც იტყოდა თავად ხოლმე: ესეც საჭიროა, ბაბა!

თუ წიგნი რიგიანი ვერ გამოგვივიდა, ბრძენი სოლომონივით გადავწყვიტოთ: თქვენ მე უნდა მაპატიოთ წიგნის ვერგამოსვლა, მეც თქვენ იგივე ცოდვას შეგიწოდებ.

რამეთუ ეს წიგნი საერთოა, ჩვენია. მართალია, წიგნის ბედი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, როგორ იწერება, მაგრამ ასევე არანაკლებ იმაზეცაა დამოკიდებული, როგორ იკითხება.

ჩვენ თანაავტორები ვართ.

თანაპასუხისმგებლები.

წიგნი ჩვენი შეხვედრის ადგილია.

და ჩვენ ვსაუბრობთ.

ხანდახან ისე ვისაუბრებთ, თითქოს შემთხვევით შევხვდით მატარებელში მგზავრობისას და ერთმანეთს ვუყვებით ათასგვარ ამბებს. რა კარგია მატარებელი! მივზანზალაკობთ, სარკმელში ქალაქი ცვლის სოფელს, სოფელი – ქალაქს, დღე – ღამეს, და შორი, შორი გზა გვაქვს გასავლელი. შემოაქვთ ჩაი და შაქარლამა. ჩვენ ვსვამთ ჩაის და ვსაუბრობთ, ვსაუბრობთ და ვსაუბრობთ. თან რკინიგზისპირა სახლებშიც ვიქცირებით მატარებლის სარკმლიდან, ვაკვირდებით ადამიანებს. ჩვენ ვხედავთ მათ, ისინი კი ჩვენ ვერ ვხედავენ. ისინი ხედავენ მხოლოდ მატარებელს. და ჩვენ რალაცნაირად გვეუხერხულება კიდეც, რომ ისინი ჩვენ ვერ ვხედავენ, ჩვენ კი მათ ოთახებში ვიხედებით. რას იზამ, რას?! ასეთია მატარებელი.

ხანდახან ისე ვისაუბრებთ, თითქოს ავტომანქანაში ვსხედვართ... ქალაქს ცვლის სოფელი, სოფელს – ქალაქი, დღეს – ღამე. წინ შორი, შორი გზა გვიძევს. და ჩვენ ვხედავთ ქუჩაში მიმავალ ადამიანებს და ისინიც გვხედავენ ჩვენ. ჩვენც გვხედავენ და ჩვენს მანქანასაც. და რა კარგია ავტომანქანა! ჩვენ უკვე არა გვაქვს უხერხულობის შეგრძნება – ჩვენ ვაკვირდებით ადამიანებს და ისინიც გვაკვირდებიან ჩვენ. ასეთია ავტომანქანა – თანასწორობისა და დემოკრატიის ეს საოცრება.

ხანდახან ისე ვისაუბრებთ, თითქოს შემთხვევით საოკეანო ლაინერში შევხვდით და ერთმანეთს ვუყვებით ამბებს. და რა კარგია გემი! მივცურავთ, მივცურავთ და თითქოს ადგილზე ვდგავართ, სხვა დროში მოვხვდით თითქოს. უზარმაზარი გემი რა კარგია! ირგვლივ ზღვაა, არსად ჩანან ქალაქები და სოფლები, სახლები და ადამიანები. გემი იღუმალების ტრანსპორტი, სწორედ რომ სხვა გალაქტიკების მკვიდრთა ნახაზებითაა აგებული. არის და არც არის. მხოლოდ პორტებში ან პორტების სიახლოვეს ხედავენ გემებს. ზღვებსა და ოკეანეებში გემი „მფრინავი ჰოლანდიელია“. ყველა გემი „მფრინავი ჰოლანდიელია“. გემი გარდაცვლილივით, ან ჯერ დაუბადებელივით ამოუცნობია – ვერ ხედავ (როგორც ახლახან ვთქვი – თუ მაინცდამაინც პორტში არა დგას), მაგრამ იცი, რომ სადღაც არის მარადისობისა და უსასრულობის რომელიღაც, ვთქვათ, – 177-ე კვადრანტი... და გრძნობ მის სიახლოვეს. თანაც ყოველთვის გრძნობ, როდესაც კი ის ურგვებ.

ხანდახან ისე ვისაუბრებთ, თითქოს შემთხვევით თვითმფრინავში შევხვ...

მაგრამ შესავლისათვის უკვე საკმარისია!

ამ თითქმის არაფრისმთქმელი შესავლისათვის!

მამ ასე – საქმე! ახლა კი – საქმე! წინ მთავარი ამბები გველოდება! ვინცებთ:

შვიდი!
ექვსი!
ხუთი!
ოთხი!
სამი!
ორი!
ერთი!!!

П - о - е - х - а - л - и!!!

მგონი, ეს შეძახილი მაინცდამაინც ომახიან-იმედიანი ვერ გამომივიდა! ისე, როგორც ეს კოსმოსში პირველად აგრიგალეულმა შეძლო; მაგრამ ეჭვი მაქვს, მაშინ მასაც კარგა გვარიანად უკანკალებდა მუხლები.

2.

იოსებ სტალინი ნიკიტა ხრუშჩოვმა შეცვალა.

სულ ცოტა ხანში ახალმა წინამძღოლმა მსოფლიოს კომუნისტური ნაწილის ავანსცენიდან ხელათამაძის სტყორცნა მსოფლიო იმპერიალიზმს და სსრკ-ში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა გამოაცხადა. გაშლილ მშენებლობას კი, მითუმეტეს, კომუნიზმისას, მოგეხსენებათ, ასი თვალი და ასი ყური სჭირდებოდა – ადამიანი ხომ ყველგან ადამიანი იყო, საბჭოთა კავშირშიაც კი.

ხრუშჩოვი, როგორც იმ ეპოქის ჭეშმარიტი შვილი, მარტო საკუთარ თავს ხომ არ წარმოადგენდა, ხრუშჩოვი ნაწილობრივ სტალინიც გახლდათ და ყოველთვის დროულად ითვალისწინებდა იმავე დროის მკაცრ მოთხოვნებს. უპირველესად, მან ჩამოაყალიბა სრულიად ქვეყნის და იმავე დროს იმავე ქვეყნის მოქალაქეების შემომონებელი ორგანო სახელწოდებით – „სსრკ-ს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი“, სადაც გაერთიანდნენ კავებულ-სიერ მრავალგზის შემონმებელი, „სუფთა“ ბიოგრაფიის, კლდისაგან გამოქანდაკებული ამხანაგები.

ეს-ესაა ნახსენები ამხანაგების ერთი ჯგუფი, ერთ მშვენიერ დღეს, ყველასათვის მოულოდნელად, მოსკოვიდან სოხუმში გადმოფრინდა და ბაბუშერას აეროპორტიდან პირდაპირ კომპარტიის საოლქო კომიტეტს მიადგა.

როდესაც ოცდაათი კაცი მიხეილ თემუროვიჩის კაბინეტში შეილალა, მან, სალამ-ქალამის შემდეგ, დაუპატიჟებელი სტუმრები უმალ სადილად მიიპატიჟა. პასუხად ყინულივით მსუსხავი უარი მიიღო: ჩვენ უკვე გეახელით თვითმფრინავში, ჩვენ არ გვცალია, ჩვენ ავტონომიური

რესპუბლიკა კომპლექსურად უნდა შევამონმოთ, დროც განსაზღვრული გვაქვს – მხოლოდ ერთი თვეო.

ასეთი ინფორმაციის შემდეგ მიხეილ თემუროვიჩმა ძალზე გულთბილად მოიკითხა მათი შეფი, – გენადი მაქსიმოვიჩი თავს კარგად ხომ გრძნობსო.

სხაპასხუპით უპასუხეს: ამხანაგი ფიგურინი თავს შესანიშნავად გრძნობს, მაგრამ ჩვენ საუბრის დრო არა გვაქვს, ჩვენ ავტონომიური რესპუბლიკა კომპლექსურად უნდა შევამონმოთ და ეს მხოლოდ ერთ თვეში უნდა მოვასწროთო.

მიხეილ თემუროვიჩი ჩაფიქრდა, დაუპატიჟებლებმა ის უსწრაფესი გადაწყვეტილების უსწრაფესად მიღების წინაშე დააყენეს.

– კი მაგრამ... კი მაგრამ... ეს რა გამოდის, – მისი სათნო მასპინძლის მონინებული, თითქმის გულმხურვალედ მლოცველის საეკლესიო იერს მიახლოებული გამომეტყველება უკიდევანო გაოცებამ შეცვალა, – მე და ნიკიტა სერგეევიჩმა ხომ მოვილაპარაკეთ... ამხანაგმა ხრუშჩოვმა და მე ხომ მოვილაპარაკეთ, რომ ნელს ჩვენ არ შეგვამონმებდნენ, პირადად მელაპარაკა... ალბათ, დაავინყდა, ამხანაგი ფიგურინისათვის შეეტყობინებინა ამის შესახებ. ეს, ნიკიტ სერგეევიჩ, ნიკიტ სერგეევიჩ... ამდენი საქმეები აქვს, რომც დაავინყნოდა, რა გასაკვირია. დღეს გერმანია ვის ახსოვს, ამ ამერიკამ ხომ სული ამოგვხადა... თუმცა რატომ ვმარჩიელობთ, მოდით,

ახლავე დაფურეკოთ ნიკიტა სერგეევიჩს.

მის სახეს კვლავ დაუბრუნდა საეკლესიო სათნოება.

მიხეილ თემუროვიჩს სავარძლის გვერდით, მის სანერ მაგიდასთან შედარებით ოდნავ დაბალ მაგიდაზე, თორმეტი ტელეფონის აპარატი ეწყო. მათ შორის ერთი წითელი ფერისა იყო, საახალწლო ნაძვის ხის სათამაშოსავით ლაპლაპებდა, მისი ნომრების ამკრეფი დისკის შუაგულში კი ვერცხლისფერ ლითონზე ამოტიფრული კრემლის გამოსახულება ციმციმებდა. ტელეფონის წითელ აპარატს მისი პატრონი განსაკუთრებულად ესათუებოდა.

წითელი აპარატი სხვებისაგან იმიტაც განსხვავდებოდა, რომ არსად იყო ჩართული, მისი მავთულის ბოლო იქვე, მაგიდის სიღრმეში იკარგებოდა, მაგრამ ამას ვერავინ ხედავდა.

მიხეილ თემუროვიჩი სწორედს იმ აპარატის ყურმილს დასწვდა და... დარეკა.

ორი წუთის განმავლობაში ელოდებოდა, როდის აიღებდა სატელეფონო ზარის ადრესატი ყურმილს. იმ ორი



მზია დედანაშვილი

წუთის განმავლობაში თვალეზგაფართოებული სტუმრები თითქმის არ სუნთქავდნენ. დახურული ფანჯრის მიღმა, ნაძვისა და მუშმალის ხეებიდან, ჩიტების გალობა ისე ისმოდა, თითქოს ჩიტები ოთახში მღერიან, ზედ ტელეფონის აპარატებზე სხედან და ისე გალობენო.

ბოლოს, როგორც იქნა, „აილო“ კიდეც ხრუშჩოვმა, ალბათ, სწორედ ისეთივე წითელი ტელეფონის ყურმილი.

პირადად და უშუალოდ აიღო ყურმილი, თავად, საკუთარი ხელით.

მიხეილ თემუროვიჩს სახე უკვე ტელეფონის აპარატივით გაუბრწყინდა:

– მოგესალმებით, ნიკიტ სერგეევიჩ...

– ...

– თქვენ, თქვენ თავად... ხომ კარგად...

– ...

– არა მიშავს, არა მიშავს... ნინა პეტროვნა როგორ არის?

– ...

– აა, მოგენატრეთ?... კი, კი, მალე ჩამოვალ. მალე.

– ...

– მეც, მეც.

– ...

– ო...

– ...

– ... მალ...

– ...

– მალ...

– ...

– როდის, როდის გვინახულებთ?..

– ...

– ისეთი შავი ღვინო მაქვს თქვენთვის... მოკლედ, უმაღლესი პილოტაჟია...

– ...

– უმაღლესი პილოტაჟია... ღვინოს კი არა, უმაღ...

– ...

– გუდაუთისაა, რა თქმა უნდა, შავი ხომ იქ...

– ...

– გამახარეთ, ნიკიტ სერგეევიჩ, მეუხერ...

– ...

– კი...

– ...

– დიახ, ნიკიტ სერ...

– ...

– არაფერი, არაფერი...

– ...

– დიახ, დიახ, აქ არიან...

– ...

– ძალიან სიმპათიური ამხანაგები... პარტიულ-სამეურნეო კონტროლიდან. რა ყურადღებიანი ხართ, ნიკიტ სერგეევიჩ... ამხანაგ ფიგურინზე რომ ვსაუბრობდით... დიახ, დიახ, გენადი მაქსიმოვიჩზე... მე რომ გთხოვეთ...

ჰო...

– ...

– როგორ, როგორ?...

– ...

– დიახ, დიახ...

– ...

– დიახ, დიახ...

– ...

მიხეილ თემუროვიჩის კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა – ხრუშჩოვი დაახლოებით სამი წუთის განმავლობაში „ლაპარაკობდა“.

– ასევე გადავცემ, ნიკიტ სერგეევიჩ...

– ...

– დიახ...

– ...

– ესე, იგი, აჭარ...

– ...

– ესე იგი აჭარა შეამონმონ?... აჭარა?..

– ...

– დიახ, დიახ...

– ...

– ასეც გადავცემ...

– ...

– ესე იგი, დღესვე წავიდნენ... აჭარ...

– ...

– დღესვე წავიდნენ აჭარაში?..

– ...

– ნიკიტ სერგეევიჩ... ერთი დღით მაინც უნდა დამიტოვოთ... სტუმრებია. თანაც ისეთი ღვინო მაქვს... უხერხულია, ერთი დღით მაინც, ნიკიტ სერგეევიჩ...

– ...

ოთახში კვლავ ჩამოვარდა ხანგრძლივი და მოკრძალებული სიჩუმე – ნიკიტა სერგეევიჩი უკვე დაახლოებით ორი წუთის განმავლობაში საუბრობდა. მხოლოდ ჩიტების გალობა ისმოდა, თანაც ისევე ისე, თითქოს ჩიტები გარეთ კი არა გალობენ, არამედ აქვე – ზედ ტელეფონის აპარატებზე სხედანო.

– ჩემო ძვირფასო...

– ...

– ჩემო ოქროკაცო...

– ...

– კეთილი და პატიოსანი...

– ...

– ოჯახი მომიკითხეთ, ნიკიტ სერგეევიჩ, ნინა პეტროვნა, სერიოჟა...

– ...

– გმადლობთ, გმადლობთ...

– ...

– გმადლობთ...

– ...

– მეც გეხვევით...

წითელი აპარატის ყურმილი წითელ აპარატსავე დაუბრუნდა.

მიხეილ თემუროვიჩი წელა მოტრიალდა სტუმრებისაკენ და ჩაფიქრებულ-მწუხარე ღონ-კისოტის სახით ხმადაბლა თქვა:

– ხომ გესმოდათ, პატივცემულებო, – თან საჩვენებელი თითი ჭერისაკენ გაიშვირა, – მოკლედ, აჭარა უნდა შეამონმოთ... ძალზე სასიამოვნოა, თქვენთან შეხვედრა... გულდასაწყვეტია, რომ... მაგრამ სხვა დროს ხომ აუცილებლად ჩამოხვალთ, პირობა უნდა მომცეთ, რომ ჩამოხ-

ვალთ... ახლა კი ასე ადვილად ვერ გაგიშვებთ, კარგი ღვი-
ნის მარაგი გვაქვს ძვირფასი სტუმრებისთვის, შავი ღვი-
ნის. კალდახვარის შავი ღვინო ცნობილია, მძიმე კი არ
არის ზოგიერთი შავივით, სვამ, სვამ... მოკლედ, შოკოლა-
დივითა... თანაც ჩვენ ხომ, ბოლოს და ბოლოს, კოლეგე-
ბიც ვართ.

მიხეილ თემუროვიჩი, როგორც საოლქო კომიტეტის
პირველი მდივანი, აფხაზეთის პარტიულ-სახელმწიფო
კონტროლის თავმჯდომარედ ითვლებოდა.

კოლეგები მდუმარედ წამოდგნენ. ერთ-ერთმა, ალ-
ბათ, ხელმძღვანელმა, ჩაილულღულა:

– ჩვენ უკვე გეახელით, თვითმფრინავში, ჩვენ არ
გვცალია, ჩვენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა კომ-
პლექსურად უნდა შევამოწმოთ, დროც მცირე გვაქვს –
ერთი თვე.

როდესაც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კონ-
ტროლიორები წავიდნენ, მიხეილ თემუროვიჩი იქვე მყოფ
საოლქო კომიტეტის მდივანს – პეტრე კრასინსკის მიუბ-
რუნდა:

– ეხ, პიოტრ პეტროვიჩ, პიოტრ პეტროვიჩ, ხედავ, რა
საინტერესოა ეს ცხოვრება.

მიუხედავად იმისა, რომ იმ წელს აჭარაში დიდი თოვ-
ლი მოვიდა, იქაურებს ის წელი დიდი თოვლის წლად კი
არა, „სსრკ პარტიულ-სამეურნეო კონტროლის ჯგუფის
ვიზიტის წლად“ დაამახსოვრდათ, იმ ჯგუფისა, რომელ-
მაც აჭარის თავზე ჯერ თურმე გადაიქარბუქა, შემდეგ კი
გადმოიქარბუქა.

3.

ეს ამბავი მისმა ბროშურამ შემატყობინა.

ამბავი კამეჩზე.

ბროშურა „აფხაზეთის კოლმეურნის ბიბლიოთეკის“
გრიფით გამოიცა.

სამეცნიერო ნაშრომი. ოღონდ იმ კამეჩზე კი არა,
სწავლულები რომ იკვლევენ, არამედ იმაზე, რომელსაც
მარტო ის ხედავდა. და მაინც – სამეცნიერო ბროშურა, მი-
სი საგალობელი, მისი ფსალმუნი ადამზე მსცოვან არსე-
ბაზე.

ბროშურას „აფხაზეთის კოლმეურნის ბიბლიოთეკის“
წინათქმა აქვს დართული, რომლის ჟღერადობამ რამდე-
ნიმე წუთით ნახევარი საუკუნის წინათ გადაამასახლა.

მოდით, ერთად მოვუსმინოთ. არ ვთარგმნე. როგორც
დაინერა, ისე მოვუსმინოთ იმ შესავალს:

„Компартия и Советское правительство поставили
задачи в течение ближайших лет резко повысить произ-
водство продуктов земледелия и животноводства с тем,
чтобы полностью удовлетворить растущие потребности
населения в продуктах питания и легкой промышленности.
Колхозники, работники МТС и совхозов Абхазской
АССР, вдохновляя решением XX съезда КПСС,
вскрывают новые резервы для достижения крутого
подъема отраслей сельского хозяйства, чтобы добиться
досрочного выполнения плана шестой пятилетки.

Одной из самых отстающих отраслей животновод-
ства в Абхазской АССР является буйволводство. Между
тем, в условиях Абхазии, буйвол является ценным и в

ряде случаев незаменимым животным. В связи с этим
следует обратить внимание на некоторые вопросы,
связанные с перспективами развития этого вида..

ამბავი მის კამეჩზე კი სულაც არ ჰგავს ამ წინათქმას.
სწორედ ისე, როგორც თვითონ არ ჰგავდა საკუთარ
დროს, ან რომელიმე კონკრეტულ ერთ დროს, საერთოდ.
მისი კამეჩი მასავით სამივე ჟამში მოგზაურობდა და კი-
დეც სადღაც, გონებისათვის უცნობ განზომილებაში დაე-
ხეტებოდა.

ამბავი თავიდანვე გვატყობინებს, რომ არავინ იცის,
თუ რომელმა ხალხმა მოიშინაურა კამეჩი პირველად.
თუმცა ის კი ცნობილია, რომ ბაბილონის ქვებზეა დახა-
ტული. კიდეც – მესოპოტამიაშიც იპოვეს მისი გამოსახუ-
ლებები.

ალბათ, ასე, 5.500 ან 5.600 წლის წინათ მოიშინაურეს
კამეჩი (რიცხვებს, როგორც ყოველთვის, მეტი ეფექტის-
თვის იყენებდა, ჟონგლიორობდა ციფრებით).

მეცნიერები, რომლებმაც ზედმინევენით კარგად შეის-
წავლეს კამეჩის რქები და თავის ქალა, მიიჩნევენ, რომ კა-
მეჩის სამშობლო ინდოეთია. ხოლო ის მეცნიერები, რომ-
ლებიც ათეული წლები აანალიზებდნენ კამეჩის ჩლიქების
მონაცემებს, მიიჩნევენ, რომ კამეჩის სამშობლო მესოპო-
ტამიაა.

თუმცა, შესაძლებელია, მისი სამშობლო კუნძული ცე-
ლებესი იყო, სადაც დღესაც მშვიდად ცხოვრობს უამრავი
ველური კამეჩი – ანოა.

ან იქნებ სულაც კუნძული მინდორია კამეჩის სამშობ-
ლო, ფილიპინებში („მინდორის“ კამეჩი, „მინდორსკი“).

ისე, ორ დიდ ჯგუფად იყოფიან კამეჩები: აფრიკელე-
ბად და აზიელეზად. აფრიკაში კარგადაა ცნობილი მოკ-
ლერქებიანი წითელი კამეჩი. ჩადის ტბის სიახლოვეს კი
უფრო შავი კამეჩები გვხვდება.

ინდოეთშიც ბლომდაა ველური კამეჩები, ბირმაშიც,
ცილონშიც. ისე, აზიური კამეჩი აზიურ ლამეს ჰგავს –
მშვიდია, გრაციოზული, ზოზინა.

თუმცა არანაკლებ გრაციოზულია აფრიკულიც.
ჩინეთშიც, ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე მოიშინაუ-
რეს კარაბაუ, წითელ-ჭრელი კამეჩი.

იაპონიაში მეტწილად მოკლერქიანი კამეჩებია. იმათ-
გან დიდად განსხვავდება სამხრეთევროპული კამეჩი.
სამხრეთევროპულსაგან კი – კავკასიური.

კავკასიურებიდან კი გამორჩეულია აფხაზეთში მოზი-
ნადრე კამეჩი.

ეს კამეჩი ძალზე მგრძობიარეა. ისე, ზოგიერთ ხალ-
ხში გავრცელებულია აზრი, რომ კამეჩს ატმის კურკა არ
უნდა ესროლო, თორემ შეიძლება მოკვდეს. თუ რა საბე-
დისწერო კავშირი არსებობს ატმის კურკასა და კამეჩს
შორის, არავინ იცის. ასევე, არც არავის უნახავს ატმის
კურკით დაღუპული კამეჩი.

ჩვენი კამეჩი პროდუქტიულია და ძლიერი, სპეციალუ-
რი ურმით ორ ტონაზე მეტი ტვირთი გადააქვს.

(და მაინც, არ ესროლოთ კამეჩს ატმის კურკა!).

ფეხები მსხვილი აქვს, კუნთები ძლიერი, ჩლიქები
ფართო და დაშორიშორებული. აღმართებს მშვიდად
ძლევს, დაღმართებშიც აუჩქარებლად ჩამოდის, გამობ-
რძმედილი კაცით.

20-22 წლის განმავლობაში შეუძლია ემსახუროს ადამიანს.

წელიწადში 1.000-1.400 ლიტრ რძეს იძლევა, ძროხაზე თითქმის ორჯერ მეტს. მისი რძე გამორჩეულად ცხიმოვანია. ვისაც ერთხელ მაინც უგემია კამეჩის მანონი, არასოდეს დაავინწყდება მისი გემო.

ის მანონი განსაკუთრებით „პახმელიაზეა“ სასიამოვნო. ხოლო მისი რძე კი ყელის ტკივილის უებარი წამალია და ხალხი გაციებისას იყენებს.

რაც შეეხება მის ხორცს... მოდით, ამ სიტყვებსაც ისე მოვუხსინოთ, როგორც დანერა – „Шашлык приготовленный на вертеле из копченного буйволиного мяса, общепризнан, как замечательное кушанье...“

განსაკუთრებულად კამეჩის აჯიკანასმული ხორცია გემრიელი. დამავინწყდა მეთქვა – კამეჩის მანონი ისეთი სქელია, რომ შეგიძლიათ დანითაც დაჭრათ (ერთხელ ეს ბროშურა თვითონ წამიკითხა და გზადაგზა, კითხვისას, ზეპირ კომენტარებსაც იშველიებდა).

კამეჩის ტყავი ხარის ტყავზე გამძლეა, რქაც ხარის რქაზე მაგარია. 1956 წელს კამეჩებმა აფხაზეთში სახნავი მიწების 66,2% მოხნეს (თუ აღმერთებდა, აღმერთებდა).

მაგრამ განა თითო-ოროლა ფერმა უშველის საქმეს, ყველგან უნდა შეიქმნას კამეჩის ფერმები. ამისათვის ხომ შესანიშნავი პირობებია გუფშიც და კინდლშიც და აძიუბ-ჟამიც, კულანურხვამიც და აჭანდარამიც და აცამიც.

კამეჩებს ძალიან უყვართ ჭაობი, ჩანვებიან ჭაობის მწვანე წყალში, უხახუნებენ მუცელს და ფერდებს მის ფსკერს და ნეზივრობენ და ნეზივრობენ. შემდეგ ჭაობ-ჭაობ ისეთ მცირე კუნძულებს მიაკითხავენ, რომლებსაც ვერც ადამიანები და ვერც სხვა ცხოველები ვერსაით მიუდგებიან. და ძოვენ იქ კამეჩები ბალახს. ან სულაც ჭაობშივე იკვებებიან – ნორჩი ლერწმებით, ლელქაშებით, ჭაობის ბალახით.

ხარებისა და ძროხებისაგან განსხვავებით, კამეჩები სიმინდის ღეროს ბოლომდე ჭამენ. ძალიან სარგებლიანი, ძალიან ეკონომიური არსებებია. უნდა გავამრავლოთ ისინი.

როცა მოეფერები, გვეგონებათ, არ სიამოვნებს, მაგრამ ვინც კარგად იცნობს კამეჩის თვისებებს, ისიც ჩინებულად იცის, რომ ძალიან უყვარს მოფერება (განსაკუთრებით ყელის მიდამოებში).

კიდევ წვიმები უყვართ კამეჩებს – წვიმები ხომ ჭაობებს კვებავენ.

აფხაზეთში კი ხშირი წვიმები იცის.

4.

მე მყავდა კატა – მალკა. ვხედავ, ჩემს აკვარიუმს თევზები აკლდება, უკვალოდ ქრებიან. მივხვდი, რომ მალკა „აქრობდა“ მათ, მაგრამ ფაქტზე უნდა დამეჭირა.

ერთხელაც ფეხების ბაკუნით გავემართე კარისკენ, ვითომ ბინიდან გავდივარ, კარი მივაჯახუნე, საკეტი გავაჩხაკუნე და იქვე, გარდერობთან მივიმალე. შემდეგ უჩუმრად, ფეხის წვერებზე შემდგარი, სადარბაზო ოთახს მივუახლოვდი. ვხედავ, მალკას, რომელსაც ბინიდან გასული ვგონივარ, თათი აკვარიუმში ჩაუყვია და თევზაობს.

მიხეილ თემუროვიჩი კატას მაგონებდა – თავისებურად ალერსიანიც იყო და თავისებურად ეშმაკიც. ოღონდ მოსიყვარულე კატას ჰგავდა, საუკეთესო კატას – საუკეთესო ძაღლის თვისებებით.

5.

ბლაჟბას დროს, როცა ის პირველი მდივანი იყო, გულრიფშის რაიონში სოფელ წებელდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიყავი. მოკლედ, ერთ ამბავს მოვყვები. სიმინდის მოსავლის აღების დროა, მთელი სოფელი ყანაშია გასული. სიმინდს ვტეხავთ, გეგმა გვანერია, უნდა შევასრულოთ. მეც სულ გარეთ ვარ, მინდორ-მინდორ, ყანა-ყანა დავწანანალებ. ამინდები კარგია, მზიანი, წვიმა ხელს არ გვიშლის.

მოკლედ, ერთ დღეს, რომელიღაც ბრიგადაში, ჭაჭის არაყი მასვეს და კანტორაში კარგა მაგარი მთვრალი დავბრუნდი. გზაში ჩემი „ვილისი“ კინალამ ხეს დავაჯახე. ჩემი შოფერი ჩემზე უარესი მთვრალი იყო და მე მიმყავდა მანქანა, მანქანა მიმყავდა და ის ჩემი შოფერიც, რა თქმა უნდა. იმას უკან ეძინა, სიდენიაზე.

კანტორის შენობა ძველი იყო, ძალიან ძველი. ჩვენ ერთ ოთახში ვისხედით, იქ ვმუშაობდით, მეორეში – თივა ეყარა. ბუღალტერი მყავდა ერთი, დიდი ეშმაკი ვინმე, დიდი ქვეშ-ქვეშა, სულ ჩემს ადგილზე ოცნებობდა, ნასწავლი ვარო, იკვებნიდა. რალაც საბუთები კი ჰქონდა, ვითომ რალაც სასწავლებლები დაამთავრა. იმიტომაც იკვებნიდა, რომ მე არ მქონდა უმაღლესი დამთავრებული. მოკლედ, ჩემი ადგილი უნდოდა.

ჰოდა, იმ ბუღალტერს ვეუბნები: მთვრალი ვარ, თივაში დავიძინებ და, ვინც უნდა მიკითხოს, ასე უთხარი – ყანაშია, შემდეგ კი შეიძლება, საქმეებზე რაიონის ცენტრში წავიდეს-თქო.

ასეც გავაკეთებ, აბა, რას ვიზამო.

წავედი და დავიძინე. როცა გავიღვიძე, ღამდებოდა. ავდექი და შევედი ჩემს ოთახში. ზის ბუღალტერი თავისთვის და რალაცას წერს, თან საანგარიშოს აჩხაკუნებს. ვკითხე, ვინმეს ხომ არ ვუკითხივარ-მეთქი. კი, გიკითხა, ბლაჟბა იყო მოსული და გიკითხაო. ამას ისე მეუბნება, თავს მალლა არ წევს. სუნთქვა შემეკრა – მერე-მეთქი. ვერ მოვატყუებდიო... მერე-მეთქი. გვერდით ოთახშია, ეს ვუთხარიო... მერე-მეთქი. შევიდა იმ ოთახში და გნახა – შენ თივაში იწევი და ხვრინავდიო. მოკლედ, სვალ დილით ობკომში დაგიბარა, ისიც თქვა – ჭაჭა დაუღლეია, თივაც კი გაჟღენთილია არყის სუნით, ეტყობა, მაგარი მსმელიაო.

მოკვდი კაცი, ეს რა გამიკეთე, შე თახსირო-მეთქი, ავხტი, დავხტი, მაგრამ ხომ არ მოვკლავდი. ბლაჟბასთან მხოლოდ ერთხელ ვიყავი შენახვედრი, სუფრაზე. ან რამ მოიყვანა ამოდენა თანამდებობის კაცი ჩემს დალუპულ კოლმეურნეობაში? მე უფრო რაიკომის და რაისპალკომის შემონმების მეშინოდა, თორემ იმას როგორ ვიფიქრებდი, რომ თვით მიხეილ თემუროვიჩი მოვიდოდა? არასოდეს! მაგრამ იცოდა ხოლმე ასეთი რამეები, მოულოდნელად დაადგებოდა ხოლმე თავზე ძალიან პატარა კაცსაც, აინტერესებდა სიტუაცია.

მოკლედ, მეორე დღით, მუხლების კანკალით მივადექი ობკომს, ბლაჟბამ დამიბარა-მეთქი. დარწმუნებული ვარ, გათავებულია ჩემი საქმე, აუცილებლად მომხსნიან, ორი აზრი არ არსებობს – მოსავლის ალების დროს არყით გაღებულ თავმჯდომარეს თივაში ძინავს, დღისით, მზისით, უფრო ზუსტად – შუადღისას.

შევედი, მაგრამ ვაი ამ შესვლას, ენას ვერ ვაბრუნებ პირში. ბლაჟბა ხან რას მეკითხება, ხანაც – რას. ხან გეგმაზე ლაპარაკობს, ხან ამინდზე, ხან პახმელიაზე და ხაშზე. გუშინდელ დღეზე კი არაფერს მეუბნება. მე კი სულ იმის მოლოდინში ვარ, ან ახლა მომცხვებს, ან ახლა-მეთქი. ის კი, ვითომც არაფერიო, სულ სხვა რამეებზე მელაპარაკება. ბოლოს – ნაღი ახლა, საქმეს მიხედვით.

მიხელო თემუროვიჩი, მეტს არაფერს მეტყვი-მეთქი, ამოვიღე ულულუ კართან მისულმა. კი, ერთ რამეს კიდევ გეტყვი – არ მომეწონა რაღაც შენი ბუღალტერი, არ ჩანს კარგი კაცი, სხვაგან გადაიყვანო იქნებ, იფიქრე ამაზეო.

ისარივით გავვარდი ობკომიდან კოლმეურნეობაში, მივედი თუ არა, ბუღალტერს მივახალე – მე და შენ ერთად ვერ ვიმუშავებთ-მეთქი.

იმასაც არ გაუწევია წინააღმდეგობა, ადგა და წავიდა.

6.

ამბობენ, ფიდელ კასტრო სოხუმში არ იყო... როგორ არ იყო, იყო, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე კაცმა ვიცოდით, ანუ თითქმის არავინ.

ფიდელი რომ ბიჭვინთაში ნამყოფია, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ სოხუმში?..

ეს ასე მოხდა – მაშინ ბლაჟბას დაცვაში ვმუშაობდი, ჩვენ – დაცვას, თითქმის ვერავინ გვამჩნევდა, სტოლი გეჰქონდა ასეთი, წესი. ახლა რომაა, ისე კი არ იყო – ოდნავ მნიშვნელოვან ჩინოვნიკს გუნდ-გუნდად რომ დასდევენ მცველები. სხვა დრო იყო, სხვა, კარგი დრო იყო.

ბიჭვინთაში ხრუშოვმა ჩამოიყვანა კასტრო. ერთხელ ლიხნში დაპატიჟეს. თამადა ბლაჟბა იყო, რა თქმა უნდა, ბლაჟბა. მჟავანაძეც იქ გახლდათ. ლიხნურ წითელ ღვინოს სვამდნენ. ერთ-ერთი ალავერდი თემუროვიჩი ყანწით კასტროსთან გადავიდა. არ მახსოვს, რა სადღეგრძელო თქვა. კასტრო უკვე გვარიანად იყო ნასვამი და ყანწი არაფრით არ დალია. ხრუშოვმა, ფეხზე ძლივს რომ იდგა, მე მომეცით ეგ ყანწი, კუბელები ცუდი მსმელები არიანო, და შეეცადა ყანწით ვახტანგურად დაეღია გუდაუთის რაიონის პირველ მდივანთან – დიმიტრი ხვარცკიასთან ერთად. ხრუშოვმაც ვერ დალია ის ყანწი ბოლომდე და ნახევარი ყანწი წითელი ღვინო ხვარცკიას კოსტუმზე გადაასხა. დიმიტრი ანდრევიჩს თეთრი კოსტუმი ეცვა, ჩეჩუნჩის, და ღვინომ სულ ჩამოუწითლა ტანსაცმელი. გეგონებოდა, დაჭრეს და დაასისხლიანებულაო. ხრუშოვს „უკრაინკა“ ეცვა და ასევე თეთრი შარვალი. ისიც დასისხლიანებულს ჰგავდა. ორთავეს წითელი ღვინო წურწურით ჩამოსდიოდა.

ხრუშოვი მისმა დაცვამ უმაღლეს ბიჭვინთისკენ გააქანა, თავისი აგარაკისკენ. ხვარცკიაც შინ წავიდა. მჟავანაძეც წავიდა, დალია ის ყანწი და წავიდა.

კასტრო კი დარჩა.

ლამის პირველი საათი იყო.

ბლაჟბა შეუწინა კასტროს – შენ სოხუმში არ გინახავს, ნავიდეთ, ნახე, რა ქალაქია, ჰავანასაც ჰგავს, აქაცა გვაქვს კოლონიური არქიტექტურა, ერთ საათში დავათვალიერებთ ყველაფერს, ზეგ მიდიხარ, აფხაზეთში შეიძლება, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გვესტუმრო, ნამო, ნახე, რა გენიალური ქალაქია სოხუმშიო.

დაიყოლია კასტრო, დაიყოლია ცეკას დაცვა. ეს კი არ იყო იოლი საქმე.

გავქანდით სოხუმისაკენ, პარტიზანულად, მალულად. სამი მანქანით მივდივართ: ფიდელის დაცვა, თემუროვიჩის დაცვა, თარჯიმანიც, თანაშემწეებიც.

სამის დასაწყისია და უკვე სოხუმის სანაპიროზე დავსერიწობთ. ქალაქს ძინავს, ქუჩაში არავინ ჩანს. ჩვენ, დაცვა, ჩვენდათავად, ძალზე ფეხზლად ვართ.

პორტიდან თეატრის შენობამდე ფეხით ვიარეთ.

ხომ კარგი ქალაქიაო, – ეკითხება თემუროვიჩი ფიდელს.

მართლაც საოცარიო, – პასუხობს ფიდელი და წვერს აწვავს.

უცებ თეატრის მახლობლად, გრიფების, გრიფონებისა და ურჩხულების შადრევანთან, შუალამის სიჩუმეში, ბაყაყების ხმა გაისმა. შადრევანი გამორთულია, არ ხმაურობს და ამიტომაც ბაყაყების ხმა ცას სწვდება. გამიკვირდა, იქ ადრე არასოდეს გამიგონია ბაყაყების ყიყინი. რა თქმა უნდა, ცუდად მუშაობდა საქალაქო სამსახური, თორემ ბაყაყებს შუა ქალაქში რა უნდოდათ? მოუვლელი იყო შადრევანი.

ფიდელი გააოცა ბაყაყების სიმრავლემ – ეს ბაყაყების ხმებია თუ მეჩვენებაო.

რა თქმა უნდა, არც ბლაჟბა ელოდა ბაყაყებთან შეხვედრას, მაგრამ არ დაიბნა – ეს ჩვენი სიამაყეა, ჩვენი წმინდა ბაყაყები და ამიტომაც ისინი გამოსაჩენ ადგილებში გვყავსო. შემდეგ კარგა ხანს ილაპარაკა ბაყაყების იმ იშვიათ ჯგუფზე, რომელიც მხოლოდ აფხაზეთში გვხვდება, ჩვენი აბორიგენია, ამ ჯიშის ბაყაყს „სასტუმრო ბაყაყი“ ჰქვიაო, *гостевая*-ო.

ბაყაყების ხორცისაგან დამზადებული დელიკატესის მოყვარულმა კუბელებმა უმაღლეს ირწმუნეს მიხელო თემუროვიჩის – ეს რა ფანტასტიკური ბაყაყები გყოლიათო.

სხვათაშორის, რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ბლაჟბა უკვე აღარ იყო პირველი მდივანი, ნაშრომი გაამოსცა ბაყაყებზე. როგორც მახსოვს, იმ აბორიგენ ბაყაყს იქაც „სასტუმრო ბაყაყად“ იხსენიებდა.

ისე, რომ ამბობენ, ფიდელ კასტრო სოხუმში არ ყოფილაო, ტყუილია, იყო ფიდელი სოხუმში, დედაჩემის სულს გეფიცებით, იყო, ოღონდ სულ რამდენიმე კაცმა ვიცით ეს. მგონი, იმ კაცთაგან მხოლოდ მე დავრჩი ცოცხალი. ჰო, მარტო მე რატომ, მე და ფიდელი. ისე, თუ ვინმე შეეკითხება ფიდელს, იყო თუ არა სოხუმში, მჯერა, იტყვის ვიყავიო. თუ არ გაახსენდა, ბაყაყებზე შეეკითხეთ, თეატრის წინ, გრიფონების შადრევანის ბაყაყებზე, „სასტუმრო ბაყაყებზე“. აი, ნახეთ, თუ არ მოაგონდეს ის ღამე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



დალილა ბედანიძის გამორჩენა ქართულ პოეზიაში ისეთივე უშუალო და ბედნიერი იყო, როგორც თვით სიყმაწვილა – პირდაპირი, თამამი, უკომპრომისო. თუმცა ახალგაზრდობასაც გააჩნია... როგორც უამრავმა რამემ, ახალგაზრდობამაც ფერი იცვალა... პოეტური ასაკისა და პოეზიისათვის ზედმეტად პრაგმატულებით, ზედმეტად გონიერებით, გულგრილებით აივსო სამყარო.

დალილა ბედანიძესთან უშუალობისა და ბუნებრიობის თვალსაზრისით თითქმის არაფერი შეცვლილა. ეს მით უფრო დასაფასებელია, რადგან ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ერთად მიიღო ინტელექტუალური გამოცდილებაც და ამის შემდეგ ბუნებრივად გადადგა უფლისაკენ პირველი ნაბიჯები. ისე ორგანულად, ძალდაუტანებლად ეზიარა ღვთის სიტყვას, როგორც ველის ყვავილები ეგებებიან მის ლექსებში ქარსა თუ წვიმას, პოეტის „გონიერი გული“ ამ ყვავილების სიბრძნეს ინარჩუნებს: „მზეცა და მთვარეც ჩემს წინ ცაზე აივლ-ჩაივლის და რაც შემხვდება, მე სურნელით გადმოვცემ იმას“.

სიცოცხლის გამო ღრმა მადლიერების გრძნობისა და ჭეშმარიტ ღირებულებებში ეჭვშეუტანლობის გამოცაა, რომ მისი პოეზია დღემდე გამოსცემს ამ სურნელს და დღემდე იზიდავს მკითხველს.

დალილა ბედანიძე

* * *

დედა, მე შენი ჭალარა მიყვარს
და ნაოჭებიც მეძვირფასება.
შენი საკადრი ვერ ვპოვე სიტყვა,
ვერ შევძელ გრძნობის გაათასება.
ისევე ისეთი ლამაზი მყავხარ,
როგორიც იყავ ჩემს ბავშვობაში.
მიყვარხარ! თუმცა რას გეტყვი ახალს,
გინებვირდები ისე, ვით ბავშვი.
აბა, შენსავით ვინ შემიყვარებს,
გასაჭირში ვის შევებრალები!
ავ ძალღებვივით მოსეულ ქარებს
ვინ გამიფანტავს ღვთიურ ძალებით?
დედა, ყოველდღე ნატიფად მძერნავ
და მაქანდაკებ თბილი ხელებით.
მიმღერი, როგორც შრიალეებს ძენნა,
ხან ნაზი ხმებით, ხან – გახელებით.
ალარაფრისა არ მეშინია,
მჯერა, ყოველთვის დამიცავ, დედა.
მტერი ნკავნკავებს, როგორც ფინია,
ვერ ბედავს მეცეს, რადგან შენ გხედავს.
რადგან შენ მყავხარ, ვარ ბედნიერი
და არ მეღევა შენთვის სათქმელი.
დედა, სულ შენით, თუ ვარ ძლიერი
და მშველის შენი სანთელ-საკმელი.

* * *

შენი ფრთის ქვეშ, უფალო,
ჰოი, როგორ თბილა!
მარგალიტის კუფხალო,
ლოცვით ვინყებ დილას.
ლოცვით ვხვდები საღამოს,
გევედრები შველას.
შემაშინოს რალამო,
შენ გეკუთვნით ყველა.
ღმერთო, ღმერთო, მომხედე,
რამდენი რამ მიჭირს!
ვებრძვი მაცილს, ოხერ დევს,
მომეც ბრძოლის ნიჭი!

გამარჯვება მასწავლე,
მომიმართე ხელი!
რამდენი რამ მანვალებს
შენთვის გასამხელი.
დიდება შენს სამებას!
დიდება შენს ძალას!
მორჩა ჩემი ნამება,
ფერი შემეცვალა.
შენი ფრთის ქვეშ, უფალო,
ჰოი, როგორ თბილა!
შენ გიგალობ, თუ ვგალობ
რწმენით ყოველდღილა.

ველის ყვავილი

შეუმჩნეველი, როგორც ველის ერთი ყვავილი
მე ჩემთვის ვდგავარ, ვეგებები ქარსა და წვიმას.
მზეცა და მთვარეც ჩემს წილ ცაზე აივლ-ჩაივლის
და რაც შემხვდება, მე სურნელით გადმოვცემ იმას.
არ მყავს მებაღე, ჩემზე ზრუნავს მხოლოდ ბუნება,
არა ვარ ვარდი, არც ნაქები ბევრჯერ გვირილა.
მე ყოველ ზაფხულს მიწერია აქ დაბრუნება
და სიხარული ამატოკებს უხმო ყვირილად.
ამ მიწაშია ჩემი ფესვი და ჩემი ძირი,
თავს არ ვინონებ, თავდახრილი ჩემს მიწას ვამკობ.
სხვა ყვავილები იყიდება და არის ძვირი,
ჩემი ხვედრი კი საზღაპროა და საარაკო.
ჩემთან ის მოვა, ვისაც მართლა ვუყვარვარ გულით
და კი არ მომწყვეტს, მხოლოდ ფრთხილად მომეფერება.
დამყნოსავს, მერე თავს დამაყრდნობს და დაღალული
დაიძინებს და ეს მეყოფა ბედნიერებად.
არ ვარ ბალის ტყვე, ვარ ველური ველის ყვავილი,
ჩემი ნექტარი ფუტკრებისგან თაფლად იღვრება.
ქარი და წვიმა, მზე და მთვარე ამივლ-ჩამივლის –
მე ვარ გულიდან ამომსკდარი მიწის სიმღერა.

* * *

როცა ჩემი და უკრავს გიტარას,
მე მავინყდება სხვა ყველაფერი.
სიმღერის გარდა არა მინდა რა,
როცა ჩემი და უკრავს და მღერის.

მომავონდება შორი ბავშვობა,
 გიტარას როგორ უკრავდა მამა,
 როცა ზღაპრული რაში რაშობდა,
 მიგვაქროლებდა ცაში თამამად.
 მაგრამ სიკვდილმა წაგვართვა მამა,
 დედას მას შემდეგ არ უმღერია.
 ვართ სამი და და გაიყო სამად
 ჩვენი ოჯახი, ჩვენი კერია.
 თავს რომ მოვიყრით, კედლიდან გვიმზერს
 მამის სურათი შუქთა მთოვარი.
 აწყობილია ძველებურ სიმზე
 გიტარა მამის დანატოვარი.
 ღმერთო, სიმღერას ნუ გამოგვიღევ,
 ვით ბავშვობაში, ვით წლების უკან.
 კვლავ გვეფერება მამა ო, შვილებს,
 როცა ჩემი და გიტარას უკრავს.

* * *

ესაუბრება არწივი არწივს,
 ესაუბრება ყორანი ყორანს.
 ო, ამ მხარეში არ თოვს და არ წვიმს
 და მიაცურებს მცხრალი მზე ბორანს.
 აქ არც დღეა და არც ღამე იცის,
 მარადიული ელავს ნათელი.
 აქ ნაკადული იკავებს სიცილს,
 არც ხენა-თესვაა, არც – მკა და რთველი.
 მიდი-მოდიან ირგვლივ ლანდები,
 არცა ფენის ხმა, არც – ჩუმი ოხვრა.
 აქ არვინ გკითხავთ „სად მიბრძანდებით?“
 მთას შინდისფერი აცვია ჩოხა.
 განყობილია მარადი ტაბლა,
 დევეს საჭმელები ნაირ-ნაირი.
 მიიზღაზნება ღრუბელი წაბლა,
 თაფლის სურნელით თვრება ჰაერი.
 მზეს მხარს უმშვენებს მღვმარე მთვარე,
 გადი-გამოდის უხმოდ ბორანი.
 სხვა ხმა არ ისმის - დუმს არემარე,
 ესაუბრება ყორანს ყორანი.

* * *

უნგრეთშიც ვნახე ვენახი
 და მსხმოიარე ვაზი.
 ახლაც თავისკენ მეძახის
 მოგონებებით ნაზით.
 უნგრეთშიც ვნახე მარანი
 და თავანკარა ღვინო,
 ძველი, ვით ლექსი არანის,
 თავი მეგონა შინო
 და ჟრუანტელის მომგვრელი
 კურუცთა სიმღერები
 ვისმინე – ვის რა მოგველის
 ბედის ხმლის მოღერებით!
 მაღიარებო, სადა ხართ?

უნგრეთი მენატრება.
 ნეტავი კიდე მანახა,
 ვერ დაგვაშორონ მტრებმა.
 უნგრულ სულს მივესალმები
 ჩემი ქართული სულით,
 შეწვევით წმინდა სამების,
 მომავლით და წარსულით.
 შორეულ საქართველოდან
 სანატრელ უნგრეთს ვლოცავ.
 მიიღეთ ჩემი „რერო“ და
 ჰაეროვანი კოცნა!

* * *

წვიმს. შორს ხარ ახლა და მენატრები.
 როგორ მაკლია მე შენი სითბო.
 ბრუნავს წვეთების კორიანტელი,
 თითო წვეთია ოცნება თითო.
 სადაც შენა ხარ, მანდ თუ წვიმს ახლა?
 წვიმას ვაბარებ ათას მოკითხვას.
 წვიმას თან შენი სურნელი ახლავს,
 თუ გამომყვები, ჩემთან მოგიყვანს.
 მოჰგავს ღრუბელი შენეულ წერილს,
 რომელსაც მხოლოდ მე ნავიკითხავ.
 ო, უშენობას ვერ გავუძელი,
 დიდხანს ვიყავი უშენოდ, დიდხანს.
 მე შენ გაჩუქებ მზესაც, წვიმასაც,
 მე შენ გაჩუქებ, ო, მთელ სამყაროს.
 უშენოდ ყოფნა არ მინდა არსად,
 მინდა, კვლავ შემხვდე და გამახარო.
 წვიმს. ოცნებები მოდიან ციდან
 და მარტოობა უფრო მძაფრდება.
 დედამინაა სულ ერთი ციდა,
 წვიმა არტყია ფერად ძაფებად.
 ამ ჩვენს პატარა დედამინაზე
 შეეხვდებით, როგორ აღარ შეეხვდებით.
 წვიმს. წვიმას ახლავს შენი სინაზე
 და მღელვარება შენთან შეხებით.

* * *

გილოცავ! გარეთ თოვს,
 პირველი თოვლი მოდის.
 ფიფქთა კვალს დანატოვს
 ქარი მიჰყვება ბოდვით.
 შენზე ჩემს ფიქრებს ჰგავს
 ფიფქთა კორიანტელი.
 ზეცას ავყურებ შავს
 და თოვლს ხსნასავით ველი.
 რა გულუხვია ცა,
 გვიგ ზავნის რამდენ რამეს.
 ზეცამ პატივი გვცა –
 გადაგვითეთრა ღამე.
 ფიფქები ჩურჩულით
 ეფინებინ მინას

და ჰანგი ქუჩური
თან ახლავს დაცემის წამს.
გამოდი, შევხვდეთ თოვლს –
პირველი თოვლი მოდის.
დავანდეთ სპეტაკ მოლს
პირველი კოცნის ცოდვით!

ეთერ თათარაიძეს

თუშის ქალი ხარ, ეთერო,
თათარაიძის ქალიო.
მინდა, კალამში მეღანი
სულ შენს ქებაში გავლიო.
კარგ ყმათა ცოლო და დედავ,
ორიკ ასული გყავისო
და შენი კაბა ჭრელ-ჭრულა
თუშეთის ტყისებრ ყვავისო.
ბუნებას კალთა თავისი
სულ შენზე დაუბერტყია.
თვალეებში გიჩანს მაისი,
როს ლექსს სიმღერით მეტყევია.
ლექსიკ კარგი გაქვს, ეთერო,
ლიკლიკა, მსგავსი წყაროსი.
მუდამ ტაშს იმკი, ლამაზო,
შენი ყოველი გამოსვლით.
ო, დაგელოცოს მარჯვენა
მაშვერალი, დაულალავი.
სიტყვას გიქებ და თან მჯერა –
შენს სათქმელს იტყვის არავინ.
თუშის ქალი ხარ, ეთერო,
თხემით ტერფამდე ქართველი.
ღმერთმა სულ წვაში გაგლიოს,
როგორც ტაძარში – სანთელი.

* * *

მიზიდავ, როგორც ყინვაში ცეცხლი,
როგორც მდინარის ტალღას – ნაპირი.
ცეცხლს ადნებიან ფიფქები ვერცხლის,
ჰკვეთს ცეცხლი სივრცეს შუქის რაპირით.
თან მოგელტვი და თან მეშინია,
შენკენ მიბიძგებს ცხოვრების ტალღა.
ერთგული, როგორც ძალი ფინია,
გახლავარ ყველგან და არ ვგრძნობ დაღლას.
დამიმორჩილე მაგ სიყვარულით
და მაგრძნობინე ცხრა ნეტარება
და გრძნობა გულში შემოპარული
აქარიშხალდა, მექცა ხარებად.
მაშინებს შენში მთვლემი დემონი
და ანგელოზი მახარებს შენში.
ნაილე გული, ნაილე გონი,
ეს სიყვარული უთუოდ შემშლის.
ვერ ვძლებ უშენოდ, როგორ მიზიდავ...
ვჭვრეტ მაგ თვალეებში ცეცხლის ზმორებას.

ვით ოზირისს და ლამაზ იზიდას,
არ გვიწერია ჩვენ განშორება.

* * *

ქმრის პერანგებს რეცხავს ქალი,
რეცხავს და თან ეფერება.
გარეთ ქარი დაქრის მალი
და შორს არის მწუხარება.

ქარი სარეცხს აიტაცებს
ოჯახური ყოფის დროშად.
შინ ცოლები ელით კაცებს,
გარეთ ქარი რას არ რომავს.

შინ დახვდებათ შვილი, ცოლი
და კერიის მშვიდის სითბო
და ქათქათა მზა სანოლი
და სიზმრები თითო-თითო.

ქმრის პერანგებს რეცხავს ქალი,
ბედნიერი ქმრის მსახური...
მარადია, არ ახალი
ეს სურათი ოჯახური.

ანდრას პეტეცს

მინდა, გაგაცნო იყალთო, გრემი,
მომიხსლოვდი, ო, ახლოს იყავ!
გთხოვ, შეიყვარო სამშობლო ჩემი,
როგორც მე შენი სამშობლო მიყვარს.
გადავეხვით ერთმანეთს, მინდა,
როგორც დუნაი და შორი მტკვარი.
შენს მოლოდინში რა დრო გაფრინდა
და გავისტუმრე რამდენი ქარი!
ბალატონივით დაგუბდა სულში
ეს მონატრება და გადმოხეთქა.
ჩემს სამშობლოში აყვავდა ნუში,
ნეტავ განახა თბილისი, მცხეთა!
ვერ გაგაცანი სარუსთაველო,
ჩვენს შორის ჩადგა რამდენი წელი
და თითქოს წუთსაც კი არ გაევილოს,
კვლავ მოუთმენლად ველი შენს წერილს.
გწერ მღელვარებით და გულისცემით,
მინდა, გასმინო ქართული სიტყვა.
გთხოვ, შეიყვარო სამშობლო ჩემი,
როგორც მე შენი სამშობლო მიყვარს!

ღვთისმშობლის მონოლოგი, ოღას ახალშობილ ქრისტას დაჰყურება

ვინა ხარ, შვილო? საიდან მოხველ,
პირმშოვ, შენ ჩემო მხოლოდშობილო?
მე ვერ გაგიფენ ბაგაში ნოხებს,

შენ, საკადრისად ვერ გხვდები, შვილო!
ჩემო პატარა! რა სურნელს აფრქვევ,
როგორ უცინი შენს ანგელოზებს...
მე ბედნიერი ჩემს უფალს ვაქებ,
რომ შენი თავი მაჩუქა დროზე.
პატარა გოგო ვიყავ აქამდე,
შენ კი მაქციე ბედნიერ დედად.
შენს ვარსკვლავს ცაში ქარი აქანებს
და რჩეულობა შენ გერგო ბედად.
მე შენთვის მინდა მთელი სიკეთე,
რაც კი დედის გულს გაემეტება.
ბაგაზე ისე გამოიკვთე,
ვით ცაზე ნათლის შემოფეთება.
ტკბილად იძინე, ნანინა, შვილო!
ხარ სასწაული ღვთით მოვლენილი.
ყვავილო ჩემო ახლად გაშლილო -
გლოცავ დედობის მადლმოფენილი.

* * *

წვიმის შრიალა ფარდა
დაეშვა, ჩამოვარდა
და წვიმებს გადაბარდა
თეთრი დღეების წყება.
მოვიდა დავინწყება,
ყველაფერს შავად ღებავს.
მალამოდ მომეცხება
სხივი მცირედი ახლა.
სხივი ჩასულ მზეს ახლავს,
ის გამიქარვებს დალლას,
წამიყვანს მაღლა-მაღლა,
გადაკარგული მზისკენ.
ო, მუხლი მოვიდრიკე,
ლექსები ვიჭიკჭიკე,
ლოცვები ვალიკლიკე
მზესა და წვიმას შორის.
მზე არის ისე შორი...
შემომეჩვია თქორი,
როგორც დაჭრილი ქორი,
მზე მთის ფერდობზე გდია.
ჩემი ვარდი და ია
წვიმაშიც ლამაზია.
ხვალ დღეს მოველი მზიანს -
უფალო, გადმომხედე!
უფალო, გადმომხედე -
ვუჭვრეტ ნაღვლიან ხედებს.
სევდას ნუ დამიბედებ -
ვედრება შემოგბედე.

* * *

ვინც მიყვარს, იმან სხვა შეიყვარა,
იტირე, გიტარავ, იტირე!
გამიუცხოვდა და მითხრა „არა“ -
იტირე, გიტარავ, იტირე!

ო, ჯოჯოხეთად მექცა ცხოვრება -
იტირე, გიტარავ, იტირე!
მე კი ის მუდამ მემახსოვრება -
იტირე, გიტარავ, იტირე!
მხოლოდ შენ იცი, გულში რა ხდება -
იტირე, გიტარავ, იტირე!
თვალს არ შორდება მისი სახება -
იტირე, გიტარავ, იტირე!
უმისოდ ყოფნას არა აქვს ფასი -
იტირე, გიტარავ, იტირე!
დარდი გამიჩნდა ათიათასი -
იტირე, გიტარავ, იტირე!
ვერ გადავიტან ამ განშორებას!
იტირე, გიტარავ, იტირე!
იჭვთა დამკორტნეს, როგორც ქორებმა -
იტირე, გიტარავ, იტირე!
ვინც ჩემი იყო, ახლა სხვისია -
იტირე გიტარავ, იტირე!
ეს ჩემი ლექსიც რის მაქნისია!
იტირე, გიტარავ, იტირე!
ჩამოვკრავ სიმებს, გულს მოვიოხებ -
იტირე, გიტარავ, იტირე!
და სული მტოვებს მარტოს და ოხერს -
იტირე, გიტარავ, იტირე!

* * *

ყმანვილქალ ქვრივს მოჰგავს მთვარე,
შვენის ღრუბლის ძაძა.
ახლოს არვის მიიკარებს,
გულში იკლავს ხანძარს.
წვიმა მთვარის ცრემლი არი,
შუალამის წვიმა.
აბარბაცებს ცაზე ქარი,
შუქი სხლტება სიმაღ.
სიყვარულის დამკარგავი
ვერ პოულობს შვებას.
ვერ მოიკლა, ვერა თავი,
ცრემლი არა შრება.
მისი ნაფერები ქმარი
შავ მინაში ღებება.
ახ, სად არის ჯადოქარი
გაუცოცხლოს ვნება.
გადმოჰყურებს ობოლ საფლავს
მთვარე მგლოვიარე.
ქმრის საფლავზე დარგულ დაფნას
ცრემლით რწყავს, ახარებს.
ო, ისეთი ლამაზია
და ისეთი კარგი...
მიუყვება ცას შავგზიანს
ჩაბნელებულ სარკით.
ერთადერთი სიყვარულის
დამკარგავსა მთვარეს
ალარც ძილი - თვალზე რული,
არც ვის შეიყვარებს.



გიორგი ალბაზიშვილი

გიორგი ალბაზიშვილის ინტენსიური ძიებებით აღბეჭდილი, მრავალფეროვანი პოეზიის ერთი რკალი თავისებური ნოსტალგიაა, შეხშიანება მისთვის ძვირფასი პიროვნებების აჩრდილებთან, როგორც ამ ლექსშიცაა, ავტორს ვირტუალური წერილის იერი რომ მიუნიჭებია. პოეტი ცოცხალ განცდაში შეწყურებს უკვე იმსოფლად დავანებულ თანატოლებსა და მეგობრებს: გიგლა სარიშვილს – პოეტსა და ძველბერძნული ლიტერატურის (ალკეოსისა და საფოს ლირიკა, ესქილესა და ევრიპიდეს ტრაგედიები, ჰელიოდორეს რომანი „ეთიოპიკა“...) მთარგმნელს; გიორგი (იურა) ბაქანიძეს – პროზაიკოსსა (ავტორს საანთოლოგიო მოთხრობისა „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“) და რუსული კლასიკური და თანამედროვე ბელესტრისტიკის მთარგმნელს; სოსო პაიჭაძეს, ვისი რომანიც „სადაით დაეცი“ თანამედროვე ქართული მწერლობის მშვენიერებაა; და თედო ბექიშვილს – პოეტს, მთარგმნელსა და ესეისტს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია XX საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგია. გიორგი ალბაზიშვილის ნოსტალგიური ტკივილი განზოგადებულია და საკაცობრიო განცდებს ამიტომაც ეხმაურება ასე მძაფრად.

წერილი

პათეტიკური

ჩემო, გიგლიუს, რა ტყუილად დაგაპატიმრეს, ცალი ხელ-ჯოხი, ცალი ფეხი, ცალი პროთეზი შეაჯლყუნე ცივ საკანში. არ გაპატიეს ერთი გინება სიმთვრალეში და ჰიპოთეზის

მარტივი აზრი, რომ ტყუილი უყვარს დახლიდარს, ფულში ტყუილი და ძალივით კუდის ქიცინი, რომ ახლა ღმერთი ყოველივეს ხედავს მაღლიდან, ათეისტურად და ბრიყვულად, როცა იცინით.

ძლივს ჩაგიყვანეს პირგაცვეთილ, ბინძურ კიბეზე, როგორც გვიამბე, მიგათრევედა ვინმე ფეშვანგი, რა მშობლიურად თბილი იყო თურმე „კაპეზე“, თვალყანგიანი. უყანგესი, ანუ ზეყანგი.

ჩამოაღწია ცამ მზერაში. რა მიმქრალია... ზურგსუკან შიში, შიშისაგან უნდა გახვედე, ზოგიერთები, ძვირფასები, ხომ იქ არიან, ცა ჩაიგუბე თვალეებში და მერე ახედე

წარმოდგენაში და შენ მიხვდი, ვერ აგასხიპეს იმედი, რითაც არსებობდი, რითაც იწყები, თუ კი დაგჭირდა მზეს თვითონვე ამოასხივებ და შენივე მზის მცხუნვარებას მიეფიცხები.

რეაგირება ამ საკითხზე, ალბათ, დროზეა საჭირო, რადგან შეგიყვარდა შენი ტყუილი, იხსენებ გალას, როგორ მოწყდა ალბატროსივით და საუკუნეს ჩაუქროლა ფრთების შხუილით.

არ არსებულა, ვერ იხსენებ ფიქრის ჩამრაზავს და შენს ცინიკურ გაღიმებას რა შეედრება, მაგრამ ცხადია, ვერ შეხედავ ხიფათს ამრეზით, მეტადრე მაშინ, შორი-ახლოს თუ კი ეთრევა.

იხსენებ საფოს, ხან ეზოპეს, ხანაც ალკეოსს, გოგოზე ფიქრობ მშვენიერზე და მის კაბაზე, ქარი რომ არწევს, თითქოს ცდილობს გააცალკეოს... და მშვენიერი მასპინძელი არის „კაპეზე“.

მწყობრი ხმაური - საბჭოური გახსოვს მარშები, ვარდების სუნთქვა და სიგრილე ძველი ხეივანის?! უცნობის თვალი თუ თვალთვალი, ჩვენი ჩამშვები, შენი სიცილი სარკასტული და არხენი.

ახლა ოცნება. ვართ უზომოდ თავისუფლები და მახსენდება ის ლექსები ლეხოსელის, რომ გვიკითხავდი და გისმენდით ლამის უბრები და ლამეები უპოვართა შემოსვლები

მოგვაზომებენ ხამის ქსოვილს, მოგვალამბავენ ახალ ბლუზებს და ახალ შარვლებს და სიკაპასე გაუვლის დობილს, რომ გაიგო შენი ამბავი და გადაბმულად ექაჩება ნაპასს ნაპასზე.

პონტო. ტყეები სახომალდე. ვკითხავ კატულუსს: ტყე მასალაა ხომალდების, ლექსი იმედის, ხომ შეიძლება კაცმა თავი მოიკატუნოს და ბედნიერი იყოს ახალ ექსპერიმენტით?!

ჯდება სიზმარი ტრამვაიში, ადის ვერისკენ, უნივერსიტეტს მიადგება სავსე ვაგონი, უმჯობესია მღვიძებოდა, არ გამერისკა, არ ავეყოლოდი ყურმოკრულ და სადღაც გაგონილ

სიტყვას, ასე რომ მალეღვებს და მაფორიაქებს, ფორიაქია ეს ფუსფუსი, ეს მსახურება, რომ თვალეებს ჩემსას, ამოჭყეტილ ამ ორ იაქეს, მონატრებია დახუჭვა და შენსკენ ყურება.

საბურთალოზე განისვენებთ შენ და იურა, სოსოც იქვეა, დარჩენილა სოფლად თევდორე, გიგზავნით წერილს, და ცხადია, ვერ ვიუარებ, ვარ თქვენი დროის და ამ დღეთა თანამედროვე.

გუშინ შევესრულდი, ჰო, რატომღაც, სამოცდასამის, გთხოვ პატიებას სიბრაზისთვის, დილანდელისთვის, რაღაც ვიგრძენი, გულზე ხავსის ამოსვლასავით, როცა იბანდა ხელს და სინდისს პილატელისტი.

ვარ ამ ვარდებით, იდილით, დილით, დილემით და რა თქმა უნდა, ჩემი ლექსით კმაყოფილ ვორდით, ვათავისუფლებ ამ სტრიქონებს, ვაჭერ delete-ს და ბედნიერად ვიღიმები, როგორც ბილბორდი.

ფრანსისკო გარსია პავონი (დაიბადა 1919 წელს) ავტორია რამდენიმე რომანისა და მოთხრობების კრებულების. მისი რამდენიმე ნაწარმოები ეკრანიზებულია. დაჯილდოებულია ყველაზე საპატიო პრემიით „ნადალი“. თარგმნილია რამდენიმე ენაზე.

ფრანსისკო გარსია პავონი

სახალხო სკოლის სასიკვდილო ბანაჩენი

ომის დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოქვეყნდა დეკრეტი, რომლის თანახმად რესპუბლიკის დროს დაარსებული თითქმის ასამდე სკოლა უნდა დაეხურათ, მათ შორის ჩვენი სოფლის სკოლაც იგულისხმებოდა... სამაგიეროდ, „თავისუფალი“ სწავლების შემოღების საბაბით გახსნიდნენ კერძო სკოლებს, სადაც საშუალო დონის განათლებასაც ვერ მიიღებდნენ, რადგანაც ამ სკოლებში მასწავლებლებად ნიშნავდნენ გაღარიბებულ ორდენთა ბერებს, მღვდლებსა და უდიპლომო სემინარიელებს; ხოლო ოცდაათიან წლებში რესპუბლიკის სკოლების კათედრის მასწავლებლები – დონია ხოსეფინა, დონ მასიმო, დონ ვიქტორი, დონია ელისა, დონია პილასი, – ავტომატურად თავისუფლდებოდნენ.

მთელი ექვსი წლის შრომისა და იმედის შემდეგ, როცა ამდენს მივაღწიეთ, ჩვენი სკოლა სამუდამოდ იკეტებოდა. ის ბავშვები, უმეტესად ღარიბი ოჯახის შვილები, რომელთაც კერძო სკოლებში სწავლის საფასურის გადახდის საშუალება არ გააჩნდათ და არც ექნებოდათ, იძულებული გახდებოდნენ სამი წლის სწავლის შემდეგ სამუშაო ეძებნათ და სამუდამოდ არ დაშვიდობებოდნენ ოცნებას, თუ ოდესმე განათლებული ადამიანები დადგებოდნენ; ავრორა – მწყემსის შვილი იყო, მათილდე – ობოლი, ენგრასია – ბანკის ინკასატორის და, ორივე მანოლო, მარსიალები და სხვები, რომელი ერთი ვთქვა... ახლა მასწავლებლები ვიკითხოთ – დონია ხოსეფინა საფრანგეთში გადაიხვეწა, დონ მასიმო მადრიდის სან ხინესის ეკლესიაში რეგენტი გახდა, ზოგიც მონასტრის სკოლებში წავიდნენ ანდა პროფესია შეიცვალეს. ასეთი მონოდება კი სალამანკის უნივერსიტეტში გაისმა „სიკვდილი ინტელიგენციას!“ ოჯახების უმეტესობა შემფოთებული და დამინებული იყო, ზოგს ახალი ხელისუფლების მოსვლა კიდევ გაუხარდა, მაგრამ იმას კი ვერავინ ხვდებოდა, ეს დრამა რა მასშტაბებს მიაღწევდა სინამდვილეში. ამ ამბების შემდეგ მთელი ოცი წელი ისე გავიდა, ტომელიოსოში სხვა სკოლა აღარც გახსნილა.

როცა სკოლის დახურვის ბრძანება გასცეს, ისეთი პოლიტიკური ვითარება იყო, რომ სოფელში ერთი მასწავლებელიც აღარ დარჩა, მსურველიც კი არავინ გამოჩენილა. პაიპორიტა, ომის დროს მემარჯვენე პოზიციაზე რომ იდგა, სულ გაქრა, ან იქნებ სადმე იმალებოდა, რესპუბლიკელი ხულიაი ფრანკისტების მოსვლისთანავე აქაურობას გაეცალა, სკოლის უკანასკნელი დირექტორი, დონ პასკუალი, დიდი პისტოლეტით რომ დადიოდა, სადღაც გააქცა,

სხვები ასე თუ ისე შეეგუენ ახალ რეჟიმს, ანდა მობილიზაციაში მოჰყვნენ.

მხოლოდ მე და ჩემი ორი მეგობარი გავხდით სკოლის დარბევის მონაწილე; ერთი მათგანის ნათესავი სწორედ ქუჩის გადაღმა ცხოვრობდა და იმ სახლის სადარბაზოში შეყუყულები ვადევნებდით თვალს სკოლის განადგურებას; ალყაფთან ორი საბარგო მანქანა იდგა, მუნიციპალიტეტის ლურჯხალათიანი მრჩეველი ბრძანებებს გასცემდა, ორი პოლიციელი და რამდენიმე მუშა კი ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი სკოლაში მოიპოვებოდა. შენობა ეკუთვნოდა რესპუბლიკის პირველი ალკალდის მშობლებს, რომლებმაც დროებით დაუთმეს სკოლას თავიანთი სახლი; ახლა კი ვუყურებდით როგორ ყრიდნენ ამ სახლის ფანჯრებიდან დაგრაგნილ რუკებს, გეოგრაფიის კაბინეტიდან პირდაპირ ქუჩაში ისროდნენ დიდ გლობუსს, პატარა კინოპროექტორს, რითიც ამდენი მოკლემეტრაჟიანი სამეცნიერო-პოპულარული ფილმი ვნახეთ, სურათებს და სხვა ნივთებს.

აი, ასე დაუნანებლად ყრიდნენ საბარგო მანქანებში ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ; ვუყურებდი და მაგონდებოდა, როგორ გაიხსნა ჩვენი სკოლა ექვსი წლის წინათ; მისაღებ გამოცდებზე დედაქალაქიდან მასწავლებლები ჩამოვიდნენ საგანგებოდ; დერეფანში ალკალდი, კიროსის ოჯახი, მამაჩემი და ბევრი სხვა რესპუბლიკელი, ვინც კი სახალხო სკოლის გახსნისთვის იღვწოდა, ალტაცებით მსჯელობდნენ დონ ბენიტო პერეს გალდოსის, ბლასკო იბანიესის, ანტონიო მაჩადოსა და სხვათა შესახებ... მაგონდებოდა კიდევ ჩვენი პირველი, უბრალო დელსასწავლებლები, როცა ტომელიოსის მომავალ სტუდენტთა სადღეგრძელოს ვსვამდით და ხალხურ სიმღერებს ვმღეროდით; მახსენდებოდა ისიც, როგორ ვსწავლობდით, კიდევ ვიციოდით, კიდევ ვკამათობდით, მაგრამ არასოდეს არავის სახაზავი არ დაურტყამს ხელებზე და არც მუხლებზე დავუყენებიათ კუთხეში, მითუმეტეს, არავინ გვაიძულებდა ზუთხვას.

ახლა კი ვუყურებდით, როგორ გამოჰქონდათ მოღბერტები, და გვაგონდებოდა სენიორიტა ხოსეფინა ლოპეს კარიდო, ყოველდღე რომ დადიოდა მესიმზე, მისი ოთახის კარები მუდამ ღია იყო და ყველას შეეძლო თავისუფალ დროს შესულიყო და დაეხატა, რაც სურდა, ქოთანნი, ბიუსტი, თაბაშირის ხელი და სხვა. ზოგჯერ ველადაც გავდიოდით და სოფლის, ფერმებისა თუ მხვენელ-მთესველების, ელ სალტოს ლოდებს ვხატავდით.

ყურთამდე ღია კარებიდან, ბაღის სიღრმეში წყაროც მოჩანდა, წყალი წყალმცენარეთა შორის მორაკაკებდა, მაგრამ სკოლის პირველმა დირექტორმა და ლიტერატურის მასწავლებელმა დონ ტორკუატომ ხელი არავის ახლებინა წყალმცენარეებზე, რათა „ჩრდილიანი ბაღის“ ატმოსფერო შეექმნა; დიდებულ თხისწვერა დონ რამონს გვაგონებს ყვავილთა ღიმილით, თვალებს მოჭუტავდა, სახეზე ბერეტს ჩამოიწვედა და ლექსებს წარმოთქვამდა, თან რიტმს ხელებს აყოლებდა. ამ წყაროსთან გამოსაშვები კლასის მოსწავლეები სამაქსოვრო სურათებს იღებდნენ ხოლმე, თვალწინ მიდგას ის ცუღლუტები, თუნდაც ის, ჩეს-

ტერი, პალტოს საყელოს რომ ორივე ხელით ჩასჭიდებია, ალესანდრემო, მუხლებზე რომ დაუნყვია ხელები და ეშმაკურად იყურება... გოგონები – სირა, ტონი, პილი, სარა, მერსედესი, ლუსილა, კანდიდა, რაფაელიტა, რა მხიარულები და ხალისიანები იყვნენ, „ჩრდილიანი ბალის“ მწვანე წყალმცენარეებთან სულ არაფერი ჰქონდათ საერთო.

ამ დროს კი სკოლიდან ეზიდებოდნენ წიგნებით სავსე ყუთებს, თითქმის დააცარიელეს სკოლის ბიბლიოთეკა, ჩვენი სოფლის ეს ერთადერთი და პირველი ბიბლიოთეკა, რომელიც ჩვენი მშობლების მიერ ნაჩუქარი წიგნებით ივსებოდა; მაშაჩემმა დონ ბენიტოს „ეროვნული ეპიზოდები“ შესწირა, პაპაჩემმა – კასტელარის რამდენიმე ტომი, დონ ლუის კიროსმა – ბლასკო იბანიესის თხზულებათა კრებული... ასე ზურგით გამოჰქონდათ და მანქანებში ყრიდნენ ლა ესფერას სერიათა უზარმაზარ ტომებს, დონ ემილიომ რომ შესძინა; ლურჯხალათიანი კი ფანჯარაში გადმოდგარიყო და ფურცელ-ფურცელ გლეჯდა და აფრიალებდა; ზოგიერთი წიგნი, ომის დროს რომ გამოქვეყნდა, მაგალითად, ლორკას „ბოშური რომანსერო“, დარბევის მერე ვიპოვე, როცა თანამედრობის პირები წავიდნენ.

კალათებში ერთმანეთში არეული ეყარა ქიმიის ლაბორატორიიდან გამოტანილი დამტვრეული აპარატები, პატარა ბოთლები, ბუნებისმეტყველების კაბინეტიდან - ქვებითა და მინერალებით სავსე პატარა ყუთები, რომლებსაც გვაჩვენებდა ხოლმე მღვდელი, მაღალი და ჯანღონით სავსე კაცი, „ჭრიჭინების მამაო“ რომ შევარქვით და ომის დაწყებისთანავე გადაიხვეწა ესპანეთიდან, რო-

გორც მოგვიანებით გავიგეთ... პოლიციელი განცვიფრებული დაჰყურებდა ქანქარას, ფიზიკის გაკვეთილზე რომ გვაჩვენებდნენ; გაპრიალებული ხის ყუთში მიკროსკოპი იდო, რომელიც სკოლამ სწორედ ომის დაწყების წინ შეიძინა, მანამდე კი ცოცხალი უჯრედის სანახავად დონ ლუისის აფთიაქში დავდიოდით.

ტომელიოსის სკოლის ისტორიის პირველი მოსწავლეები, გოგონები ალბათ მონასტრის სკოლაში წავიდოდნენ და წესისამებრ ქარგვასა თუ საოჯახო საქმეებს შეისწავლიდნენ; ბიჭები, ვისაც ფული ჰქონდა, იმ სკოლებში გააგრძელებდნენ სწავლას, რომლებსაც სათავეში ჩაუდგამრევლის მღვდელი... ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდებოდა...

როცა საბარგულები გაავსეს ამ ნადავლით, მანქანებიც დაიძრა გაურკვეველი მიმართულებით... ის, რაც საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა, ერთ საათში განადგურდა... პოლიციელმა კარები დაკეტა, ორჯერ გადაატრიალა გასაღები, მუნიციპალიტეტის ლურჯხალათიანმა მრჩველმაც კმაყოფილი სახით დატოვა იქაურობა.

ჩვენ ფანჯარასთან მივედით, იმ ფანჯარასთან, საიდანაც დიდი და თავისუფალი ესპანეთის წარმომადგენელი დაფლეთილი წიგნის ფურცლებს ქარს ატანდა, იმ წიგნების ფურცლებს, რომლებსაც მისი ბრძნული ცენზურა მწვავე კრიტიკის ცეცხლში ატარებდა.

ესპანურიდან თარგმნა
მერი ტიტჰინიქა

უსწოთის ცხოვრებიდან

რუსუდან ბერიძე

იეიდგაცრუებული
გავშვობა

უილიამ საროიანის
ნოველები

„ყოველი გზა მოკლედ მეჩვენებოდა, ყოველი ქმედება კი მცირედ. მეტი მოძრაობა მსურდა, სულ რაღაც შორეულისკენ ვილტვოდი. სწორედაც რომ გზაში მოგზაურობისას გავიცნობიერე და შევიგრძენი ყოველივე ის, ურომლისოდაც ასეთი მწერალი ვერ გაეხდებოდი, როგორიც დღეს ვარ. უკვე თექვსმეტი წლისას, ველოსიპედით ხეტიალის წყალბოთით, დახვეწილობის, სინატიფის, სტილის, მიზნის, სიჩქარისა და აზრის შესახებ უამრავი რამ გამეგებოდა და, რაც მთავარია, სავსებით გავიცნობიერე კავშირი დასაწყისსა და დასასრულს შორის“, წერდა უილიამ საროიანი, მწერალი, რომელიც სამყაროს თვითქმნილი

სილამაზით აღიქვამდა და ცხოვრების უშუალობის მიმართ დაუფარავ აღტაცებას გამოხატავდა.

დედამიწაზე არსებულ ყველა საოცრებათა შორის განსაკუთრებულად ადამიანს მიიჩნევდა. ჭკვიანსა თუ სულელს, ბედნიერსა თუ უბედურს, ღარიბსა თუ მდიდარს, ლამაზსა თუ უშნოს, ახალგაზრდასა თუ ბებერს – მის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. მწერალი გამუდმებით, დაულაღვად გვახსენებს და მოგვიწოდებს ადამიანებს – ვიყოთ „კარგები“, რადგან ადამიანს ბუნებისგან მინიჭებული აქვს სიკეთე, სიყვარული და კეთილშობილება. საროიანს უყვარს თავისი გმირები, რომლებსაც განსაკუთრებული ბუნებრიობა ახასიათებთ. მისი აზრით, „ადამიანი ბუნებრიობის დაკარგვამდეა კარგი“.

საროიანის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებასა და ჰუმანიზმს ემყარება. ესაა ძიების გზა, რომლითაც მწერალი სიტყვის უჩვეულო ძალას აღწევს. საროიანი ხასიათების შექმნის ოსტატია, რომლებიც ცოცხალი, განუმეორებელი ადამიანური ინდივიდუალიზმით, პლასტიკურობითა და დამაჯერებლობით გამოირჩევიან.

იგი ადამიანებისა და ცხოვრების მიმართ განუმეორებელი სიყვარულით გამსჭვალული ჰუმანიზტი მწერალია, რომელიც კაცობრიობის ფსიქოლოგიისა და ქცევის ჩამოყალიბებას გამუდმებით ცდილობს. ღრმად გაიაზრებს

თითოეული ადამიანის მნიშვნელობას საზოგადოებასთან მიმართებით მთლიანად და განცალკევებით.

საროიანი – მხატვარი თავის შემოქმედებას პოეტიზაციის გზით ავითარებს და სიყვარულით, თანაგრძნობითა და შეშპარავი იუმორით ქმნის არასაქმოსან, არაპრაქტიკულ ადამიანთა სახეებს, რომლებიც სიდუხჭირეში ცხოვრობენ. თუმცა სილარიბემ და გაუსაძლისმა ყოფამ სულელები ვერ გატეხა და უშუალოა, სიყვარული, გულისხმიერება და ერთმანეთის გატანა მაინც შეინარჩუნეს. მწერალი თვითონაც ტკბება საკუთარი პერსონაჟებით.

ადამიანის მიერ ცხოვრება სხვადასხვანაირად აღიქმება. ზოგისთვის ის ლალი და ბედნიერების მომტანია, ზოგისთვის კი სატანჯველად გადაქცეულა. ნოველა „ფორთოხლების“ მთავარი გმირისთვის ცხოვრება მტკივნეული და სასონარკვეთითაა სავსე. ობოლი და ეული ლუკისთვის ცხოვრება უაზრობად გადაქცეულა. „როდესაც უდემამო ხარ და არ არსებობს შენდამი სიყვარულით გამსჭვალული ადამიანი, გინდა იტირო, მაგრამ რა აზრი აქვს ტირილს, რომელიც ვერანაირ სიკეთეს ვერ მოგიტანს“ – ეს პატარა, სიტბოსმოკლებული ობოლი ბიჭის ფიქრებია, რომელიც ბიძამ იშვილა და მის გაზრდას აპირებს.

ზოგჯერ ტირილი შვების მომგვრელია, მაგრამ ლუკის შემთხვევაში ყოველივე ამაოა, რადგან ვერავინ გაიგებს და ჩანდება მის გულის ძახილს, ტკივილს. რეალურად ბიჭის ტირილის მიზეზი ბიძია ჯეკის დაჟინებული სიცილის მოთხოვნაა, რომელიც ფორთოხლების გაყიდვას თან უნდა ახლდეს. „ადამიანებს უყვართ გამყიდველი პატარა ბიჭის მომღიმარი სახე. ეს მათ ახარებთ“. ჯეკი ზრუნავს იმ ადამიანების ბედნიერებაზე, რომლებიც მანქანის სიჩქარესაც კი არ ანელებენ. იმ გაუმადლარ და გულქვა ადამიანებზე წუხს, რომლებიც ვერც კი ამჩნევენ ფორთოხლის გამყიდველ პატარა ბიჭებს და, თუ ამჩნევენ, ეჭყანებიან კიდევ.

რეალურად ღიმილი ბედნიერების, სიხარულის და აღმაფრენის სიმბოლოა. აქ კი უიმედობას და უიღბლობას უტოლდება. ბიძია ჯეკი გაკვირვებულია და გამუდმებით ერთიდაიმავე შეკითხვას უსვამს ლუკს: „განა შენ სიცილი არ შეგიძლია? ზოგჯერ ხომ მაინც შეგიძლია გაიცინო?“ ეს უცნაური საუბარი რამდენიმე ლოგიკურ შეკითხვას ბადებს. განა არის რაიმე არსებით განსხვავება სიცილსა და ღიმილს შორის, მაშინ როდესაც ადამიანს სიცილი არ ძალუძს? განა ასე ძნელია გაიცინო, როდესაც სიკვდილსიცილსიცილის საკითხი დგას? დაიხ, ძნელია! რატომ? რად-

გან ბიჭის გარშემო ყველა ამას მოითხოვს. ბიცილაც კი მუდმივად სიცილს აიძულებს და ახსენებს. „მთელი შენი ოჯახი უვარგისებით იყო სავსე, და თუ შენც ისეთივე ლაჩარი აღმოჩნდები და ვერ მოახერხებ ფორთოხლების გაყიდვას, იგივე დაგემართება. მოკვდები და მიწაში მოხვდები“.


ნოველას პესიმისტური დასასრული აქვს. ზოგჯერ სიცილსიცილის შესანარჩუნებლად ჭიქა წყალიც კი საკმარისია, მაგრამ ნოველის გმირებისთვის ათი ყუთი ფორთოხალი გადარჩენის იმედს ვერ იძლევა. ისინი თითქოსდა განწირულები არიან. ლუკი მის ირგვლივ არსებულ სამყაროს განდევლის თვალთ ალიქვამს. ყველაფერი „დამპალა“ და „დაძაბუნებულა“ მის გარშემო. არ იცის, რა იღონოს, და ამ არეული ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალს სიკვდილში ხედავს.

ბავშვის შინაგანი სამყარო, ობლობა, შიმშილი, უფულობა და ოჯახის უკიდურესი გაჭირვება ქმნის გამოუვალ მდგომარეობას. ლუკის უიმედობა და სასონარკვეთა იმდენად ძლიერია, რომ სიცილსიცილის სურვილი დაკარგვია და ხსნას გარდაუვალ სიკვდილში ხედავს. მწარე რეალობაა, რომ ლუკის პატარა გული და გონება სავსეა უბედურებით, სილარიბითა და მრავალი მოუშუშებელი

ტკივილით. მისთვის ცხოვრების არსი ბუნდოვანია, რადგან უიღბლობა და ნარუმატებლობა მისი თანამდევი. ცხოვრებამ იოტისოდენა სიხარულიც კი ვერ გაიმეტა მისთვის. სამყარო ცივი და ულმობელია პატარა ლუკის მიმართ, ერთადერთი და საუკეთესო გზა ვითარებიდან თავის დაღწევისა სიკვდილშია. მისი გონება სამყაროს აბსურდულობის პრობლემითაა დაკავებული. „ახლა მიხვდა, მხოლოდ იმისთვის დაიბადა, რომ დადგეს ქუჩის კუთხეში და იქამდე აქნიოს ღიმილით ფორთოხლები, ვიდრე ლოყებზე ცრემლის ნაკადი არ დაედინება“.

მწერალი წუხს პატარების ბედ-იღბალზე, მათი ტკივილს იზიარებს, მათი ცხოვრებისეულ პრობლემებს განიცდის და ყოველთვის მზად არის შეუმსუბუქოს სატკივარი. ისეთი ცხადი და შთამბეჭდავია თითოეული პერსონაჟის სახე და ტრაგედია, რომ თითქოს მწერალს ყოველივე თვითონ განეცადოს.

ნოველა „ცეცხლი“ პათეტიკური და ნაღვლიანია, პატარა ბიჭის ემოციებს ემყარება და გამსჭვალულია იმ ფსიქოლოგიური შემეცნებით, დედის სიკვდილმა რომ გამოიწვია. ცეცხლის პირას მჯდომი აანალიზებს ცხოვრების მწარე რეალობას. ბავშვის გული ტკივილითაა სავსე. მის წარმოსახვაში მოსაწყენი სამყარო შავ სამოსელში



უილიამ საროიანი

გახვეულა. ცხოვრებამ მხოლოდ დარდი და ნაღველი არ-გუნა. ბიჭი ცდილობს გამხნევდეს და გამხიარულდეს, მაგრამ ამაოდ, რადგან ყველაფერმა აზრი დაკარგა. სათა-მაშობებიც კი დარდს ახსენებს და გრძნობებს უმძაფრებს. თუმცა კეთილშობილი დედინაცვალი ჰყავს, რომელიც სითბოსა და სიყვარულს არ იშურებს, მიუხედავად ყოვე-ლივე ამისა ბავშვს დედის ზრუნვა და ალერსი აკლია. თუმცა იცის, რომ დედა „არასოდეს გაცოცხლდება, აღარ დაბრუნდება, კართანაც აღარ მოვა და გასაღებსაც არ გადაატრიალებს. „მისი მოტყუება არავის შეუძლია, რად-გან პირველად შეიცნო სამყაროს რეალური სახე და ფი-ლოსოფიურად გაიაზრებს არსებულ ვითარებას. „უკვე დიდი ბიჭი იყო და იცოდა, რომ დედა მოკვდა... იცოდა ქვეყნად არაფერი არ ხდებოდა, არაფერი ის მკვდარი იყო, არაფერი, უკუნი სიბნელის გარდა! არაფერი, მხოლოდ ცეცხლი. არა სინათლე და არა სითბო, არა სიყვარული და არაფერი“.

ასეთი აზრები სწრაფი თანმიმდევრობით მოსდიოდა თავში ცეცხლის პირას მჯდომ ბავშვს „ცეცხლის ენები ყვავილის ფურცლებივით მოფრინავდნენ ღუმელიდან ია-ტაკზე და უჩინარდებოდნენ“. შესაძლოა ეს ცეცხლის ყვა-ვილები ადამიანის ნუთიერ ცხოვრებასთან ასოცირდება, რადგან ადამიანის ცხოვრებაც ისეთივე წამიერი და შეუმ-ჩნველია, რომ ვერავინ ადევნებს თვალს მის გაუჩინარე-ბას.

საროიანი ცეცხლს ჯერ „სიცილს, სიმღერას, კოკრე-ბის ყვავილობას“ ადარებს, შემდეგ კი „აღსასრულს“, მიუ-ხედავად იმისა, რომ „ფურცელს გაუთავებლად ფურცე-ლი მოსდევდა“.

ბიჭის ემოცია იმდენად დიდია და დაცლილი, რომ მის-თვის ყველაფერმა აზრი დაკარგა. იგი გაუაზრებლად უკიდებს სახლს ცეცხლს, რადგან „აღარასოდეს ექნება სახლი, შინ დასაბრუნებელი. სურს ერთი დიდი ქარიშხალი ამოვარდეს, რათა ეს ფერები, სიციხე და თაკარა ალი მსოფლიოს ყველა სახლს მოედოს. დაინვას და დაინგრეს ყველა სახლი, რათა ბოლოსდაბოლოს გაიგონ, რომ არა-ვის, არასოდეს არაფერი არ შეუძლია“.

ოჯახის უმძიმესი მდგომარეობა სიღარიბე და ბავშვის მუდმივი ავადმყოფობა ასახული ნოველაში „შობის მესა-მე დღე“. სამი წლის ალისას ავადმყოფობით გაბეზრებული მამა ჰარი ეფო რძისა და წამლის საყიდლად წავიდა, თან დონალდიც წაიყვანა. ჰარის ცოტახნით დონალდის თავიდან მოცილება უნდოდა და არამარტო მისი, არამედ ყველასი და ყველაფრისა. მობეზრებოდა თავს მოხვეული პრობლემები და მათგან თავის დასაღწევად შვება სას-მელში იპოვა, რომელიც წამალზე ძვირი ღირდა. ჰარი „გზას შეუყვდა და უკან დაბრუნება სულ აღარ გახსენებია“. მიტოვებული და უმისამართოდ დარჩენილი დონალდ ეფო მოთმინებით ელოდა მამის დაბრუნებას, რომელმაც ქუჩის კუთხეში დატოვა.

ქუჩაში გაყინულს და ოჯახური სკანდალით გაბეზრე-ბულს იმედის სხივი ჩაესახა, როდესაც ალისას ჯანმრთე-ლობის გაუმჯობესება წარმოიდგინა მამის ნაყიდი წამ-ლით, რასაც საბოლოოდ ოჯახური სიმშვიდე და იდილია უნდა მოჰყოლოდა. „დასრულდებოდა ომი და წივილ-კი-ვილი დედასა და მამას შორის“. ეს ზრდასრული ადამიანის

ფიქრები არ არის ბედნიერ მომავალზე, ეს ექვსი წლის ბავშვის აუხდენელი ოცნებაა. მას მხოლოდ თავის შექ-მნილ სამყაროში შეეძლო ყოფილიყო ლალი და უკიდე-განოდ ბედნიერი.

მწერალი თითქოს განგებ ლოთის პირით ამბობს, რომ ყოველი ადამიანი ვალდებულია შეინყალოს პატარა ბიჭი, რომელსაც დედა ელის. ეს ის ძონძებში ჩაცმული მათხო-ვარია, რომელიც მაცხოვრის შობას იხსენებს, სამი დღის წინათ რომ იშვა. ყველაფერს სიმბოლური დატვირთვა აქვს. სწორედ ხომ უპოვრების, უსახლკაროების, იმედდა-კარგულებისა და ლოთების ნუგეში და სასოებაა უფლის შობაში, რომელსაც ყველა ასეთი დიდი სიხარულით ელის.

ეული დონალდი უსაზღვრო ლოდინის შემდეგ ბარმე-ნის საპატრონო შეიქნა, რომელმაც შეიფარა და უმასპინ-ძლა კიდევ. ერთი შეხედვით ბარმენი მძიმე და ბავშვის მიმართ აგრესიულად განწყობილ პიროვნებად გვევლინე-ბა. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ მოჩვენებითი მხარეა. მისი გუ-ლი უდიდესი სითბოთი და სიბრალულით ივსება დონალ-დის მიმართ. უნუგეშოდ დარჩენილი ბიჭი ჩუმი ზღუქუ-ნით მიყვებოდა ბარმენს, „რომელიც ცხოვრებაში არ უნა-ხავს, ის არც უცხო იყო მისთვის და არც მტერი...“

„საზარელია სიმარტოვე და აუტანელი. ოღონდ ნურა-ვინ ნუ მიგატოვებს, გაბრაზებული მამაც კი“. ასე ფიქ-რობდა ბარმენის სახლის დათოვლილ კიბზე ამავალი დონალდი.

ამ სამივე ნოველის მთავარი მაქმედი გმირები ბავშვე-ბი არიან: ლუკი, დონალდი და უსახელო ბიჭი. მათი პრობ-ლემები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მათ სატიკვარი ცხოვ-რების მძიმე პირობებით – შიმშილით, სიღარიბით, დედის სიკვდილითა და მამის მიერ ქუჩაში მიტოვებით არის გა-მონეული. მძიმეა ამ ბავშვების ხვედრი. ისინი ხომ ჯერ კიდევ არასრულწლოვანები არიან და, მიუხედავად ამისა, თავიანთ თავზე განიცდიან ცხოვრების უღმობელ კანო-ნებს.

საროიანის ამ ნოველებში თხრობა ორი ხაზით მიმდი-ნარეობს, ერთი – გულუბრყვილო ბიჭების შეხედულებე-ბითა და გულისთქმით, რომელსაც აღრმავებს [მეორე] – ზრდასრული მთხრობელის ხმა. ბავშვების გულუბრყვი-ლო უშუალობა ცოცხალ და კონკრეტულ სურათს ქმნის, ხოლო მთხრობელი ტექსტს ემოციურობას მატებს. ტექ-სტის ემოციური აღქმა და გააზრება პოეტურად განაზო-გადებს ცოცხალ სურათს. გმირების ბუნებრიობას მწერა-ლი ცოცხალ მასალაზე დაყრდნობით ქმნის. რასაც მისი გმირები განიცდიან, საროიანის მიერ განცდილი. რეალო-ბა, რომელიც ბავშვობასა და სიჭაბუკეში მისი თანმდევი იყო. ბიჭების მხატვრული სახეები ცხოვრებისეულ გა-მოცდილებასა და სიბრძნეს ატარებენ.

თხრობის ამ ორი ხაზიდან პირველი ძალიან ნატიფად და მოხდენილად გამოიყენება მწერლის მიერ, როგორც ტექსტის გამოხატვის საშუალება, ხოლო მეორე კი ისეთი-ვე ბუნებრივობით გადმოგვცემს ღრმა ქვეტექსტს. ამ ორი შეხედულების ურთიერთქმედება ქმნის ერთ მთლიან სტილს, რომელიც საროიანთან ყველა დონეზეა შენარჩუ-ნებული – დანყებული ცალკეული კომპოზიციური ფრა-ზით და დამთავრებული ტექსტის კომპოზიციური მთლი-ანობით.

სერგეი მაქსიმოვი

პეჩორის თავადი

ამ საკითხის ასე მარჯვედ და წარმატებით გადაჭრის შემდეგ ფალავანდოვმა თავისი მზრუნველი თვალი სხვა საქმეებს მიაპყრო. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ თავადისაგან სამსახურებრივი მოვალეობებისა და წეს-კანონთა ზედმინებით შესრულებას არც მოითხოვდნენ. ამის გამო მის მწვანესაყელიან ვიცმუნდირს კინალამ ობი მოეკიდა. ფალავანდოვის მოსანახულებლად ჩამოსული პალატის უფროსი მისი საცოდაობით დაინვა, როცა დაინახა, თუ რა ოხვრა-გმინვითა და ოფლის ღვრით ცდილობდა თავადი მეტყევის ვინრო ფორმაში ჩატევეს და როგორ ირღვეოდა თანდათანობითა და ტკაცატკუცით ეს ფორმა ნაკერებზე.

ამის შემდეგ უფროსობამ იმსჯელა და ასე განაჩინა: ფალავანდოვს არ მოეთხოვოს ჩაცმის ფორმალური წესის დაცვა! დაე, იაროს როგორც მოესურვება – თავისი ქართულად განყობილ-გამოყვანილი ახალუხით. თავადს გადასახლების სიმძიმე აქვს გადატანილი, ამიტომაც თანაგრძობა და თანადგომა სჭირდება და არა დამატებითი სირთულეების შექმნა; მით უმეტეს, ბედმა მისთვის უცხო და შეუფერებელი სამსახური არგუნა. რაც ამ შემთხვევაში მთავარი და არსებითია, იგი სათნოებას ასხივებს და მაღალი ზნეობით ბრწყინავს!

კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ თვისებებმა დაიცვა თავადი, აქცია იგი ხელშეუხებელ პერსონად. მისგან მხოლოდ ნათელ საქმეებსა და უმნიკვლო ქცევას მოელოდნენ.

პეჩორელებმა კი, თავის მხრივ, ასე განსაჯეს:

– ტყის დაცვაზე თავის ატიკება, რა თქმა უნდა, არა ღირს! ჯერ ერთი, იმოდენაა და, თანაც, ამ საქმისაგან ისედაც არაფერი გამოვა. შენ ჩვენ დაგვიცავი – ულონო, უქომაგო და ბნელი ადამიანები, ამ მიყრუებულ, ღვთის ანაბარად მიგდებულ მხარეში ჩარჩენილები და ჩაკარგულები. გვირჩიე, გვასწავლე, როგორ ვიცხოვროთ, როგორ დავაღწიოთ თავი იმ ათას ჭირსა და უბედურებას, თავზე სეტყვასავით რომ გვაკვივა?! რა ვქნათ, რა წყალში და მოუსაველეთში გადავცვივდეთ? ვის გაუზიაროთ ჩვენი გასაჭირი, ვის შევაფაროთ თავი, სად მოვიპოვოთ კეთილი რჩევა და დარიგება?

თავადის რჩევას თვით ყველაზე ხეპრე, უკმეხი და უჯიათი ადამიანებიც კი ბეჯითად და გადაუხვევლად მისდევენ. არ ყოფილა შემთხვევა, საქმეების გარჩევის შემდეგ მოკამათე მხარეები კმაყოფილნი და მაღლიერნი არ დაშლილიყვნენ...

– ჩვენო პატრონო, – ყვირის უკითხავად და უნებართვოდ ოთახში შემოვარდნილი ახალგაზრდა დედაკაცი. გამკვირვანი ხმა აქვს, სიტყვებს უცნაურად ანანევრებს, პეჩორულად უქცევს, წამლერებით.

– სულ ტყუილად მეხვეწები, მაინც არ წამოვალ! – მტკიცედ და გადაჭრით ეუბნება თავადი. იგი აქაურებს არა მარტო სახეზე იცნობს, თითოეული მათგანის მთელი ავანჩავანი იცის, – გავიგე, რომ ბავშვი გააჩინე, მითხრეს უკვე.

დედაკაცი მყისვე მუხლებზე დაეცა და ფორთხვით წამოვიდა.

თავადს სახეზე ალმურმა აპკრა და დედაკაცს დაუყვირა:

– რომც მოგინათლო, მერე მაინც შენებურად გადანათლავ. აი, გამომართვი ესა (ხელში რალაცას სწრის. ფულია, რასაკვირველია) და აქედან დაიკარგე. ამ საქმეზე მეტი არ დაგინახო აქ მოსული!

– ყველას ნათლია ეგ არის, – მეუბნებოდა მეზობელი სახლის პატრონი, – ამბობენ, თავადი წარმოშობით ერთი შორეული, თბილი და ურჯულოებით დასახლებული ქვეყნიდანაა, თუმცა თვითონ ბავშვობიდანავე რუსული სარწმუნოებისა (სახლის პატრონი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მისთვის აგრერიგად ძვირფასი და საყვარელი ადამიანი, სხვა აურაცხელ და აუნონავ ღირსებასთან ერთად, ამ სასწაულებრივად მონიჭებული ღირსებითაც არის გამორჩეული), – დაადეთ ხელი ნებისმიერ აქაურ ლლაპს, უკლებლივ ყველას სახელი ახსოვს! ბავშვი რომ შეხვდება, თავზე ხელს გადაუსვამს, წამცხვარს ან ფუნთუშას მისცემს, დღესასწაულებზე ბავშვებს ფულს ჩამოურიგებს ხოლმე, მათ შორის ნათლულებსაც, რა თქმა უნდა. რაც ფული შემოსდის, სულ ასეთ რამეებში ხარჯავს. უარსაც არაფერზე გეტყვის. რამე თუ სთხოვე, ზედ გადაგყვება. თვითონ რა აქვს, მაგრამ შენი გულისათვის უკანასკნელ პერანგს გაიხდის. მაღლობის თქმა არ უყვარს, მიტრიალდება გაჯავრებული, ზურგს შეგაქცევს და ბუზლუნ-ბუზლუნით გაგეცლება.

მე თვითონ ვნახე, ერთი სამოედი ქუჩაში, თოვლში, მაღლობის სათქმელად როგორ დაემხო თავადის ფერხით. გასამიჯნად და გასაყოფად მოუხერხებელ ტუნდრის საძოვრებზე ამ ბეჩავი სამოედისათვის რომელიღაც კომელს ორი ირემი წაურთმევია – აქაოდა, ჩემი ირემების ჯოგს შეერივნენო. თავადმა დაიბარა კომელი მოძალადე და ტკბილი სიტყვით საცოდავი სამოედისათვის ის მიტაცებული ირემები უკან დააბრუნებინა.

მაღლობის ფორმამ თავადი კინალამ გააგია.

– ბნელი ხალხია, ჩემო ბატონო, – დაბეჯითებით მეუბნება თავადი, – მეტისმეტად ბნელი და უბედური!..

ფალავანდოვის ენა და მეტყველების გაუბრალოებულ-გახალხურებული მანერა მკვეთრად იყო დაშორებული არისტოკრატიული წრეებისათვის დამახასიათებელი „მაღალი სტილისაგან“ და, მით უმეტეს, რადიკალურად განსხვავდებოდა იმ გაფუყული „დიდაკაციის“ მეტყველებისაგან, რომლებიც დაბალი რანგის ხელქვეითებსა თუ მდაბიო ხალხს ნაძალადევად გაუბრალოებულნი და მოჩლექილი ენით ელაპარაკებიან და ამას იმიტომ აკეთებენ, რომ დაამცირონ, დათრგუნონ და თავმოყვარეობა შეულახონ მოსაუბრეს, აბუჩად აიგდონ იგი, აგრძობინონ საკუთარი პერსონის უპირატესობა და „აღმალღებულობა“. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ თავადის მეტყველებაზე თავისი „კეთილისმყოფელი“ კვალი დის-

ციპლინარულ ბატალიონში უკიდურესად დამამცირებელ, განუწყვეტელი როზგითა და პანლურით გაჯერებულ ცხოვრებასაც დაეტოვებინა. ასეა თუ ისე, თავადის ამგვარი „გამდაბიურებული“ მეტყველება უკვე ბუნებრიობითა და ძალდაუტანებლობით იყო აღბეჭდილი და, თავის მხრივ, დიდად უწყობდა ხელს უბრალო ხალხთან მის ისე-დაც უშუალო და კეთილმოსურნე ურთიერთობას.

ფალავანდოვი მთელი თავისი არსებით აქაური მოსახლეობისადმი ქრისტიანული თანაღმობის პირდაპირ დაუოკებელი ჟინით იყო შეპყრობილი. ამით მას თითქოს სურდა, შური ეძია საკუთარ წარსულსა და სასტიკ ბედისწერაზე – ყაზარმულ აღზრდაზე, დისციპლინარულ ბატალიონში სამსახურზე. თავადი თხემით ტერფამდე პეჩორელთა საზრუნავ-სადარდებელში იყო ჩაფლული, მათი ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობდა და სულდგმულობდა და, ამის სანაცვლოდ, ხალხისგანაც საყოველთაო და უანგარო სიყვარული ჰქონდა მოპოვებული. ერთი კია, თავადთან უფრო დაახლოებულ, ამასთანავე, უფრო დაკვირვებულ ადამიანებს შემჩნეული ჰქონდათ მისი გამახვილებული ყურადღება უსტ-ცილმელებისადმი. ეს უკანასკნელი გარემოება კი, თავის მხრივ, გამოწვეული იყო არა მინცდამინც მათთან მეზობლობითა და ყოველდღიური თანაცხოვრებით, არამედ უსტ-ცილმელთა სიდუხჭირითა და სივარჯიშით (აქ ყველამ იცოდა, რომ ბოვანოთა ოჯახებისათვის თავადი პურს ცალკე ყიდულობდა, თანაც საუკეთესოს!).

უსტ-ცილმელთა უბედურების სათავე ისაა, რომ არხანგელსკის პეჩორა* ერთმანეთში გაყოფილ-განაწილებული აქვთ: ქვემო ნაწილი პუსტოზერებს,** ხოლო ზემო ნაწილი – კომელებს. აქედან პირველები დაპატრონებულნი არიან თევზით მდიდარ წყლებსა და, აგრეთვე, საძოვრებს, ხოლო მეორენი ცნობილნი არიან ირმის ჯოგების სიმრავლითა და, აქედან გამომდინარე, ტყავეულისა და ბენვეულის სიუხვით, ამასთანავე, მარილისა და პურის ყიდვა-გადაყიდვისაგან მიღებული შემოსავლით. უსტ-ცილმელები ამათ შორის გაიჭყლიტნენ და ეს ყველაფერი პირდაპირ აისახა მათ გალატაკებულ და გასაცოდავებულ ყოფაზე. ბოლოს და ბოლოს, ვითარებამ ისინი აიძულა, თანდათანობით პეჩორის შენაკადებისაკენ „ჩანუელიყენენ“ და როგორც პუსტოზერთა, ისე კომელთა მიმართ დაუფარავი და გაუნელებელი სიძულვილი ჩადოთ გულში, განსაკუთრებით – პუსტოზერებისადმი სიძულვილი! ამან ყოველივემ, თავის მხრივ, პეჩორაში ჩამოსულ ფალავანდოვს მშვიდობისმყოფელის, ნიადაგ ყურადღებაგამახვილებული მომრიგებლის, ჩაგრულთა და დაბეჩავებულითა ქომავისა და პატრონის ხვედრი არგუნა.

სხვათა შორის, პეჩორის შენაკადებისაკენ გადასახლებით უსტ-ცილმელებმა ბევრი ვერაფერი იხიერეს. ისინი ამჟამადაც უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და, ამ მხრივ, მათი ყოფა სულ ოდნავ თუ სჯობია სამოედებისა თუ იჟმელი კომელების გაუბედურებულ ყოფას. ერთი სიტყვით, „ვაის“ გაყრილი უსტ-ცილმელები „უის“ შეეყარნენ. ყოველ ხუთწლეულში ღმერთი ამათთვის მხოლოდ ერთ მოსავლიან წელიწადს იმეტებს – ზოგიერთები პურის მოწვევას ახერხებენ! სხვები მთელი ზაფხულის განმავლობაში პეჩორაზე ბურღავის მიძიმე ტვირთს ეზიდებიან.

პეჩორელებისადმი ფალავანდოვის ზრუნვისა და თანადგომის კეთილ შედეგებს არხანგელსკშიც აფასებდნენ – თავადი კურნავდა დროებით ცხოვრებისეულ იარებსა და შიგადაშიგ გარღვეულის ამოვლანდვასაც ახერხებდა.

ყველაზე რთული და საშარო საქმე მინც თევზით მდიდარი ტბების გაყოფა-განაწილება იყო. ტბებზე კი ზამთრობით არა ერთი და ორი ათასი ფუთი თევზის დაჭერა შეიძლება. ფალავანდოვის ამ რიგის საზრუნავიდან აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: ერთმანეთს დანასისხლად გადაკიდებული მეზობლები თავადმა იმით დააშოშმინა, რომ დაჭერილი თევზი ერთად მოაგროვებინა და შემდეგ ნაწილ-ნაწილ თანაბრად გააყოფინა. ამ დღიდან მოკიდებული, მეთევზეები მასთან ყოველ წელს საგანგებოდ დადიოდნენ მადლობის სათქმელად – მხოლოდ თავადს შეეძლო ასეთი რთული და ჩახლართული საქმის მოგვარება და ყველასა და ყველაფრის თავ-თავის ადგილზე დაყენება! მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ თვით ყოვლისშემძლებელი თავადიც კი უძლური აღმოჩნდა პუსტოზერებისადმი უსტ-ცილმელთა ღრმა და საუკუნეობით ფესვგადგმული მტრობისა და სიძულვილის წინაშე.

– აბა, ერთი ამ ბატონს აჩვენეთ ესა, ახალგაზრდაა, ჩვენზე ცინცხალი გონება აქვს და ამიტომ საქმეშიც ჩვენზე უკეთ გაერკვევა, – ეუბნება თავადი უსტ-ცილმელ ბერიკაცებს, რომლებიც რალაც წიგნით ხელში გამოგვეცხადენ.

ეს იყო ძველი წიგნი, რომელიც საკანცელარიო დავთრებიდან ამოკრებილი ფურცლებისაგან შედგებოდა და დიაკის*** მიერ იყო შეკრულ-აკინძული. ამ წიგნში ჩაკერებული მასალიდან ჩანდა, რომ ამჟამად პუსტოზერების მიერ სხვადასხვა ხრიკებით მიტაცებული კუნძულები და სრუტეები ადრე მართლაც უსტ-ცილმელებს ეკუთვნოდათ.

თავადი დიდი ხანია, ამ ორასწლოვან წიგნს უტრიალებდა. იგი ალაღად იყო დარწმუნებული აქ თავმოყრილი დოკუმენტების კანონიერებასა და მათში დაცულ ცნობათა წმინდათანმიმდებარეობისა და სამართლიანობაში. ვერ ისვენებდა, დაპირისპირებულ მხარეებს უხსნიდა საქმის ნამდვილ (მისი წარმოდგენით!) ვითარებას, განუმარტავდა, თვითონაც წვალობდა და სხვებსაც აწვალებდა. ატყდებოდა მინც კინკლაობა, განგაში, ჩხუბი, ერთმანეთის თავ-პირის მტვრევა, ჩავარდებოდა თავადი შუაში, დანებდებოდნენ მოდავეები თავიანთი კეთილისმყოფლის სიტყვასა და ავტორიტეტს, ამოსდებდნენ ალვირს თავთავიანთ ვნებებს, დაემორჩილებოდნენ ერთხანს თავადის მიერ დაწესებულ წესრიგს, ჩამოვარდებოდა დროებითი ზავი და მშვიდობა. ამასობაში გამოჩნდებოდა ისევ რაიმე გასაყოფი თუ გასამიჯნი. ატყდებოდა ისევ ალიაქოთი და ძგერება, მიადგებოდნენ ისევ თავადს. ამასაც ხომ არ დაეზარებოდა?! დატრიალდებოდა ყველაფერი თავიდან... ერთი სიტყვით, ვერ ასრულებდა ეს წიგნი მასზე და-

* 1850-ის წლებში არხანგელსკის გუბერნიაში შედიოდა პეჩორის მხოლოდ ნაწილი, დანარჩენი პეჩორა კი ჯერ კიდევ პეჩორისა და ვოლოგდის გუბერნიებში შედიოდა.
** პუსტოზერი – სოფელ პუსტოზერსკის მკვიდრი.
*** დიაკი – მღვანე ძველ რუსეთში.

კისრებულ მოვალეობას, ვერ ახერხებდა მშვიდობის ჩამოგდებასა და საყოველთაო კმაყოფილების დამკვიდრებას, ისევე როგორც, სხვათა შორის, ვერც ჩემმა ახსნა-განმარტებამ მოჰფინა საქმეს ნათელი და, რაც მთავარია, ვერ დააკმაყოფილა უსტ-ცილმელი ბერიკაცები. სამაგიეროდ, მე ვიხიერე! ამ ძველისძველმა წიგნმა გაამდიდრა ჩემი ლექსიკონი. აქ ამოვიკითხე ჩემთვის მანამდე უცნობი სიტყვები, რომელთაც, როგორც აღმოჩნდა, XVII საუკუნიდან დღემდე არ განუცდია ცვლილებები და ვერც ვერსად შეხვდებით პეჩორის გარდა. იმავე წიგნში აღმოვაჩინე არა ერთი და ორი ლექსიკური ერთეული, რომელიც გაგონილი კი მქონდა, მაგრამ დაზუსტებით არ ვიცოდი მისი მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ამ სიტყვების უმრავლესობა არაა შეტანილი ბ-ნი პოდვისოცკის თავისდა თავად შესანიშნავ, საფუძვლიანად შედგენილ ნაშრომში – „არხანგელსკური კილოს ლექსიკონი“ (სანქტ-პეტერბურგი, 1885).

– აბა, ჩემო მარია საველიევნა, მოუყევი ბატონს აქაური ამბები, რა იცი, საიდან იცი? – სერიოზულად, ამასთანავე, თხოვნის კილოთი ეუბნება თავადი ამ საქმისათვის საგანგებოდ მოწვეულ მოხუცებულ დედაკაცს. თავადს სურს (და ჩემი სურვილიც ესაა), თვითონ უსტ-ცილმელისაგან მოვისმინო აქაურთა სავალალო ცხოვრების შესახებ, უკეთ შევიცნო ეს მხარე, მოსახლეობის ყოფითი თავისებურებები, ადათ-წესები.

ცოტა არ იყოს ცივი, თავდაჭერილი, საკუთარ ცოდნასა და გონიერებაში დაჯერებული და აქაურ წეს-ჩვეულებათა მართლაც ჩინებული მცოდნე მარია საველიევნა იწყებს ლაპარაკს:

– ჩვენი კაცები სმით მაინცდამაინც თავს არ იკლავენ. მართალია, თავის წილს, როგორც იტყვიან, არ დააძმარებენ, მაგრამ არც სხვის სასმელში ჩარგავენ თავს, – ბეჯითად გვიყვება მოხუცი, სიტყვების დაბოლოებისას ხმას მალლა უწევს, თავისებური წამლერებით ლაპარაკობს.

– გააგრძელე, გააგრძელე, კარგად გაქვს დანყებული, – ღიმილით აქეზებს თავადი.

– ახლა ავადმყოფობაზე: ციებ-ცხელებას შეიძლება გადაეყარო ან ყვავილი დაგემართოს, ან კიდევ რომელიმე სიძულვილით გაყეცილმა ბოროტმა ადამიანმა გაგთვალოს და თანაც ისე გაგთვალოს, რომ მოხედვასაც ვერ მოასწრებ და სიკვდილიც დაგადგება თავზე.

– გააგრძელე, ჩემო ქალბატონო, გააგრძელე, – დაბეჯითებით სთხოვს თავადი და თან დარბაისელი და პატივსადები სტუმრის ლაპარაკს ფეხს აყოლებს, მოხუცის მეტყველების მანერით ტკბება. აუწევს ფრაზის ბოლოს მთხრობელი წამლერებით ხმას და თავადიც, თითქოს ტაქტს ითვლისო, ფეხს დააბაკუნებს.

– სასწავლებელი? შემოიღეს სასწავლებელი, მაგრამ ახალი წიგნებით ასწავლიდნენ და ძველი წიგნებით რომ არ ასწავლიდნენ, არ შეიყვანეს ბავშვები და არ გამოვიდა არაფერი...

თავადი ღიმილით ხელებს იფშვნეტს.

შემდეგ იყო საუბარი სასმელ-საჭმელზე, ჩასაცმელ-დასახურაზე, საცხოვრებლის მოწყობაზე. თავადი ისევ და ისევ სთხოვდა, აქეზებდა, ახალისებდა, რომ მოხუცს კიდევ ეთქვა რამე, მისხალ-მისხალ გაეხსენებინა ყველაფერი,

რაც ჩემთვის შეიძლებოდა საინტერესო ყოფილიყო და სინაწულით აქნევდა თავს, როცა მე ზოგიერთი რამის ჩანერას ვერ ვასწრებდი და მეხსიერების იმედად ვტოვებდი.

მოხუცი კი წამლერება-წამლერებით მიაბობოდა:

– ჩვენი, სტაროვერული, წესით, სარაფანი გეცმევა, თუ ბლუზა გეცმევა, თუ სხვა რამე გეცმევა, სარტყელი ყოველთვის უნდა გერტყას. თუ სარტყელს დაკარგავ ან სხვას აჩუქებ, ან კიდევ სულაც მისი გაკეთება დაგავინყდება, ესე იგი, უბედურება შენ თვითონ გყავს დაბარებული. თუმცა, ქალებისა და მათი სარტყელების ამბავი, აგერ, თავადმა ჩემზე უკეთესად იცის, – მოხუცმა საუბრის თემა მკვეთრად შეცვალა და თვალი ჩამიკრა.

თავადმა ჩაიციხა, შემდეგ სახე ღიმილმა გაუწაია, ბოლოს ცემას შეუდგა და თან ხელებს ისე იქნევდა, თითქოს თავიდან რალაცის მოშორება უნდაო. ასე გამომჟღავნდა მთელი საიდუმლოება სამხრეთის შვილისა, რომლის ცხელი გული თვით ცივმა ჩრდილოეთმაც კი ვერ დააზრო. თავადმა ერთი-ორჯერ კიდევაც დაუცაცხანა, შიგადაშიგ თითსაც ტურზეზე იდებდა და ამით მოხუცს გარუმებისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ მარია საველიევნას, ჩანს, თავადის ყველა ცოდვის სააშკარაოზე გამოტანა ჰქონდა გადაწყვეტილი.

– კი მაგრამ, ხომ ულამაზოები არიან თქვენი ქალიშვილები, ფეთხუმები, დაგვაჯულები, ლაპარაკითაც უშნოდ ლაპარაკობენ, – თავადის გადასარჩენად საუბარში მეც ჩავერიე, – იშვიათად ნახავ, რომელიმეს რიგიანი პირისახე ჰქონდეს და ლაპარაკითაც გამართულად ლაპარაკობდეს...

– მზეთუნახავებს იქ ეძებენ, პომორიში, – შემანყვეტინა მარია საველიევნამ, – ჩვენი ლამაზმანები, და გასათხოვარი გოგონებიც კი, სარტყლის შემოჭერით მაინცდამაინც თავს არ ინუხებენ. ამაზე თქვენ იჟმელებს უნდა ჰკითხოთ და ყველაფერს ძირისძირამდე მოგახსენებენ (აქაური რუსები პეჩორისა და იუმის შესართავთან მცხოვრებ ყველა კომელს „იჟმელს“ უწოდებენ). იმათ ხომ სულ გარყვენს და გაამრუშეს ჩვენი ქალები. ფული აქვთ და იმიტომ და, აბა, ფულს წინ რა დაუდგება?! თუმცა ეგეცაა, ჩვენი რწმენა ასეთ რამეებს არ კრძალავს და, პირიქით, იწონებს და ახალისებს კიდევაც.

ამას მოჰყვა თავადთან დაკავშირებული ზოგიერთი რომანული შემთხვევის დაწვრილებითი აღწერა, მაგრამ მეტი არც თავადმა დააცალა – საუბარს გეზი უცვალა და სულ სხვა მიმართულებით წარმართა.*

მოხუცსაც სხვა რა ღონე ჰქონდა:

– ხვნა და თესვა, საქონლის მოვლა და შენახვა, თევზის ჭერა, ნადირის ხოცვა, ენა აქაც ისეა, როგორც დანარჩენ რუსეთში და არაფერი განსხვავება არ არის. არის რალაც პატარ-პატარა შეცდომები და გადახვევა-გადმოხვევები, მაგრამ მე ამის გამოთქმას და გამოხატვას ვერ შეეძლებ...

* ტექსტის განსხვავებული შრიფტით აწყობილი მონაკვეთი პირველნაბეჭდში („Русская мысль“, 1887, #12) იქაა და ისეა, როგორც წინამდებარე პუბლიკაციაში. შემდგომ გამოცემაში (Год на Севере, М., 1890) ავტორს იგი სხვა თავში („Уст-Цыльма“) აქვს გადატანილი. ჩვენ „უსტ-ცილმის“ თარგმნა არ გვჭირდებოდა და, ეს მონაკვეთი რომ არ დაკარგულიყო, პირველნაბეჭდისეული ვითარება აღვადგინეთ.

– შეძლებ, შეძლებ, შენ ხომ ჭკვიანი ხარ, განათლებული, – შეანყვეტინა თავადმა.

მაგრამ მოხუცი, ეტყობა, დაილაღა – წყალი რომ დაინრიტება ხოლმე თანდათანობით, ისე ინრიტებოდა მისი ენერგია ჩვენს თვალწინ:

– ძეგლებს აქ ვერ ნახავთ, ბომონების და კერპების ჭაჭანება აქ არ არის. რალაც ძველ-ძველი არაკები კი იყო, მაგრამ ასეთ რალაცებებს თავი დავანებეთ, სულ დავივინყეთ. კითხვით დაბეჭდილ წიგნებს კითხულობენ. მაგალითისათვის, ინგლიცკელ მილორდს, ფრანციცელ ვინციანს, ერუსლანს, ბუბუს (ბოვუ? – ავტ.) და კიდევ სხვა რალაცებებს და მეტს ნულარ მომთხოვთ! რაც ვიცოდი, ვთქვი და რაც არ ვიცი, ხომ ისედაც არ ვიცი.

მარია საველიევნა თავისი მინა-წყლის პატრიოტია! ამიტომაც, ამბებს ისე მიყვება, ყველაფერს ისე რთავს და კაზმავს, ისე ალამაზებს და ამშვენიერებს, თითქოს ჩემს თვალწინ ლამაზ ფარდას ქსოვდეს, რომ ამ ფარდის მიღმა როგორმე აქაურთა დუხჭირი და სასომიხილი ყოფა ვერ დავინახო. არადა, ჩემთვის სწორედ „ფარდის“ მიღმა არსებული რეალური სამყაროა საინტერესო მთელი თავისი ავ-კარგით.

მიუხედავად ყველაფერისა, მარია საველიევნამ საქონწინო წეს-ჩვეულებები სულ დანვრილებით ჩამანერინა, სიმღერები მიმღერა, ქოხები და მათი „აღკაზმულობანი“ საგულდაგულოდ ამინერა და ეს ყველაფერი ლალად და თამამად, რაც მთავარია, მთელი თავისი სიგრძე-სიგანითა და საფუძვლიანობით გააკეთა.

ჩანდა, მოხუცს ყოველივე ამით ისიც სურდა, თავადისათვის ეამებინა, მისი გული მოეგო, საუბრის დროსაც მას იყო მინდობილი, მის ნებას ემორჩილებოდა, თხრობას მის მიერ ნაკარნახევ ქარგაზე აგებდა. ამდენად, თავადი ჩვენს საუბარს საერთო მიმართულებასაც აძლევდა და თავისებური კამერტონის როლსაც ასრულებდა. თუმცა, როგორც ითქვა, მოხუცმა შიგადაშიგ კიდევაც იშმაკა: ზოგი რამ შეალამაზა, ზოგი რამ დამალა, აქ-იქ იცრუა, ზოგ თემას გვერდი აუქცია, ზოგზე პირდაპირ თქვა უარი – აქაოდა, დამატებით გამორკვევასა და დაზუსტებას საჭიროებსო და სხვ.

უშუალოდ ჩემთან ურთიერთობისას პეჩორელებმა მხოლოდ ერთ რამეში გამოიჩინეს გულუხვობა – განუწყვეტლივ და დაუზარებლად ლანძღავდნენ მეზობელ იუმელებს, თავიანთ დაუძინებელ მტრებს, და ამ საქმეში მათთვის უჩვეულო ფანტაზიისა და მჭევრმეტყველების უნარი გამოავლინეს. განსაკუთრებით ღვარძლიანად ლაპარაკობდნენ იუმელ სამოედებზე, რომ თითქოს მათ ტუნდრის თვალუნვდომელ, დაუსაბამო სივრცეებში უღევად დაუდიოდეთ მოძრავი კაპიტალი – ირმის მრავალრიცხოვანი ჯოგები.

უსტ-ცილმაში ჯერ კიდევ არ ვიყავი ჩასული, რომ თავადთან შერბენა მოასწრეს პეჩორის ბაზრობიდან ჩემზე ადრე წამოსულმა ჯიბესქელებმა: მოხჩელმა მერკულ ისაკოვიჩმა და სეზიბელმა ნიკოლაი ვასილიევიჩმა, რომელთა გაცნობაც მე ცოტა უფრო ადრე მომიხდა. მათ დანვრილებით გამოჰკითხეს თავადს, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ჩემთან, რა ეთქვათ, როგორ დაეჭირათ თავი, რა კითხვაზე რა პასუხი გაცვათ და ა.შ. მიღებით ამის შემდეგ

ორივემ ძალზე თბილად და ხელგაშლილად კი მიმილო, მაგრამ საერთოდ ისეთი პირქუში და გულდახურული ადამიანები იყვნენ, შეიძლება კაცს ეჭვიც კი გასჩენოდა – ესენი იქმაში არანმინდა საქმეებს ემსახურებიან და ამიტომაც აქაურობის ყველა ცოდვა ამათ სინდისს აწევსო.

საერთოდ, სადაც არ უნდა ჩავიდე, იქაური მღვდლის გაცნობა და მასთან საუბარი შეუცვლელ წესად მაქვს დადებული. ამ, – უნდა ითქვას, ჩემთვის დიდად სასარგებლო და გამოსადეგი, – ტრადიციისაგან არც უსტ-ცილმაში გადამიხვევია – ჩასვლისთანავე გავიცანი მამა პავლე, ჯერ კიდევ ყმანვილი მღვდელი, რომელმაც, სხვათა შორის, პირდაპირ განმაცვიფრა წმინდა წიგნების ზედმინვენითი ცოდნით. მისი ჩემთან საუბარი უხვად იყო გაჯერებული წმინდა ტექსტებიდან დამონმებული ციტატებით. მამა პავლეს თქმით, მისი ასეთი განსწავლულობა ჯერ კიდევ სემინარიის ხელმძღვანელობას ჰქონდა შემჩნეული და ამიტომაც, როგორც კი კურსი დაასრულა და აქაც ვაკანსია გამოჩნდა, მღვდელმთავარმა ანტონმა იგი დაუყოვნებლივ გამოამწესა რუსეთის ამ შორეულ და მივარდნილ მხარეში. ვინაიდან მოსახლეობა სტაროვერული წარმოდგენებით იყო გახლებილი, აქაურ მღვდელს მისიონერული მოღვაწეობის საპატიო მოვალეობაც ჰქონდა დაკისრებული.

ჩემთვის საინტერესო იყო მამა პავლეს აზრი ფალავანდოვზე:

– იგი ღვთის რჩეულია, ჭეშმარიტად ნეტარია და მთელი საიდუმლოება, იცით, რამაა? სვალინდელი დღით კი არ ცხოვრობს, დღევანდელ საზრუნავზე ზრუნავს. ყველა მასთან ეძებს გულისა და გონების სალბუნს, მისი გულის კარიც ყველასათვის ღიაა – სადაც კი გასწვდება, ყველგან სიკეთეს თესავს. როგორ არის „ზლატოუსტი“* სააღდგომო საკითხავში? გამოგვეცხადება მეცხრე ჟამზე და ზოგს შეინყალებს, ზოგს ამბორს უყოფს, ზოგსაც საჩუქარს უძღვნის... მგონი, ავურიე ყველაფერი. რას ვიზამთ, ამას წელიწადში მხოლოდ ერთხელ ვკითხულობთ, – მამა პავლე მობოდიშებით თავს იმართლებს და განაგრძობს, – ეს ადამიანი სავსეა სიკეთითა და სიყვარულით. აქ ყველას გამკითხავი ის არის. მამლის პირველ ყოვილზე უკვირ ფეხზეა და სიკეთის ქმნისთვისაა გამზადებული. სახელიც დიდი აქვს გავარდნილი. ამას მაგალითებით დაგისაბუთებთ:

– რომელიმე აქაური შეძლებული ტეტია დაინყებს უსაქმურობასა და გახურებულ ლუმელზე გორვას. შეუგუბდება სისხლი უქმად გდებისაგან, გაუკავდება წელი, წაბრძანდება თავადთან რჩევის საკითხავად. თავადი გახურებულ აბანოს ურჩევს. ნამყოფია ეს უკვე აბანოში და უშველა კიდევაც ამან, მაგრამ მაინც თავადთან მიძვრება. რატომ? – გეკითხებით. იმიტომ, რომ შემდეგ შინაურებში გაიფხოროს: „თავადთან ვიყავი! ასე მიმილო, ისე მიმილო, გამიმასპინძლდა, ჩემო ბატონო...“. კარშიც ამაზე ლაპარაკობს: „აი, ჩემო ძმაო, მივედი მასთან. გამოვიდა. გამარჯობაო, – მეუბნება, – ხელს მართმევს“ და ა. შ. ტრაბახობს, ერთი სიტყვით.

* „ზლატოუსტი“ – ძველი რუსული ზნეობრივ-მორალისტური ხასიათის ლიტურგიული კრებული. ძირითადად შედგება იოანე ოქროპირის (Златоуст) ქადაგებებისაგან და ამიტომაც უწოდებენ ასე (არსებობს აგრეთვე არალიტურგიული ვრცელი რედაქციაც – Златоструй).

აღსანიშნავია, რომ ხელის ჩამორთმევა ამჟამად პეჩორაში სულაც არ ითვლება საგანგებო ყურადღებისა თუ პატივისცემის ნიშნად. თუ აქ ჩამოსული რომელიმე უცხო ადამიანი ამას თვითონ ვერ მიხვდება, პეჩორელი შეხვედრისთანავე ხელში თავის დაკოჭიჭებულ ხელს ჩასწრის. ასეთ რამეს თქვენ უბრალო პომორებში ვერ ნახავთ – იქ მდიდრები თუ ჩამორთმევენ ერთმანეთს ხელს. პეჩორაში კი ეს წესი წესად ფალავანდოვმა აქცია – გაგიპირდაპირდება თუ არა ნებისმიერი პეჩორელი, მყისვე მალიცის* გაფარფარებული სახელოდან ხელს გამოყოფს და ჩამოსართმევად გამოგიშვებს.

– ახლა მეორე მაგალითი, – მეუბნება მამა პავლე, – დედაკაცს მგელმა ცხვარი დაუგლიჯა. დაუნერელი კანონის თანახმად, დაზარალებული, რასაკვირველია, თავადს უნდა მიადგეს – ფულის სათხოვნელად კი არა, რომ სანაცვლო ცხვარი იყიდოს, არამედ იმისათვის, რომ თავადს შესტიროს თავისი სიმწარე, მასთან პოვოს შვება და ნუგეში: „მკვირცხლი იყო და მარდად დაკუნტრუშებდა. ორჯერ გავეკრიჭე და მატყლი ჩერდინელებს მივყიდე“. თავადი ყურადღებით უსმენს, დანანებით თავს უქნევს, თანაგრძნობას გამოხატავს. დედაკაცი ხედავს, რომ თავადს იგი ებრალება და მეტი არც არაფერი უნდა – იგი ხომ თავადის თანაგრძნობას ეძებს და აგერ, მოიპოვა კიდევაც! არადა, თვითონ რომც არ მისულიყო, მეზობლები მანაც არ დააყენებდნენ: „რას მოსთქვამ და რას ვიშვიშებ, თავადთან მიდი და შენი ვარამი გაუზიარეო“. დედაკაცი კმაყოფილია, მას გულზე მოეშვა, ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ცხვარი გაუცოცხლდა და აგერ, კარსაა მომდგარიო. ყოველივე ამაში იმდენი საიდუმლო ძვეს, ჭეშმარიტად დიდი საიდუმლო!

– დავეკვირვებივარ მე მის საქციელს, – განაგრძობს მამა პავლე, – გამოსულია დილაუთენია სოფელში სასეირნოდ. ხელში ჯოხი უჭირავს ძაღლების მოსაგერიებლად. აკვირდება გარშემო ყველაფერს. დაინახავს, რომ დაუდევრობითა თუ სხვა რამ მიზეზით რაღაცაა წამხდარი. მიაკაკუნებს ჯოხით ფანჯარაზე, გამოიხმობს ვისაც ჯერ არს, მიუთითებს უნესრიგობაზე, მისცემს საჭირო რჩევას, დაარიგებს, თუ რა უნდა გააკეთოს, როგორ უნდა გააკეთოს. საერთოდ, ყველას ამას ასწავლის – რა ქნან და როგორ მოიქცნენ, რომ გარშემო სიყვარული და მშვიდობა სუფევდეს. თავადი, მოგეხსენებათ, ქართველია და იმითაც დავინტერესებულვარ, არსებობს თუ არა ჩვენს შორის რაიმე სარწმუნოებრივ-დოგმატური განსხვავება – გამოირკვა, რომ არავითარი განსხვავება არ არსებობს! აშკარაა, რომ სავსე გულით ლოცულობს და მისი ლტოლვაც წმინდა ტაძრისაკენ სავსებით გულწრფელია. უყვარს საკურთხევილიდან თუ ტაძრიდან გარდამოხსნის საკუთარი ხელით გამობრძანება. სტაროვერებთან სარწმუნოებრივ ნიადაგზე უთანხმოება არა აქვს. საერთოდ, ამ საკითხს გულგრილად ეკიდება – თითქოს ვერც კი ამჩნევდეს. აი, თქვენ ნათლისღების ღამეს აქ არა ბრძანდებოდით და წყლის კურთხევასაც არ დასწრებხართ (იმ დროს მე იჟმის გზას ვადექი). ვნუხვარ, რომ საკუთარი თვალით არ გინახავთ, კუდიანებივით როგორი შლეგური როკვა და წარმართული კერპთმსახურება გააჩაღეს აქაურმა ძეშეცთომილებმა. ცხენებზე ამხედრებულები ქუჩა-ქუჩა და

ეზო-ეზო დაჯლიგინებდნენ, თან ხელში ცოცხები და კეტები ეჭირათ და გიჟებივით ჰაერში ატრიალებდნენ, არა-ადამიანური ხმით ღრიალებდნენ, წინასწარვე ღიად დატოვებულ ეზოებში ველური ყიჟინით იჭრებოდნენ, ცოცხებსა და კეტებს ნალმა-უკულმა გაშმაგებით იქნევდნენ, ყოველ კუთხე-კუნჭულს ურტყამდნენ და უხათქუნებდნენ – ერთი სიტყვით, ეშმაკებსა და ქაჯებს დეენდნენ! თავიანთ ნიგნებშიც პირდაპირ ასე უწერიან, რომ მაინცდამაინც ნათლისღების ღამეს უნდა სდიონ არანმინდა სულელებს. ძვალ-რბილში გამაჯდარი ამათი სტაროვერული ცრურწმენის გამო ჩემი წინამორბედის აქ ყოფნა გაუსაძლისი და, თქვენ წარმოიდგინეთ, საშიშარიც კი ყოფილა. წრესგადასული უტიფრობით პირში დასცინოდნენ, შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ მის სამღვდელლო ხარისხსა და ღირსებას და, ვინ იცის, იქნებ სიტყვებსაც არა სჯერდებოდნენ. თავადი მათ აწყნარებდა, აშოშმინებდა, ათვინიერებდა და იმდენი მოახერხა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მღვდლისადმი აქაურთა სიძულვილსა და აგრესიას გულგრილობის აღვრი ამოსდო. დასასრულ, ამასაც გეტყვით: კაცთაგან დაფარული წმინდა საიდუმლოს ძიებამ, შესაძლებელია, ადამიანი ხილულ და ხელშესახებ ძეხორციელთან მიიყვანოს.

– თქვენ რა, მამაო, შიშობთ, ამათ თავადი სიცოცხლეშივე წმინდანად არ გამოაცხადონ?

– არსებობს ასეთი მაგალითები წმინდანთა ცხოვრების ნიგნებში. ირიცხებიან ასეთებიც წმინდანთა დასში. თუმცა, ჯობს, დავიდუმოთ ბაგენი, სანამ კეთილი ჟამი არ დამდგარა.

– მაღლობა უფალს, უკვე ყველაფერი საკუთარი თვალთ გაქვთ ნანახი, – მხურვალედ მესალმება თავადი იჟმიდან დაბრუნებულს.

სანამ იქაურობას მე თვითონ არ ვნახავდი, თავადმა არ ინდობა, წინასწარ გაეზიარებინა საკუთარი დაკვირვებები თუ დასკვნები პეჩორის ჩემ მიერ ახლახან მოვილილ ნაწილსა და მასთან დაკავშირებულ მწვავე პრობლემებზე.

– ახლა უკვე ჩემი მხრიდანაც დავამატებ, რომ ლოთობენ, განწმყვეტლივ ლოთობენ. ლამის მთელი ტუნდრა თავის ირმის ჯოგებიანად ღვინოში გადაცვალონ: თითო თას ღვინოში თითო ირმის ტყავს იძლევიან. ვალებში ისე არიან გახლართულ-გამოხლართულები, რომ ბატონყმური ნყობილება ამასთან მონაგონია.** თუმცა, ყველა არ არის ასეთი. რასაც მე გეუბნებით, ეს მხოლოდ იჟმელთა წამხდარ და ხელიდან წასულ ნაწილს ეხება. სხვებს არაფერი უჭირთ, კარგი ადამიანები არიან. თქვენც შეამჩნევდით, ცხადია – ღვთისმოსავეები არიან, სტუმართმოყვარენი და პურმარილიანები, ფხიანები, ამასთანავე, ყაირათიანებიცა და, დამიჯერეთ, ზნეობრიობის მხრივაც ყველაფერი რიგზე აქვთ. პუსტოზერებაც ჩინებული ხალხია, ოღონდ ამათ მომჭირნეობა არ უყვარათ, სარფაზე დიდად არა ზრუნავენ და ნებისმიერი საშუალებით ხეირის ნახვასაც არ არიან გამოკიდებულები. თქვენ თვითონ დარ-

* მალიცა – ირმის ტყავისაგან შეკერილი ბენვიანი ზედა ჩასაცმელი.

** პეჩორაში ბატონყმური ნყობილება არ არსებობდა.

წმუნდებოდით, პუსტოზერებს ხელგაშლილი ცხოვრება უყვართ – პირის გემოც იციან და სტუმრის დახვედრაც. ქალებიც ხომ ტურფანი ჰყავთ და კეკლუცნი.

თავადი გულახდილობის გუნებაზე დადგა: – უსტ-ცილმელები საკუთარ თავში არიან ჩაკეტილები და ჩახურულები, სტუმარი არ უყვართ, საერთოდ, ადამიანებთან ურთიერთობას გაურბიან, მუშაობაზეც წელი არა სწყდებათ – ისეთი ზარმაცები და მცონარეები არიან, რომ მეტი აღარ შეიძლება. ქალები კი შრომობენ ცოტა-ცოტას: წინდებს ქსოვენ, ხელთათმანებს. სამაგიეროდ, აქაურებმა ვალის გადახდა იციან დროულად და ამ საქმეში ამათზე წესიერსა და აკურატულ ხალხს სხვაგან ვერსად ნახავთ. ჩერდინელები რომ არა, ესენი უეჭველად დაილუპებოდნენ...

პეჩორის მხარეში აქეთ-იქით მოგზაურობისას ეს ჩემი უსტ-ცილმაში შევლის მესამე შემთხვევა იყო. შესაბამისად, თავად-საც მესამედ, – ამჯერად, უკანასკნელად, – შევხვდი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ აქ პირი საითაც არ უნდა ექნა კაცს, ამ კეთილ ადამიანს ვერას დიდებით გვერდს ვერ აუტყვევდა.

ცხადია, მე არა ვყოფილვარ პირველი, ვისაც თავადმა აუცილებელი და უანგარო დახმარება გაუწია. ერთხელ მან პირდაპირ გარდაუვალი ფიზიკური საფრთხისაგან იხსნა ახალგაზრდა ფინელი მეცნიერი კოსტრენი, რომელიც თავისი მშობლიური ფინურის აქაური მონათესავე ენების შესასწავლად იყო ჩამოსული. ცრუმორწმუნე უსტ-ცილმელებმა ფინელი რატომღაც გრძნეულად მიიჩნიეს. ამასთანავე, ზოგმა იგი ხანძრების გამჩალებლად ცნო და ზოგიც დარწმუნებით ამბობდა: რალაც სამსალას ამზადებს და მიპარვით ჩვენს ჭებს წამლავსო. საუბედუროდ, ფინელსაც ერთი უცნაური ჩვევა აღმოაჩნდა – ღამღამობით უყვარდა სეირნობა! საქმემ სოფლის გამგეობამდე მიღწეა და იქ სერიოზული მსჯელობა გაიმართა იმაზე, თუ რა გზით დაეღწიათ თავი ჯადოქრისაგან. თავადი უხსნიდა სოფელს, სინამდვილეში მეცნიერის სახით რა ჩიტიც იყო შემოფრენილი, მაგრამ მდგომარეობა თანდათანობით მაინც იძაბებოდა – კოსტრენს გაავებული სახეებით უკვე ქუჩაში აჩერებდნენ!

ერთ სახლში რალაც უცნაურად აძიგივდა და აჭრილდა ფიცრის იატაკი (იატაკზე, სხვათა შორის, წყლით სავსე ხის კასრი იდგა), ერთგან რალაც უხილავმა ძალამ ღუმელზე გადაკიდებული მალიცა ძირს დააფერთხა, აქ

საგულდაგულოდ აკოკოლავებული შეშა თავისით ჩამოიშალა, იქ კიდევ კასრში წყლის ზედაპირი უცნაურად შეინძრა და ალივლივდა. აჰა, ესე იგი, აქ სადღაც ეშმაკმა გაიჩინა ბუდე და ეს ეშმაკი, – სხვა რა უნდა ვიფიქროთ, – ჩვენთან ავი განზრახვით შემოთესლილი გრძნეულის მიერაა მოთრეული!

საჭირო გახდა ყველას თვალწინ ექსპერიმენტის ჩატარება იმის ნათელსაყოფად, თუ რა ინვესს ფიცრის იატაკის ძიგივსა და ჭრიალს, როცა მასზე წყლით სავსე კასრს დაახეთქებენ. ამის შემხედვარე გაცეხებული სოფლელები

დიდხანს იფხანდნენ კეფას, თუმცა ამის შემდეგაც კოსტრენს აღმაცვრად უყურებდნენ. ჩანდა, დაჯერებით ფინელის უცოდველობა ბოლომდე მაინც არ დაიჯერეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მშვიდობიანად კი დაიშალნენ.

უსტ-ცილმაში ამ ჩამოსვლაზეც არ დამკლვია ფალავანდოვის თავაზიანი ზრუნვა და ყურადღება. სწორედ მან გამომიგზავნა ვაჭარი, რომელმაც მომიტანა და ჩერდინელების მიერ დანესებული ფასებით მომყიდა ლომვეშაპი-



გზა პეჩორისაკენ

სა და მამონტის ეშვები, აგრეთვე, ლომვეშაპის სათესლეები: ლომვეშაპის ეშვები უფრო იაფად, მამონტისა – უფრო ძვირად, ხოლო სათესლეები ამას ყოველივეს ფეშქაშად დაუსართა და ზედ ერთი ისეთი ცხარე არხანგელსკური ანეკდოტიც მოაყოლა, რომლის დაბეჭდვაც მოუხერხებელია მისი ყოვლად დელიკატური შინაარსის გამო. საჩუქრად მოჰქონდათ აგრეთვე ბირთვის ფორმის უცნაური ქვები და დაბეჯითებით მარწმუნებდნენ – ტუნდრაში რომელიღაც მთას ეს ქვები ზუსტად ასე, განსაცვიფრებელი სიზუსტით გამოთლილ-გამოჩარხულ ბურთებად, სცვივაო.

როგორც გამოირკვა, თავადი გამახვილებული ყურადღებით ეკიდებოდა მხარის აქამდე გამოუყენებელ ბუნებრივ სიმდიდრეებს და ცდილობდა, ეს ყველაფერი ვაჭრობის საგნად და, შესაბამისად, აქაური მოსახლეობის შემოსავლის წყაროდ ექცია. ამას გარდა, თითოეულ უცხო სტუმარს ძირით-ფესვამდე გამოჰქონდა ხოლმე, თუ რა სასოფლო პროდუქტების მოყვანა იყო შესაძლებელი აქაურ პირობებში. თვითონ თავადმა ჩამოსვლისთანავე მშვენიერი ბოსტანი გააშენა: ქარხალი მოინია, ბოლოკი, სტაფილო, ბარდა და, სხვათა შორის, კარტოფილიც. იქაურთათვის ეს იყო ჯერ არნახული და არსმენილი საქმე და თავადის ამგვარ მოწადინებაზე სოფლელები თავიდან ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ. განსაკუთრე-

ბით კარტოფილს უყურებდნენ ეჭვის თვალთ – საიდან-
 ლაც გაეგოთ, რომ ეგ უკეთურთა საქმელია და ამიტომაც
 ძველ წიგნებში კრულვით იხსენიებაო. თავადს ეკამათე-
 ბოდნენ კიდევაც:

– რად გვინდა ეს კარტოფია თუ რაღაც ოხრობაა. ეგ
 წესიერმა კაცმა პირში როგორ უნდა გაიკაროს. თუ სხვა
 გზა არაა და მაინცდამაინც რამე უნდა დავთესოთ, მაშინ,
 ჯობს, თალგამი დავთესოთო.

თავადმა მაინც თავისი გაიტანა, მინდორში კარტოფი-
 ლი დათესა და მშვენიერი მოსავალიც მოიწია. ბოლოს და
 ბოლოს, მთესვარის ჯიუტმა ნებამ გატეხა გაჯიქებული
 სოფლელების სიკერპე – მებოსტნეობა თანდათანობით
 გავრცელდა, შემდეგ კი საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი და
 პირდაპირ მხსნელად მოევილინა დამშეულ მოსახლეობას.
 თავადმა კარტოფილის თესლი მონადირეებისთვისაც გა-
 მოიწერა და მათ საჩუქრად დაურიგა. ესენიც მომდევნო
 წელს ეახლნენ თავიანთ კეთილისმყოფელს და მადლიე-
 რების ნიშნად თავი მდაბლად (მინამდე!) დაუკრეს. ერთა-
 დერთი, რაც თავადს გულს აკლდა, ის იყო, რომ ვერაფ-
 რით ქალები ვერ დაიყოლია, ჩერდინელებისაგან სელი
 ეყიდათ და ტილო ექსოვათ.

– არ ვიცით ეგ საქმე, არ შეგვიძლია. დედებს ჩვენთვის
 არც რთვა უსწავლებიათ, არც ქსოვა უსწავლებიათ, –
 ფეხს არ იცვლიდნენ წამღერებით მეტყველი უსტ-ცილმე-
 ლი ქალები.

თავადი არ ცხრებოდა. მან წამოიწყო და ბოლომდე მი-
 იყვანა ღორიხვას ბუმბულიანი ტყავის რენვა-გასაღების
 საქმე. დღეს პინეგის ბაზრობაზე ასეთი ტყავის ყიდვა-გა-
 ყიდვა სარფიან საქმედაა ქცული – მისგან მეტად ორიგი-
 ნალურ, გამძლე და ულამაზეს მუფთებს ამზადებენ. თვი-
 თონ თავადმა ღორიხვას ტყავისაგან ლაბადა შეაკერვინა:
 ფერად-ფერადი, ფართოდ გაშლილი, წყალგაუმტარი...
 თოვლსა და წვიმაში ლაბადის ცალკეული, – კვადრატე-
 ბად „აკინძული“, – ნაწილები ფერებს იცვლიდა, კიდევ
 უფრო ლამაზი ხდებოდა, მტრედისფერს გადაიკრავდა და
 ასე, მტრედისფრად, იწყებდა ლივლივს. ლაბადა ერთმა
 სამოედმა დედაკაცმა თავადის ვეებერთელაკაპიუმონი-
 ანი სამხედრო შინჯის თარგზე გამოჭრა და, მისთვის სა-
 უკუნეობრივი გამძლეობა რომ მიენიჭებინა, ირმის ძარ-
 ლვით ამოკერა. ლაბადა მომეწონა და თავადს ისე, – გაკ-
 ვრითა და სასხვათაშორისოდ, – შევუქე. ჩემს იქ ყოფნაში
 მდინარე პეჩორას ყინულის სქელი ფენა ედო. ერთხელაც,
 როცა გაყინული მდინარით ახალი ტერიტორიის „ასათვი-
 სებლად“ მივემგზავრებოდი და ის იყო, მარხილშიც ჩავ-
 ჯექი, თავადის მოსამსახურე გამომეცხადა და რაღაც
 ტომარა მომანოდა. მე ეს თავადის სტუმართმოყვარეობი-
 სა და ჩემზე უანგარო ზრუნვის კიდევ ერთ გამოხატულებე-
 ბად მივიჩნიე. საქმე ისაა, რომ წინ დამშეულ ტაიბოლზე
 ოთხდღიანი მოგზაურობა მედო და ვიფიქრე, თავადი ამ
 ტომრით, ალბათ, საკვებს მატანს, რათა შორიშორს მიმო-
 ფანტული, უსაკვამურო და ძნელად მისადგომი ქოხ-სასა-
 დილოების ძებნისაგან გამათავისუფლოს-მეთქი. მდინა-
 რე მეზენზე ტომარა გავხსენი და მასში ჩემ მიერ ნაქები
 ლაბადა აღმოვაჩინე. თვითონ თავადი პეჩორული ზამ-
 თრის სუსხში ამ ლაბადას არ იშორებდა, ჩემთვის კი ეს
 მხოლოდ და მხოლოდ ერთი იშვიათი სილამაზის სახსო-

ვართავანი იყო, ადამიანები გამომშვიდობებისას რომ
 ჩუქნიან ხოლმე ერთმანეთს.

თვალწინ წარმომიდგა ტანმორჩილი ფიგურა ჭეშმარი-
 ტად დიდი ადამიანისა, რომლის ყოველი სიტყვა და ყოვე-
 ლი საქმე განსაცვიფრებლად ნატიფი სისადავითა და უბ-
 რალოებით იყო აღბეჭდილი და ასე ორგანულად, ასე ჰარ-
 მონიულად იყო შერწყმული პეჩორის მკვიდრთა სადა და
 უბრალო, პატრიარქალური ცხოვრების წესთან. პეჩო-
 რელთათვის თავადი ფალავანდოვი იყო ადამიანის იდეა-
 ლი, რომლის ბუნებაში ზოგადად ქართველისათვის ნიშან-
 დობლივი სამაგალითო ღვთისმოსაობა შერწყმული და
 შეზავებული იყო პიროვნულ სინმინდესა და უმნიკვლო-
 ბასთან. შორეულ მდინარისპირეთში იძულებით მოხვედ-
 რილმა თავადმა იქ ცხოვრებითა და ყოველდღიური რუ-
 დუნებით სრულიად განსაკუთრებული პატივი და მოწინე-
 ბა მოიპოვა და, უდავოდ და უეჭველად, ასეთივე პატივისა
 და მოწინების საგნად უნდა იქცეს მისი საფლავიც – ამ
 ყოვლად უჩვეულო ადამიანის უკანასკნელი თავშესაფა-
 რი.

უნებურად მომაგონდა XVII საუკუნის სასულიერო
 მოღვაწის, სტაროვერული რწმენისათვის ვნებული და
 უსტ-ცილმის შემოგარენში დაკრძალული კიპრიანეს საფ-
 ლავი. მომაგონდა აგრეთვე პუსტოზერსკში თავის ოთხ
 თანამოაზრესთან ერთად ცეცხლით წამებული სახელგან-
 თქმული აბაკუმი¹ და მისი დაფლვის, ცოტა არ იყოს, საეჭ-
 ვო ადგილი. მათ საფლავებზე მოსახლეობა თავყანის სა-
 ცემად დადის, ხოლო იქიდან აღებული ქვიშით გულის
 სწეულებებს მკურნალობენ. თუკი ამ წამებულთა ხსოვნა
 პეჩორის მოსახლეობაში ასე ცოცხლად, ასე ხელშეუხებ-
 ლადაა დაცული და შემონახული, ბედისწერის არცთუ
 ზუსტი, მაგრამ გარკვეულნილი მსგავსების გამო აქაუ-
 რებმა ამდაგვარივე პატივი უნდა მიაგონ იასე ფალავან-
 დოვსაც – მათი უფლებების მოუსყიდველ დამცველს, მა-
 თი ინტერესების უანგარო მოსარჩელესა და ქომავს და, ეჭ-
 ვი არ არის, თავისდათავად უკეთილშობილეს ადამიანს.

ცხადად წარმომიდგა ღრმა და მკაფიო კონტრასტი
 კაცთა გულებების მომნადირებელ, მათი სულების მომჯა-
 დოებელ ამ ადამიანებსა, ერთი მხრივ, და „სიკეთისათვის
 მებრძოლ“ იმ პომორელებს შორის, რომლებიც მტკიცე და
 შეუბრალებელი ხელით ახორციელებენ სიღარიბითა და
 უსასოობით გათანგულ სტაროვერთა მორჯულებას, შიშ-
 სა და ძრწოლას უნერგავენ ყოველგვარ შეწევნაზე უარის
 თქმის მუქარით, აკაბალებენ ფულის მეშვეობით, სასტიკი
 ფორმებით მოითხოვენ მათგან რწმენისა და შესის-
 ხლხორცებული წეს-ჩვეულებების შეცვლას, ხელმეორედ
 ნათლავენ ძალდატანებით, ამით უგინებენ სინდისსა და
 სხვა ათას უკეთურ ხერხსა და მეთოდსაც იყენებენ მათ
 მოსაქცევად.

ისევ და ისევ წარმომიდგებოდა სახება იმ მაღალზენ-
 ობრივი ადამიანისა, რომელსაც მოკრძალებულმა, ჩუმმა
 და უხმაურო ყოველდღიურმა შრომამ შორს გაუთქვა სა-
 ხელი – შარშან, გაზაფხულზე, ერთი გავლენიანი პირი
 მენვია. იგი პეჩორაში მნიშვნელოვანი დავალებების შე-
 სასრულებლად მიემგზავრებოდა და აუცილებელი ინ-
 ფორმაცია სჭირდებოდა. საუბრისას მან იასე ფალავან-
 დოვი ახსენა და სინანულიც გამოთქვა იმის გამო, რომ

მომონებათა სკიპრი

თავადის უანგარო თანადგომითა და უშურველი დახმარებით ველარ ისარგებლებდა.

როდესაც პეჩორაში ჩემი ყოფნის ვადა ამოიწურა და ფალავანდოვთან მადლიერებით, სინანულითა და გულსტიკივლით გამოთხოვების ჟამიც დადგა, თავადს შეკითხვა დაეუსვი იმ საკითხზე, რომელსაც იგი აქამდე ოსტატურად არიდებდა თავს. ჩვენი შეხვედრის უკანასკნელი წუთები იყო და მე შესაძლებლად მივიჩნიე, შეკითხვა პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, დამესვა:

– ბოლოს და ბოლოს, თავადო, როდისლა აპირებთ პეჩორიდან წასვლასა და უკეთეს პირობებში ცხოვრების გაგრძელებას?

ყველამ იცოდა, რომ თავადს არა ერთხელ და ორჯერ შესთავაზეს მეტყვევის ადგილი რუსეთის შიდა გუბერნიებში, თბილ უკრაინაშიც კი, ოლონდ, ცხადია – არა კავკასიაში. მან კი ყველა ამ შემოთავაზებაზე მტკიცედ და გადაჭრით თქვა უარი.

– რატომ უნდა წავიდე? – შეკითხვაზე შეკითხვითვე მიპასუხა ფალავანდოვმა. იგი, ალბათ, ასევე უპასუხებდა ხოლმე ამ საკითხზე უფროსობის ყველა ოფიციალურ შეთავაზებას, – პეჩორამ მომცა ყველაფერი ის, რასაც ჩემი სამშობლოც კი ვერ მომცემდა. აქაურმა საუცხოო კლიმატმა ჩემი სხეულიც ისე გააკაჟა და ჯანის ისეთი სიმრთელე მომანიჭა, რომ, თუ მსურველი გამორჩნდება, შემოდის ცოტა-ცოტა სხვებსაც გავუნანილო. აქაურ ხალხსაც შევეჩვიე და ასეთებს უკვე ვერც ვერსად შევხვდები. არ შემიძლია გითხრათ – ნახვამდის-მეთქი. მშვიდობით სამუდამოდ! შესაძლოა, იქ, ზეცაში, სხვა ცხოვრებაში ვიხილოთ ერთმანეთი. მე ხომ მორწმუნე ვარ!.. დიდი ხანია, ჩემი ნატვრა და გულისთქმა ორადაა გახლენილი და ამის შეცვლა უკვე აღარაფერს შეუძლია: ან ჩემს სამშობლოში, საქართველოში, თბილისში, ან კიდევ – პეჩორაში, უსტ-

ცილმაში. როგორც ჩანს, აქ უნდა ვიყო სულის ამოსვლამდე და ამ მიწაშივე ჩავყარო ძვლები.

უსტ-ცილმაში, შემალლებულზე, დგას ძველი ეკლესია, რომლის გალავანშიც საფლავის ბორცვი ჩანს და იმ ბორცვის ქვეშ განისვენებს თავადი იასე ფალავანდოვი. განისვენებს იგი იმ ადამიანთა გვერდით, რომელთაც უანგაროდ და უშურველად მიუძღვნა ცხოვრების უკანასკნელ ოც წელიწადზე მეტი. იქაურობა მდინარის ტალღებისგანაა ჩაშლილი და ჩარეცხილი. გადარჩენილია გორაკის მხოლოდ კლდოვანი ნაწილი, რომელზეც მკვიდრად და სამუდამოდ დგას ის ძველი ეკლესიაცა და ის ძველი სასაფლაოც. კლდესავით მკვიდრი და სამუდამოა ხსოვნაც იმ დიდბუნებოვანი ადამიანისა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ქვეყნიერებას მოწყვეტილი და ყველასგან მივიწყებული მხარის ცხოვრებაში.

1. აბაკუმი (აბაკუმ პეტროვიჩი; 1620/1621-1681) – რუსი სასულიერო მოღვაწე (დეკანოზი). თავიდან მართლმადიდებლობის დაუცხრომელი მიმდევარი იყო, მაგრამ კონფლიქტი მოუვიდა პატრიარქ ნიკონთან, რის შემდეგაც მკვეთრად დაუპირისპირდა არა მარტო ნიკონს, არამედ მის მიერ განხორციელებულ საეკლესიო რეფორმასაც – სათავეში ჩაუდგა სტაროვერულ მოძრაობას, რამაც აბაკუმი უკვე სამეფო კართანაც დააპირისპირა. 1666 წელს აბაკუმი გაკრიჭეს, ეკლესიიდან განკვეთეს და გადაასახლეს ციმბირში, სადაც 1681 წლის 1 აპრილს პატრიარქ იოაკიმეს ინიციატივითა და მეფის (თედორე ალექსის ძის) ბრძანებით თავის სამ (სხვა ცნობით – ოთხ) თანამოაზრესთან ერთად პუსტოზურსკში ცოცხლად დაწვეს.

აბაკუმი ავტორია მხატვრული ღირსებებითაც გამოჩენილი რამდენიმე სასულიერო თხზულებისა, რამაც მას რუსული ლიტერატურის ისტორიაშიც დაუმკვიდრა ადგილი.

თარგმნა და კომენტარები დაურთო
თამაზ ჯოლოგუაძე

ქრონიკა

2008 წელს შესრულდება თანამედროვე ქართული პოეზიის ფუძემდებლის, ქართული ლექსის უდიდესი რეფორმატორის გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან 100 წლისთავი. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „გალაკტიონის კვლევის ცენტრი“, ორწლიანი შესვენების შემდეგ, გამოსაცემად ამზადებს მეოთხე წიგნს სამეცნიერო-ლიტერატურული კრებული „გალაკტიონოლოგია“, რომელიც ამ მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნება.

„გალაკტიონოლოგიის“ პირველმა სამმა წიგნმა გამოსვლისთანავე მოიპოვა სპეციალისტთა და ფართო საზოგადოებრიობის აღიარება, რაც განაპირობა თემატურმა მრავალფეროვნებამ, საკვლევ პრობლემათა სიახლემ და ანალიზის მაღალპროფესიულმა დონემ. მკითხველი განსაკუთრებული კეთილგანწყობით შეხვდა მოგონებათა ციკლებს, სადაც პოეტის ცხოვრების მანამდე უცნობი ეპიზოდები და ფაქტები გადარჩენილი. შინაარსთან ერთად წიგნების ორიგინალურმა დიზაინმა, სახვითი მასალის კონცეპტუალურმა გამოყენებამ „გალაკტიონოლოგია“ უკანასკნელი ათწლეულის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად აქცია.

„გალაკტიონოლოგიის კვლევის ცენტრს“ შემუშავებული აქვს მრავალწლიანი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების გატანას საერთაშორისო სარბიელზე,

რათა ქართველმა პოეტმა დაიკავოს ის ადგილი, რაც მართლაც ეკუთვნის ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში. ამ რთული ეროვნული მნიშვნელობის ამოცანის განსახორციელებლად უფრო ინტენსიური, მასშტაბული გახდება გალაკტიონის პოეზიის ინტერტექსტუალური კვლევა, გენეზისისა და ტიპოლოგიის პრობლემების დამუშავება ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, ამერიკულ, რუსულ და სხვა ლიტერატურებთან მიმართებით, იმავდროულად გაძლიერდება გზების ძიება შესაბამის ცენტრებთან დასახლებობლად.

ამ მხრივ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი. გალაკტიონის კვლევის ცენტრმა მიიღო თეოფილ გოტიეს საერთაშორისო საზოგადოების (საფრანგეთი, პარიზი) გამომხაურება ცენტრის მეცნიერ-ხელმძღვანელის თეიმურაზ დოიაშვილის გამოკვლევაზე „არტისტული ყვავილების“ პროლოგი“ („გალაკტიონოლოგია“, II), სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, აქცენტირებულია ფრანგული პოეზიის მეტრის, პარნასული სკოლის მეთაურის, თეოფილ გოტიეს განსაკუთრებული როლი გალაკტიონის ესთეტიკისა და პოეტიკის ფორმირებაში.

ფრანგი კოლეგები დაინტერესდნენ გოტიეს შემოქმედებით გავლენის უცნობი ფაქტის მიგნებით, გამოთქვეს კვლევის არეალის გაფართოების სურვილი და მზადყოფნა თანამშრომლობისა და თანადგომისათვის.

მარინე გელაშვილი

სამკალი ფრიად არს

შენსეფრა ისრაელში
რუბან ენოსთან

წლების წინათ, არჩილ სულაკაურის რედაქტორობის დროს, ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა დილოზების მთელი სერია, რომელსაც თვალსაჩინო მწერლებთან წარმართავდა კრიტიკოსი აკაკი მინდიაშვილი.

ეს იმ რანგის ლიტერატურული თხზულებანია, რომელთა ჩარჩენაც დასაბრუნებელია და კარგი იქნებოდა, თუკი თავი მოებმოდა მათ გამოცემას ცალკე წიგნად.

ამჯერად კი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ კრიტიკოსმა მიმართა ორიგინალურ ხერხს – პასუხებთან ერთად არ გამოუქვეყნებია თავისი კითხვები, ისინი მხოლოდ იგულისხმებოდნენ, და ტექსტებს რომ ვეცნობოდით, თითქოს თავისებური განდობისა თუ აღსარების შემსწრენი ვხდებოდით.

ორიოდე წლის წინათ ეს ხერხი გამეორდა ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრას“ ფურცლებზე – მოკლე საუბრებს პუბლიკაციისას ჩამოცილებული ჰქონდა შეკითხვები. თავისთავად აქ დასაძრახი არაფერია. ორიგინალური მიგნებანი თუ ახალი მახვილგონივრული სვლები იმიტომ ჩნდება ლიტერატურაში, რომ სხვათაგან გაიმეორონ, მაგრამ პირველწყაროს, პირველადმოჩენის მოხსენიება კი აუცილებელია. თუმცა ესეც ისეთი არაფერი. როდესაც ლიტერატორს არ ყოფნის მორალი, ადრე თუ გვიან გამოჩნდებიან საქმეში ჩახედული ადამიანები, რომელნიც არ მისცემენ სხვისი მიგნების მითვისების უფლებას.

დილოზის ჟანრში მართლაც სიახლეა უშეკითხვო პასუხები და ეს მარჯვედ მოფიქრებული სტრუქტურა წამომიტივტივდა გონებაში, როდესაც ისრაელში ყოფნისას ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ საგანგებო დავალებით ვესტუმრე საქართველოში უკვე აღიარებულ ენათმეცნიერს აბელ ენუქაშვილს, ისრაელში გადასახლების შემდგომ კი – აბელ ენოსს, და ბევრი რამ საგულისხმოც ჩავიხსენე მისგან.

ეს არის ჩინებული მოსაუბრე, რომელსაც ღრმადინარსიანი ბიოგრაფია უმაგრებს ზურგს, არაერთი სასიკეთო საქმე ქართული და ებრაული კულტურის წინაშე, სულ ბოლო ხანს კი სამეცნიერო საზოგადოება ალტაცებული დარჩა მისი მონაწილეობითაც განხორციელებული უმნიშვნელოვანესი პროექტის – „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ უშეუღებელი ორტომეულის შედგენა-გამოცემისა.

ჩანანერი რომ გადავთავალიერე, მივხვდი, რომ კითხვების ჩამოცილება ემჯობინებოდა. მათი ამოცნობა ისედაც იოლია. თანაც, არ მინდოდა საქართველოსთან მისი სულიერი შვილის განდობის თავისებური რიტუალი დროდადრო ჩემი ჩარევით ალაგ-ალაგ განყვეტილიყო.

ასე გამოინახა ეს მხატვრული ფორმა - გარეგნულად მემუარული ჩანანერი, შინაგანი აღნაგობით კი – დილოზი.



დავიბადე ქუთაისში, მე-3 საშუალო სკოლა დავამთავრე ოქროს მედალზე. დავოჯახდი ქუთაისში. შევირთე შეყვარებული – იაკობაშვილი ინგა. მყავს ქალ-ვაჟი. ვაჟი – ილია დაოჯახებულია. ცხოვრობს თბილისში. ქალიშვილი – ამერიკაში. მეუღლე მუსიკოსია. მუშაობდა თბილისის IX სამუსიკო სკოლაში ბარნოვის ქუჩაზე.

სკოლაში მრავალმხრივი ბავშვი ვიყავი. ფიზიკაში, ქიმიასა და მათემატიკაში საქალაქო თუ საკავშირო ოლიმპიურ ტურებზე ერთნაირად დიდი წარმატებები მქონდა. ასეთივე წარმატებით გამოვედი ლიტერატურაში, ნორჩ შემოქმედთა კონფერენციაზე ნარკვევით „ჩემი ქუთაისი“.

ლიტერატურის მიმართ ინტერესი ყველაზე ძლიერი გამოდგა. პედაგოგი მყავდა დავით ქომეთიანი. VIII კლასში მასწავლიდა. განათლებაში მთავარ ინსპექტორად გადაიყვანეს. მერე ისევ დაბრუნდა სკოლაში, მითხრა: შენი გულისთვის დავბრუნდიო. XI კლასშიც მასწავლიდა. მან მიმიყვანა პიონერთა სასახლეში ნორჩ ლიტერატორთა წრეზე სიმონ არველაძესთან. რასაც ჩემი სატელევიზიო ლექციების განმავლობაში ვითვალისწინებდი, იყო ამ ორი კაცის შეგონება: „ფრაზა უნდა იყოს რაც შეიძლება დახვეწილი და ნაკლებად გადაპრანჭული“.

გადავწყვიტე ჟურნალისტი გავმხდარიყავი, რადგან ბუნებით იდეალისტი ვარ და მინდოდა მებრძოლა სიმართლისათვის. როგორც ხდება ხოლმე, ძალიან ტრივიალური ამბავი მოხდა. იმ წელიწადს დღის განყოფილებაზე არ იყო მიღება, საღამოს დასწრებულზე საჭირო იყო თბილისში ჩანერა. ეს ვერ მოხერხდა და ვერც მოესწრებოდა. ბიძაჩემმა გაიხარა: რადგან აქ არ იღებენ, მომეცით ეს ბავშვი და დონეცკში სამედიცინოზე დავსვამო. ოჯახიც დაეთანხმა. მე კი მეორე დღით საბუთები სასწრაფოდ ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიტანე. მისაღების წინ კონსულტაციებს ქართული ენის შესანიშნავი სპეციალისტი, ივანე ქავთარაძე ატარებდა. ასორმოცდაათამდე აბიტურიენტის წინაშე მოიტანა წინადადება გასარჩევად. მე გავბედე და გავარჩიე ეს წინადადება. მიუბრუნდა აბიტურიენტებს და უთხრა: ჩავიტარათ ამ კაცმა კონსულტაცია და მე მეტს ვედარაფერს გეტყვიო. მე კი მითხრა: ისეთი მომზადებული ხარ, უეჭველად მოხვდები და მეც უეჭველად მომნახეო. როგორც ლიტერატურის მოყვარულმა კაცმა, არ მოვძებნე.

ქუთაისში გრიგოლ კიკნაძესთან დავინყე მოხსენების მომზადება საინტერესო თემაზე – დიდაქტიკური მოტივები ილიას პოეზიაში. ივანე ქავთარაძემ თვითონ მომნახა, „ყურანული“ წამიყვანა ღეკანთან – აკაკი ურუშაძესთან და უთხრა: ეს ბიჭი ენის ჯგუფში უნდა ჩავსვათო. ურუშა-

ძესაც თურმე ისევ გრამატიკის წყალობით ვახსოვდი გამოცდებიდან, როცა ალექსანდრე ბარამიძესთან ერთად გამომცადა. ბატონ ალექსანდრეს უთქვამს: აბიტურიენტის ასეთი პასუხი არ მომისმენია არასოდესო. ამიტომ ურუშაძემ მითხრა, სხვა ჯგუფში არ გაგიშვებ, ბატონ ივანეს უნდა ნაყვეო. ასე მოვხვდი ენის ჯგუფში. ივანე ქავთარაძემ ვარლამ თოფურისა უამბო ჩემ შესახებ და როცა ბატონი ვარლამი შემოვიდა ჩვენთან, 2-3 ლექციის შემდეგ გამიხმო და მითხრა, გამეკეთებინა ის, რაც დღემდე არ არის წესიერად გაკეთებული: „მე და თქვენ უნდა ვიმუშაოთ ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლაზე, ზაფხულიდან დავიწყოთ. ნახვალ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ებრაელთა დასახლებებში, შეკრებ მასალებს და გააანალიზებ, რაც საფუძვლად დაედება ჯერ სადიპლომო ნაშრომს, შემდეგ საკანდიდატოს და სადოქტოროს“.

მაშინ 19 წლისა ვიყავი. „დავიწყე ყველაფერი და გახსოვდეს უნდა იმუშაო 18 საათი“.

გამიშვა ბანძაში, ბევრი მასალა შევკრიბე. რომ ჩამოვედი გახარებული მივადექი იმის სახლს, დღემდე უცრემლოდ ვერ ვიგონებ ამ ამბავს (ბატონმა რუბენმა ცრემლები მოიწმინდა) მისი სახლიდან ტირილის ხმა გამოდიოდა მასალის ერთობლივად გადახედვის ნაცვლად, მის კუბოსთან ვიდექი საპატიო ყარაულში. რადგან მას ვყავდი ასე ამორჩეული, სწორედ მე გავხდი ვარლამ თოფურის სახელობის სტიპენდიანტი თენგიზ სანიკიძესთან ერთად.

შემდეგ ისევ ივანე ქავთარაძემ შემიფარა თავისი კალთის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ მასაც ძალიან ვუყვარდი და ებრაელების მიმართაც კარგად იყო განწყობილი, იგი მაინც ვარლამ თოფურისა არ იყო და ვერ გაბედა კომუნისტების პერიოდში ამ თემის გაგრძელება. სხვადასხვა დროს ჩავინერე ქუთაისში, თბილისში, კელაში, აქედან 40 წლის შემდეგ ამ მასალების საფუძველზე გამოვაქვეყნე სტატია ისრაელში – სამეცნიერო ჟურნალში, რომელმაც მოიცვა 30 გვერდი. სამწუხაროდ, ისე, როგორც ვარლამ თოფურისას ჰქონდა განზრახული ქართულ-ებრაული მეტყველების შესწავლა, ალბათ აღარასოდეს მოხდება, რადგან საქართველოში ებრაელობა ცოტადა დარჩა, და, რაც მთავარია, მათი მეტყველების თავისებურებანი ნაშლილია.

II კურსზე ყოფნის დროს გაიხსნა ხელოვნების ფაკულტეტი, მეორეული ტელე-კინო-სასცენარო, სადაც კითხულობდნენ აკაკი ბაქრაძე, გელა კანდელაკი, შოთა ქარუხნიშვილი, ოთარ სეფიაშვილი, ამირან ჭიჭინაძე. პარალელურად განვავარდობდი ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლას.

III კურსიდან დავინწყეთ ძველი ქართული ენის შესწავლა. პედაგოგი – ივანე იმნაიშვილი, მანამდე უკვე მიცნობდა ივანე ქავთარაძისაგან და მეორეც, მისი ვაჟი ვახტანგ იმნაიშვილი იყო ჩემი მეგობარი. იმჟამად IV კურსელი. ძმასავით ვუყვარდი და მათ ოჯახში მესამე შვილი ვიყავი. პირველივე ლექციაზე რომ შემოვიდა, მე მომმართა: „რუბენ, შენთვის მთავარია ძველი ქართული და არ გეგონოს, რომ ვინმე რამეს გაგიადვილებს“. განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნები ჰქონდა ჩემ მიმართ და ამას მთელი

ცხოვრება მადლიერებით ვიხსენებ. ყოველი ლექციის მერე დამატებით ლექციას ცალკე მაძლევდა. ამიტომ მოხდა, რომ ძველი ქართული ძალიან კარგად ვისწავლე.

როცა V კურსზე აკაკი შანიძე შემოვიდა – სპეციალურ სემინარს გვიკითხავდა ძველი ქართული ტექსტების შესახებ, ორი-სამი ლექციის მერმე – „ხომ იქნებით თანახმა, რომ თქვენთვის ასპირანტის ადგილი ვიშოვნო“. ვილაცხას უთქვამს აკაკი შანიძისთვის ჩემზე, მეორეულზე სწავლობს ხელოვნების ფაკულტეტზეო და მკითხა: „მე რაც გითხარი, გახსოვს?“ „კი“ „მაშინ უნდა აირჩიო კინო და ტელევიზია გინდა თუ ძველი ქართული. ძველ ქართულს კაცი მთლიანად სჭირდება“.

სადიპლომო სცენარი წარდგენილი მქონდა, მაგრამ აღარ დამიცავს. თუმცა უნდა ვთქვა, რეალურად ცხოვრებაში, საქართველოში და აქაც, ის წლები, რაც ხელოვნების ფაკულტეტზე გავატარე, ყველაზე უფრო მეტად გამომაღგა. საქართველოში ტელეგადაცემების მიმყავდა, აქ ქართულენოვანი რადიოგადაცემების ხელმძღვანელი ვარ. ქართული რადიოგადაცემები 40 წელია არსებობს, მე კი 11 წელია ვმუშაობ.

ასპირანტურაში ძველი ქართული ენის კათედრაზე კათედრის გამგემ აკაკი შანიძემ, ხელმძღვანელად ივანე იმნაიშვილი გამომიყო.

ყველაზე უფრო საამაყო მოსაგონრად მაქვს, როცა დისერტაციის დანერა დავამთავრე, კათედრაზე უნდა წარმედგინა– შინაგანი რეცენზირება, აკაკი შანიძემ მოისურვა, შემდეგ სხდომაზევე მოეტანა რეცენზია, რომელიც შედგებოდა სულ 6 სტრიქონისაგან. ენერა, რომ „რუბენის ესა და ეს სადისერტაციო ნაშრომი უყოყმანოდ იმსახურებს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს და ალბათ უფრო მეტსაც“.

იგივე გაიმეორა დისერტაციის დაცვის დროსაც და საჯაროდ თქვა, მე არ ვიცი პროცედურულად შეიძლება თუ არა, თორემ ამ დისერტაციისთვის თავისუფლად შეიძლება დოქტორის ხარისხის მინიჭებაცო.

როცა აკაკი შანიძემ ეს თქვა, შემთხვევით გავიხედე და თვალში მომხვდა მამის სახე, რომელშიც ერთდროულად იკითხებოდა სიხარული, სიამოვნება და სიამაყე. მამის ასეთი სახე სხვა დროს არ მინახავს, არც ვინმე სხვა ადამიანის. მე კი ნერვიულობის გამო არც მესმოდა, რას მეუბნებოდნენ იმ დროს. რაც მთავარია, ყური მქონდა მოკრული, საბჭოს წევრთაგან ვილაც-ვილაცებს არ უხაროდათ ეგეთი რეცენზიები და სულ ადვილი მოსალოდნელი იყო ჩაგდოთ დისერტაცია. რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, იქნებ დღეს წარმოუდგენელიც, სწორედ აკაკი შანიძისადმი მტრობით. რაკი მე აკაკი შანიძის მინვევით ვიყავი, საბჭოს წევრთაგან მხოლოდ სამი ხმა აღმოჩნდა წინააღმდეგი, ერთმა თავი შეიკავა. ასე დასრულდა ჩემი ყმანვილკაცობის პერიოდი.

რაც შეეხება ლექტორობის ხანას – 25 წლისა პირველად შევედი ლექციაზე. ჯერ კიდევ ასპირანტი, მაშინდელ

პუშკინის ინსტიტუტში. ლექტორობის პირველი ლექციიდან მახსოვს სიმწრის ოფლი. ისე მოხდა, რომ საღამოს განყოფილებაზე შემოიშვეს და ყველა სტუდენტი ჩემზე უფროსი აღმოჩნდა.

იყო ერთი ლამაზი ქალიშვილი ამ პატარა აუდიტორიაში. ყველაზე წინ ჯდებოდა ნამეტანი უხერხულ პოზაში – საგანგებოდ. რალაც უნდა მეღონა. დავწერე დაფაზე: „ხანდახან ნამუსსაც უნდა დაფარვა“. დავინყე გრამატიკულად გარჩევა. ეტყობა, ეს ქალიშვილი მიხვდა, ჯდომის პოზა შეიცვალა, მერე კი სამუდამოდ უკან გადაჯდა. ასე დამთავრდა ჩემი პირველი სალექტორო გამოცდა.

ინსტიტუტში შესანიშნავი მეცნიერი და ღირსეული ადამიანი გავიცანი, ალექსანდრე ლლონტი, ქართული ენის კათედრის გამგე, სწორედ მისი ინიციატივით დაინიშნო ტელეკურსები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მერე ასე პოპულარული რომ გახდა. მეც სწორედ ბატონმა საშამ წარმადგინა, რომ ვყოფილიყავი ტელენამყვანი.

ერთი სასაცილო ამბავი უნდა მოვყვე: ბატონ საშამს ძალიან უყვარდა გამსვლელი კონფერენციები სხვადასხვა რაიონში ქართულის პოპულარიზაციის მიზნით.

ერთხელ ქობულეთში ჩემი მანქანით წავედი. ჩვენ წინ თავისი მანქანით მიდიოდა გრიგოლ ბარამიძე. უკან ვბრუნდებით. საშა ჩემთან ზის, რალაცას ვყვებით. წვიმიანი ამინდია. ბარამიძემ მოულოდნელად დაამუხრუჭა, მე კინალამ შევასკდი. გადავხტით, გაგვეგო, რა მოხდა. თურმე ბატონ გრიშას ბატი გაუტანია. გამოვარდა ეზოდან ერთი დედაკაცი, ატეხა ნივილ-კივილი: ჩემი ბატი, ჩემი ბატიო. შეწუხდა ბატონი გრიშა, რა მოხდა ქალბატონო, რა ვქნა, გადაგიხდითო. ქალი უფრო გაკაპასდა, რას ჰქვია, გადამიხდი, ჩემს ბატონ ვინ დამიბრუნებსო?

- აბა, რა ვქნა, რა შემოიძლია?
- რა შეგიძლია და წამოდი ახლა რაიკომში!

პირველად ვნახე ცხოვრებაში ეგეთი საოცრება. ბატონი გრიშაც და ბატონი ალექსანდრეც ორივენი გურულები იყვნენ. და ორივემ ერთდროულად მიიძახა ორ ხმაში: „რავა, ქალბატონო, თქვენი ბატი პარტიული იყო?“

ატყდა ხარხარი. ამ ქალმა გაკვირვებულმა შეხედა და უთხრა, თქვენ ჩემზე უარესი გურულები ყოფილხართ და ახლავე შემოდით, ბატები და ქათმები სხვაც კი მყავსო. არ მოგვეშვა, სანამ ეზოში, ჭურისთავზე სუფრა არ გავვიშალა.

მერე დიდხანს ვმუშაობდი უნივერსიტეტში, 12 წელიწადს, 80-დან 92 წლამდე ვიყავი ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ბევრმა რამ გადაიარა ჩემს ზურგზე. ორ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას. ამ მოვლენების შესახებ რალაც-რალაცები წავიკითხე საქართველოს პრესაში და რბილად რომ ვთქვა, მათ ასახვას სიზუსტე აკლდა.

პირველი – 14 აპრილის მოვლენები. მე მინდა, რომ ძალიან ობიექტური ვიყო, დღეს საქართველოში აღარ ვიმყოფები, დისტანციიდან ვლაპარაკობ და არავითარი პირადი ინტერესები არ მამოძრავებს.

როცა გამოქვეყნდა კონსტიტუციის პროექტი, აკაკი შანიძეს დაურეკეს დეკანატიდან, რომ უნდა ჩატარებულიყო ამ პროექტის განხილვა კათედრაზე. მაშინ კათედრის მდივანი ვიყავი, შანიძემ სასწრაფოდ დამიბარა და მთხოვა, ორი სიტყვა მომეზადებინა ამ პროექტის შესახებ. ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვა, რომ, როგორც მიჩვეულები ვიყავით პარტიულ ცხოვრებაში, ძალიან გულგრილად მოვეკიდე ამ საქმეს, მაგრამ ერთმა პუნქტმა მაინც მიიტაცა ჩემი თვალი, მერმე გავიგე, რომ მთავარი ის არ ყოფილა. იმ პუნქტში, სადაც სწავლებაზე იყო ლაპარაკი, ქართული ენის როლი მკვეთრად არ ყოფილა განსაზღვრული. სხდომის დროს ასეც ვთქვი. შანიძემ განაცხადა, მოდით, ჩვენს გადაწყვეტილებაში ჩავწეროთ, რომ ამ პუნქტს არ ვეთანხმებით და (რაც რუბენმა თქვა) მივწეროთ მთავრობას. სხვა მხრივ მივიღოთ ეს პროექტიო.

იმ სხდომას ერთი-ორი ადამიანი ესწრებოდა, რომლებიც არ იყვნენ კათედრის წევრები და მათ არასწორად გაიტანეს ხმა იმის შესახებ, რაც იქ მოხდა.

სხდომას რომ დაეუბრუნდეთ, ბატონი აკაკის წინადადების შემდეგ, სიტყვა წარმოთქვა ზურაბ ჭუმბურიძემ, რომელიც არა მარტო მეცნიერია, მწერალთა კავშირის წევრიც. თურმე წინა საღამოს ესწრებოდა კონსტიტუციის პირველ განხილვას მწერალთა სასახლეში, სადაც მკვეთრად დაისვა საკითხი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ. ბატონმა ზურაბმა ბრძანა: ძალიან კარგია, რაც რუბენმა თქვა, მაგრამ არ კმარა და სწორედ ეს სახელმწიფო ენის სტატუსიც უნდა დაემატოსო. მაშინ აკაკი შანიძემ ბრძანა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი ყოფილა, ამიტომ ნება მიბოძეთ, მე თვითონ წავიკითხავ ამ პროექტს, ყველაფერს ჩამოვაცალიბებ და წარვუდგენ მთავრობას, ახლა ნუ დავწერთ ნურაფერსო.

დამიბარა საღამოს 9 სთ-ზე. მანამდე დამავალა, ყურადღებით წამეკითხა პროექტი. მივედი და თვითონაც თავიდან ბოლომდე ჰქონდა წაკითხული. გვერდით მომისვა და დავწერეთ ჩვენი კათედრის სხდომის ოქმი კონსტიტუციის პროექტის უმკაცრესი კრიტიკით. ბატონმა აკაკიმ ბრძანა, არ შეიძლება ოქმის ისე წარდგენაო და შუალამესვე დაურეკა ყველას. მეორე დღით ჩავატარეთ სხდომა. აღმოჩნდა, რომ ყველას ბოლომდე წაეკითხა პროექტი, სამწუხაროდ, ხმების გამტანნი მეორე სხდომას აღარ ესწრებოდნენ. ოქმი წარვადგინეთ დეკანატში.

ფილოლოგიის ფაკულტეტი იყო მედროშე მაშინ ამ კონსტიტუციის ამბებისა 14 აპრილის წინ. ყველა კათედრის გამგე გაეცნო ამ ჩვენს ოქმს და ამა თუ იმ სახით ყველამ გამოიყენა თავთავიანთი გადაწყვეტილებებისა და წინადადებების შესადგენად. აკაკი შანიძე ამით არ დაკმაყოფილდა და მივიდა ედუარდ შევარდნაძესთან.

მითხრა, რომ შეხვედრა ჰქონდა დანიშნული და ფიქრობდა, წავეყვანე თუ არა. სამწუხაროდ, 41 გრადუსი მომცა სიცხე, თვითონ წავიდა, ამიტომ დანამდვილებით არ ვიცი, სწორია თუ არა, რაც მერმე მითხრეს, ბატონ აკაკის არასოდეს არაფერი უთქვამს იმ შეხვედრის შესახებ. არნოლდ ჩიქობავასაც სთხოვაო, და უიშვიათესი შემთხვევა მოხდა. ისიც მისულიყო იმ შეხვედრაზე და ერთად შეეცადნენ დაერწმუნებინათ ედუარდ შევარდნაძე, რომ საჭირო იყო პროექტის შეცვლა. ვერ გეტყვით, მართლა ასე მოხდა

თუ არა, მაგრამ აკაკი შანიძე რომ ნამდვილად იყო, ეს დანამდვილებით ვიცი. დღემდე გული მტკივა, როცა დიდი მამულიშვილის ამ ნაბიჯს ნაკლებად იხსენებენ. და სხვანი და სხვანი მიიწერენ პირველობას. არა მგონია, ამ საქმეში ბატონი აკაკის ღვანლი უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე ყველა ჩვენგანისა, ვინც იქ მთავრობის სახლის წინ ვიდექით.

* * *

ახლა მეორე ამბავი.

9 აპრილის შემდეგი დღეები მინდა გავიხსენო – მეორე დღე, როცა არმიამ შემოარტყა ალყა უნივერსიტეტს და მოითხოვა სტუდენტების თავშეყრის დაშლა. ცხოვრებაში ვერ დავივიწყებ იმ ამბავს. ამასაც იმიტომ ვამბობ, რომ ამის შესახებაც სხვანაირად წავიკითხე.

ორი მომენტი მინდა გავიხსენო.

ერთი, სტუდენტები რომ დაგვერწმუნებინა, დაეტოვებინათ უნივერსიტეტი. მახსოვს ჩემი მეგობრების გაფითრებული სახეები, ლექტორებისა, რომელთაც შეგნებული ჰქონდათ, რა შეიძლება მოჰყოლოდა სტუდენტთა გაჯიუტებას. ვილაც-ვილაცები ცდილობდნენ ახალგაზრდების კიდევ უფრო გაღიზიანებას გადაჭარბებული ამბებით. ამიტომ იყო განსაკუთრებით ძნელი სტუდენტთა დარწმუნება, რომ ახლა გაჩუმება და გაცლა სჯობდა.

ბოლოს და ბოლოს შევეთანხმდით სტუდენტებთან, რომ დატოვებდნენ უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტის პირველ კორპუსს აქვს გვერდითა გასასვლელი. არმიის ხელმძღვანელებს შევეუთანხმდით, რომ მხოლოდ აქედან გაუშვებდნენ სტუდენტებს. ვიცი, რომ ძალიან ბევრი ჩემი მეგობარი იყო ჩართული, როგორმე მოფერებით, ვედრებით მიეყვანათ სტუდენტები ამ გასასვლელთან. გასასვლელში ვიდექით მე და ან განსვენებული „ნორიკა“ – ნოდარ ნონიკაშვილი. ჯარისკაცების ორი მწკრივის წინ ვიდექით თითო მხრიდან, რათა რაიმე არ მომხდარიყო, თუნდაც შემთხვევითი შეხების გამო. იქ იყო მერაბ ვაჩნაძე, ისტორიკოსი, რამდენიმე ფილოლოგი, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს მათი ვინაობა. და ესენი სათითაოდ მოაცილებდნენ სტუდენტებს ჩვენამდე, მთავარი დარტყმა თავის თავზე „ნორიკამ“ აიღო, როგორც შესანიშნავმა მორუსულემ, არმიული „ბიტი“ ყოფაც კარგად იცოდა. ყველანაირად ცდილობდა მიეპყრო ჯარისკაცების ყურადღება, რომ რაიმე ექსცესი არ მომხდარიყო სტუდენტებსა და ჯარისკაცებს შორის. არ მახსოვს, ეს გასვლა რამდენ ხანს გაგრძელდა, მაგრამ ამ ჩვენს პატარა კორიდორში გაიარა ასეულობით სტუდენტმა.

როცა უნივერსიტეტი დაიწალა, ოფიცერმა, რომელიც ამ „ოპერაციას“ ხელმძღვანელობდა, მე და ნოდარს ხელი ჩამოგვართვა და ნოდარს უთხრა: თქვენ გმირი ხართ, თორემ მე არ ვიცი, რა შეიძლება მომხდარიყო და დაამატა: „К сожалению герои остаются не известными“.

* * *

აქ ჩამოვედი 92 წელს. პირველ ხანებში ცოტა გამიჭირდა. აქ გამოდიოდა ჟურნალი „დროშა“, რომლის მთავარი რედაქტორიც იყო დიდებული პიროვნება ხაიმ ხუბელაშვილი, ერთ-ერთი ის კაცი, ვინც ჭეშმარიტი ხიდი გახლდათ საქართველოსა და ისრაელს შორის. მან მიმიწვია თავის

მოადგილედ, კვირაში ერთ დღეს ჩამოვედიოდი იერუსალიმიდან, ანუ როგორც ჩვენ ვეძახით იერუსალიმიდან ხოლონში. ამ დღეებმა ძალიან ბევრი მასწავლა ისრაელის, აქაური ინტელიგენციისა და ქართველი ებრაელების შესახებ. როგორც იტყვიან, გავთვითცნობიერდი. თქვენ წარმოიდგინეთ, მეგონა, ჟურნალისტიკაში ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ ამ მხრივაც კი მასწავლა. ჟურნალს ყოველთვის უჭირდა, რადგანაც არ იყო ფინანსური მოგების პრინციპებზე აგებული. ეს გაჭირვება კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ბატონი ხაიმი მოულოდნელად გარდაიცვალა და მე მხვდა წილად პატივი, ვყოფილიყავი მთავარი რედაქტორი. ბოლოსდაბოლოს, უსახსრობის გამო ჟურნალი დაიხურა, რასაც დღემდე ვნანობ. ზოგჯერ დანაშაულის შეგრძნებაც კი მეუფლება, ხომ არ დავაკელი ხელი მისი არსებობისათვის ბრძოლას.

* * *

1996 წელს ისრაელის რადიოს ქართულენოვანი გადაცემების მაშინდელმა ხელმძღვანელმა თამარ კეზერაშვილმა რედაქციაში მიმიწვია სამუშაოდ. ერთ წელიწადში ქალბატონი თამარი პენსიაზე გავიდა. მას შემდეგ მე ვწევ ჭაპანს, როგორც ამ რედაქციის ხელმძღვანელი. დღეს-დღეობით ჩემთან ერთად მუშაობს ქალბატონი მერი ამშიკაშვილი. ვუყვებით ჩვენს მსმენელებს ძირითადად ახალ ამბებს, მაგრამ ამასთანავე ვაცნობთ ჩვენი თემის მნიშვნელოვან მოვლენებს, წარვუდგენთ საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს, ვსაუბრობთ საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობების პრობლემებზე.

მყავს ბევრი მოყვარე ჩვენი ერთგული მსმენელების სახით, მაგრამ როგორც ჩანს, აქაურ ქართველ ებრაელებს ჯერ კიდევ ახსოვთ ანდაზა „უმტერო კაცი არ ვარგაო“, და მტერიც არ გვაკლია. სამწუხაროდ, ბევრს სურს, რომ ყველაფერი ისე გადასცე, როგორც თვითონ მოსწონს. ჯერ-ჯერობით ვუძღებთ. საინფორმაციო საშუალებებზე რომ დავამთავრო თხრობა, ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო. რამდენიმე წელიწადს ვიყავი ისრაელის რადიო-ტელევიზიის II სამმართველოს საბჭოს წევრი ანუ დირექტორი, როგორც აქ უწოდებენ. ისრაელში რადიო-ტელევიზიის II სამმართველო სწორედ წამყვან ადგილზე გადაცემების მოცულობითაც და რეიტინგითაც. მასში შედის მთავარი არხები – II და X, და ყველა კერძო რადიოარხი. ამიტომ ამ საბჭოს წევრობა ითვლება საპატიო და საპასუხისმგებლოდ. სწორედ ამ საბჭოში ჩემი წევრობის დროს გაიმართა კონკურსი II სატელევიზიო არხის ფილმებისათვის, რომლის მოცულობაც 5 მილიარდ დოლარს შეადგენდა 10 წლით. საბჭოში სულ 14 ვიყავით და, როცა ვიანგარიშეთ, თითოეულს წილად რა თანხა ერგებოდა ხელის მოსაწერად, ერთმანეთს ხელეში მივჩერებოდით, ხომ არ გვიკანკალებდა. ერთმა ახლობელმა ხუმრობით მკითხა: „შენ რა გრჩება ყოველივე ამისგან?“ „ერთი ჭიქა სამეფო შამპანური-მეთქი“ – ისე, ხუმრობით. სინამდვილეში, როგორც ვთქვი, საბჭოს წევრობა ძალიან საპატიოა, რადგან დანიშვნა პრემიერ-მინისტრის ხელმოწერითა და მთავრობის სხდომის გადაწყვეტილებით ხდება. დღემდე საამაყოდ მრჩება ყოფილი პრემიერ-მინისტრის, არიელ შარონის პირადი მილოცვა საბჭოში არჩევასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ სხდო-

მაზე პირადად მოვიდა და მითხრა, ყოფილი თბილისელი ყოფილ თბილისელს მოგესალმებიო.

* * *

1995 წელს დავინყე მუშაობა იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ტრუმენის სახელობის მშვიდობის პრობლემათა ინსტიტუტში. ეს არის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. საქართველოში ერქმეოდა ალბათ აზია-აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ინსტიტუტი. ძირითადი თემატიკა პოლიტიკური კონფლიქტების მონესრიგების გზების ძიებაა.

ამ ინსტიტუტში გამოვეცი პატარა წიგნი „ორი სარკე“ – საქართველოს შესახებ. ეს არის 9 აპრილის წინა მოვლენების ასახვა საკავშირო და ქართულ პრესაში. სხვათა შორის, ამ წიგნის თარგმანი ბატონმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდა. რისთვისაც მადლობას მოვახსენებ ბატონ ავთანდილსაც და მთარგმნელსაც. ამას გარდა, ჟურნალში, რომელსაც ჰქვია „ცენტრალური აზია და კავკასია“ და სტოკჰოლმში გამოდის, გამოვაქვეყნე რამდენიმე სტატია საქართველოს შესახებ. კერძოდ, მაჰმადიან მესხებსა და საქართველოში არსებულ ენობრივ პოლიტიკაზე. კიდევ ერთი სტატია მოვამზადე ქართული მწერლობისა და კინოს გავლენის შესახებ ისტორიულ მოვლენებზე. ამის ერთი ნაწილი უკვე გადაცემული მაქვს დასაბეჭდად ისრაელის სამეცნიერო მხატვრულ ჟურნალში. სტატია ეხება თენგიზ აბულაძის ტრილოგიას და ძირითადად „მონანიებას“. II ნაწილი ეძღვნება მუხრან მაჭავარიანს – პოეზიის გავლენა ისტორიულ მოვლენებზე საქართველოში.

ამჟამად ვმუშაობ თემაზე, რომელსაც ჰქვია ეკუმენიზმისა და ანტიეკუმენიზმის პრობლემა საქართველოში. ჩემი ძირითადი სამუშაო იუდეისა და სამარიის აკადემიურ კოლეჯში, რომელიც ქალაქ არიელში მდებარეობს. ჩემი განყოფილების სახელწოდება შეიძლება გადაითარგმნოს ასე: ებრაული მემკვიდრეობის, ანუ იუდეისტიკის განყოფილება. დღემდე სამი კურსი მქონდა. გაისიდან მეოთხესაც დავინყებ. რაც მქონდა, ეს კურსებია:

- 1) ებრაელობა ყოფილ საბჭოთა კავშირში;
- 2) მეორე კურსია სიონისტური მოძრაობა აღმოსავლეთ ევროპაში;

3) მესამე კურსია ის, რაც ჩემთვის ყოველთვის იყო სპეციალობა – ძველი აღთქმის თარგმანები, ანუ თარგმანის თეორიის კურსი.

მერმისიდან ვინყებ კიდევ ერთ კურსს, რომელსაც ჰქვია „ებრაელები საბჭოთა მეცნიერებასა და კულტურაში“ ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა მისცა ებრაელობამ ამ მეცნიერებას, კულტურას და როგორ აისახა ებრაელობა მასში.

რაც შეეხება ამ კოლეჯში სამეცნიერო მუშაობას, სწორედ აქ გამოვაქვეყნე სტატია ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ. გამოვაქვეყნე სხვა სტატია ძალიან მაღალი დონის სამეცნიერო ჟურნალში – „ტრადიციები“. სტატია ებრაული ენის შესაძლებელი გავლენის შესახებ ქართულზე.

არსებობს ქართველ ებრაელთა ზეპირი ტრადიციული თარგმანი – მოსეს ხუთნიგნული, რაც იმას ნიშნავს, რომ

თაობიდან თაობას ზეპირად გადმოეცემა ეს თარგმანი. ამის შესახებ ერთი სტატია მაქვს გადაცემული დასაბეჭდად. რაც მთავარია, შევეძელი ჩამენერა ხუთნიგნეულის პირველი წიგნის, ქართულად რომ დაბადებას უწოდებენ, მისი თარგმანი ლათინური ტრანსკრიპციით და გადავეცი გამოსაცემად და მალე წიგნად გამოვა. ახლა ვწერ გამოკვლევას ამ თარგმანის შესახებ, რომელიც ასევე წიგნად არის დაგეგმილი. ინგლისში გამოვიდა ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ორტომეული. 150 000 სიტყვაა. მე მთხოვეს ქართველ ებრაელთა მეტყველების მასალები ამ ლექსიკონისათვის და პირველად გამოქვეყნდა ასე ფართოდ ქართველ ებრაელთა ლექსიკა.

ჩემთვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ ისრაელის სახელგანთქმულ მწერალ ორციონ ბართანასთან ერთად ებრაულად ვთარგმნე გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა კრებული, 30 ლექსი, რომელმაც წიგნის სახით იხილა დღის სინათლე ამირან გომართელის დახმარებით. მე და ორციონ ბართანამ ვთარგმნეთ ლია სტურუას რამდენიმე ლექსიც ივრითულად, რომლებიც ქართულ ტექსტთან ერთად დაიბეჭდა ისრაელის საუკეთესო სალიტერატურო ჟურნალში, რომელსაც ჰქვია „მონანი“ („სასწორი“). გალაკტიონის ლექსების თარგმანს ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა. მისი გამოსვლის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა „აარცმა“. ხოლო ვრცელი სტატია დაიბეჭდა გაზეთში „ჰაცოფე“. სხვათა შორის, ამ სტატიის დასაწყისში ითქვა ჭეშმარიტება, რაც მე ძალიან მწყვეტს გულს, რომ ისრაელის საზოგადოებრიობა ნაკლებად იცნობს ქართულ კულტურას და სამ მნიშვნელოვან მოვლენად, რომლებმაც ბოლოსდაბოლოს, მცირედი წარმოდგენა მაინც შექმნეს ამ უდიდესი კულტურული სამყაროს შესახებ, კარგა ხნის შემდეგ, რაც „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი გამოქვეყნდა, დაასახელეს სოსო ბარდანაშვილის მუსიკა, დობერ ქოსაშვილის ფილმები (რომელმაც კინალამ „ოსკარიც“ მიიღო) და სწორედ გალაკტიონის ჩვენეული თარგმანი.

იმედი მაქვს, როცა ზემოთხსენებ წიგნებზე მუშაობას დავამთავრებ, კიდევ ვთარგმნით ქართული პოეზიის ნიმუშებს. ახლა ვმუშაობ ორციონ ბართანას გახმაურებულ მოთხრობის ქართულად თარგმანზეც. შეიძლება მას დავარქვათ სიურრეალისტური მოთხრობა – „გაკვეთილი შუქი“. თვითონ მწერალმა ამ მოთხრობაში რამდენიმე პრემია მიიღო, როგორც ისრაელში, ისე საზღვარგარეთ. მაგალითად, შარშან მიიღო შვედეთის მწერალთა კავშირის პრემია. ეს არის სულ, რასაც ვაკეთებ. მესმის, რომ ეს წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც გასაკვეთებელია, როგორც სახარებაში წერია „სამკალი ფრიად არს“, იმედია მომკვლევებც გამოჩნდებიან.

* * *

ისრაელის თანამედროვე მწერალთა შორის განსაკუთრებით მიზიდავს შალევის პროზა. ვამაყო, რომ ჩემი მეგობარია ცნობილი ისრაელი ახალგაზრდა მწერალი იოავ ხაიკი, მეცნიერთა შორის წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩემზე ემანუელ სივანი და ახალგაზრდა მეცნიერი – ელდად პარდო, რომელიც ირანისა და საერთოდ, აზიური ქვეყნების ლიტერატურის ებრაულ თარგმანებზე მუშაობს.

თამარ ბარბაქაძე

„...[„ბოროტების...“ „არტისტული...“] ...ყვავილები.. და „ბაბუანვერების თაიგული“

გიორგი ლობჯანიძე პოეტად გაიცნო საქართველომ ორი ათეული წლის წინათ და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს იგი აღიარებული მთარგმნელი, მეცნიერი, კრიტიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია, უპირველესად, ლექსის, „სიტყვის ძმაცაცია“ მაინც; როგორც მაშინ, – 1988 წლის მკაცრსა და სევდიან ზამთარში წერდა, 14 წლისა რომ იყო:

**სიტყვა ჩემი ძმაცაცია,
ზოგან, ზოგჯერ რა მკაცრია,
ზოგან, ზოგჯერ რა თბილი
ჩემი თეთრი აკაცია,
ერთი მითხარ, რა კაცია,
ბუხრის შეშად დათლილი...**

(„... სიტყვა ჩემი ძმაცაცია“)

ერთმანეთთან დაწყვილებულია სიტყვა და საგანი, ნუგეში და აკაცის ბუხრის შეშის სითბო („დათლილი“ შეშა ფანქრის, წერის ასოციაციას აღძრავს) – ცეცხლისა და სიტყვის ხმოვანება და მსგავსება – სასარგებლოსა და სასიამოვნოს შერწყმის აუცილებლობა.

ტრადიციული ქართული პოეზიის აღიარებული ფორმულებს: „სიბრძნის დარგისა“ და „ტკბილი ხმების“ ერთიანობის ერთგულება გიორგი ლობჯანიძის ლექსების ბოლო კრებულს „ბაბუანვერების თაიგულს“ (თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2004) გამორჩეულ ადგილს მიუჩენს თანამედროვე ქართული პოეზიის ისტორიაში.

...კარგა ხანია დაინყო და აღარ წყდება ღვარცოფად ქცეული და ყოვლის ნამლეკავი ნიაღვარი „მოკალმების“ მიერ ურცხვად მიყრილ-მოყრილი, დაუვარცხნელი ტექსტებისა: უფორმო, უშინაარსო, ცივ ნაგლეჯებად ქცეული – თითქოს „აისბერგი“ დამსხვრეულა, ამიტომაც საიდუმლოც გამქრალა და პოეზიის იდუმალებაც სასაცილოდ აუგდიათ. ამ უავტორო და დაუმახსოვრებელი ტექსტების გვერდით, გიორგი ლობჯანიძის „ბაბუანვერების თაიგულის“ გამოჩენამ 2004 წელს, მართლაც, ნამდვილი პოეზიის მარადიულობის განცდა დაგვიბრუნა პოეზიის წარმავლობასა და სიყალბეს ლამის უკვე იძულებით შეჩვეულებს.

სამი წლის წინათ დაისტამბა ეს პატარა კრებული, რომელიც სამი რკალისაგან შედგება: I. წიგნიდან „ობლის კვერი“, 1991; II. წიგნიდან „დუღილის ტემპერატურა“, 1997 და III. „ჩრდილები შუადღისას“ – 1997-2004.



წიგნს უძღვის ოთარ ჩხეიძის წინასიტყვაობა, რომელიც გიორგი ლობჯანიძის „დუღილის ტემპერატურისათვის“ დაინერა.

ლექსი „ბაბუანვერების თაიგული“, რომელიც ამ სამ რკალს ამთლიანებს და კრებულის ეპილოგად აღიქმება, „დედოძაფად“ (გ. ლობჯანიძის სიტყვაა! – თ.ბ.) მივიჩნით. ე.წ. „მეტაფორა – კლიშეების“ წიაღში აღმოცენებული ნოვატორული მხატვრული სახე – „ბაბუანვერების თაიგული“ – ისევე კინძავს განსაზღვრული პერიოდის განწყობილებითა და განცდებით აღბეჭდილ ლექსებს, როგორც ზმნა – წინადადებას:

**რომ მუდამ გრძნობის კლდეზე ეკიდო
ამ არამყარი სიტყვის თოკებით...**

პოეტის „მოცახცახე ნერვი“ წუხს იმის გამო, რომ დაცარიელდა „სიზმრების ფუთა“. ეს წუხილი „პოეტი-გეომეტრიოს“ (გ. ტაბიძე), პოეტი-მეცნიერის მიერ გაცნობიერებული ცოდნა იმის თაობაზე, რომ სიზმრის მოყოლა ისევე ძნელია, როგორც მუსიკალური ჰანგის სიტყვებით გადმოცემა; თუმცა ი. ლოტმანის აზრით, სიზმარი შეიძლება შეივსოს როგორც მისტიკური, ისე ესთეტიკური ინტერპრეტაციებით.

თანამედროვე ლექსის კულტურა სწორედ ამ მისტიკური და ესთეტიკური ინტერპრეტაციების ზღვარს მიახლოებულა, რომლის ნაშლა აკრძალულია; ისევე მოსაფრთხილებელი, როგორც ბაბუანვერას ბუსუსებზე: სამკურნალოდაც რომ გვჭირდება და საოცნებოდაც, ამიტომაც გვაფრთხილებს პოეტი:

**ნუ გეგონება –
ცეცხლია ტრფობა;
იგი უფრო
ბაბუანვერას თაიგულია,
არ შეცდე:
სული არ შეუბერო!**

ლექსიც, სიყვარულივით, ბაბუანვერად ქცეულა: რეალობისა და ოცნების ნაზავია, ფორმას ინარჩუნებს, მაგრამ ნაწილებად დაშლილიც კი, ოცნებისათვის, ფიქრისათვის, სიტყვებად დანაწევრებულიც კი, იკმარებს, როგორც ბაბუანვერას გაფანტული ბუსუსები.

ლექსი, რომელიც ჭინჭარს უძღვნა პოეტმა, გრაფიკულად, – დატეხილი თოთხმეტმარცვლედით: 5, 4/5 (3,24/5) წარმოდგენილი, ოთხი ათტაეპედით, შესაბამისად, ოთხი

სარიტომო წყვილი: ნახინჯარი – ჭინჭარი, იხაპვი – ნილაბი, ეგ ეყოს – შეგეხოს, ქორნილი – მოგნივი – თითქოს, ჭინჭრის პორტრეტს ხატავს: ფოთოლთა ოთხშრიანი განლაგებითა და დასახსრული ღეროთი. მხოლოდ საქართველოში გავრცელებული მისი ორივე სახეობა: მსუსხავიც (რტიცა ურენს) და ორსახლიანიც (რტიცა დიოიცა) – სამკურნალოა: ჭინჭრად გარდაქმნილი მსუსხავი ლექსიც საკუთარი ნაკლის, შინაგანი ბრძოლის, სინდისის ქენჯნის, სინანულის გზით თვითგანწმენდისა და აღდგომის საშუალებაა. რითმის მეორე ცალკე: ჭინჭარი, ნილაბი, შეგეხოს, მოგნივი – შეხსენებაა: ნილაბი, გარეგნული გულგრილობა – ვერ ფარავს შინაგან განგაშსა და ნუხილს საკუთარი ცოდვის გამო:

**და თუ ხანდახან
გვერდში მაინც ამოვიდგება
შენი მოყვასი,
არ მნამს, ტკივილს
შენსას ეგ იყოს;
რადგან ისიც კი
მხოლოდ იმიტომ
მოსულა შენთან,
რომ უამითჟამზე
სუსხიანი ხელით შეგეხოს...**

(„ჭინჭარი“)

სწორედ ეს სინანული, სიყვარულად გარდაქმნილი, იფარავს ლექსსაც და პოეტსაც, ლაზარეს ხატებას – სოფლის მარადიულ სასწაულს:

**...მე კი, ლაზარე,
გარეთ გამოვედი
და რახან ვცოცხლობდი,
უნდა მყვარებოდა.**

(„ლაზარე“)

ლექსი ქართველისათვის ის ლოცვაა, რომელმაც შებღალული სიტყვები უნდა გააცოცხლოს და საქმედ აქციოს პოეტობა. აკი შეგვახსენებს კიდევ აკაკი წერეთელი: „აი, ერთი ქრისტიანული ნიმუშთაგანი: აღდგომის დროს, დანოლის დროს, წასვლის დროს, ჭამა-სმის დროს და ყოველგვარი მოქმედების წინ და სხვადასხვა მათ-მათი შესაფერისი ლოცვები დაგვიტოვეს. მხოლოდ წერის დროს სათქმელი ლოცვა არ დაუტოვებიათ და ეს იმიტომ, რომ თვით წერა იმავე ლოცვად მიაჩნდათ და ფიქრობდნენ: ლოცვის წინ რაღა ლოცვა შეიძლებაო...“

„ბაბუანვერას თაიგულისა“ თუ გიორგი ლობჯანიძის სხვა ლექსების კითხვისას თვალსაჩინოა: ლექსი, სიცოცხლე და სიყვარული თანაბრად ძვირფასი და საძიებელია პოეტისათვის სიზმარსა და წიგნებში, ასე ზუსტად რომ ინახავს სინამდვილისაგან გარიყულთა რწმენას:

**...ჩვენ წიგნები ვართ და ამ წიგნებში
ღრმად დაფარული, უცხო სიტყვები;
თუმც გვკითხულობენ, მაგრამ ნამდვილი
აზრით ცოტას თუ წავეკითხებით...**

(„სიზმრის კაცი“)

ასონანსური სარიტომო წყვილი: „სიტყვები – წავეკითხებით“ შეგვახსენებს, რომ აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთკავშირი აუცილებელია ლექსის გასაცოცხლებლად, ჟერარ ჟენეტის ე.წ. „მებიუსის ლენტის“ მსგავსად, სადაც „წერისა“ და „კითხვის“ მხარეები განუწყვეტილ ბრუნავენ და ადგილს იცვლიან: „წერა“ მუდამ იკითხება, „კითხვა“ კი წერს და თავს აღბეჭდავს.

„სიზმრის კაცი“ ის მეგობარია, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს პოეტის იდეალურ მკითხველსაც და მისი ლექსის სიტყვებსაც:

**...ჩემი მსგავსია და ჩემი ღვიძლი,
გრძნობის ნიაღში, როგორც ნაყოფი,
გაურკვეველი ცახცახით იძვრის.**

რითმაში კვლავ მთავარი აზრი შეკრა „დედოძაფით“ პოეტმა: „ღვიძლი-იძვრის“. თავისთავად, ბუნებრივად იტვირთა რითმამ ლექსის სიმძიმის მსუბუქად მიტანა მკითხველამდე; „მუცლით მეზღაპრისა“ და მისანის მსგავსად, ინტუიციით, გეშით, „მოაზროვნე ლერწმის“ შეუძცდარი რხევით გრძნობენ და შეიცნობენ ერთმანეთს პოეტი და მკითხველი, ე.წ. „ზიარებულნი“, „განდობილნი“ სიტყვითა და სიზმრით: ყვავილების ნაცვლად – ფოთლები, ცეცხლის ნიღ – ნაცარი და „მოთქმით მღერა“ – ტირილის მაგივრად, – „სიზმრის კაცების“ ტრადიციული პორტრეტის ადგილას სილუეტს ტოვებს:

**ნუ ელოდები – გულს გადაგიხსნი,
ჩუმად გიჩვენებ ცხოვრების დამლებს;
კარგად შემხედე: ჩვენ ხომ ისედაც
მუდამ მრავალი რაღაცა გვამხელს:
ან ფოთლებისკენ განვდილი ხელი,
ანდა თვალები – ქცეული ნაცრად,
სიმღერა, როცა ძალიან გვიჭირს
და მოთქმით ვმღერით
ტირილის ნაცვლად...**

(„სილუეტი“)

ლექსში ერთიანდებიან ცხოვრებისაგან გარიყულნი და დაკარგულები, რითმებივით, ამიტომაც ვერ შელევია პოეტი თითქმის ვერცერთ ლექსში ხალხური პოეზიიდან მომდინარე, ინტერვალიან რითმას: xaxa. ამგვარ რითმას ქართულ პოეზიაში ყველაზე ხშირად ვაჟა-ფშაველა და გიორგი ლეონიძე მიმართავდნენ.

ხალხური პოეზიის რიტმი ასაზრდოებს იმ ინტონაციას, გიორგი ლობჯანიძემ რომ მიაგნო იმ ლექსებში, სადაც ტრადიციულ დაბალ შაირს (5/3) ქართული მნიგნობრული პოეზიის უძველესი და იშვიათი, შვიდმარცვლიანი საზომი (5/2) ენაცვლება რვასტრიქონედებში ორჯერ და რითმაც მათ, ამ შვიდმარცვლედს ეყრდნობა; ეს სალექსო ფორმა: არათანაბარმარცვლიანი (8:7) რვატაქედი, გართიმვის ამგვარი სისტემით: xxxaxxxa - სრულიად ახალია თანამედროვე ქართულ ვერსიფიკაციაში:

**ნუხილს სულ ერთი ფერი აქვს,
ვერაფრით აფერადდება,**

**რიყის ლოდით მდუმარედ
გულზე სულ უნდა იდოს,
ტკივილმა, როგორც ნაჭუჭი
შიგნიდან გამოამტვრია,
ოღონდ მტვრევის ხმა, საშიში
არ გამიგია თვითონ.**

(„... ნუხილს სულ ერთი ფერი აქვს“)

ტკივილმა უნდა მისცეს სიცოცხლე წინილას, რომელიც „საამურად ფიტიინებს“. გიორგი ლობჯანიძის მიერ მიგნებული ეს სიტყვა: „ფიტიინებს“ ქართლის სოფლის ხმას აცოცხლებს თანამედროვე ქალაქში დაწერილ ლექსში. დღევანდელ თბილისში აქა-იქ ასე ობლად გამკრთალი, საყვარელი სიტყვები ჯერ კიდევ გვამხნევენ და გვახსენებს, მარტო ქალაქური ქართულით რომ არ იწერება ლექსები...

**შეხე ამ ქულა წინილას,
რა საამურად ფიტიინებს,
ვით სიჩუმეში გამკრთალი
ერთი ობოლი სიმი,
გაზაფხულია... დაჯვები,
წარსული გამოვიტირე
უეცრად წამოთქეშილი
თბილი მაისის წვიმით.**

(“... ნუხილს სულ ერთი ფერი აქვს“)

„ერთი ობოლი სიმი“, „თბილი მაისის წვიმით“ იმ საზომით არის დაწერილი, IX საუკუნეში ატენის სიონის კედელზე რომ ამოტივიფრეს:

**იხილეთ ესე ჟამი
წავა ვითარცა წამი,**

მერე კი ილიას „მამულმა“ გააცოცხლა:

**აყვავებულა მთები,
აყვავებულა მდელი...**

გიხარია, რომ შენს მამულში „ერთი ობოლი სიმი“ „თბილი მაისის წვიმით“ განედლებულ ამ ხმას გასმენინებს!..

ჩემი აზრით, გიორგის თამამად შეუძლია, თანატოლივით შეხედოს, ვითომ „დაბერებულ“ სიტყვებსა თუ რიტმებს, გააცოცხლოს და ნაღვლიან ქალაქს აჩუქოს:

**თუმც ურჩევნია, წვიმის წვეთივით,
გულზე დაეცეს პატარა ყვავილს,
მერე კი სიტყვის ფერად ღრუბელში
ისევ შეკრიბოს თავისი თავი
და გამთლიანდეს,
რადგანაც, ალბათ,
მხოლოდ ასე თუ შეიძლება იმდენს,
რომ დასიცხული ქალაქისათვის
მთელი საღამო გულუხვად წვიმდეს.**

(„იავნანა მკვდრადშობილთათვის“)

ზეცისა და სიზმრის კაცები ქვეყანას სჭირდება და, მიუხედავად ბოროტებისა, „ჩხუბიანი კაცების“ ქირქილისა, მინა უფროხილდება და სიმყარეს, სიმტკიცეს აძლევს მათ:

**რომ გამეხურა უხმოდ კარები,
შემომჩენოდა იმედად ისლა,
ბელურებს მაინც გავახარებდი
შემცივნულები ხეზე რომ ისხდნენ;
რომ გამეხურა უხმოდ კარები
შემომჩენოდა იმედად ისლა.**

*(პოემა „ბრმა ჩიტები. IV.
პორტრეტი. შავი აკვარელი“)*

1989 წელს დაწერილი ლირიკული პოემის „ბრმა ჩიტების“ IV თავს „პორტრეტი. შავი აკვარელი“ უწოდა პოეტმა. ზემოთ ციტირებულ ექვსტაქედში, ტრადიციული ათმარცვლედით (5/5) რომ არის შესრულებული, მეორდება დასაწყისი და დასასრული ორი სტრიქონი: ამგვარად შეკრული სტროფული მონაკვეთით, ლირიკული გმირი მის მიმართ გამოვლენილ, წამიერ სიძულვილს განერიდება შინაგანი ჩაკეცივითა და სიმყარით; ასე, ერთიანად შეკუმშული, შინაგანი ფარმომარჯვებული პოეტი მარჯვედ ისხლეტს ბოროტებას:

**ეს – ისე,
თორემ მე რას დამაკლებს
მაგ შენი წყევლის ყვითელი ზისხა...
თუ ბოროტებას შავი სახე აქვს,
შენი სახე აქვს,
შენა ხარ...
ის ხარ...**

„შავი ბოროტება“ და „ყვითელი ზისხა“ აკვარელით შესრულებულ პორტრეტზე მკვეთრად არის აღბეჭდილი. „ზისხა“, – ყვითელი ნაღვლის წვენივით, – კი ის სიტყვაა, ბოროტების სიმწრის გემოს კარგა ხანს რომ არ ავიწყებს ჩვენს განცდებს, როგორც შავ, ან მუქლურჯ ფონზე მოკაშპაშე ყვითელი – იმპრესიონისტული, ბოროტი ყოფის, სიმბოლო.

სამაგიეროდ, „მწვანე თვალები“ უკავშირდება „წყვილ რითმასა“ და „წვიმას“ ლექსში: „სიზმარში – ნახვამდის. ირინეს“, რომლის პირველი სტროფი ოთხი სამმარცვლიანი მუხლით, ე.წ. დაქტილით არის დაწერილი:

**მე მაინც წავედი იქ, სადაც მიცდიდა
სკამი და მაგიდა, ფიქრი და ქალაღი,
ვიცოდი, დიდი ხნით მომენატრებოდი
და მხოლოდ შფოთიან სიზმრებში გნახავდი.**

სამმარცვლიანი მუხლებით შედგენილი თორმეტმარცვლადი გალაკტიონის 1914 წლის კრებულში გვხვდება პირველად:

**დანამულ ბალახებს მძინარე ტყის პირად
მსუბუქი ზეფირი ათრთოლებს ხშირ-ხშირად.**

(„სალამო“)

მერე კი შედეგები – „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ ახმიანდება:

**ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები –
სალამო კანკალებს შიშით და რიდობით...**

გ. ლობჯანიძის ზემოხსენებული ლექსის მეხუთე სტრიქონში რიტმი ირღვევა: ცამეტმარცვლელი (24/43) რეალურ სამყაროში გათიშვისა და ლექსებში შეხვედრის შესაძლებლობის მიჯნად იქცევა, რომელსაც ორად გაყოფილი თორმეტმარცვლელი: ორ დაქტილად წარმოდგენილი ორტაეპედი ენაცვლება:

„მხოლოდ ლექსებში თუ შევძლებდით შეხვედრას (24/43)

ვით წყვილი რითმა ან (3/3)

შველა და ცოდვილი (3/3)

რადგანაც უშენოდ ჰაერი მძიმდება (33/33)

და თავზე მემხობა სამარის ლოდვიით...“ (33/33)

დისჰარმონიულ ცამეტმარცვლელს „ში“/„შე“/„შე“/ – ბგერათკომპლექსების ალიტერირება ამშვიდებს, რომელიც მომდევნო სტრიქონებში სიტყვებს: „შველა“ და „უშენოდ“ აკავშირებს. სარიტმო წყვილი: „ცოდვილი – ლოდვიით“ – სიყვარულის სიმსუბუქესა და პასუხისმგებლობის სიმძიმეს ამთლიანებს ისე, როგორც საყვარელი ქალის სახელი და მისი მწვანე თვალების შუქი აადვილებს სიცოცხლეს:

**შენი მშვენიერი ბერძნული სახელიც
ზეციდან წკრიალა სიმძიმით გუგუნებს,
მიყვარხარ და მხოლოდ მაგ მწვანე თვალების
შუქი თუ მინათებს ცხოვრების უკუნეთს.**

ლექსში სამჯერ არის გამოყოფილი ორი, ექვსმარცვლიანი ორტაეპედი, რაც გრაფიკულად ილუზიას გვიქმნის ტრადიციული: დაკარგვა-ძიება-პოვნის აუცილებლობისა. ამ ლირიკული ლექსის კომპოზიცია ეყრდნობა წყვილის განშორებას, შეხვედრის შესაძლებლობის ძებნას და სიზმარში პოვნის აუცილებლობას. თითქოს მცირე ლირიკური პოემა დაინერა: ორიგინალური გრაფიკით, ალიტერაციით, ანჟამბემანით და, რაც უმთავრესია, ჭეშმარიტი პოეტური გზნებით. ამ ლექსში ყველაზე ხშირად მეორდება სიტყვები: ფიქრი, ქალაღი, სიზმარი, რაც ზემოთქმული სამი საფეხურის შესატყვისია: განშორება (ფიქრი), ძიება (ქალაღი), პოვნა (სიზმარი). ჩანს, სიზმარი რეალობის ყველაზე მისაღები ფორმაა პოეტისათვის – „ქალაღის ჩიტისათვის“, რომელსაც არ სურს ყოფნა ტალახში, ჭუჭყში...

არის თუ არა ცხოვრება ტალახი, ჭუჭყი? – ეს მარადიული კითხვა ერთობ უცნაური ხილვა-სიზმრით არის ამტყველებული გიორგი ლობჯანიძის ლექსში „აბანო“. ამ ლექსის კითხვისას ჩნდება ილუზია, რომ პოეტი სიზმარს, მისტიკურ ხილვას გვიყვება, სადაც თითოეულ სახეს სიმბოლოს, ალეგორიის ფუნქცია ენიჭება:

“ – ჭუჭყმა შეგვჭამა. – ვთქვი და ჩიბუხს ცეცხლი ჩავუკიდე. – ”

ინყებს თხრობას პოეტი, რომლისთვისაც ჭუჭყია ცხოვრება, ხოლო ჩიბუხის ცეცხლი – შთაგონების გაღვი-

ვება, ცხოვრების გასუფთავების, განწმენდის ერთადერთი გზა. მუნჯი ქალი, რომელიც ლექსის სიუჟეტის მიხედვით, „თავისი კაცისათვის“ ხაჭაპურს აცხობს და ენასაც კი ამოიღებამს „სიტყვების სიშიშვლით თავზარდაცემული“, ალბათ, პოეტის ორეულია; იგი მხოლოდ მაშინ ინყებს ლექსით მეტყველებას, როდესაც ხანგრძლივი დუმილით უაღრესად ზუსტ შესიტყვებას მოუძებნის ჭუჭყში ჩაკარგულ მარგალიტებს: საგნების აღმნიშვნელ სიტყვებს:

**და მითხრა: – სიტყვების ნუ შეგეშინდება,
რადგან ამდენი ხნის დუმილმა მასწავლა
მე ის ყველაფერი, რაცა მაქვს სათქმელი;
სიმუნჯემ სიზუსტეს გულდაგულ მაჩვია
და ვამბობ:
ამდენ ხანს ჩვენ ჭუჭყმა შეგვჭამა!
სასწრაფოდ ადექი,
წავიდეთ აბანოში!**

„აბანო“ აქ ის განსაზღვრულია, რომელიც ცხოვრებასა და პოეზიას ამორებს ერთმანეთს: პოეტმა ჯერ მიწიერი ჭუჭყი, ბინი უნდა ჩამოიშოროს, წყლითა და დუმილით განინმინდოს, რომ ღვთაებრივი სიტყვების ზუსტად მიგნებისა და წარმოქმნის უფლება მოიპოვოს; ის გაორება მოსპოს, მარადიულად რომ თანაარსებობს პოეტ-ადამიანში:

**ორნი ვიყავით,
ტოლნი ვიყავით
და ჩვენ, ორივეს, გიორგი გვერქვა.
ერთი რომ წერდა, მეორე ხევდა
ნანერს, ამბობდა – რას ჯღაბნი, ბრიყვო!
ერთი პოეტი, ხოლო მეორე
ლექსებისადმი გულგრილი იყო.
.....
იდგნენ ცხოვრების ჩარჩოში ასე,
ვით ერთი კარის ორი ფიცარი...**

(„წარმოდგენები საკუთარ თავზე“)

ავტორი არ ტყუის, როდესაც აღიარებს, რომ ბოლომდე ვერცერთი გაიცნო: პოეტის არსებაში შექიფებული კაცისა და ღმერთის ბრძოლაში ამქვეყნად გამარჯვებული მხოლოდ მკითხველია, რომელსაც საჩუქრად ლექსები რჩება.

ეს ლექსები კი, ისევ პოეტების წყალობით, ხან ჩვეულებრივ ყვავილებს ემსგავსება, ხან კი იმ „ყვავილს“ – იესო ქრისტეს სიმბოლოდ რომ აღიქმება, როგორც აბრაამის ძირზე ამოსული ყლორტისა. ეს ორმაგი ნაკითხვა სიტყვა „ყვავილისა“ – სიტყვებისა და საგნების დაახლოების დაუოკებელი სურვილი – ყველაზე მძაფრად თითქმის საუკუნე-ნახევრის წინათ აირეკლა შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვავილებმა“. ფრანგი სიმბოლისტისათვის „ყვავილები“ ლექსები იყო, „ბოროტება“ – ცხოვრება, პოეზია კი პიროვნული, ინდივიდუალური ამბოხი უღმერთო, უღამაზო ცხოვრებისა და ყოფის წინააღმდეგ. გალაკტიონმა „არტისტულ ყვავილებად“ გარდაქმნა სადაგი დღეები, სადაც იშვიათად, მაგრამ მაინც ანათებდა რწმენით აკიაფებული ნუთები, შესაბამისად, ჩნდებოდა „ყვავილები“ – ლექსები.

„არტისტული ყვავილების“ გამოცემიდან თითქმის საუკუნე სრულდება. ქართველმა პოეტებმა XX საუკუნეში, ნებით თუ იძულებით (და არა უნებურად!), გადაივიწყეს ყველაზე ძვირფასი სიტყვა – ღმერთს, რწმენას რომ უკავშირდებოდა, ამიტომაც გაუფერულდა უსიცოცხლო ცხოვრება. სიცოცხლე კი – უფლის ნაბოძები ზღაპარი – შვილიდან მამას უნდა გადასცემოდა, მხოლოდ ერთი თაობის კუთვნილება არ იყო:

**სიცოცხლე – უფლის მონვდილი პეშვი –
მე, ქვიშასავით, გზადაგზა მაპნევს,
მაგრამ ვერ იქნა, დღემდე ვერაფრით,
ვერ ამაფხრინეს ჯადოსნურ ზღაპრებს.
შენ უნდა დაგრჩეს ყველა ზღაპარი –
ოცნების ყველა ციმციმა ღრიჭო,
რომ როცა წავალ, ამ ზღაპრებიდან
გეფერებოდე, პატარა ბიჭო!**

(„ლუკას“)

უღვთოდ ლექსებმაც დაიწყეს ჭკნობა ყვავილებივით; რწმენის გარეშე ძნელია, ან სიტყვა იყოს მკურნალი, ან ლექსად ანყობილმა სტრიქონებმა იხეიროს, რადგან უფესვებოდ მცენარეც ვერ ძლებს; მით უფრო, ბაბუანვერა, რომლის ცხრა სახეობაა საქართველოში, მათგან ოთხი კავკასიის ენდემია; განსაკუთრებით ძვირფასია სამკურნალოდ ამ თაფლოვანი მცენარის ფესვები, რადგანაც მას მინისქვეშა წვენი ასაზრდოებს, ისევე, როგორც თანამედროვე პოეტის მიერ მკითხველისათვის მიძღვნილ „ბაბუანვერების თაიგულს“ კვებავს ტრადიციული, ფესვლონიერი, ეროვნული ქართული პოეზია, ნამდვილი მწერლობა, „მინისქვეშა მდინარესავით ჩუმად, უხმაუროდ რომ მიედინება“ (ელა გოჩიაშვილი).

ვერც პოეტს დავაბრალებთ განუსჯელ გულუბრყვილობას და არც გიორგი ლობჯანიძის მკითხველი ირწმუნებს წარსულს იდეალიზებულ, ცრურომანტიკულ ხატებას. ლირიკული გმირის პოზიცია ფხიზელია და ჯანსაღი:

**ანდა რის ბალი...
ჭრელაჭრულა ცხოვრებამ,
ვინაც
ჩემს ყოფას თავზე
ჭინჭრის სუსხი გადაახიდა,
წარსული ზიზლით მომაფურთხა
და მე ეს ფურთხი
ასევე ზიზლით
მოვიწმინდე
მერე სახიდან.**

(„ფურთხი“)

პოეტის სიმართლე, ისე როგორც სხვა ყველა სიმართლე ამქვეყნად, მკაცრია და „სინმინდის გზაზე ჩამხმარი ყვავილების“ (ბესიკ ხარანაული) დასანახავად ამზადებს მკითხველს. ჭეშმარიტების მძებნელთა სიმცირეს არასოდეს უჩიოდა ჩვენი ქვეყანა, სადაც პოეტის ნაჩუქარი თვალბით მოსიარულენი უფრო იმკვიდრებდნენ ადგილს

ერის სულიერ პანთეონში, ვიდრე საგანთა შემფასებლნი. პოეტის მზერა ეხმარება ადამიანებს ფურთხის, ჭუჭყის, ბინის მოცილებისას, მისივე თვალეში „მზიან-ჩრდილიანი“ სიამოვნებით ტკბება მოყვასის ბედნიერებით:

**მე გჩუქნი კეთილ, ნაღვლიან თვალებს,
ვით იის ანდა ენძელის კონას,
შენ ჯერ ვერ ხედავ, რომ ამ თვალთაგან
უკანასკნელი ცრემლები ჟონავს.**

(„მე გჩუქნი თვალებს“)

„...ბაბუანვერების თაიგულით“ დასრულებული წიგნი ლექსებისა ყოველთვის დაგვაბრუნებს თავის სამყაროში, რადგან თითოეული ლექსი ამ კრებულისა ყვავილი-მკურნალია, „მოხეტიალე მინაა“,

**...რომელიც ყველაფერს იტევს –
მადლსა და ცოდვას,
პურსა და მარილს
წინაპრის ძვლებს თუ
საყვარლის თითებს...**

მინას კი ყოველთვის უბრუნდება თავისი ნამიერი.



სკოტლანდ-იარდის ისტორია

იმხანად, როდესაც გალტონის ნიგ-ნი გამოვიდა, თემზის ნაპირას უკვე აღმართულიყო ორი ახალი, ვეება შენობის კომპლექსი – ნანვეტებული ფრონტონებითა და კუთხეებში ციხესიმაგრის კოშკურებით. იქ ახალ სკოტლანდ-იარდს დაედო ბინა – ლონდონის პოლიციის მთავარ რეზიდენციას.

თუკი პარიზული სიურტე ამ დროისათვის უკვე საკუთარ ტრადიციათა ოთხმოცნლეულს ითვლიდა, სკოტლანდ-იარდი ვერაფრით დაიკვეხნიდა. 1829 წელს პოლიციის პირველმა ლონდონელმა კომისრებმა მაინმა და როუენმა ოდესღაც უაითჰოლ-პალასის კუთვნილი რამდენიმე ძველი შენობა დაიკავეს ბიუროს განსათავსებლად. მოგვიანებით ლონდონის პოლიციამ შენობის ის კომპლექსი შეარჩია, სადაც ადრე შოტლანდიელი მეფეები ჩერდებოდნენ ლონდონის კარზე სტუმრობისას (სკოტლანდ-იარდი – შოტლანდიური ეზო). აქედან მოდის ინგლისური კრიმინალური პოლიციის დასახელება – სკოტლანდ იარდი.

იმას, რომ ინგლისის პოლიცია საფრანგეთისაზე უმცროსია, თავის მიზეზები აქვს. ინგლისელთა გადაჭარბებულად მტკივნეული წარმოდგენების გამო, მოქალაქეობრივ თავისუფლებაზე ინგლისური საზოგადოება პოლიციის ნებისმიერ სახეობაში ამ თავისუფლებისათვის საფრთხეს ხედავდა, ბუნებრივია, საქმე იქამდე მივიდა, რომ XIX ს. 30-იან წლებში ლონდონელები ლამის დანაშაულის, ძალადობისა და უკანონობის ჭაობში ჩაიხრჩვნენ. მოქალაქეობრივ თავისუფლებათა ასეთი გაგების გამო, ინგლისს ასეული წლობით არ ჰყავდა არც საზოგადო ბრალმდებელნი და არც ნამდვილი პოლიცია. წესრიგისა და საკუთრების დაცვა თვითონ მოქალაქეებზე იყო მინდობილი. შესაძლოა, ასეთი თვალსაზრისი გამართლებულიც იყო, სანამ მოქალაქეებს შეეძლოთ არამართო მომრიგებელი მოსამართლეობა ეკისრათ სრულიად უფასოდ, არამედ პოლიციის სამსახურისა. მაგრამ დროთა განმავლობაში აღარავის სურდა, ამ საქმისათვის მოეკიდა ხელი. ინგლისელებს ერჩივნათ, ამ როლის შესასრულებლად ვინმესთვის ფული გადაეხადათ. ქირობდნენ, ვინც უფრო იაფი ჯდება: ინვალიდებს, ნახევრად ბრმებს, მანანალებს, ხშირად ქურდებსაც კი. მრავალრიცხოვანი მომრიგებელი მოსამართლენი კი თავის მდგომარეობას იყენებდნენ და ქრთამისა და მფარველობის მეშვეობით მდიდრდებოდნენ. დამნაშავეობასთან გარდუვალმა კონფლიქტმა კიდევ უფრო უსამოვნო ფიგურები წარმოშვა: დამ-



ჰენრი ფილდინგი

ბეზღებლები და საიდუმლო მაძებრები. ნებაყოფლობითი დეტექტივები, გამდიდრების, შურისძიებისა თუ თავგადასავალთა მოყვარულნი. ქურდის დაჭერისა და მისი გასამართლებისას თანხას ფულადი ჯარიმიდან იღებდნენ, მკვლელობისა თუ ძარცვის საქმეში კი ჯილდოს პრემიის სახე ჰქონდა.

ყველას შეეძლო საიდუმლო მაძებრის როლი ეკისრა და სასამართლოსათვის გადაეცა ყაჩაღები, მძარცველები თუ მკვლელები. ითვლებოდა, რომ ყველა ზომა გატარდებოდა, თუკი დამნაშავენი სასტიკად დაისჯებოდნენ (200-ზე მეტი მსუბუქი დანაშაულისათვის სასჯელი სიკვდილით დასჯა იყო). ციხეები მხოლოდ გადამგზავნი პუნქტების როლს ასრულებდნენ გზად სახრჩობელასა თუ გადასახლებადად.

ორმოცი ფუნტი, იარალი და განსასჯელის ქონება – აი, სახელმწიფოსა და საზოგადოების გადასახადი ქურდის დაჭერისათვის. ეს „სისხლიანი ფული“ დიდი ცდუნება იყო სხვადასხვა ჯურის „დეტექტივთათვის“, რისი შედეგიც მძლავრი კორუფცია გახლდათ. საიდუმლო მაძებრები ახალგაზრდებს დანაშაულისაკენ უბიძგებდნენ და შემდეგ სასამართლოში მიათრევდნენ, „სისხლიანი ფულის“ მისაღებად დაუფარავად სთავაზობდნენ თავის სამსახურს ნაქურდალის დასაბრუნებლად და საზღაურად ნაძარცვის ღირებულების პრემიას ითხოვდნენ. თანაც პრემიის განაწილება ქურდებთან უწევდათ. თუკი თვითონ არ მონაწილეობდნენ ძარცვაში. ეს კი საკმაოდ ხშირად ხდებოდა. ასეთ „დეტექტივთა“ ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ჯონათან ვილი – თალლითი და ქუჩის ყაჩაღი, ლონდონის დამნაშავეთა სამყაროს ორგანიზატორი და ჩრდილოეთ ამერიკის, შედარებით გვიანი პერიოდის, განგსტერ მეთაურთა წინამორბედი გახლდათ. „საიდუმლო მაძებარი, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გენერალი“ – ასე მოიხსენიებდა იგი საკუთარ თავს. მუდამ თან დაჰქონდა ოქროს ბუნიკიანი ხელჯოხი, ლონდონში კანტორის მეპატრონე და მოსამსახურეთა დიდშტატიანი ვილის მფლობელი გახლდათ. ვილდმა სასამართლოს გადასცა და სახრჩობელაზე გაისტუმრა ასობით ქურდბაცაცა, ოლონდ მხოლოდ ისინი, ვინც მისი ქვეშევრდომობა არ ინდომეს. 1725 წელს ძარცვისათვის ვილდი თვითონ ჩამოახრჩვეს ტიბურნში.

მხოლოდ 25 წლის შემდეგ, ლონდონის ერთ-ერთი მომრიგებელი მოსამართლე მთელი სერიოზულობით გამოვიდა იმ განუკითხაობის წინააღმდეგ, სულ უფრო და უფრო რომ იზრდებოდა. ეს გახლდათ მწერალი ჰენრი ფილდინგი. მან ჯონათან ვილდზე პამფლეტი დაწერა. ფილდინგი მძიმედ იყო ავად, მაგრამ არაჩვეულებრივი შინაგანი ძალის პატრონი გახლდათ. უესტმინსტერის მომრიგებელ მოსამართლედ ყოფნისას უმწეოდ ადევნებდა თვალყურს, როგორ იზრდებოდა დამნაშავეობის ტალღა. თუმცა ის კი

მოახერხა, დაემტკიცებინა შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, ლონდონი ცივილიზებული სამყაროს სირცხვილად იქცევა, რადგანაც ერთადერთი ქალაქია მთელს დედამიწაზე, პოლიცია რომ არ ჰყავსო. ფილდინგს „სიკრეტ-სერვისის“ ფონდიდან მის დამხმარეთა შრომის ასანაზღაურებლად თანხა გამოუყვეს. მან წითელი ყილეტები შეიძინა, რათა მათ ქვეშ იარაღი ეტარებინათ. რადგანაც ფილდინგის სასამართლო ბოუ-სტრიტზე მდებარეობდა, მის ხალხს ბოუ-სტრიტ-რანერები შეარქვეს, ანუ პოლიციელები ბოუს ქუჩიდან. და მოულოდნელად, როგორც ჩანს, ისინი იქცნენ პირველ კრიმინალისტებად მსოფლიოში. ფილდინგი მათ კვირაში ერთ გინეას უზდიდა. მაგრამ ყოველ მოქალაქეს, ვისაც დაცვა სჭირდებოდა ან დანაშაულის გამოძიება სურდა, შეეძლო ერთ გინეად დღეში ერთი პოლიციელი დაექირავებინა. თხუთმეტ წუთში ისინი მზად იყვნენ შედგომოდნენ თავისი მოვალეობის შესრულებას.

გადაცმული პოლიციელები პრიტონებს* (* დამნაშავეთა თავშეყრის საიდუმლო ადგილი) სტუმრობდნენ, ჰყავდათ ფასიანი აგენტები, ცდილობდნენ დაემახსოვრებინათ სახეები, შეეძლოთ მოთმინებით ეთვალთვალოთ, მამაცები და გამტანები იყვნენ. წარმატებაც თან სდევდათ, ზოგიერთებმა სახელიც კი გაითქვეს. ყველაზე ცნობილი პეტერ თაუნსენდი გახლდათ, ერთ დროს მეფე ჯეორჯ IV-სთან საიდუმლო დაცვაში რომ მსახურობდა. ისტორიის ანალებში ასეთი სახელები მოხვდა: ჯოზეფ ატკინი, ვიქტორ რუტვენი და სეიერი. იმის თაობაზე, თუ როგორ დააგროვეს ბოუ-სტრიტ-რანერებმა მნიშვნელოვანი ქონება (თაუნსენდს 20000-ის, სეიერს კი 30000 ფუნტ-სტერლინგი დარჩათ), ისტორია დუმს. თანაც საიდუმლო სულაც არ არის ის, რომ მათ ჯონათან ვილდთან საერთო ნაცნობებიც ჰყავდათ. გაძარცვული ბანკირები უარს ამბობდნენ მძარცველთა დევნაზე. ისინი ბოუ-სტრიტ-რანერებს იყენებდნენ, რათა პოლიციელებისა და მძარცველების მაღალი ჯილდოს ფასად ნაძარცვი ქონება უკან დაებრუნებინათ. ერჩივნათ, ნაძარცვის ნაწილი მაინც დაებრუნებინათ, ვიდრე დამნაშავე სასამართლოს წინაშე წარმდგარიყვნენ და ველარასოდეს ეხილათ საკუთარი ქონება. პოლიციელები, როგორც შეეძლოთ, ისე იღებდნენ „სისხლიან ფულებს“. ზოგიერთი იმასაც სცოდავდა, რომ სასამართლოს წინაშე უდანაშაულოებს „ამხელდა“, თუკი დამნაშავეებისაგან გვარიანი ქრთამი ჰქონდა აღებული.

მაგრამ ისეთ დროში, როცა არავის სჯეროდა საკუთარი სიცოცხლისა თუ ქონების უსაფრთხოება, ამგვარი გამყიდველი ბოუ-სტრიტ-რანერებიც კი უკეთესნი იყვნენ, ვიდრე სულ არავინ. და ჰენრი ფილდინგმაც ასეთი პოლიციელების შემწეობით იმ დროისათვის დიდ წარმატებას მიაღწია. და ეს არამარტო იმით შეძლო, მისთვის ცნობილ დამნაშავეთა აღწერას რომ ახდენდა. მძარცველთა, მკვლელებისა და ქურდების ძებნისას ფილდინგს მიმონერა ჰქონდა სხვა მომრიგებელ მოსამართლეებთან, ინგლისის გაზეთებში აქვეყნებდა ძებნილ დამნაშავეთა სიებსა და გარეგნულ ნიშნებს.

როდესაც 1754 წელს ჰენრი ფილდინგი გარდაიცვალა, პოლიციის შეფი მისი ნახევარძმა ჯონი გახდა, რომელიც ბრმა იყო. ისტორია, და შესაძლოა ლეგენდაც, გვიამბობს,

ცხოვრების მიწურულს ჯონს (1780 წელს გარდაიცვალა) 3000-მდე დამნაშავეს განსხვავება შეეძლო ხმების მიხედვითო. ჯონ ფილდინგმა შეიარაღებული ბოუ-სტრიტ პატრული და ცხენოსანი პატრული შექმნა, რომელთაც გზები უნდა ემონებინათ. მართალია ცხენოსანთა პოლიცია მალევე გაუქმდა, რადგანაც ფილდინგს სახსრები არ ეყო მის შესანახად, სამაგიეროდ, ბოუ-სტრიტ-რანერები კიდევ დიდხანს არსებობდნენ. ოთხმოცდაათი წლის მანძილზე ისინი იყვნენ ლონდონის ერთადერთი კრიმინალისტები. მათი რიცხვი არასოდეს აღემატებოდა 15-ს, ამიტომაც მათი როლი მზარდ დამნაშავეობასთან ბრძოლაში ძალზე მცირე იყო. 1828 წელს ლონდონში მთელი რაიონები არსებობდა, სადაც დღისითაც კი ძარცვავდნენ. 822 მცხოვრებზე 1 დამნაშავე მოდიოდა. 30000 ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ძარცვისა და ქურდობის ხარჯზე არსებობდა. მდგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა რობერტ პილმა ბოლოსდაბოლოს, საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაწყვიტა შეექმნა პოლიცია. მას პარლამენტის ქვედა პალატაში სასტიკი ბრძოლა უნდა გადაეტანა. მაგრამ 1829 წლის 7 დეკემბერს ათასი პოლიციელი – ცისფერ ფრაკებსა და ნაცრისფერი ტილოს შარვლებში გამოწყობილი და შავცილინდრებიანი – მთელს ქალაქში განლაგებული თავთავისი უბნებისაკენ გაემართა. ცილინდრებს უნდა ეჩვენებინათ ლონდონელთათვის, რომ ჯარისკაცებმა კი არა, მოქალაქეებმა ითავეს მათი დაცვა. და მაინც, პოლიციელთა ისეთმა ბნელმა მეტსახელებმა, როგორიცაა, მაგალითად, პილერი, კოპერი ან ბობი, დღემდე მოაღწია.

პილის პოლიციამ ბოლოსდაბოლოს შეძლო ლონდონის ქუჩებში გარეგნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ნათელი გახდა, დაცვის პოლიციას, შესაფერისი ფორმა რომ ეცვა და ოფიციალურად მოქმედებდა, დამნაშავეობის დასამარცხებლად ძალა არ შესწევდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩადენილი დანაშაულის გახსნაზე. ის, რომ დანაშაულის ტალღა თითქოსდა უკუიქცა, მოჩვენებითი იყო. მძარცველები, ქურდები და მკვლელები შავ საქმეებს ახლა ჩუმად აკვარახტინებდნენ. დამნაშავეობა მათი თავშესაფარიდან ვრცელდებოდა და ათასგვარ სახეს იღებდა. სისხლის სასამართლის დამნაშავეებს მხოლოდ ბოუ-სტრიტ-რანერთა მცირე ჯგუფი ებრძოდა, ისიც უკვე გაქეპილი, კორუფციით დაავადებული, ჟურნალისტთა და კარიკატურისტთა დაცინვის ობიექტადქცეული. რამდენიმე განსაკუთრებული მკვლელთა გახდა საჭირო, შინაგან საქმეთა მინისტრს 1842 წელს გამბედაობა რომ მოეკრიბა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა. 12 პოლიციელმა ფორმა გაიხადა და დეტექტივი გახდა. მათ სამი პატარა სათავსო ეკავათ სკოტლანდ-იარდში. ზოგიერთი დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა (ფილდი, სმიტი, ჯონათან უიჩერი). ჩარლზ დიკენსმა მათი მოღვაწეობა უკვდავყო – 1850 წელს შექმნა პირველი მნიშვნელოვანი ინგლისური კრიმინალური რომანი „ცივი სახლი“. მთავარი გმირის, სკოტლანდ-იარდის დეტექტივის ინსპექტორ ბაკეტის პროტოტიპად მწერალმა რეალური ინსპექტორი ფილდი აირჩია. პირველად ინგლისურ ლიტერატურაში რომანის გმირი ამ სიტყვებით

წარდგა: „მე გახლავართ ბაკეტი, დეტექტივი, დეტექტივი-პოლიციელი, მზვერავი, გამომძიებელი“. სიტყვა „დეტექტივი“ კრიმინალისტთათვის ტერმინად იქცა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

თვით დანაშაულის გახსნის პრაქტიკაში თავიდან არაფერი შეცვლილა. ახალ დეტექტივთა სამუშაოს ანაზღაურება გაუმჯობესდა, კორუფციის ცთუნებამ იკლო. მაგრამ თითოეულ მოქალაქეს ჯერ კიდევ შეეძლო პირადად დაექირავებინა დეტექტივი. ეს იყო იძულებითი დათმობა ინგლისური საზოგადოებრივი აზრის წინაშე, რომელიც ეჭვიანობით იყო დაავადებული. საფრანგეთიდან რა, შიმის მომგვრელი ხმები არ აღწევდა? ფრანგული კრიმინალური პოლიცია სინამდვილეში არ იყო მოქალაქეთა დევნისა და ჯაშუშობის დანესებულება? ასეთი ეჭვები დეტექტივთა ბრძოლას დამნაშავეთა სამყაროსთან კიდევ უფრო ართულებდა, ქმნიდა დაბრკოლებებს, რომლებიც საფრანგეთში არც არსებობდა და რომლებიც მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავეთა სასარგებლოდ მოქმედებდა. დეტექტივებს უფლება არ ჰქონდათ, საკმაო მტკიცებულებათა გარეშე, ვინმე დაეკავებინათ.



ეკრძალებოდით, დაეყოლიებინათ ვინმე, მიეცა ჩვენება, გამოსულიყო მონმედ. ყველა ეჭვმიტანილი უნდა გაეფრთხილებინათ, ყოველი თქვენი გამონათქვამი თქვენივე წინააღმდეგ იქნება გამოყენებულიო. რა გასაკვირია, ინგლისურ დეტექტივთა მუშაობას უფრო ნაკლები წარმატება რომ ჰქონდა, ვიდრე მათი კოლეგებისას – საფრანგეთში.

ინსპექტორი ჯონათან უიჩერი პოლიციისადმი მტრულად განწყობილი საზოგადოებრივი აზრის მსხვერპლი შეიქნა, როდესაც 1860 წელს ტრაუბრიჯში მიიწვიეს ერთი მკვლელობის გამოსაძიებლად.

ორი კვირით ადრე კი, 29 ივნისს, „როუდ ჰილ ჰაუსის“ აგარაკზე მოკლული სამი წლის ბავშვი იპოვეს. იგი ფაბრიკის ინსპექტორის – სემუელ კენტის უმცროსი შვილი გახლდათ; მამას მეორე ცოლი და პირველი და მეორე ქორწინებებიდან 3-3 შვილი ჰყავდა. მოკლული ბიჭუნა, სევილი, მეორე ქორწინებიდან შექმნილი, სემუელსა და მის მიუღლებს განსაკუთრებით უყვარდათ. ღამით სევილი საწოლიდან გაქრა. ის ბაღის ტუალეტში იპოვეს ყელგამოჭრილი. ადგილობრივი პოლიცია საკუთარ თავზე შეყვარებული და გონებაშეზღუდული სუპერინტენდანტის ფაულის ხელმძღვანელობით სრულიად უუნარო აღმოჩნდა. მეტიც, ფაულმა ისეთი ნაბიჯები გადადგა, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, კრიმინალისტს წარმოუდგენლად

რომ მოეჩვენება და კანონის დარღვევადაც შეიძლება შეფასდეს. მან ჭუჭყიან თეთრეულში ქალის სისხლიანი პერანგი იპოვა, მაგრამ მის უსაფრთხო შენახვაზე არ იზრუნა და პერანგიც გაქრა; ფანჯრის შუშიდან კი სისხლიანი ხელის ანაბეჭდი ნაშალა, „ოჯახის წევრებს რომ არ შეშინებოდათ“. ყოველი შემთხვევისათვის ფაულმა ბავშვის ძიძა – ელიზაბეტ გოე – დააპატიმრა. მაგრამ ქალი მალევე გაათავისუფლეს, რადგანაც არავითარი საფუძველი არ არსებობდა მის დასაკავებლად.

როდესაც უიჩერი ტრაუბრიჯს ჩავიდა, ფაული ძალზე მტრულად შეხვდა. სიტყვა არ დასცდენია არც გასისხლიანებულ ღამის პერანგსა და არც ხელის ანაბეჭდზე. უიჩერი პირველ ინგლისურ დეტექტივთათვის ნიშანდობლივი მეთოდებით მუშაობდა. არავითარი წარმოდგენა არ გააჩნდა გამოძიების სამეცნიერო მეთოდზე. იგი მხოლოდ სამი ღირსებით იყო აღჭურვილი: დაკვირვებულობა, ადამიანების შეცნობა და კომბინირების უნარი. ოთხ დღეში მივიდა დასკვნამდე, რომ დანაშაული მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო ჩადენა: სემუელის თექვსმეტი წლის ქალიშვილს კენტა კონსტანციას, გოგონას პირველი ქორწინებიდან.

კონსტანცია დედინაცვალს ვერ იტანდა და მიაჩნდა, აბუჩად მიგდებენ და ცუდად მეპყრობიანო. უიჩერი ვარაუდობდა, თავისი ნახევარძმა, დედინაცვლის საყვარელი შვილი, სწორედ გოგონამ მოკლა, შური რომ ეძიაო. თანაც მიაჩნდა, ღამის მკვლელობა შეუძლებელია ისე მომხდარიყო, გოგონას პერანგზე კვალი არ დარჩენოდაო. როდესაც უიჩერმა დაადგინა, კონსტანციას სამი ღამის პერანგიდან ერთი უკვალოდ გაქრაო, მისი დაპატიმრება მოითხოვა. ამან კი საზოგადოების აღშფოთების ქარიშხალი დააყენა.

რამდენიმე დღის შემდეგ გოგონა გაათავისუფლეს. რა თავხედობაა, დაადანაშაულო ბავშვი თავისი უმწეო ძმის მკვლელობაში! რა გარყვნილმა გონებამ შეძლო ასეთი ბრალდების გამოგონება! უიჩერს სასტიკი დევნა გამოუცხადეს. რიჩარდ მაინმა, ლონდონის პოლიციის ერთ-ერთმა კომისარმა უიჩერი დაუყოვნებლივ გაათავისუფლა სამსახურიდან, საზოგადოების თავდასხმა რომ აერიდებინა პოლიციისათვის. 4 წლის შემდეგ, 1864 წელს, კონსტანცია კენტმა ძმის მკვლელობა აღიარა. გოგონას მართლაც მოუკლავს ძმა, მშობლებისათვის სამაგიერო რომ გადაეხადა.

იმევე 1864 წელს საზოგადოებამ ცამდე აიყვანა ერთ-ერთი პირველი დეტექტივი, დიკ ტანერი, რკინიგზაზე მომხდარი მკვლელობის წარბაქებული გამოძიებისათვის

- პირველად ბრიტანეთში. 1864 წლის 9 ივლისს ჩრდილოეთ ლონდონის რკინიგზის მატარებლის კუბეში უცნობმა სამოცდაათი წლის ბანკის მსახური ბრიგსი მოკლა და მატარებელიდან გადააგდო. მკვლელმა ბერიკაცი გაძარცვა კიდეც, წაიღო ოქროს საათი საკიდით, ოქროს ჩარჩოიანი სათვალე და, რაც ძალზე უცნაურია, მოკლულის შლაპა. თავისი შლაპა კი კუბეში დატოვა. დამნაშავეის დაკავებისათვის ჯილდოდ დიდი თანხა დაწესდა, პრესაში სენსაციური ცნობები გამოქვეყნდა. 11 დღის შემდეგ ტანერმა მიაგნო იუველირს, რომელთანაც მკვლელმა ნაძარცვი საათი სხვა საათში გადაცვალა. კოლოფმა, რომელშიც იდო გაცვლილი საათი, ტანერი გერმანელი მკერავის, ფრანც მიულერის კვალზე დააყენა, რომელიც ლონდონში ცხოვრობდა. დანაშაულის ადგილას აღმოჩენილი შლაპა მიულერისა აღმოჩნდა, მისი წერილიდან დიასახლისისადმი კი ნათელი გახდა, ჩრდილოეთ ამერიკისაკენ აელო გეზი და იალქნიან გემ „ვიქტორიაზე“ იმყოფებოდა.

20 ივლისს დიკ ტანერი ფრანც მიულერის დაკავების ორდერით, რამდენიმე მონმესთან ერთად გემ „სითი ოფ მანჩესტერის“ გემბანზე ავიდა. გემი ნიუ-იორკში „ვიქტორიაზე“ 14 დღით ადრე ჩავიდა. როდესაც პორტში იალქნიანი გემი გამოჩნდა, მის შესახვედრად ნავი შეცურდა წყალში ცნობისმოყვარე ადამიანებიანად, რომლებიც ყვიროდნენ: „როგორ ხარ, მკვლელი მიულერ?..“ 16 სექტემბერს ტანერმა დაკავებული ინგლისში ჩამოიყვანა, ორი თვის შემდეგ კი მიულერი ჩამოახრჩვეს. ბოლო წუთს, სიკვდილით დასჯამდე ცოტა ხნით ადრე, მან ჩადენილი დანაშაული აღიარა.

მაგრამ ასეთმა ხმაურიანმა წარმატებამაც ვერ შეძლო ლონდონის კრიმინალური პოლიციის ავტორიტეტი აემალღებინა. როდესაც 1869 წელს პოლიციის ახალი პრეზიდენტი ედმუნდ ჰენდერსონი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, განაცხადა: „დეტექტიური სისტემის განვითარების გზაზე დიდი სიძნელეებია. მრავალი ინგლისელი მას უნდობლად უყურებს. ის სრულიად უცხოა ერის ზნე-ჩვეულებათა და გრძობათათვის. დეტექტივები ფაქტობრივად ფარულად მუშაობენ“. თუმცა სწორედ ჰენდერსონმა გაზარდა სკოტლანდ-იარდის დეტექტიური განყოფილება 24 კაცამდე. უფროსად კი ჯონათან უიჩერის ყოფილი ასისტენტი, სუპერინტენდენტი უილიამსონი დანიშნა, ზედმეტსახელად ფილოსოფოსი, რომელმაც პირველად სცადა დაქსაქსულად, თავთავიანთი მეთოდებით მომუშავე დეტექტივთა გაერთიანება.

პრაქტიკულად კი უკვე, აქამდე 50 წლით ადრე, ითქვა უარი სისხლის საქმეთა დამნაშავეების გადასახლებაზე. სასჯელს რომ მოიხდიდნენ, ინგლისის ციხეებში დამნაშავენი თავისუფლდებოდნენ და, რადგანაც არავინ ადევნებდა თვალყურს, უმეტესობა ძველ „ხელობას“ უბრუნდებოდა. მხოლოდ 1871 წელს მიიღო პარლამენტმა დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა რეციდივისტთა რეგისტრაციას მათი ფოტოებისა და პიროვნების აღწერის მიხედვით. მაგრამ მალე ეს სიები სკოტლანდ-იარდიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაიტანეს, რითაც ყოველგვარი პრაქტიკული დანიშნულება დაუკარგეს. მაშინ უილიამსონმა კვლავ სკოტლანდ-იარდში

დაიწყო რეგისტრაცია. და მხოლოდ რვა წლის შემდეგ შეძლო თავისი ძალისხმევით შედეგები ეხილა; მაგრამ სკოტლანდ-იარდმა ამასობაში მძიმე დარტყმა იგემა. უილიამსონის სამი ძველი და პატივცემული თანამშრომელი - მაიკლჯონი, დრეჟკოვიჩი და კლარკი - მექრთამეობაში ამხილეს.

სკანდალმა სკოტლანდ-იარდში უნდობლობის ახალი ტალღა ააგორა. ყოფნა-არყოფნის არჩევანის წინაშე სკოტლანდ-იარდმა ბოლოს და ბოლოს მტკიცე ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძინა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სიახლეთა მოყვარული ადვოკატი ჰოვარდ ვინსენტი. იგი სიურტეს მუშაობის შესასწავლად სასწრაფოდ გაემგზავრა პარიზს. ვინსენტმა გადაიღო ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო ფრანგისაგან ესესხა. ჯერ კიდევ დაქსაქსული დეტექტივთა ჯგუფისაგან მალევე შექმნა კრიმინალისტური ძიების განყოფილება, რომელმაც განსაზღვრა მომავალი სკოტლანდ-იარდის სახე.

მის მიერ შემოღებული ერთ-ერთი სიახლე გახლდათ დამნაშავეთა თვალთვალის ორგანიზება. უკვე არსებული პრაქტიკის მიხედვით მთელი ძალით შეუდგა დამნაშავეთა ფოტოების შეგროვებას, რომელთაც ალბომებში უყრიდა თავს და კვირაში სამჯერ 30 დეტექტივს ჰოლოუეის ციხეში აგზავნიდა იმის შესამოწმებლად, ახალმიყვანილებში ნაცნობი დამნაშავენი ხომ არ არიანო. თანდათანობით საქმე წარმატებულად წარიმართა.

რამდენად ამრეხით უყურებდნენ სკოტლანდ-იარდს, ინგლისელები, ქვემოთ მოყვანილი შემთხვევიდანაც ჩანს: როდესაც სუპერინტენდენტი უილიამსონმა ერთ-ერთ უცნობს, ძალიან რომ ჰგავდა პენსიაზე გასულ სკოტლანდ-იარდის თანამშრომელს, ჰკითხა, ერთმანეთს ხომ არ ვიცნობთ, ჩვენთან ხომ არ მსახურობდითო, პასუხად მიიღო: არა, მადლობა ღმერთს, ასე არ დავცემულვარო...

1884 წელს კრიმინალური ძიების განყოფილების უფროსად ვინმე ჯეიმზ მონრო დანიშნა.

1888 წლის 6 აგვისტოდან 9 ნოემბრამდე უცნობი მკვლელის დანაშაულებმა ინგლისური საზოგადოება შეძრა. მკვლელობები ღამის თერთმეტ საათსა და გამთენიის ოთხ საათს შორის ხდებოდა უაიტჩეპლის, სპაიტლფილდისა და სტეპნის რაიონებში. ყველა მოკლული მეძავი იყო. მკვლელს სისასტიკისათვის, რომლითაც დანაშაულს სჩადიოდა, ჯექ მფატრავი შეარქვეს. ამ მკვლელობათა სერია ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო.

რალა თქმა უნდა, ლონდონის საზოგადოებრიობის აღშფოთება კანონზომიერი გახლდათ. მაგრამ ეს აღშფოთება თვით საზოგადოებისაკენ არ უნდა ყოფილიყო მიმართული? ჯექ მფატრავის მკვლელობებმა ხომ საზოგადოება ყველაზე საშინელი მხრიდან წარმოაჩინა, ცხადყო, სადამდე შეიძლება მივიდეს პირადი თავისუფლების მტკიცე ხელშეუხებლობა (მათ შორის ნებისმიერი ადამიანის გადაადგილების შეუზღუდავი თავისუფლება და ნებისმიერი სახელის ტარების უფლება). პარიზული გაზეთები ეროვნული სიამაყით აცხადებდნენ, ჯექ მფატრავი პარიზში კვირების განმავლობაში მკვლელობებს ვერ ჩაიდენდაო.

და სწორედ ამ დროს ასპარეზზე ჩნდება გალტონი, - დამნაშავეთა რისხვა თითის ანაბეჭდთა შემწეობით...

ეკა ბუჯიაშვილი

წყაროები ქართული სათავიდან

– ისე როგორ იქნება, მშობლიურ სოფელში ყელ-ქცეულში მიმავალმა გზად აქაც არ შემოვუხვიო, ამ წყაროებთან არ გავგრილდე და მერე ამ სახლის აივანიდანაც არ გადმოვხედო აქაურობასო, – ამბობს ბატონი **როსტომ ჩხეიძე** და ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის წყაროებისკენ მიგვიძღვის.

მოჩხრიალებს ცივ-ცივი წყალი, ნაკადულეზად იღვრება და მიედინება თავის კალაპოტში.

ნეტავი საით მიდიან ეს ნაკადულები?

რა გზას დასდგომიან?

სად მიისწრაფიან ასე გამალებით?

ან რას მირაკრაკებენ, რას უამბობენ ქვეყნიერებას?..

ახლა ჩვენც იაკობის სახლის აივნიდან ვუმზერთ უმშვენიერეს სურათს. ამ სანახაობამდე კიდევ ბევრი საინტერესო რამის მომსწრენი გავხდით იმ დღეს და უმჯობესია მეც ყველაფერი თავიდან დავიწყო:

ამ ეზოში მალე ღია ექსპოზიციაც გამოიფინება სახელწოდებით: „ქართლის სოფელი ძველად“. აქვე, ეზოს ერთ კუთხეში კი სკოლის მოსწავლეებსაც ნახავთ პატარა თოხებითა და ფუნჯებით ხელში, საგანგებოდ მათთვის ქვიშაში ჩაფლულ არქეოლოგიურ მასალას თავიანთი პატარა ხელებით მოიძიებენ და ვიდრე „დიდი არქეოლოგიისკენაც“ გაუწევდეთ გული, მეცნიერების ამ დარგის საიდუმლოებებს ისტორიის მასწავლებლებთან ერთად აქ, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში შეისწავლიან.

მალე მუზეუმის ეზოც კიდევ უფრო დამშვენდება, შენობის დარბაზები კი ბევრ საინტერესო ექსპოზიციას დაიტევს. ყველა ამ ინიციატივას მუზეუმის ხელმძღვანელი ქალბატონი **თინა სოსანიძე** თავის თანამშრომლებთან ერთად უდგას სათავეში. ახლა სწორედ ისინი მიგვიძღვენიან საექსპოზიციო დარბაზებისაკენ და ათწლეულების,

საუკუნეების წინანდელი საქართველოს ამ ლამაზი კუთხის ისტორიაში გვამოგზაურებენ. უჩვეულოდ პატარა საფეხურებით ავდივართ მეორე სართულზე, სადაც მე-19 საუკუნის გორის ქალაქურ ყოფაში აღმოვჩნდებით და ეს სურათებიც კადრებივით შემორჩება მესხიერებას:

კაკლის ხის ბუფეტი, კამოს ოჯახის ნაქონია თურმე.

კედელზე საათი წიკნიკებს, ნიკო ლომოურის ნივთებიდან.

ხალიჩა გარსევანიშვილების ოჯახიდანაა.

ფისპარმონია ერთ გორელ კაცს, მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიიდან ჩამოუტანია.

აქვეა სტენდი - იაკობ გოგებაშვილის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ამსახველი. და კიდევ ნიმუში მისი ძეგლისა, 1999 წელს ჩატარებულ კონკურსში რომ გაიმარჯვა (ავტორები: **ჯაბა შატაკიშვილი, ზურაბ ტაბატაძე, ვანო ბაინდურაშვილი**) და წლებია ხორცშესხმას ელის და გამომზეურება-დამკვიდრებას გორში, ჭონქაძის ქუჩისა და მშვიდობის გამზირის გადაკვეთაზე.

დარბაზის შუაში მრგვალი მაგიდაა.

მაგიდაზე სამოვარი.

და წარმოსახვითი სურათი:

სხედან ამ მაგიდასთან ქართველი მამულშვილები, სვამენ ჩაის და საუბრობენ... საქართველოზე.

თუკი რაიმე განსაკუთრებული ნიმუში არსებობს ქართული ხელსაქმისა, აი, ამ დიდ სკივრში ინახება, ამჯერად თავი რომ აუხსნიათ და ამოუფენიათ შეიდიშები ოქრომკერდით ნაქარგი ბოლოებით, უნიკალური ტექნოლოგიით – ნაცურით ნაქარგი სარტყელები, მთისა თუ ბარისათვის დამახასიათებელი ფიგურული თუ მცენარეული ორნამენტით დამშვენებული ქართული მზითვევი, თუმცა არა მხოლოდ ქართული – აი, ეს ქირმან-შალი სპარსული წარმოშობისაა, საქართველოში ბუხარის სკოლის სახელით არის ცნობილი, ოღონდ აქ ირანელი ქალის ასეთი მოსახვევი შუაზე გაუჭრიათ და ბაღდადურის სახით დაუმკვიდრებიათ.

ამ ურთულესი კომპოზიციებით მორთული ფარდაგის ორნამენტის ბორდოსფრად შესაღებად ოდესღაც ქარ-



თველ ქალს მუხის ჭია უგროვებია, გაუხმია, დაუფქვია და ასე დაუმზადებია საღებავი.

იდგა ასეთი დიდი სკივრი ქართულ ოჯახებში. ივსებოდა ოქრომკერდით ნაქარგი შეიდიშებით, ულა-მაზესი ორნამენტით დამშვენებული შესამოსელით, სუფრებით, თეთრეულით, ფარდაგებით...

მდიდრდებოდა ქართული ხელსაქმის ტრადიცია, კულტურა.

და აეხსნებოდა სახურავი სკივრს საუკუნეების შემდეგ.

ამოეფინებოდა და ამოეფინებოდა იქიდან ქართული ისტორია, ხელისგულზეც გადაიშლებოდა, ხელშესახებიც გახდებოდა და თვალწინ გედგას სურათი:

იჯდა ქართველი ქალი თავის კერიასთან. და საკუთარ მომავალთან ერთად ქართული ტრადიციის ისტორიას ქსოვდა და ქარგავდა.

* * *

სოფელ ხიდისთავში ერთი ქართველი კაცის კარ-მიდამოში, სათონის სახურავზე ტყვიის კვალაია.

ეს კვალი შარშან ზაფხულში დაჩნევია სახურავს, საბედნიეროდ უმსხვერპლოდ.

ის ტყვია სამი საუკუნისწინანდელ თოფში იდო. თოფი აგერ, მუზეუმის ამ საცავში ინახება.

ხიდისთაველი ქართველი კაცი იარაღის რესტავრატორი ზურაბ ნონიკაშვილია, ვისაც იარაღის ენა საუკეთესოდ ესმის, ბანარაულის ტექნიკის საიდუმლოც ამოუხსნია და გამოუდნია კიდევ თურმე ფოლადი ამ წესით. შარშან კი გასანმენდად წაუღია იარაღი მუზეუმის ფონდიდან და უცებ...

თოფისწამლის კვამლი ამოჭრილა ჰაერში. სივრცე გაუზზარავს სამი საუკუნის წინ დატენილი თოფის დაჭექებასა და შიშის ზარს...

ამ ლამაზ ჭურჭელს შორის კი უთუოდ გამოარჩევთ ორ ბოთლს: ერთი მწვანე მინისგანაა ჩამოსხმული, მეორე კი ლურჯია, დეკორატიული. ორივე ელიზბარ ერისთავის მიერ ღვარებში დაარსებულ მინის ქარხანაში ჩამოუსხამთ თურმე.

ვეხები ბოთლს და თითქოს ის მზერა აირეკლება მასში - რალაცნაირად სევდიანი, დაფიქრებული, 1832 წლის შეთქმულების მთავარსარდალი რომ გაიცქირებოდა შორეთში.

უკვე გადავლილიყო ჩახშობილი შეთქმულების ტალღა.

გაუსროლელი დარჩენილიყო ეროვნული იდეებით დატენილი თოფები.

იჯდა ელიზბარ ერისთავი თავის მაგიდასთან, მდუმარედ სვამდა ჩაის, შორს იმზირებოდა დაფიქრებული... და იქნებ ასეთი სურათიც ედგა თვალწინ:

დაუდგებოდა ასეთი ფაში საქართველოს - სამშობლოს გაბრწყინებას იზეიმებს ქართველი ერი. გადმოიღებს მამაპაპურ თოფს ქართველი კაცი. ჰაერში აიჭრება თოფისწამლის კვამლი.

და თავისუფალ სივრცეებს გადაწვდება ხმა ოდესღაც ეროვნული იდეებით დატენილი თოფის დაჭექებისა.

* * *

ელიზბარ ერისთავის სტენდის გვერდით საფრანგეთის ეროვნული გმირის, ქართლის მედროშეთა შთამომავლის დიმიტრი ამილახვრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ცნობები და ფოტოებია გამოფენილი.

ეს კედელი კი იაკობ გოგებაშვილის ღვანლს, მის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას ეთმობა -

სხვადასხვა წელს გამოცემული „დედაენის“ ნიმუშები; „დილის“ გვერდები; ფოტოები...

მუზეუმის გიდი **თამუნა კოშორიძე** სიტყვას ბატონ როსტომ ჩხეიძეს უთმობს და იაკობ გოგებაშვილის შესახებ დაწერილი, ჯერ გამოუცემელი ბიოგრაფიული რომანის ავტორს სთხოვს ამ დიდი მოღვაწის შესახებ უამბოს შეკრებილთ და ისიც:

ყაზბეგით მშფოთვარედ არ უცხოვრიათ. არც სხვებივით მღელვარე ბიოგრაფია ჰქონიათ.

მისი ცხოვრება თითქოს დიდად არ იქცევს ყურადღებას - მდორედ მიედინებოდა, პედანტურად აწყობილი დღის რეჟიმით. ყველაფერი გამოზომილი ჰქონდა, რადგან მძიმე სენით იყო ავად, თავს კი მისიით მოსულად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ყველაფერი უნდა გაეკეთებინა მის შესასრულებლად.

მისია კი ასეთი იყო: ქართველობა გარუსებას გადაერჩინა... თუნდაც საამისოდ მარტოკაცს დასჭირებოდა კრიჭაში ჩასდგომოდა უზარმაზარ იმპერიას.

გვიამბობს ბატონი როსტომი ფრაგმენტებს იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიიდან და ახლა ასეთი კადრები ენაცვლება ერთმანეთს:

* * *

აკაკი წერეთელი იხსენებს: ვხედავ, ერთხელ, იაკობი რალაცნაირად ახირებულად ჩამოდის დაღმართზე - გადახტება, გადმოხტება... მერე ისევ.

- ვაიმე, იაკობი გაგიჟებულაო, - უფიქრია აკაკის. მიზეზი კი ის ყოფილა, მორწყული ადგილებისთვის აერიდებინა ფეხი.

ისიც ცნობილი იყო, რომ წვიმაში გარეთ არ გამოვიდოდა, სახლში კი არაფრისდიდებით არ შევიდოდა, ვიდრე მოსამსახურე ქალი ფანჯრებს არ დაკეტავდა - ვაითუ ორპირმა ქარმა გამიაროსო.

მისია ჰქონდა და უნდა ეცოცხლა. თუ საჭირო იყო, შეფუთულსაც უნდა ეარა.

ორპირსაც მორიდებოდა... სველ მინაზე ფეხის დადგმასაც...

და 70 წელს მიღწეული უფალს რომ ემადლიერება: ჩემი მისია შევასრულე, რაც მინდოდა გავაკეთე, შეუძლია ჩემი სული მიიბაროსო, ამასაც დასძენს:

- ისე... ცოტასაც რომ მაცლიდეს... საბავშვო ბაღსაც მივხედავდიო.

* * *

1905 წლის რევოლუციური გამოსვლება.

ერთადერთი, ვინც ამ ყველაფერს მწვავედ უპირის-პირდება, ილია ჭავჭავაძეა - კაცი, ვინც პირველმა ახსენა რევოლუცია ქართულ სიტყვიერებაში: რევოლუცია ნუ გაშინებთ, ხალხო, ეგ არის, ქვემონი ზემოთ მოექცევიან, ზემოთ მყოფნი კი ქვემოთო, მაგრამ...

გადის ხანი, ილია ყველაფერს სხვა თვალთ შეხედავს და მიხვდება, რომ რევოლუცია დანაშაულია კაცობრიობის წინაშე და ერთადერთი გზა ხსნისა არის ევოლუცია.

ილია განზე გადგება.

გაუცრუვდებათ მოლოდინი მათ, ვისაც ეგონა, რომ ეს დიდი მოღვაწე წინ გაუძღვებოდათ იმ დღეებში.

აი, აკაკი აჰყვება რევოლუციის ტალღას.

ვაუაც...

მაგრამ ილიას მკვლევლობის შემდეგ მიხვდებიან თავიანთ შეცდომას. თუმცა ეს იქნება ცოტა მოგვიანებით, ჯერ კი...

1905-ის რევოლუციური გამოსვლებია.

რუსთაველზე უნდა გაიაროს ხალხმა. იაკობიც გამოვა ქუჩაში ქოლგით. ხელისუფლება კი ჯარს მიუსევს ხალხს.

გარბის იაკობიც. მისდევს ხმალამოღებულ ყაზახს. ჰაერში მიფრინავენ საკუთარ ჯანმრთელობაზე ნალოლიავეები იაკობის კალოშები.

ერთი იქეთ, მეორე აქეთ.

შევარდება ბიბლიოთეკაში, წიგნებს ამოეფარება და ასე გადაირჩენს თავს.

ადიდებულყოფი მისი ცხოვრების მდორე დინებაც.

- სხვათა შორის, მამაჩემი მეუბნებოდა: მოთხრობა მინდოდა დამეწერა ამ თემაზე, სათაურიც მოფიქრებული მქონდა: მიფრინავენ კალოშებით, - ამბობს ბატონი როსტომი.

თვითონ დანერს.

მოთხრობას არა, მაგრამ ამ ამბავს ბიოგრაფიულ რომანში ჩაურთავს ჩვეული შთამბეჭდაობით და იმ ქვეთავს ასევე დაასათაურებს:

„მიფრინავენ კალოშები“.

ეს ეპიზოდი იქნებ არანაკლებ მღელვარეა იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიიდან:

იაკობი პედაგოგად მუშაობს. დიდი გავლენა აქვს ახალგაზრდებში. იმდროინდელი სწავლების სისტემას კრიჭაში ჩასდგომია და ახერხებს კიდევ მეტოქეობას. ამიტომაც გადანყვებენ სახელი გაუტეხონ. კომისიას გა-

უგზავნიან, ვერაფერს აღმოუჩინენ, მაგრამ აწვალბენ, გაუთავებელ დაკითხვებს უწყობენ. ნერვები უმტყუნებს იაკობს და... მტკვარში გადახტება.

ბენვზე შეესწრება ნიკო ცხვედაძის ძმა. წყალში ჩაყურყუმელავებულ იაკობს ნაპირზე გამოიყვანს, თქმით კი ამას იტყვის: არა, ფეხი აუცდა და ჩავარდა. მე ჩემთვის მივდიოდი, ჩემი დახმარება სულაც არ სჭირდებოდა, ისე, რატომღაც ჩავერიე სხვის საქმეში.

მერე ყველაფერი შეიცვლება.

მერე ასე იოლად დასველებას ვერ გაბედავს.

ვერც თავს განირავს ასე ხელაღებით.

მისი სიცოცხლე მისიას სჭირდება.

აკი ამიტომაც ილიაც გამორჩეულ მოვლენად თვლის მას.

გამორჩეულადაც ენდობა.

ცოტა ფიცხი კაცი იყო იაკობი, არც ილია დაიხვედა ვინმეს წინაშე, მაგრამ იაკობს უთმობდა.

ხუმრობა ხომ არ იყო - მარტოკაცს სწავლების სისტემის გამოცვლა დაეჟინებინა და საამისოდ უზარმაზარ იმპერიას შესტოქებოდა.

- ქართველები გავარუსოთო, - გეგმავდა იმპერია.

- არ გაგარუსები-ნებთო! - ეპასუხებოდა იაკობი და რუღუნებით ადგენდა დედაენას.

ყველაფრის ბოლომ-

დე მიყვანა სჩვეოდა და ამ საქმესაც დაავგორგვინებს.

ჭიათურაში დარსებულ სასწავლებელს სწავლების ენად რუსულს რომ განუსაზღვრავენ, მისი ხელმძღვანელი კიტა აბაშიძე თავს იმართლებს: რა ვქნა, ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ არაფერი გამომივიდაო.

- ეგ რა ცდა არისო, - გაიკვირვებს იაკობი, - ჯერ უნდა დაიწყო სკოლით, მერე მზრუნველს უნდა მიმართო, მერე - ქალაქის თავს, გუბერნატორს... პეტერბურგამდე უნდა ჩახვიდე და ყველგან იჩივლო. წარმოუდგენელია ამის შემდეგ საქმე არ დაიდრას, თუ არა და... ისევ თავიდან უნდა დაიწყო.

თვითონ ასე შეძლო უდიდესი მისიის განხორციელება. სასკოლო განათლების ეროვნული სისტემა ჩამოაყალიბა და ერი გარუსებას გადაარჩინა.

აი, ცოტაც კიდევ რომ ეცლია უფალს...

მუზეუმის ამ დარბაზსაც დავათვალიერებთ და ვარიანისკენ გავუყვებით გზას. ეს ექსპოზიცია არქეოლოგიურ მონაპოვარს ეთმობა - ხიზანანთ გორის, გუდაბერტყია -



პირველი სკოლა ვარიანში - იაკობ გოგებაშვილის სახლში

ციხია გორის, დვანის, მეღვრეკისის, ტყვიავის გათხრებისას მოძიებულ თიხის მასალას. და თვალწინ იშლება ადრეპრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურა.

- მუზეუმის ფონდების მოწესრიგება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, - ამბობს ქალბატონი თინა სოსანიძე, - აქამდე ეს ყველაფერი ძალიან ტენიან შენობაში იყო, ვერც ექსპოზიციის გაშლას ვახერხებდით. ცოტა ხნის წინათ, ქალაქის მუნიციპალიტეტმა გადაგვიჭრა ეს 70 წლიანი პრობლემა. საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარის **პაატა ჩხეიძის** ძალისხმევით ეს შენობა, რომელიც ადრე საბავშვო ბაღს ეკუთვნოდა, მუზეუმს გადამოეცა. ძალზე დიდი სამუშაოები ჩატარდა იმისთვის, რომ აქაურობას ასეთი სახე მიეღო. იმ ძველი შენობიდან ბევრი არაფერია დარჩენილი, იმ პატარა საფეხურების გარდა, ბავშვებისთვის რომ იყო გათვალისწინებული.

დღეს ამ პატარა საფეხურებით ყველა თაობა შეძლებს ამალდეს იმ დარბაზებამდე, საიდანაც საკუთარი კუთხის, ქალაქის, ქვეყნის კულტურა და ისტორია თვალნათლივ მოჩანს.

ისე როგორ იქნება ჩემს სოფელში, ყელქცეულში მიმავალმა გზად აქაც არ შემოვიარო, იაკობის წყაროებთან არ გავგრილდე და მერე მისი სახლის აივნიდან არ გამოვხედო არემარესო, - ამბობს ბატონი როსტომი და ჩვენც პემვით ვენაფებით წყალს, თვალით - მშვენიერებას, გონებით იაკობის სიტყვებს: „ჩემი სიცოცხლე, მთელი ჩემი ძალები და ცოდნა ეკუთვნის სამშობლოს“.

ან: „მარტოოდენ დედაენას შეუძლია გაუწიოს ბავშვებს გუთნის სამსახური“.

ან... რა ვიცი, რომელი ერთი წაგიკითხოთ.

აქვე, ეზოში, გოგებაშვილების კარის ეკლესიაში მამა გედევანი პანაშვიდს იხდის იაკობის სულის მოსახსენებლად.

გალობენ ამ ტაძრის მრევლის წევრები: **რუსუდან მიქელაძე, მაკა სარიშვილი, მზია ჩიჩუა**.

სულ მალე კი ამ აივნიანი სახლის ზღურბლსაც გადავაბიჯებთ და იაკობის სამყაროში აღმოვჩნდებით.

მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი **ნათია ადუაშვილი** და ფონდების მცველი ქალბატონი **თინათინ შაქარაშვილი** შეგვიძღვებიან ამ სამყაროში.

„პატარა სოფელს სახელი მაშინ გაუვარდება, როცა დიდი ომი მოხდება ან დიდი კაცი დაიბადება“, - უთქვამს ვიქტორ ჰიუგოს.

ვარიანს უფალი ომისგან დაიფარავდა და მადლით გაუთქვამდა სახელს - 1840 წელს დიდი კაცი დაბადებულიყო ამ სოფელში, თვით ილია რომ დიდ ეროვნულ მოვლენად მიიჩნევა, აი, ისეთი დიდი კაცი.

ამ სახლის ქვემოთ პატარა ბანიანი ბინა მდგარა, მერე იაკობს აუშენებია ეს სახლი და აქ სკოლაც დაუარსებია ვარიანელი ბავშვებისათვის.

1958 წლის დეკემბერში გახსნილ სახლ-მუზეუმში ბევრი არაფერი შემორჩენილა იაკობ გოგებაშვილის ნივთებიდან. არც არაფერი ჰქონია ფუფუნებისა ცხოვრებაში. ერთადერთი სიმდიდრე მისი ავტორობით გამოცემული

ნიგნები და დიდი ბიბლიოთეკა იყო. ეს ყველაფერი, 13000 მანეთ ფულთან ერთად – მთელი ცხოვრების მანძილზე რომ დაეზოგა – წერა-კითხვის საზოგადოებისთვის ეანდერძებინა, რათა საქართველოში აშენებულიყო ქართული სკოლები და ერთი ბავშვიც არ დარჩენილიყო წერა-კითხვის უცოდინარი.

აკი სწორედ ამ მიზნით, 1900 წელს, საკუთარი ხარჯებით, საცხოვრებელი სახლის ამ ოთახში გაუხსნია პირველი ორკლასიანი სკოლა და მასწავლებლად თავისი ძმისშვილი ალექსანდრე გოგებაშვილი გამოუგზავნია. ასე შეასწავლა თურმე ვარიანელ გლეხის შვილებს უსასყიდლოდ წერა-კითხვა. მერე კი მეორე დიდი დარბაზიც მოუშენებია სახლისთვის და იქ შვიდკლასიანი სკოლა გაუხსნია.

ბევრი არაფერი შემორჩენილა მისი ნივთებიდანო.

ზოგი რამ მისი სენის გამო, გაუნადგურებიათო, - გვიამბობენ მასპინძლები.

აი, ეს საწერი მაგიდა კი ისევ დგას. ის ლამპაც, რომლის შუქზეც რუდუნებით ადგენდა დედაენას.

ეს ბალიშისა და მუთაქის პირები ქრისტიანე დიდებულის მოქარგული ყოფილა და ძალიან უყვარდა თურმე იაკობს. კედელზე ჩამოკიდული ჭრელი ხალიჩაც, რომელიც გასათხოვარი ქალის მზითვეს უფრო ჰგავს, მემადიანის აღწერით, არასოდეს მოუცილებია გვერდიდან, საწოლთან ეკიდა ყოველთვის.

ამ ოთახში კი დღესაც სიმბოლურად აწყვია პატარა მერხები.

მერხებზე – იაკობის დედაენა.

კედელზე დაფა კიდია, რომელზეც ბავშვის მიერ დახატული იებია გამოსახული და სასოებით გამოყვანილი ასოები: აი ია.

სურათი ბოლო - ეპილოგისათვის:

საოცარი სანახაობა გეშლება თვალწინ იაკობ გოგებაშვილის სახლის აივნიდან:

მოჩუხჩუხებენ წყაროები, აი, ამ აივანქვეშ გაივლიან ნაკადულებად.

დგას სახლი, მკვიდრ საძირკველზე გაჭრილი და ხედავთ თიქოს ასეთ სურათს:

მირაკრაკებენ ნაკადულები, მიდიან, ამ საძირკველიდან იღებენ სათავეს, თავიანთ წილ კალაპოტს მიუყვებიან, მერე იტოტებიან, იშლებიან, ქართულ მინდვრებსა და ველებს მოედებიან, მთელს საქართველოს შემოივლიან, სიცოცხლით აჯერებენ და ანოყიერებენ ნიადაგს, იმ ხნულს, ერთმა დიდმა ქართველმა კაცმა რომ გაჭრა, შიგ მადლიანი მარცვალი ჩაადგო და თავისი წილი მზეც დაუტოვა გასალივებლად.

ღივდება მარცვალი თბილ ხნულში.

იზრდება, ივსება, ისეთ ნაყოფს ისხამს, თაობები რომ იგემოვნებენ.

ნაკადულები კი... მიდიან და თავისას მირაკრაკებენ:

არ გაგარუსებინებთ!

არ გაგამერიკელებინებთ!

არ გაგაუცხოტომებინებთო!

მანანა არველაძე

იალქნების სიმფონია



რეპატა – სპორტის გაღვივებული სახეობა

თბილისის ზღვა და ყველასათვის ცნობილი „იახტკლუბი“ მრავალი წლის ისტორიას ითვლის, ხოლო შეჯიბრს, რომელიც 2005 წლის ზაფხულში ჩატარდა, 18-წლიანი პაუზა ჰქონდა საიალქნო სპორტის მესვეურებისაგან დამოუკიდებელ მიზნით გამო. წელს რეგატა ბათუმი-ფოთის აკვატორიაში 5-12 აგვისტოს მოეწყობა და ეს მხოლოდ ჩემპიონატი კი არა, ნამდვილი „შოუ“, შეუდარებელი სანახაობა აღმოჩნდა. საქართველოს თასის გათამაშებაში მცირე საკრეისერო ნავეებს შორის 8,50 მ-ის კლასში პირველი ადგილი თბილისელმა აფროსანმა თენგიზ ლაზარაშვილმა მოიპოვა. ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი გამარჯვებული ეკიპაჟის კაპიტანსა და შეჯიბრის მონაწილეებს შეხვდა.

– ქართველი გულშემატკივარი არ არის განებივრებული სპორტის ამ ლამაზი სახეობით, როგორი იყო მაყურებლის რეაქცია?

თენგიზ ლაზარაშვილი: გულშემატკივარი ბლომად იყო, მაგრამ ერთ ათად გაიზარდა, როდესაც ბათუმის სანაპიროდან ხალხმა დაინახა იალქნიანი ნავეები.

– რას მოუტანს წელს ჩატარებული შეჯიბრი საიალქნო სპორტს?

თენგიზ ლაზარაშვილი: საქართველოს იახტსმენთა ძველი თაობის უმრავლესობა 1989 წლიდან არც ერთი საკრეისერო იახტების შეჯიბრში არ მონაწილეობდა. თუ ადრე სსრკ-ის მასშტაბით ატარებდნენ რეგატებს, წელს საქართველოში გამართული ეს შეჯიბრი მას უტოლდება თავისი სირთულით. ეს შეჯიბრი დამოუკიდებელ საქართველოში პირველი იყო, აქ მონაწილეობდნენ როგორც გამოცდილი იახტსმენები, ისე ახალბედები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აფროსნების რიცხვი საქართველოში იზრდება, ეს კი ხელს უწყობს სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას.

– ვისი ინიციატივით შეიქმნა აფროსანთა ასოციაცია?

თენგიზ ლაზარაშვილი: ძველმა აფროსნებმა გადაწყვიტეთ, აღვედგინა ეს სახეობა. ასოციაციის შექმნამ საშუალება მოგვცა, უფრო მასშტაბური შეჯიბრი უკვე შავი ზღვის სანაპიროზე ჩავვეტარებინა. ადრე შეჯიბრი საკრეისერო ნავეებს შორის მხოლოდ თბილისის ზღვაზე ტარდებოდა.

– შეჯიბრის მიმდინარეობისას ალბათ იყო ექსტრემალური სიტუაციებიც.

თენგიზ ლაზარაშვილი: აფროსნობა ექსტრემალური სპორტის სახეობას განეკუთვნება. ამჯერად რთული ვითარებანი არ შეგვექმნია, მაგრამ ერთ-ერთი რბოლისას ჩვენი ნავი დელფინთა გარემოცვაში აღმოჩნდა, ამ სანახაობამ ახალბედა სპორტსმენების დიდი დაინტერესება გამოიწვია, ისინი ნავის ერთ-ერთ მხარეს დადგნენ, რამაც შექმნა ერთობ რთული, მაგრამ კურიოზული სიტუაცია.

– საორგანიზაციო საკითხის ნაწილის მოგვარება საკუთარ თავზე აიღო აფროსანთა ასოციაციამ და ჯუმბერ ცომაიამ.

თენგიზ ლაზარაშვილი: დიას, ჯუმბერ ცომაია ფოთელი სპორტსმენია და ფოთის იახტკლუბის ხელმძღვანელი. მას მსოფლიოს გარშემო რბოლაში აქვს მიღებული მონაწილეობა. სწორედ მან არ „მოაძინა“ საიალქნო სპორტი და ახალგაზრდა სპორტსმენთა გუნდი ჩამოაყალიბა, მისი ნევრები საერთაშორისო რეგატებში ოლიმპიურ კლასებს შორის ასპარეზობენ. კატეგორია 7,5 მ-ის „ლ-25“-ის კლასში ჩემპიონები ფოთელი იახტსმენები გახდნენ.

„რადგან საიალქნო სპორტი ძვირადღირებულია, ეს შეჯიბრი კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს განვითარების დონეს, რადგანაც ქვეყანაში, რომელიც ნგრევისკენ მიდის, მსგავსი შეჯიბრი ვერ გაიმართებოდა. ჩვენთან კი სხვაგვარად არის საქმე – რეგატები კვლავ და კვლავ ტარდება და, ვიმედოვნებთ, რომ გაიმართება ერთიანი საქართველოს შავი ზღვის ტერიტორიაზეც.“

ნუგზარ დავლიანიძე 1974 წლის საკავშირო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორია, საქართველოს პირველობის მრავალგზის გამარჯვებული, 2 სპარტაკიადის მონაწილე. აფროსანთა

ასოციაციას, რომელიც 2005 წელს ჩამოაყალიბდა, გია კოპალეიშვილი და გია გრიგოლია ჩაუდგნენ სათავეში. წლების წინ ჩვენ დიდი ფლოტი გვექონდა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ან განსვენებული გოგი შაქიაშვილისა და ზურაბ მაისურაძის დიდი წვლილი საიალქნო სპორტის განვითარებაში. აგრეთვე ძველი გვარდია: გივი ქარუმიძე, ილია ფერაძე, მიტო ვარძელაშვილი, თამაზ ზოიძე, გოგი ნასარიძე და გოგი ლაზარაშვილი. მაშინ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 12 კაცი შევდიოდით და მათგან 10 თბილისელი ვიყავით. შეჯიბრებებისას პირველი



თენგიზ ლაზარაშვილი

ადგილი მუდამ ჩვენი იყო...“ საუბარში 1984 წლის ევროპის ჩემპიონი გურამ ბიგანიშვილი შემოგვიერთდა: „ნელს ჩატარებული შეჯიბრის შესახებ საუბრისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მონაწილეთა ერთობაშია. წარმოიდგინეთ, ამ საქმეს მეტი ხელშეწყობა რომ ჰქონდეს, რა შედეგები გვექნებოდა... მიხარია, რომ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები დღეს დიდ ინტერესს იჩენენ საიალქნო სპორტის მიმართ და გვერდით უდგანან მას. მე მინდა, საქართველოს აფროსანთა სახელით დიდი მადლობა გადავუხადო ფოთის პორტის ყოფილ უფროსს ჯემალ ინაიშვილს, რომელმაც ააშენა შეუდარებელი იახტკლუბი, ევროპულ სტანდარტებს რომ შეესაბამება და თავისუფლად შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატების გამართვა. მან კლუბისათვის შეიძინა იალქნიანი ნავები და კატერები (მწვრთნელებისათვის). საიალქნო სპორტი დაკავება 6-დან 70 წლამდე ასაკის ადამიანებს შეუძლიათ; ეს არის ის, რაც ადამიანს ასწავლის შრომას, ზღვას, ვაჟკაცობას, სძენს სულიერ სიძლიერეს, არის ძალიან ბევრი და სასარგებლო დატვირთვის სინთეზი... 2007 წლის მარტიდან ვაპირებ ჩამოვყალიბო, თბილისელი აფროსნების დახმარებით, აფროსანთა სკოლა, სადაც მივიღებთ ბავშვებს (ვაჟებსაც და გოგონებსაც) 6 წლის ასაკიდან და ზევით. თეორიული კურსი სკოლის აღსაზრდელებს წაეკითხებათ ქალაქში, პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება თბილისის ზღვაზე. რაც შეეხება 2007 წლის შეჯიბრს, რომელიც საქართველოს აფროსანთა ასოციაციისა და ფედერაციის თაოსნობით ჩატარდება, შევა საერთაშორისო კალენდარში; მინდა მოვიწვიოთ ბულგარეთის, უკრაინის, თურქეთის, რუსეთის ანუ შავი ზღვის აუზის აფროსნები და მათი ქართველი და უცხოელი სპორტსმენების მონაწილეობით ჩატარდეს მომავალი წლის რეგატა. ამერიკაში საიალქნო სპორტი ერთ-ერთი პრესტიჟულია, აგრეთვე ევროპისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაშიც!

პაპუნა ძიძიგური გამარჯვებული ეკიპაჟის წევრია: „შეჯიბრის უმთავრესი მიზანი – საქართველოში მცირე საკრეისერო იახტების პოპულარიზაცია – თავიდანვე განსაზღვრული იყო, რასაც, ვფიქრობთ, წარმატებით გავართვით თავი. ერთი კვირის განმავლობაში აჭარისა და თბილისის ტელევიზიები მუდმივად გადასცემდნენ სიუჟეტებს შეჯიბრიდან. განსაკუთრებით შთაბეჭდავი იყო ბათუმის სანაპიროს გასწვრივ მოწყობილი იახტების აღლუმი. ნაირნაირი ფერის სპინაკერაჭიმულმა იახტებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსვენებლებზე. მნიშვნელოვანი იყო პირადი საუბრებიც დაინტერესებულ პირებთან. ბევრმა გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიიღონ მომავალი წლის შეჯიბრის ორგანიზებაში, რაც საშუალებას მოგვცემს, გავზარდოთ მონაწილეთა გეოგრაფია შავი ზღვის ქვეყნების მასშტაბით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მცირე საკრეისერო იახტების შექმნით დაინტერესება დასვენების მიზნით, არა მარტო საკრეისერო იახტებით სპორტულ შეჯიბრებებს წაადგება, არამედ ზოგადად საიალქნო სპორტის განვითარებასაც შეუწყობს ხელს და ამ მეტად ლამაზი ვაჟკაცური სპორტის სახეობაში ახალგაზრდებსა და ბავშვებს მოიზიდავს.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე შეჯიბრების დროს ჩვენი იახტების ირგვლივ დელფინთა მიერ მოწყობილი მსვლელობამ. 18-20 დელფინი ერთდროულად 10 წუთის განმავლობაში მოჰყვებოდა ჩვენს ნავს და ნაირნაირ სანახაობას აწყობდა იალქნის ირგვლივ. ძალზე ამაღლევებელი იყო ეს წუთები“.

საქართველოს უდავოდ დაამშვენებს, სხვა სასიკეთო ძვრებთან ერთად, ამ ძალიან ლამაზი სპორტის აღზევება. წარმოიდგინეთ ზღვა, მზე და შორს, სივრცეში, წყლისა და ჰაერის გადაკვეთაზე სხვადასხვა ფერის იალქნების სიმფონია... ამბობენ, ვინც ერთხელ მაინც მოხვდება იახტაზე, ან მიიღებს მონაწილეობას რბოლაში, ვერასოდეს განმორდება მას.



ლევან ბრეგაძე

უბის ნიბნაკიდან

* * *

„...ქარი ჩადგა სიბობოქრის – შეიძლება ლექსი მთლიანობაში არ ვარგა, მაგრამ ამ სტრიქონის გარეშე ქართული პოეზია და ჩემი თავი (მე – მკითხველი) ველარ წარმომიდგენია...“ (ზაზა შათირიშვილი, ნარატივის აპოლოგია. თბ., 2005, გვ. 180).

გალაკტიონის ლექსზეა საუბარი, პოეტის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელ უსათაურო ლექსზე, ოღონდ „ჩადგა“ კი არა – „დასცხრა“... ასე: „ქარი დასცხრა სიბობოქრის“.

სტრიქონი, რომლის გარეშე ვერც ქართული პოეზია წარმოგვიდგენია და ვერც საკუთარი თავი, კი უნდა გვახსოვდეს სწორად...

(ზაზას კარგი იუმორის გრძნობა აქვს და, ვიცი, არ ეწყინება).

* * *

სახელი უნდა გაგივარდეს, ოღონდ არ უნდა გაგიტყდეს.

თითქმის მაჯამაჯი

(ციკლიდან: მხიარული რითმები)

სულ დამივიწყა ამანაც,
ალარ მიგზავნის ამანათს.

*

რუბლი ანაცვალა მანაც
აზერბაიჯანულ მანათს.

აი კორექტურა!

„Национализм может быть чистым западничеством, евреизацией России“.

ეს რომ წავიკითხე, გაოცებისგან თვალები შუბლზე ამიცვივდა!

(ამ ფრაზის მისამართი ასეთია: Николай Бердяев, Судьба России. „Советский писатель“. Москва, 1990, с. 105. ნაშრომის სათაურია: „Национализм и мессианиззм“).

საგამომცემლო საქმეში გამოუცდელი არ მეთქმის და უცბად მოვეგე გონს: უნდა იყოს: „Национализм может быть чистым западничеством, евреизацией России“.

(სწორად არის გამოცემაში: Николай Бердяев, Судьба России. „ЭКСМО-ПРЕС“, Москва, „ФОЛИО“, Харьков, 2001, с. 364).

* * *

A TAM OKNA BANKOMATA.

რუსუდანის პალინდრომი აქტუალურ თემაზე.

* * *

რობერტ მუზილის აფორიზმი:

„სურვილი არის ნება, რომელიც თავის თავს მთლად სერიოზულად არ აღიქვამს“ („Der Wunsch ist ein Wille, der sich nicht ganz ernst nimmt“).

დედა!!! რა არის ეს!!

კოლოსალური ინფორმაცია პანია ფრაზაში!

* * *

ვილჰელმ შმიდმა თქვა ლექციაზე, სიყვარულის საპირისპირო ცნება სიძულვილი არ არის – უგულუბეყოფააო.

* * *

დღეს (26. 10. 2006) ერთმა ხნიერმა გერმანელმა მამაკაცმა ქაშუეთის ეკლესიასთან, ალექსანდრეს ბაღის კიდეში მდგარ ლადო გუდიაშვილის ძეგლზე მკითხა, ეს ვინ არისო? (ტურისტი იყო, ქალიც ახლდა, ალბათ მეუღლე). მხატვარი არის-მეთქი, ვუთხარი.

– მხატვარიო?! მხატვარი თუა, ფუნჯი რატომ არ უჭირავს ხელში?– გაიოცა.

მხრები ავიჩქრე: რა მოგახსენოთ-მეთქი.

– რა მშვენიერი ძეგლია, – განაგრძო მან, – მაგრამ მხატვარი თუა, ფუნჯი სადღაა?

(ბონიდან იყვნენ. მეორე დღეს ბრუნდებოდნენ შინ ტურისტულ ჯგუფთან ერთად).

* * *

რევან ჯაფარიძეს არ მოსწონდა კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი (ვაკეში რომ დგას) – კარიკატურააო. მისგანვე ვიცი, ცეკაში მისულა და განუცხადებია, ეს კონსტანტინეს დაცინვააო. იქ უთქვამთ, შენ რა გინდა, ზვიადს მოსწონსო. ზვიადისა სხვა არაფერი გვერათ და რაღა ეგ დაუფერეთო! – გაბრაზებულა ბატონი რეზო.

ვინ დაანგრია საბჭოთა კავშირი?

თამარ ჩიქოვანთან რადიოინტერვიუში ედუარდ შევარდნაძემ თქვა:

„ხრუშჩოვმა დაანგრია საბჭოთა კავშირი. არა შევარდნაძემ ან გორბაჩოვმა, მაგან დაანგრია, იმიტომ, რომ უჭკუო კაცი იყო“ (რადიო „თავისუფლება“, 08. 12. 2006).

რა ქვეყანაა ის ქვეყანა, სადაც, ჯერ ერთი, უჭკუო კაცი უმაღლეს ხელისუფლად მოახერხებს გაძრომას (პრინცი ხომ არ იყო, რომ მამის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობით მიეღო ქვეყნის მართვის უფლება!), და მერე იმასაც შეძ-

ლებს (ეს ერთი უჭკუო კაცი!), რომ იმ ქვეყანას დაანგრევს, რომელიც სამოქალაქო ომს, ინტერვენციას, ნაცისტურ გერმანიას და, რა ვიცი, რა უბედურებას აღარ გადაურჩა!

ხრუმჩოვმა კი არ დაანგრია საბჭოთა კავშირი, – საბჭოთა კავშირი ხრუმჩოვის ხელში დაინგრა!

საბჭოთა კავშირის თვით იდეაში იდო ის, რომ იგი უმაღლეს ხელისუფლებაში გამძვრალი უჭკუო კაცის ხელში დაინგროდა.

ასე მოხდება ყველგან, სადაც არ არის ხელისუფლების დანაწილება, კონკურენცია, კრიტიკის თავისუფლება.

* * *

დათო წერედიანმა მიამბო:

გიგლა ფირცხალავა (მხატვარი-კარიკატურისტი) ჩხორონწყუში მიუწვევიათ ზეიმზე და სიტყვით გამოსვლაც უთხოვიათ. გიგლა ასე მისაღმებია ქალაქს:

შენ სოფელი აღარა ხარ, აღარა ხარ, ნწუ!
ახლა უკვე ქალაქი ხარ, ჩემო ჩხორონწყუ!

მაქვს ერთი ნაშრომი „უდეტრები რითმად“ („ლიტერატურული ძიებანი“, XXV, 2004 წ.), რომელშიც იმ ეფექტზეა საუბარი, რასაც მარგინალურ მეტყველების ნაწილთა (შორისდებულების, ნაწილაკებისა და მისთ.) სარიტომო სიტყვებად გამოყენება იწვევს (ასეთი სიტყვები იგულისხმება: იმე!, აპა!, აპა!, ვაა!, იფ-იფ!, აუჰ! ძგუფ! და სხვ.). გიგლა ფირცხალავას ეს ორსტრიქონედი კარგად წარმოაჩენს, რა ეფექტი მიიღწევა სარიტომოდ გამოყენებული მეტყველების ნაწილთა „დემოკრატიზაციით“, მარგინალური სიტყვების გარეშით „ბობოლა“ სიტყვათა მარაქაში.

ეს „ნწუ“ უბრალო ვინმე ნუ გეგონებათ! აი რას წერს მის შესახებ აკაკი შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“:

„ცნობილია აგრეთვე შორისდებული, რომელიც მნიშვნელობით „არა“-ს უდრის და რომლის გამოსათქმელად საჭიროა, რომ წინა ენა სასას მიედოს, შემდეგ მოსხლტეს და თანაც ჰაერი, რომელიც პირის ღრუში მოიპოვება, შიგნით იქნეს შეწოვილი (გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, 26). ამ ბგერას დაახლოებით **წ** ნიშნებით გადმოსცემენ, მაგრამ ნამდვილად არც **წ** არის და არც **წ**“.

აქ სქოლიოს ნიშანია დასმული, ხოლო სქოლიოში ვკითხულობთ:

„1934 წელს წყალტუბოში ერთმა ჩემი ნაცნობის ბავშვმა (ასე 11-12 წლისამ) მკითხა: შეგიძლია, დაწერო, რაც უნდა სიტყვა გითხრა? – რატომ არა-მეთქი? – ვუპასუხე მე.

– აბა დაწერეო, მითხრა და წარმოთქვა ეს უკუთქმითი შორისდებული. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ვერ დავწერე და „მაჯობა“ (1973, 622).

* * *

„გარბის დრო, გარბის დრო, გარბის დრო“, – მღერის ნიაზ დიასამიძე.

„Как быстро, как быстро, как быстро“, – ბანს აძლევს ვილაც.

* * *

ვუსმენ რადიოს. ნარკომანიაზეა გადაცემა. რეკავს მსმენელი და კითხულობს: ჩამორთმეულ ნარკოტიკებს მართლა ანადგურებს ხელისუფლება თუ თვალს გვიხვევენო?

ანადგურებსო, უპასუხეს.

მართლა ანადგურებენ! თავს დავედებ, რომ ანადგურებენ. ჩვენი ტელევიზიითაც გვინახავს და უცხოურითაც, ქვეყნის დასანახავად როგორ წვავენ უზარმაზარი რაოდენობის „ნამალს“, მილიონებად ღირებულს!

ერთი ამბავი მახსენდება უნგრელი ავტორის იმტვან რატ-ვეგის ნიგნიდან „ნიგნის კომედია“:

ინგლისელმა კოლექციონერმა, რომელსაც ეგონა გამქრალი გამოცემის ერთადერთ გადარჩენილ ეგზემპლარს ფლობდა, ერთ მშვენიერ დღეს შეიტყო, რომ იმავე უიშვიათესი ნიგნის კიდევ ერთი ცალი არსებულა და მისი მფლობელი პარიზელი ბიბლიოფილი ყოფილა. მიაკითხა:

– ესა და ეს ნიგნი გქონიათ და უნდა მომყიდოთო.

– ეს ფასდაუდებელი ნიგნია, როგორ მოგყიდო! – იუარა ამან.

– ათი ათას ფრანკს გაძლევ ოქროთიო.

– არა, ბატონო, ხომ გითხარით, არ ვყიდი-მეთქი.

– ოცი ათასი!

ფრანგს ყოყმანი დაეტყო.

– ოცდახუთი ათასი, – მოუმატა ინგლისელმა.

ველარ გაუძლო ცდუნებას ფრანგმა და ნიგნი დათმო.

მყიდველმა ფული ჩაუთვალა მასპინძელს, ახლადმეძენილი ნიგნი ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და... ბუხარი იყო იმ ოთახში, ხოლო ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და გემრიელად... იმ ცეცხლში მოისროლა იმ ინგლისელმა ის ნიგნი, რომელშიც წუთის წინ ამდენი ფული გადაიხადა.

ვინც ვერ მიხვდება, რატომ ჩაიღინა ეს, ნიკო ორველაშვილს დაეკითხოს – ის აუხსნის.

* * *

დიდუბის მეტროსთან არის მაღაზია ასეთი სარეკლამო ნარწერით:

„**უმაღლესი კატეგორიის მეორადი ტანსაცმელი**“.

ბრწყინვალეა!

ამას მარტო ფრანც კაფკას ფრაზა თუ შეედრება „პროცესიდან“:

„**დაბალი კატეგორიის მაღალი რანგის მოხელეები**“.
(თარგმანი ნელი ამაშუკელისა).

* * *

ბორის დარჩიას ნაამბობი:

„ფილიპე ბერიძე ჭადრაკის თამაშისას, მოწინააღმდეგის დაშამათების წინ, მხრებს აინურავდა, ხელებს გაშლიდა და დაინუნუნებდა: „რა ვქნა, მეც ცოდვა ვარო!“

* * *

„უნდა ითქვას, რომ სახეზე ნამდვილად ჰქონდა კანონის დარღვევას ადგილი“ (ფრაზა ტელეგადაცემიდან).

* * *

„...იგი მუდამ გამოირჩეოდა რუსეთისადმი **გადაჭარბებულად ზომიერი** დამოკიდებულებით“ (ფრაზა რადიო-გადაცემიდან).

ამ ფრაზამ ეს ადგილი გამახსენა ერთი აკადემიკოსის ნაშრომიდან:

„არასაკმაო კი არა, **ზედმეტად საკმაო** ყურადღება მი-აქცია“.

გოეთეს დაბადება

(მისტიკური ეტიუდი)

უჩვეულოდ მომილოცა თემურ დო-იაშვილმა დაბადებიდან 60 წელი, უჩვეულო საჩუქარიც მომიძღვნა როსტომ ჩხეიძის წყალობით: „ჩვენი მწერლობის“ 2007 წლის მეექვსე ნომერში და-ბეჭდილია თემურის წერილი „უცნაუ-რი ლექსი“, სათაურის ქვეშ კი ასეთი მიძღვნაა: „ლეევან ბრეგაძეს – 60 წლის-თავზე“. თემურის წერილი გულთბილი გამომხაურებაა ჩემს პატარა სტატია-ზე, რომელშიც გოეთეს ერთი ლექსის გალაკტიონისეულ თარგმანსა და ამ თარგმანის უცნაურ გამოყენებაზეა საუბარი („გალაკტიონოლოგია“, ნიგნი I, გვ. 186).

მოკლედ, გოეთეთი მომილოცა თე-მურმა მესამოცე დაბადების დღე.

და უცბად თავში გამიელვა აზრმა, რომ წრე შეიკრა – ექვსი ათეული წლის შემდეგ შეიკრა წრე!

მანამდე კი... მანამდე ჩემი ცხოვრე-ბა გოეთეს ნიშნით თუ გოეთეს ეგიდით წარიმართა. გასაოცარი ის არის, რომ არასოდეს მის მიმართ განსაკუთრებუ-ლი ლტოლვა არა მქონია, უფრო ვერი-დებოდი, ვიდრე ვეტანებოდი, ის კი სულ თან მდევს (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი – დამ-დევს).

რა ჩემი საქმე იყო (არც გერმანისტი ვიყავი და არც გოეთოლოგი!), მაგრამ მოხდა ისე, რომ მეც მივიღე მონა-წილეობა გოეთეს ლირიკის ქართული თარგმანის გახმაუ-რებულ საჯარო განხილვაში 1976 წელს, რამაც ერთბაშად გამითქვა სახელი ლიტერატურულ წრეებში, იმაზე მეტა-დაც კი, ვიდრე ვიმსახურებდი (მოულოდნელობის ეფექ-ტმა ითამაშა თავისი როლი). ამის გამო იყო, რომ აღმანახ „კრიტიკის“ პასუხისმგებელი მდივნობა შემომთავაზეს, რისთვისაც, გოეთესთან ერთად, დიდად მაღლიერი ვარ „კრიტიკის“ მაშინდელი რედაქტორის გიორგი მერკვილა-ძისა (პირველ შემოთავაზებაზე უარი ვუთხარი, ერთი წლის შემდეგ კი სიხარულით დავთანხმდი). ჟურნალის-

ტთა და მწერალთა კავშირების წევრობაც, რაც იმ დროს კალმის მსახურისთვის დიდი პატივი იყო და ძნელად მი-საღწევიც გახლდათ, „კრიტიკაში“ სამსახურის დაწყების შემდეგ თავისთავად მოვიდა.

მალე გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილი-სის გაერთიანების წევრად ამირჩეს, მერე კი – პრეზიდიუ-მის წევრადაც, რისთვისაც, გოეთესთან ერთად, ამ გაერ-თიანების მაშინდელი თავმჯდომარის – დავით ლაშქარა-ძის – და ვიცე-თავმჯდომარის – ნოდარ კაკაბაძის – დიდი მაღლობელიც ვარ, რალა თქმა უნდა.

ხალხში ხომ გამომიყვანა და გამომიყვანა, გერმანია-შიც პირველად გოეთემ წამიყვანა – 1985 წლის მაისში გო-ეთეს საერთაშორისო საზოგადოების დაარსების 100 წლისთავის ზეიმს დავესწარი ვაიმარში, როგორც ამ სა-ზოგადოების თბილისის გაერთიანების პრეზიდიუმის წევრი (ამ თარიღისადმი მიძღვნილ მედალიონს, რომელზეც გოეთეა გა-მოსახული, ძვირფას რელიკვიად ვი-ნახავ).

1985 წელს გოეთეს საზოგადოე-ბის ხელმძღვანელობის თხოვნით წა-ვიკითხე მოხსენება გოეთეს „ვერთე-რის“ ახალი, რიგით მესამე, ქართუ-ლი თარგმანის შესახებ, რომელიც მერე დავბეჭდე კიდეც. მას დალი ფანჯიკიძე წიგნში „თარგმანის თეო-რია და პრაქტიკა“ იმ რამდენიმე სა-ნიმუშო კრიტიკულ წერილთა შორის ასახელებს, რომლებშიც „თარგმანი სტილის დონეზეა განხილული და შეფასებაც თარგმანის თეორიის უახლეს და ყველაზე უფრო დასაბუ-თებულ კრიტერიუმებს ეყრდნობა“.

როცა პროფესიით არც გერმა-ნისტი ხარ და არც სტილის ანალი-ზის სპეციალისტი (ჟურნალისტიკა მაქვს დამთავრებული თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტში), ასეთი შეფასება გამორჩენილი მთარგმნე-ლისა და თარგმანის თეორეტიკოსის მიერ ერთი ათად ძვირფასია.

1999 წელს გურამ ჭოხონელიძემ რომ გოეთეს დაბადების 250 წლისთავს სამეცნიერო კონ-ფერენცია მიუძღვნა ლიტერატურის ინსტიტუტში, მასში მონაწილეობა მეც შემომთავაზა (იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიყავი ამ ინსტიტუტის თანამშრომელი). მოხსენება „გოე-თე გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე“ კონფერენ-ციისადმი მიძღვნილ კრებულში ქართულ და გერმანულ ენებზე დაიბეჭდა და ინტერნეტში ჩემი სახელი და გვარი პირველად სწორედ ამის წყალობით მოხვდა.

საკმარისია! რაც ჩამოვთვალე, ამას დავჯერდები, ვი-ნაიდან სავსებით ცხადია, რომ თუკი ლიტერატურულ საქ-მიანობაში რამეს მივალწიე, გოეთეს უნდა ვუმაღლოდე.

და როცა თემურ დოიაშვილმა 60 წელი როსტომ ჩხეი-ძის ჟურნალიდან გოეთეთი მომილოცა, გავიფიქრე, რომ წრე შეიკრა – ექვსი ათეული წლის შემდეგ შეიკრა წრე!



მამა და მე გოეთეს დაბედებიდან წლინახევრის შემდეგ

რა წრეს ვგულისხმობ, ახლავე ავიხსნით:

მამაჩემის, ტყიბულელი გეოლოგისა და ბიბლიოფილის ნიგნსაცავში, რაც თავი მახსოვს, ერთი ასეთი გამოცემაც არის: **იოჰან ვოლფგანგ გოეტე, ლექსები, თარგმნილი ხარიტონ ვარდოშვილის მიერ. თბილისი, 1946 წ., გიორგი ნადირაძის წინასიტყვაობითა და კომენტარებით.** ყდის მომდევნო ცარიელი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში მამაჩემის ხელით ფანქრით შესრულებული წარწერაა: „**ტყიბული. 1947 წ. 11 იანვარი**“. ამ მინაწერს გვიან, მამის გარდაცვალების შემდეგ, მივაქციე ყურადღება. აშკარაა, ნიგნის შექმნის ადგილი და დრო აღუნიშნავს მამას ყდის მომდევნო ცარიელ გვერდზე, მაგრამ

საქმე ის გახლავთ, რომ ეს ჩემი დაბადების ადგილი და დროც არის ამავე დროს! სამოცი წლის წინ ოცდაათი წლის ტყიბულელ გეოლოგს გოეთეს ლექსების ქართული გამოცემა შეუძენია, – მაინცდამაინც გოეთესი, მაინცდამაინც პირველი შვილის დაბადების დღეს! გოეთეს ეს კრებულიც და მეც ერთსა და იმავე დღეს შევმატებოვართ ოჯახს.

ასე დამბედებია გოეთე!

ჩემი **დაბადების** დღე ჩემთვის გოეთეს **დაბედების** დღეც რომ ყოფილა, მაშინ გავიაზრე, როცა თემურ დოი-აშვილის მილოცვა წავიკითხე „ჩვენს მწერლობაში“, მილოცვა, რომლითაც წრე შეიკრა.

ახალი თარგმანები

ასორინი

სამი ნოველა

მოხუცი ინკვიზიტორი

მოხუცი ინკვიზიტორი თავისი სახლის მისაღებ ოთახში ზის. წინ მაგიდა უდგას. მაგიდაზე წიგნების გროვია. ამ წიგნებს შორისაა ბიბლია ესპანურ ენაზე, კიდევ წიგნები: „წერილი ფილიპე II-ს“ და „ანტიქრისტეს სახე“. მოხუცი ინკვიზიტორი დიდი ხანია ამ სახლში ცხოვრობს. ახალგაზრდა დაქორწინდა; ვნებით უყვარდა თავისი მეუღლე. შეეძინა ერთი ბავშვი. ვაჟიშვილი ორივეს უზომოდ უყვარდა; დიდად შრომობდნენ და ზრუნავდნენ მის გასაზრდელად. ბავშვს სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა. ყოველ თვე მალალი სიცხისგან თვალები უპრიალებდა და შვიდ ან რვა დღეს ლოგინში ატარებდა. გულშეწუხებული დედა და მამა საათობით იდგნენ თავდახრილები მის სანოლთან. ბავშვი იზრდებოდა. სხვა ბავშვები თამაშობდნენ; ის კი უძრავად იდგა კუთხეში და წიგნს კითხულობდა. გავიდა დრო, მსახურს ბავშვი თითქმის ძალით გაჰყავდა ბუნებაში სასაერნოდ; ბიჭი გულალმა წვებოდა ბალახზე და დიდი ქვებით ვარჯიშობდა. დღის სინათლეზე მწერები ზანტად მოძრაობდნენ ნესტიან მინაზე. ზოგჯერ ტბის ზედაპირზე ბზრიალა არსებებს აკვირდებოდა. ტკბებოდა ბუნების მრავალფეროვნებით. ბუნება სამუდამოდ გახდა მისი სულის ნაწილი. დედა და მამა მხოლოდ შვილისთვის ცხოვრობდნენ; ხშირად მარტო დარჩენილები მის მომავალზე ლაპარაკობდნენ. ვინ იქნება ეს ბავშვი? დაინახავენ ერთ მშვენიერ დღეს, წმინდა ზიარებისას, საკმეველის თეთრ კვამლში გახვეულს, ოქრომკედით განყოფილ სამოსში ჩაცმულს, ორგანის სასიამოვნო მუსიკის თანხლებით, სუსტი და თეთრი ხელებით ზეაპყრობილს? შეირხვიან თალები და ათრთოლდებიან გულები მისი დაბალი ხმით? ამაზე ფიქრისას დედა მოზღვავებულ გრძნობებში ეხვეოდა; თვალებიდან ცრემლი სცვიოდა. მამა თავის გრძნობებს დუმლით თოკავდა.

და როდესაც ბიჭი სალამანკაში გასამგზავრებლად ემზადებოდა, დედა გარდაიცვალა. ეს საშინელი დარტყმა აღმოჩნდა დიდგვაროვანი რაინდისათვის. მრავალი თვე სახლის ზღურბლს არ გადმოსცილებია. გულჩათხრობილი მწუხარე მდუმარებაში ცხოვრობდა, მთელი სამყარო აღიზიანებდა. ნელ-ნელა აზრი დაეზადა; ეს იყო აზრი ყოველივე მიწიერის უარყოფისა. სასულიერო პირი გახდა. სასულიერო წოდების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ უზენაესი ინკვიზიციის მრჩეველთა საბჭოს წევრობა დააკისრეს. შვილი სალამანკაში გაემგზავრა; მაგრამ ახლა თეოლოგიას არ სწავლობდა. მისი სწავლის საგანს მედიცინა წარმოადგენდა. ახალგაზრდას ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორც ბავშვობისას; იყო ჩუმი და მეოცნებე. საათობით დაიარებოდა წიგნით ხელში სახლის უკან, მზით განათებულ ბაღში. დროდრო თვალებს ფურცლებიდან ღრუბლებს მიაპყრობდა; ღრუბლებში იკარგებოდა მისი მზერა.



დალამებისას სახლის სიმშვიდეში უძრავად მყოფი მამა დიდხანს ჭვრეტდა ზეთის ლამპის შუქით განათებულ შვილის სახეს. ყმანვილის სახე საოცრად ჰგავდა დედასას, რომელიც ასე უყვარდა ჩვენს კეთილშობილ რაინდს; თვალებიც ისეთივე ფართო და ლურჯი ჰქონდა, ნაზი, სევდიანი მზერით.

ყმანვილი პარიზს გაემგზავრა – „დიდ პარიზს“ – როგორც გარსილასო ამბობდა; იმოგზაურა პარიზსა და ფლანდრიაში. ორი წელი დაჰყო უცხოეთში. ამ დროის შემდეგ ესპანეთში დაბრუნდა. მას მერე ბიჭი საგვარეულო სახლში იმყოფება. მამამ შვილს გამგზავრებისას დედის მინიატურული პორტრეტი გაატანა. იმედოვნებდა, რომ ამ პანანინა პორტრეტიდან ფლანდრიაში დიდი ზომის სურათს შექმნიდნენ. და შვილმა მართლაც ჩამოიტანა ფლანდრიიდან დიდებული პორტრეტი. ის მისაღებ ოთახში დაჰკიდეს. ცოცხალი და მზინავი ფერები – ცნობილი მხატვრის შედეგური – გადმოიფრქვა ოთახის პირქუშ სივ-

რცეში. და ამჟამინდელი მწუხრისას, როდესაც ყოველივე მრუმეში იყო ჩაფლული, სურათის ბნელი ფონიდან ლამაზი და დიდგვაროვანი ქალბატონი ისახებოდა. და მოხუცმა ინკვიზიტორმა, რომელიც საყვარელი მეუღლის პორტრეტს შეჰყურებდა, მზერა მაგიდაზე დაყრილი წიგნების გროვაზე გადაიტანა. ამ წიგნებს ერთი საათის წინათ, სამგზავრო სკივრში ტანსაცმლის თვალთვლებისას წააწყდა. ეს წიგნები ესპანელ ლუთერანთა მიერ დაწერილი ტომები. როდესაც მოხუცმა ინკვიზიტორმა ნახა, თუ რას წარმოადგენდა ეს ტომები, სახე გაუწითლდა და ხელები აუკანკალდა. დიდხანს იდგა გაოგნებული უძრავად; წიგნებს ათვალთვლებდა, ალაგებდა მაგიდაზე და ისევ თავიდან იწყებდა მათ შემოწმებას. შემდეგ თავის ოთახში გადაიტანა. ჩაეშვა სავარძელში მეუღლის პორტრეტის წინ და ხელებში თავჩარგული უძრავად იჯდა დაბნელებამდე. ვაჟიშვილი საღამოს მინდორში წავიდა სასეირნოდ. სადაცაა უნდა დაბრუნდეს. უკვე ისმის ნაბიჯების ხმა. მოხუცი კომისარი შურულამ აიტანა. ეს არ არის მისი შვილის ფეხის ხმა. ისევ სიჩუმე ისადგურებს. ცოტა ხნის შემდეგ სხვა ნაბიჯების ხმა მოისმის. და ეს მართლაც მისი ვაჟის ნაბიჯებია. უკვე სრულიად ახლოს ისმის. მოხუცმა რაინდმა მკერდში ტკივილიანი შფოთი შეიგრძნო; წამოდგა. ვილაცის ხელი კარის რაზას შეეხო. კარი იღება...

**არგამასილიელი
აკადემიკოსები**

„... Con tutta quella gente que si lava in Guadiana...“
არიოსტო „შმაგი ორლანდო“, XIV სიმღერა

არასდროს შევხვედრივარ უფრო ტაქტიან, უფრო თავაზიან, უფრო მიმნდობ მამაკაცებს, ვიდრე ეს კეთილი რაინდები, დონ კანდიდო, დონ ლუისი, დონ ფრანცისკო, დონ ხუან ალფონსო და დონ კარლოსი არიან. სერვანტესი თავისი წიგნის პირველი ნაწილის ბოლო სტრიქონებში არგამასილიელ აკადემიკოსებს მოიხსენიებს. დონ კანდიდო, დონ ლუისი, დონ ფრანცისკო, დონ ხუან ალფონსო და დონ კარლოსი შეგვიძლია მივიჩნიოთ არგამასილიას თანამედროვე აკადემიკოსებად. დილის ათი საათია; დონ კანდიდოს სახლისკენ მივემართები; დონ კანდიდო სასულიერო პირია; დონ კანდიდოს ახალი, დიდი, ნათელი და კრიალა სახლი აქვს; სახლის შუაგულში ჩუქურთმებიანი და მბრწყინავი მოზაიკით მოპირკეთებული შიდა ეზოა სვეტებიანი გალერეით.. ზევით ავდივარ, მაუდით გულმოდგინედ გაპრიალებული კიბეებით და სასადილო ოთახში შევდივარ.

დილა მშვიდობისა დონ კანდიდო.

მშვიდობის დილაა ღვთის წყალობით, სენიორ ასორინ. აივნებიდან მზის სხივთა თბილი, ჯანსაღი და ბრძღვი-ალა ნაკადი იღვრება ოთახში; კედლებზე ველასკესის ტილოთა ასლები და ძვირადღირებული ანტიკვარული ლანგრები ჰკიდია; მუხის დიდი, მასიური კარადის წინა მხარე იპყრობს ყურადღებას; კარადის პირდაპირ შავი მარმარილოთი მოპირკეთებული ბუხარია, რომელშიც ნითელი ალები იკლავნება; ბუხრის თავზე ძველებურ, მდიდრულ

ჩარჩოში ჩასმული გულდასმით განმენდილი სარკეა, სარკის წინ დახვეწილი ოსტატობით ნაკეთები ღვთისმშობლის ქანდაკება დგას. იატაკს მთლიანად ფარავს საუცხოო, ძველებური, ხასხასა ყვითელი ნოხი ალისფერი ყვავილებისა და ასევე ხასხასა მწვანე ვარჯების გამოსახულებით.

– სენიორ ასორინ – მომართავს დარბაისელი დონ კანდიდო – მოინიეთ ცეცხლისკენ.

ბუხარს ვუახლოვდები.

– სენიორ ასორინ, უკვე დაათვალიერეთ ჩვენი ქალაქის სიძველეები?

მე უკვე დავათვალიერე არგამასილია და ალბას სიძველეები.

– დონ კანდიდო – ვბედავ თქმას – ამ დილით ვინახულე სახლი, სადაც სერვანტესი ჰყავდათ დატყვევებული; მაგრამ...

აქ ერთხანს ვდუმდები; დონ კანდიდო – ასეთი ფაქიზი, ასეთი თავაზიანი მღვდელი – გაურკვეველი და შფოთიანი გამომეტყველებით მიყურებს. მე ვაგრძელებ:

– მაგრამ სატუსალო საქმეში ჩახედულ ადამიანებს მი-აჩნიათ, რომ...

ისევ ვრუმდები. ამჯერად უფრო დიდი ხნით; დონ კანდიდოს მზერა კიდევ უფრო მღვდვარე, უფრო ნაღვლიანია. საუბარს ვაგრძელებ:

– ამ საქმის მცოდნეები ახლა ამბობენ, სერვანტესი არ ყოფილა ამ შენობაში დაპატიმრებულიო.

მე არ ვარ მთლად დარწმუნებული, რომ მართლაც ასე მიიჩნევს ამ საქმის მცოდნე ხალხი; მაგრამ დონ კანდიდოს მთელ სახეზე უკიდურესი განცვიფრება და მღვდვარება ისახება.

– უფალო იესო! უფალო იესო! – წამოიძახებს დონ კანდიდო და თავზე ხელებს შერისხულივით წაივლებს – ნუ იტყვიან ასეთ რამეს, სენიორ ასორინ! ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ეს რა საშინელი ამბები მესმის! კი მაგრამ, კიდევ რას იტყვიან, სენიორ ასორინ? თუ უკვე ისიც თქვეს, სერვანტესი გალისიელიაო! გაგიგონიათ უფრო გასაოცარი რამ?

მე მართლაც არ გამიგონია ასეთი გასაოცარი რამ; და გულწრფელად ვაღიარებ ამას დონ კანდიდოსთან. მაგრამ მიუხედავად ჩემი დარწმუნებისა, რომ სერვანტესი ლამანჩიდან იყო და არგამასილიაში ტყვედ იმყოფებოდა, – მაპატიეთ ჩემი უნდობლობისთვის – მე ვერ ვრწმუნდები, რომ დონ კიხოტი ცხოვრობდა ლამანჩის ამ ადგილებში. და როდესაც მთელი ჩემი თავაზიანობითა და მოკრძალებით გამოვთქვი ეს მოსაზრება, დონ კანდიდო უკიდურესად შეშინებული თვალეებით მიყურებს და ჩემკენ ხელებ-გამონვდილი თითქმის ყვირილით ამბობს:

– არა, არა! ღვთის გულისათვის! არა, არა სენიორ ასორინ! ნაიყვანეთ სერვანტესი; ნაიყვანეთ და ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ, ოღონდ დაგვიტოვეთ დონ კიხოტი!

დონ კანდიდო მღვდვარებისგან წამოხტა, და მე გავიფიქრე, რომ საშინელი უტაქტობა ჩავიდინე.

– მე ვიცი, სენიორ ასორინ, საიდან მოდის ეს ყოველივე – ამბობს დონ კანდიდო -, მე ვიცი, რომ ახლა მთელი მიმდინარეობა არსებობს არგამასილიის წინააღმდეგ; მაგრამ ჩემთვის არ არის საიდუმლო, რომ ეს აზრები ჯერ კიდევ იმ დროიდან მოდის, როდესაც კანოვასმა ტომელი-

ოსოში იმოგზაურა და იქ ჩვენთვის საზიანო ათასგვარი სისულელით უტენიდნენ თავს. თქვენ არ იცით, რა სიძულვილი აქვთ ტომელიოსოლელებს არგამასილიას მიმართ? და მე ვამბობ, რომ დონ კიხოტი აქედანაა; დონ კიხოტი თვით დონ როდრიგო პაჩეკო იყო, რომლის პორტრეტი ჩვენს ეკლესიაში ინახება, და ვერავინ, ვერავინ შეძლებს, რაც უნდა განსწავლული იყოს, შეარყიოს ჩვენი რწმენა, რომელიც მუდამ ასეთი მყარი და უცვლელი იყო...

რა უნდა ვუთხრა დონ კანდიდოს, ამ სათნო სასულიერო პირს, თავაზიანობისა და გონიერების ნიმუშს, რომელიც ამ კეთილმონწყობილ სახელმცხოვრობს და ასეთი მოხდენილი ანაფორა აცვია? მე თვითონ ორივე ხელის აწევით ვეთანხმები იმ აზრს, რომ დონ ალფონსო კიხანო – კეთილი ლამაზის სწორედ ამ პატარა, მაგრამ სახელგანთქმული ქალაქიდან იყო.

სენიორ ასორინ – ღიმილით მეუბნება დონ კანდიდო – გსურთ წამობრძანდეთ ცოტა ხნით ჩემთან ერთად ჩვენს აკადემიაში?

წავიდე, დონ კანდიდო – ვპასუხობ – იმ თქვენს აკადემიაში.

აკადემია ლიცენციატ დონ კარლოს გომესის აფთიაქის ერთ-ერთი ოთახია;

ჯერ კიდევ აფთიაქისკენ მიმავალ გზაზე შევხვდით დონ ლუისს. თქვენ ალბათ არ იცნობთ დონ ლუის მონტალბანს. დონ ლუისი დაბალი, ნერვიული, მოძრავი, ფოლადივით მოქნილი და არისტოკრატიულია; მისი მანერები ამაღლებული, თანდაყოლილი დახვეწილობით ხასიათდება; თვალები უელავს, და თუ ყელზე ძველებურ გოფირებულ საყელოს ჩამოვაცმევთ, იგი ელ გრეკოს ცნობილი ტილოს „დასაფლავების“ ერთ-ერთ დახვეწილსა და სულთ განათებულ პერსონაჟს დამსგავსება.

– ლუის – მიმართავს ძმას დონ კანდიდო – იცი რას ამბობს სენიორ ასორინი? რომ დონ კიხოტის არასოდეს უცხოვრია არგამასილიაში.

დონ ლუისი კარგა ხანს დუმილით მიმზერს; შემდეგ თავს ოდნავ ხრის, დახვეწილი თავაზიანობით ცდილობს მოთოკოს განცვიფრება და ამბობს:

– სენიორ ასორინ, მე პატივს ვცემ ნებისმიერ მოსაზრებას; მაგრამ სულის სიღრმემდე ნაწყენი დავრჩები, თუ არგამასილიას თავის ღირსებასა და დიდებას წაართმევენ. ვფიქრობ – ამატებს თავაზიანი ღიმილით – ეს მხოლოდ ხუმრობაა თქვენი მხრივ.

– მართლაც – ვალიარებ სრული გულახდილობით – ეს სხვა არაფერია, გარდა ჩემი უმნიშვნელო ხუმრობისა.

და შევდივართ აფთიაქში; მივემართებით ერთი პატარა ოთახისკენ, რომლის ღია კარი შორიდანვე გამოჩნდა. აქ სხედან დონ კარლოსი, დონ ფრანცისკო, დონ ხუან ალფონსო. თაროებზე თეთრი ქილები აწყვია; სარკლიდან, ფართე გისოსის გავლით, მზის სინათლის ცოცხალი და ხალისიანი ნაკადი იღვრება; შიდა სივრცე ეთერის, სპირტის, ქლოროფორმის სუნითაა გაჯერებული. აქვე ფანჯრის მიწებს მიღ-

მა მდინარე მოჩანს, მწვანე, სუფთა და ნელი მდინარე, რომელიც ხიდან ახლოს განიერ ყურეს წარმოქმნის.

– ბატონებო – ამბობს დონ ლუისი მას შემდეგ, რაც იქ მყოფთა შორის მეგობრული, მშვიდი და თავაზიანი ირონიით შეზავებული საუბარი გაიმართა, – ბატონებო, გამოიცნობთ, რა თქვა სენიორ ასორინმა?

მე ღიმილით ვუყურებ დონ ლუისს; ყველას მზერა, ცნობისმოყვარეობით სავსე მზერა, ჩემი პერსონისკენ არის მომართული.

– სენიორ ასორინმა – აგრძელებს დონ ლუისი და ისე მიმ-

ზერს, თითქოს ბოდიშს მიხდიდეს ენამახვილობისათვის – სენიორ ასორინმა ბრძანა, რომ დონ კიხოტი არგამასილიაში არასოდეს ყოფილაო, რაც ნიშნავს, რომ სერვანტესს თავისი გმირის, დონ კიხოტის სახე ჩვენი მეზობლის, დონ როდრიგო პაჩეკოს მიხედვით არ შეუქმნია.

– ეშმაკმა დალახვროს! – წამოიძახებს დონ ხუან ალფონსო.

– რას ამბობ! – გაკვირვებულია დონ ფრანცისკო.

– რა ჯანდაბაა! – წამოიყვირებს დონ კარლოსი და კეპს უკან გადაიწევს.

ერთხანს ჩუმად ვარ, არ ვიცი, რა ვთქვა, როგორ გავამართლო ჩემი კანდიერება; მაგრამ ამ დროს დონ ლუისი დასძენს, ახლა იგი უკვე დარწმუნებულია დონ კიხოტის აქაურობაში; და ყველანი დიდი მოკრძალებითა და მადლიერებით მიყურებენ. და ჩვენ ყველა ძველი მეგობრებით ვსაუბრობთ. არ გაგახარათ ყოველივე ამან? დონ კარლოსი გამუდმებით კითხულობს და კითხულობს „დონ კიხოტის“; დონ ხუან ალფონსომ – ასეთმა თავშეკავებულმა, წინდახედულმა, საფუძვლიან მოსაზრებათა მქონე კაცმა – სერვანტესის შესახებ ცნობების ძიებაში მთელი არქივი გამოიკვლია უკანასკნელ ფურცლამდე; დონ ლუისს დაწვრილებით შეუძლია ჩამოთვალოს ის თითქოსდა უმნიშ-



მხატვარი იანა ზაალიშვილი

ვნელო ადგილები, სადაც ფეხი დაუდგამს სახელგანთქმულ რაინდს. ამის დასამტკიცებლად კი დონ კანდიდოსა და დონ ფრანცისკოს ამ დიადი წიგნიდან ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაიმონონ ვრცელი ციტატები.

ხელოვნების, სამშობლოს სიყვარულის სული ტრიალებს ამ საათს ამ ნათელ ოთახში, ამ კასტილიელ მოხუც იდაღვოთა ფიგურებს შორის. გარეთ კი, აქვე ახლოს, ფანჯრიდან ორ ნაბიჯზე, თითქოს მიცურავს მინის პირზე ლამაზნის დედამდინარე გუადაიანა, ნელი, მდუმარე, გამჭვირვალე...

პანანინა წითელი სინათლე

„ცრემლებით სავსე თვლებით“

„პოემა სიდზე“

თუ იმ სახლთან მისვლას მოინდომებთ, ენარის ქედზე რომ დგას, გადით ქალაქიდან პელიესეროს ქუჩით, გაუყევით იბანგრანდეს ნისქვილთა გზას, ჩაუარეთ მარანუელას სახლებს და შეუდექით ნავალოსას აღმართს. და, აი, სწორედ იქ, მაღლა განოლილ ზეგანზეა სახლი. ბებერი თელები დგანან სახლის გარშემო; ორი კვიპაროსის ხეშეში წვერი სცილდება თელების ფოთლოვან ვარჯებს. ბაღში ფართო და ყვავილნარში ჩასმული ბილიკები კვეთს ერთმანეთს. ბაღის სიმწვანე წითელი ვარდებით, თეთრი და ყვითელი ვარდებითაა შეფერადებული. ვრცელი პანორამა იშლება ამ სიმაღლიდან; ქვემოთ მარჯვნივ, მომრგვალო მდელოზე ღვთისმშობლის სალოცავია; შორს კი ჰორიზონტი ფერწერული ლილისფერი ქედით იკეტება; მარცხნივ საქონლის მიერ გატყეპნილი ბილიკი ხვეულად ეშვება მდინარისაკენ, რომლის ნაპირზე აყვავებული თელების კორომიდან წითლად ბრწყინავს ნისქვილის კრამიტი. შეხედეთ ცას: მოწმენდილია, განათებული, ლურჯი; რამდენიმე თეთრი, პატარა მომრგვალო ღრუბელი ნელა მიიწევს თავის თვალუნვდენელ სამყოფელში. აქ, სახლში კარებები დაკეტილია; ფანჯრებიც დაკეტილია, მინები ჩამსხვრეულია და მტვრიანი. აივნის სიახლოვეს თიხის სურაა დაკიდებული. ბაღში ბებერ ხეთა ხეივნები გაველურებულ ბალახს დაუფარავს, უასმინებს ხეხილი შეუბოჭავს; ხეიარა პასიფლორა კვიპაროსის ქვედა ტოტებამდე აყუდებულა და მათ სიმუქეში ყვავილები ჩაუნწავს.

დაღამებისას სახლი ნელ-ნელა წყვდიადში ინთქმება. არც სინათლის, არც ხმაურის ნასახი არ არის. კედლები სრულიად იკარგება ღამის სიშავეში. ამ დროს იქ, ქვემოთ, გაისმის ყრუ, შემაშფოთებელი გრუხუნის, რომელიც ცოტა ხანს გრძელდება. გრუხუნთან ერთად გაილეღვებს და მალევე ქრება პანანინა წითელი სინათლე. ახლა გაიგებთ, ეს რა არის: ეს მატარებელია, რომელიც ყოველდამე, ამ დროს, ამ წუთას, მდინარეზე გადებულ რკინის ხიდზე გადადის და იქვე ფერდობს ეფარება.

გაილო სახლის კარ-ფანჯრები. წავიდეთ ქალაქიდან ენარის მაღლობზე. გავიაროთ პელიესეროს ქუჩა; გავემართოთ იბანგრანდეს ნისქვილებისკენ; შემდეგ კი, მარა-

წელას სახლების გვერდის ავლით, ნავალოსას აღმართს შევუდგეთ. მიღწეული სიმაღლიდან თვალწინ გადამლილი ხედი ძნელი გზისგან გამონვეულ დაქანცულობას გაგიქარწყლებთ. მაღლობიდან ფერადი ნაკუნებით შეკერილი გადასაფარებელივით მოჩანს: ბოსტანთა კვლები, სახნავი მინდვრები, ოთხკუთხა მწვანე ნათესები, ყვითელი ანეულები. მოჩანს მბოლავი საკვამურები. ვერცხლის ქამარით ბზინავს მდინარე. ადიან და ჩადიან მთის ბილიკები, ხან ჩნდებიან, ხან გორაკებს ეფარებიან. თუ გზაზე მიმავალ ორთვალას დავინახავთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს არ გადაადგილდება, ვუყურებთ, ვუყურებთ და ისე იმავე ადგილზეა.

სახლი გაცოცხლდა. მასში ცხოვრობენ: ერთი ფერმკრთალი, გამხდარი, ჭალარანვერიანი მამაკაცი, ერთი ქალბატონი და ერთი გოგონა. ოქროსფერი, გრუხა თმა აქვს გოგონას. ბალახი ბილიკების გასწვრივ თანაბრად შეკრეჭილია. სახლის ყველა მაგიდაზე ვარდების თაიგულებია; თეთრი ვარდები, წითელი ვარდები, ყვითელი ვარდები. ჰაერის დაბერვისას ღია ფანჯრებსა და აივნებზე გემის იალქნებით იბერება თეთრი, სიფრიფანა ფარდები. სახლში ყოველივე უბრალო და ლამაზია. კედლებზე, რომლებიც ადრე შიშველი იყო, ამჟამად დიდი ზომის ფოტოები ჰკიდია, რომლებზედაც საკათედრო ტაძრები, ქალაქები, ტყის პეიზაჟები, ბაღებია გამოსახული. ამ ფერმკრთალი და გამხდარი კაცის სამუშაო მაგიდაზე ხელნაწერი თაბახის მეოთხედებისა და ყვითელ, წითელ და ლურჯყდიანი წიგნების გროვა იქცევს ყურადღებას. კაცი ყოველ დილით ჯდება მაგიდასთან და ქალაქებზე თავდახრილი წვრილი ხელწერით ავსებს თაბახის მეოთხედებს. ორი ან სამი საათის შემდეგ მასთან ოთახში შემოდინ ქალბატონი და გოგონა. გოგონა კაცს მოფერებით უსვამს თავზე ხელს; კაცი თავს წამოწევს და ქალბატონის ნაზსა და მსუბუქი სევდით ალბეჭდილ სახეს დაინახავს.

სალამოს ყველანი ბაღში გადიან. მოწმენდილ ცას აკვირდებიან. გამჭვირვალე ცაში კიდევ უფრო მუქად იკვეთება კვიპაროსთა ორი წვეტიანი კენწერო, მათ შორის კი მომწვანე-მოწითალოდ ელვარებს ცისკრის ვარსკვლავი. ვარდები საამო სურნელს აფრქვევენ ღამეში. მაგრამ ყურადღება! სმენა დაძაბეთ; ამ დროს ყოველ სალამოს შორიდან, ძალიან შორიდან მატარებლის ბორბლების ყრუ რაკარუკი ისმის. ეს მატარებელი გადადის რკინის ხიდზე. შემდეგ კი გაილეღვებს უკანა ვაგონის პანანინა წითელი სინათლე და გაქრება ღამის წყვდიადსა და სიჩუმეში.

ბაღში. ღამით. ვარდების სასიამოვნო სურნელი შეიგრძნობა. ორი კვიპაროსის წაგრძელებული კენწერო იკვეთება გამჭვირვალე ცის ფონზე. ბრწყინავს ცისკრის ვარსკვლავი ორ შავ კენწეროს შორის.

– არ დაიგვიანებს გაელვებას პანანინა წითელი სხივი.

– თავის დროზე გავიგონებთ ხიდზე გამავალი მატარებლის ბორბლების ხმაურს.

– ყოველ ღამეს ერთსა და იმავე დროს გადის რკინის ხიდზე. იშვიათად იგვიანებს ორ ან სამ წუთს.

– მე მიყვარს მატარებლის ეს პანანინა წითელი სინათლე.

– ეს ყოველთვის რაღაც ერთნაირი და, იმავე დროს, რაღაც ახალი რამ არის.

– არ ვიცი რითი, მაგრამ რაღაცით მიზიდავს. ეს პანანინა წითელი სინათლე თითქმის მოუშორებელი, საბედისწერო ნიშანია. რა დროც უნდა იყოს, ზამთარი თუ ზაფხული, წვიმა ან თოვლი, პანანინა წითელი სინათლე, ყოველდღე, თავის დროზე გაიელვებს ერთ წამს, და მაშინვე გაქრება. სულ ერთია მისთვის, რა განწყობა გაქვთ, მხიარული თუ სევდიანი. სულერთია, ბედნიერია თუ უბედური ის, ვინც მას ელოდება; პანანინა წითელი სინათლე გაიელვებს და გაქრება მალევე.

გოგონას ხმაა:

– აი, ისიც, პანანინა წითელი სინათლე.

სადგური ნახევარი საათის სავალზე დასახლებიდან. აქ იშვიათად ჩამოდის მგზავრი მატარებლიდან და ასევე იშვიათად ადის. იქ, ზევით ენარის ქედზეა ის სახლი. უკვე გამოკეტილია, უკაცრიელი. თუ მასთან მისვლას მოვინდომებთ, უნდა დავადგეთ იბანგრანდეს ნისქვილების გზას, მარანულას სახლებს ავუაროთ, ავუყვეთ ნავალო-

სას აღმართს. იქ, დაბლა, სადგურთან ახლოს მდინარეზე გადებული რკინის ხილია; ხილს გადაღმა ლიანდაგი ფერდობს ეფარება.

ამ ღამეს ორი მგზავრია მოსული სადგურზე: ერთი ქალბატონი და ერთიც გოგონა. ქალბატონი სამგლოვიარო მოსასხამითაა, გოგონასაც სამგლოვიარო სამოსი აცვია. მუქი ვუალის მიღმა თითქმის არა ჩანს ქალბატონის სახე. მაგრამ თუ დავაკვირდებით, დავინახავთ მის ჩანითლებულ თვალებსა და შავ ლაქებს გარშემო. პატარა გოგონას თვალებიც ჩანითლებულია. ორივე მდუმარედ ელოდება მატარებელს. რამდენიმე მეზობელი ახლავთ გამცილებლად.

მატარებელმა დაიკვირა და შეჩერდა ცოტა ხნით. მგზავრები ვაგონში ადინ. ზემოდან კი უკვე გამოკეტილი, უსიცოცხლო სახლიდან აღარ დაელოდებოან მატარებლის გავლას, აღარ გამორჩდება პანანინა წითელი სინათლე, რომელიც გაიელვებს და მყისვე გაქრება, როგორც ყოველთვის, ყოველ ღამეს, ყოველ თვეს, ყოველ წელს, ერთსა და იმავე დროს გაიელვებს და გაქრება მაშინვე.

ესპანურიდან თარგმნა
ზურაბ ნიქარიძე

ხოსე მარტინეს რუისი (ასორინი) (1873-1967) – მწერალი, რომელიც ადამიანის

მთარგმნელისაგან

მამამ) თავისი გაზეთის „ელ იმპარსიალ“-ისათვის. მწერალმა

სულის უკიდურეს სიღრმეებს სწვდება, იქ არსებული უფაქიზესი სიმების ჟღერადობას ისმენს, საკუთარ გრძნობებში გამოატარებს და კალმის მეშვეობით სხვა ადამიანებსაც აძლევს საშუალებას ყური მიუგდონ და შეიგრძნონ ის სევდა და სიხარული, უღამაზობა და მშვენიერება, სიძულვილი და სიყვარული, რაც გაჩენის დღიდან წინ ეფეთება და შემდეგ თან დაჰყვება ამ ცოდვილ დედამიწაზე (რომელიც მწერლის ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით „არ არის ჩვენი სახლი“) ბედნიერების ძებნაში ამაოდ მოხეტიალე კაცობრიობას.

გადანყვიტა შემოეველო ლამან ჩის ის ადგილები, სადაც წიგნის მიხედვით ფეხი დაუდგამს მჭმუნვარე სახის რაინდს. ლამანჩაში გამგზავრებამდე მწერალმა ასობით წიგნი წაიკითხა გულდასმით, ხოლო იქიდან დაბრუნებულმა შემკვეთს მგზავრის შთაბეჭდილებათა ნაცვლად ღრმა სულიერებითა და გრძნობებით სავსე ლიტერატურული ნაწარმოები დაუღო.

ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ სამ ნოველას მწერლის სხვადასხვა წიგნიდან. „მოხუცი ინკვიზიტორი“ მეთვრამეტე თავია წიგნისა „ესპანეთის ერთი საათი“. წიგნი ფაქტობრივად წარმოადგენს აკადემიის წევრად არჩევის ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვას, რის შემდგომ მწერალს ესპანეთში იმ დროს არსებული პრიმო დე რივერას დიქტატურის გამო პროტესტის ნიშნად აკადემიასთან აღარ უთანამშრომლია.

შეუცნობელია გზანი უფლისანი. ადამიანების ცხოვრებაში ხდება ისე, რომ შემოქმედი არ ახსოვთ, ხოლო მისი ღვაწლის ნაყოფი ყოველდღიური მოხმარების საგანი ხდება. მაგალითად, ძალიან ცოტამ იცის, ვინ იყო ან რა სახელი ჰქონდა ვოლტას, ამპერს, რენტგენსა და სხვ., როგორი იყო მათი ცხოვრება. სამაგიეროდ, მათი ფიქრითა და შრომით მიღებულ ცნებებს ყოველდღიურად იყენებენ ყოფაში. მაგრამ ასეთი რამ მართლაც მხოლოდ ყოფითი საჭიროების გამო ხდება. სხვა საკითხია სულიერება – ხელოვნება, ლიტერატურა. აქ მხოლოდ გენიოსს ძალუძს საკუთარ თავს გასცდეს. ყოფილა კი მსგავსი რამ, როგორიც „არგამასილიელ აკადემიკოსებშია“ მოთხრობილი? თუ ყოფილა, უეჭველად იბადება კითხვა: რა დიდი უნდა იყო ადამიანი, რომ შენს მიერ შექმნილი ლიტერატურული პერსონაჟი, არა მარტო სულიერი კმაყოფილების, არამედ უფრო მაღალი ღირსების გრძნობის მომგვრელი გახდეს, ვიდრე თვითონ ხარ? მართლაც შეუცნობელია გზანი უფლისანი.

წიგნის მიანიშნებს, რომ ძალადობრივი რეჟიმი გარდუვალად თესავს შიშსა და ძრწოლას ადამიანების სულში. წარსულის მაგალითზე მწერალი შესძახის თანამედროვეებსა და მომავალ თაობებს, რომ მსგავსი შემზარავი ვითარება შეიძლება შეიქმნას ისეთ ოჯახებშიც კი, სადაც მხოლოდ მამა და შვილი ცხოვრობს. რამდენ ასეთ შიშსა და შეშფოთებას ჰქონია ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები კარგა ხანია დემოკრატიული და ლიბერალური იდეებით მოიხიბლნენ. ნოველის ბოლოში დასმული მრავალწრივი კი ისევ ტოვებს კითხვას: დადგება კი ისეთი დრო, როდესაც არსად აღარ იქნება ისეთი ადგილი, სადაც ღვთის ან ერის წინაშე უდანაშაულო ადამიანებს დაეუფლებათ შიში და ძრწოლა სხვისი ახირებით...

ნოველა „არგამასილიელი აკადემიკოსები“ მეხუთე თავია საოცარი წიგნისა „ღონ კიხობის გზა“. წიგნი დაიწერა 1905 წელს სერვანტესის რომანის საიუბილეოდ შეკვეთილ ნარკვევების მაგივრად. საიუბილეო ნარკვევები ახალგაზრდა მწერალს შეუკვეთა და დააფინანსა ცნობილმა გამომცემელმა ხოსე ორტეგამ (დიდი ფილოსოფოსის ხოსე ორტეგა ი გასეტის

ასორინი ადამიანის სულის სპელეოლოგია, მაგრამ მარტო ასეც არ არის; მწერალი ბუნების ქმნილებებთან და ადამიანის ხელით ნაკეთები ნივთების არსსაც ცდილობს ჩანვდეს, მასშიც სულს ეძებს. ეძებს ჭიალუსა და ფოთოლში, კლდის ლოდსა და მდინარის ტალღაში, ღრუბელში, ვარსკვლავში; და კიდევ ადამიანის ხელით ნაკეთებ მხოლოდ საკვამურში, სათუთუნეში..., შეუძლებელია ჩამოთვლა; და პატარა წითელ ნათურაში (ნოველა „პანანინა წითელი სინათლე“ წიგნიდან „კასტილია“). ადამიანი ფიქრობს, შრომობს, ქმნის რაიმე საგანს რაიმე დანიშნულებისათვის, გარკვეული დროის განმავლობაში ზრუნავს კიდევ მასზე; ამ საგნისთვის კი სულ ერთია...

თისავენ თავისუფლების თისლს

ყოვლად უცნაურად და-
ინყო შემდგომში უაღრესად
პოპულარული ამერიკული
ფილმის „ბრწყინვალე შვიდეულის“ ჩვენება თბილისში. იმ
დღეს ჩვენს სტადიონზე საუკუნის მატჩი უნდა გამართუ-
ლიყო ფეხბურთში თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის
„ტორპედოს“ გუნდებს შორის. მაშ რა გასაკვირია, თუკი
დედაქალაქის მაყურებელთა ყველაზე აქტიური და ენერ-
გიული ფენა ფეხბურთის სანახავად გაიკრიფა და
„ბრწყინვალე შვიდეუ-
ლი“ რუსთაველის კინო-
თეატრის ლამის ცარი-
ელ დარბაზში შემოგრი-
აღდა ბათქა-ბუთქითა
და ჟრუანტელის მომ-
გვრელი მუსიკით,
დღემდე რომ ჟღერს
ყურში და არა გვმორ-
დება.

1960 წელს გადაღე-
ბული ამერიკული ვეს-
ტერნი ყველა ჯურის მა-
ყურებელს ხიბლავდა:
გონიერსაც და უგუ-
ნურსაც, მდიდარსაც და
ღარიბსაც, ქალაქელ-
საც და სოფელსაც,
ქართველსაც და არაქართველსაც; ერთი სიტყვით – ყვე-
ლას, უკლებლივ ყველას ხიბლავდა და აჯადოებდა. ხუმ-
რობა საქმეა, ორიოდ დღეში ნახევარმა თბილისმა, იულ
ბრინერის ხათრით, თავი გადაიპარსა, მეორე ნახევარი კი
გულდასმით ეუფლებოდა მიზანში დანის სროლის ურთუ-
ლეს ხელოვნებას. იმავდროულად ხმა გავრცელდა, ამერი-
კელი კინოვარსკვლავი იულ ბრინერი წარმოშობით ქარ-
თველი ყოფილაო. ზოგი ამბობდა, გვარად ნიჟარაძე არი-
სო, ზოგიც – აბაშიძეო. სიმართლე ალაჰმა უწყის! მაგრამ
გინდ ერთი იყოს, გინდ მეორე, რა ბედენაა! მთავარი ის
გახლავთო, რომ თუკი კარგად დააკვირდებითო, უსათუ-
ოდ იტყვითო: ქართველია, წყალი არ გაუვა, ნაღდი ქარ-
თველიო!

გაიხსენეთ, კარგად გაიხსენეთ! შვიდი ამერიკელი ვაჟ-
კაცი ანუ ბრწყინვალე შვიდეული სრულიად უანგაროდ მი-
ემურება მექსიკელი გლეხების დასაცავად მექსიკელ ყა-
ჩაღთა ძალადობისგან. უანგარობა თუ არა, აბა სხვა რა
უნდა ვუნდოთ იმას, რომ ისინი თავიანთი მძიმე შრომის
(უფრო სწორად – ბრძოლის) საფასურად იღებენ ოც-ოც
დოლარს, ოღონდ დღეში ან კვირაში როდი იღებენ, არამედ
მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც დასჭირდებათ ღა-
რიბ-ლატაკ მექსიკელთა დაკვეთის შესასრულებლად. და
ასეთი მათხოვრული გასამრჯელოს ფასად სწირავენ თავს
(შვიდიდან ოთხი ხომ იღუპება!).

გაიხსენეთ, კარგად გაიხსენეთ! აღვირახსნილ ყაჩაღ-
თა ბანდის მეთაური, წითელპერანგა (გამჭვირვალე მი-
ნიშნებაა!) კალვერა სიკვდილამდე რამდენიმე წამით ად-
რე გაცივებით ეკოტება ბრწყინვალე შვიდეულის თავ-
კაცს: თქვენ, ესოდენ დიდებული ვაჟკაცები თავსა სწი-
რავთ ამ ქეციანი სოფლის გულისათვისო?! წითელპერან-



კადრი ფილმიდან „ბრწყინვალე შვიდეული“

გას ვერა და ვერ გაუგია,
რომ ტყიცინა მწვანე დოლა-
რებზე მალლა დგას იდეა თა-
ვისუფლებისა, რომელსაც ასე თავდადებით ემსახურები-
ან ყველანაირი იარაღის მარჯვედ ხმარებაში განაფული
ამერიკელები.

ისინი მუდამ რომელიღაც „ქეციანი სოფლის“ გული-
სათვის ირჯებიან. ხელი რომ არ გამოეღოთ, თავის დროზე
ვიეტნამს, ვინ იცის, ეგებ დაეცყო მთელი მსოფლიო. ვა-
შინგტონსაც და ლონ-
დონსაც ხო-ში-მინს და-
არქმევდნენ, ბროდვეი-
ზეც და პიკადილიზეც
ბრინჯს დათესავდნენ,
ინგლისურს აკრძალავ-
დნენ და სახელმწიფო
ენად ვიეტნამურს დაუ-
წესებდნენ.

დიახ, ამერიკის საუ-
კეთესო შვილები მუდამ
რომელიღაც „ქეციანი
სოფლის“ გულისათვის
იღუპებოდნენ და სამ-
შობლოდან შორს, უცხო
მინაში ეთხრებოდათ
სამარე. ვინ მოთვლის,
რამდენი პოტენციური

ბუში თუ კლინტონი უსახელოდ გაქრა თავისუფლებისა და
დემოკრატიის დასანერგად განაღებულ ბრძოლაში.

ერთი ქართველი ყმანვილი, პოლიტიკით რომ იყო გა-
ტაცებული, ამ ამერიკულ ფილმს მიიჩნევდა კოდირებულ
მესიჯად, რომელიც უნდა მოსდებოდა მთელს მსოფლიოს
და ყველასთვის ემცნო, რომ ამქვეყნად არსებობს ძალა,
განგნილი ყველა ჩაგრულისა და ბედკრულის საშველად,
მონობის უღლიდან გამოსახსნელად. ამ გონებამახვილმა
ქართველმა ოსტატურად გაშიფრა ჰოლივუდის დიდოს-
ტატთა ღრმავროვანი ჩანაფიქრი: მექსიკელი გლეხების
შესანევნად იარაღასხმულ ვაჟკაცთა ბრწყინვალე შვიდე-
ული, რომელიც თავბედს აწყველინებს წითელპერანგა
კალვერას ბანდას, გამოხატავდა „ნატოს“ ძირითად
ბირთვის. პირველი ჭიანური ანუ ვაჟკაცთა თავკაცი, სახე-
ლად კრისი, ვის როლსაც ბრწყინვალედ ასრულებდა ზე-
მოსხენებული იულ ბრინერი, იყო სიმბოლო შეერთებული
შტატებისა; მეორე ჭიანური, სახელად ვინი, სტივ მაკკუეი-
ნის უზადო შესრულებით, უდრიდა დიდ ბრიტანეთს და ა.შ.

აი, ასეთი საოცარი ეფექტი ჰქონდა ამ თითქოსდა მო-
რიგ ამერიკულ ვესტერნს, დროულად რომ მოევიდნა თა-
ვისუფლების ტრფიალ სამყაროს.

ახლა ისიც ვიკითხოთ, რატომ შეიძინა „ბოროტების იმ-
პერიამ“ ამერიკელთა სადიდებლად შექმნილი ეს პროპა-
განდისტული ფილმი? ნუთუ საბჭოთა იდეოლოგიის შე-
ფეხმა ნუთით ჩათვლიმეს და მკრეხელობა გაეპარათ? არა
და არა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ კრემლის ბულალ-
ტრებს იდეებზე არანაკლებ სხვა მუცლის გვრემა აწუხებ-
დათ. კარგად იანგარიშეს და გაუმართლათ კიდევც.
„ბრწყინვალე შვიდეულმა“ კინომაყურებელთა დასწრების
ყველა რეკორდი მოხსნა და არნახული მოგება მოუტანა

ქვეყანას. თბილისში ამტკიცებდნენ, კომუნიზმის სიამაყედ წოდებული ბრატსკის ჰესი სწორედ „ბრწყინვალე შვიდეულის“ შემოსავლით აშენდაო.

მას შემდეგ ბრწყინვალე შვიდეულები დაუცხრომლად თესავენ თავისუფლებისა და დემოკრატიის თესლს დედა-

მინის ყველა კუნჭულ-კუთხეში; ყველგან თესავენ, სადაც შეილახება ადამიანის წმიდათანმიდა უფლებანი – იუგოსლავია იქნება თუ ავღანეთი, ერაყი თუ პალესტინა. იქაც კი თესავენ, სადაც არავინ უწყის, ეს თავისუფლება და დემოკრატია საჭმელია თუ სასმელიო...

მუნკი... ველასკესი... ბრეიგელი

ძველ გაზეთებში რას არ ნააწყდები! ამასწინათ ხომ გიამბუთ, გვარის გამოცვლის ეპიდემია რომ გავრცელებულა ოცდაჩვიდმეტი წლის საბჭოეთში... არ მოგეწონათ?

მაგრამ ახალთახალი გაზეთებიც აღარ ხუმრობენ. აგერ, სულ ახლახან, რუსულ პრესაში გახშირდა ინფორმაცია (ვაითუ გამოგრჩათ!), სადაც მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული მხატვრები: ლეონარდო და ვინჩი, პიტერ ბრეიგელი, დიეგო ველასკესი, კლოდ მონე, ედვარდ მუნკი (მეტი ვილა გენებავთ!) შერაცხულ არიან... ტერორისტებად!

დავიმონმოთ ზოგიერთი მათგანის დანაშაული.

გამოჩენილი ნორვეგიელი მხატვრის ედვარდ მუნკის ყველაზე პოპულარული ტილო „ყვირილი“ მუზეუმში რემონტის მწარმოებელ მუშას შემთხვევით, სრულიად შემთხვევით, ხელიდან გავარდნია. არავითარ ბოროტ ნინას-ნარგანზრახვას არა ჰქონია ადგილი. შემთხვევით, თავისდაუნებურად მოსვლია ეს მარცხი. მერე კი მწარედ ინანებდა, მაგრამ გვიანდა იყო თითზე კბენანი. იმ დღიდან მოყოლებული საბრალო მუშას თურმე თავის ტკივილი დასჩემდა. ვერაფერი უამებდა ტკივილს, ვერც ნამალი, ვერც ალერსი, ვერც ნუგუმისცემა; ერთი სიტყვით – ვერაფერი. როდესაც ტკივილი მთლად აუტანელი შეიქნა, მუშას გზა აღარ დარჩენოდა, გარდა ერთისა. ტკივილით გონება-დაბინდულმა და სასოწარკვეთილმა სცოდა უფლის წინაშე – თავი მოიკლა.

არანაკლებ დაისაჯა ერთი მნახველი. იგი, გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობის გამო, თითით შეეხო მუნკის ნაშუშევარს. გაუგებარია, რა ედო გულში? იმავე საღამოს მის სახლს ხანძარი გაუჩნდა და ზედმეტად ცნობისმოყვარე კაცი ცოცხლად დაინვა.

ესპანელი დიეგო ველასკესის ტილო „ვენერა სარკით“ თავის დროზე შეიძინა ერთმა მადრიდელმა სოვდაგარმა. და მაშინვე აერია აწყობილი საქმე, რომელიც სიცოცხლეზე მეტად უყვარდა. მისი საქონლით დატვირთული ხომალდები ზღვაში იძირებოდნენ ან ხარბი მეკობრენი უმონ-

ყალოდ ძარცვავდნენ. იძულებული გახდა გაეყიდა მთელი თავისი ქონება და

მასთან ერთად – ველასკესის ქმნილებაც.

„ვენერა“ სხვა სოვდაგარს უყიდა. იმასაც დაატყდა თავს ენით აუნერელი განსაცდელი. გასაყიდი საქონლით გაჭედელ სანყობს, ნავსადგურში რომ ჰქონდა, მეხი დაეცა და ცეცხლმა შთანთქა ყველაფერი.

ველასკესის ტილომ ახლა მდიდარ მევახშესთან ამოჰყო თავი. სამი დღის შემდეგ ქურდები შეიპარნენ მის სახლში. დაიხ, ცხრაკლიტული გატყეს და პირწმინდად განმინდეს ოქროთი გატენილი ზანდუკები, პატრონს ყელი გამოსჭრეს, მაგრამ „ვენერა“ რატომღაც არ ნაუღიათ.

უდანაშაულოდ დასჯილი მევახშის შთამომავლებმა დიდხანს ვერ მოახერხეს ველასკესის შედევრის გასაღება. მერე დაეხეტებოდა იგი მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. დასასრულ, ლონდონის ნაციონალურ გალერეაში დაბინავდა და ვილაც შერეკილმა ტურისტმა ქალმა დანით ჭრილობები მიაყენა.

მუნკისა და ველასკესის ფონზე უმანკო კრავად გამოიყურება გერმანელი პიტერ ბრეიგელი. თავის კლიენტებს არც სიცოცხლეს ართმევს და არც ქონებას. სხვა სასჯელის ამოუჩემებია. საქმე ის გახლავთ, რომ ტილოზე „თაყვანისცემა მოგვათგან“ ბრეიგელს ღვთისმშობლის მოდელად თურმე თავისი ალალი ბიძაშვილი აურჩევია. ის კი ბერნი დედაკაცი იყო, რის გამოც ქმარი გამუდმებით ცემა-ტყეპას არ აკლებდა. როგორც ამბობენ, ამ უბედურმა ქალმა დაასწეულა ბრეიგელის შედევრი. მან ოთხი კერძო კოლექციონერი გამოიცვალა და ოთხჯერვე მეორედებოდა ერთი და იგივე კურობი: ოჯახში მთელი ათი-თორმეტი ნელიწადი ბავშვი აღარ ჩნდებოდა. ვერც ნამალი შევლოდათ, ვერც შელოცვა და ვერც ღვთისმშობლის მადლი. საქმე გამოასწორა ერთმა არქიტექტორმა. მას უკვე ჰყავდა სამი შვილი და ბრეიგელის ოინები არ აშინებდა, თავი ქუდში მატქსო.

რას არ ნააწყდები სენსაციებს დახარბებულ წითელყვითელ გაზეთებში!

27 აგვისტოს საქართველოს საზოგადოებრივ რადიოში გაიმართა პრემიერა მაია ჯალიაშვილის ახალი რადიოპიესისა „პარალელური ხაზები“.

სპექტაკლი დადგა და მუსიკალურად გააფორმა ზურაბ კანდელაკმა, მონაწილეობენ მსახიობები: დიმიტრი ჯაიანი და ლილი ხურითი. ხმის რეჟისორია იპოლიტე (ბაკო) ხვიჩია.

ეს მაია ჯალიაშვილის უკვე მესამე პიესაა, რომელიც რადიოში დაიდგა. მსმენელს კარგად ახსოვს მისი ადრინდელი რადიოპიესების – „ფლამინგოები ჯოჯოხეთში“ და „საუზმე ბელურებისათვის“ – ნარმატება. ორივე პიესა ზურაბ კანდელაკმა დადგა

და, იმედია, დრამატურგისა და რეჟისორის კარგად დაწყებული თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება.

„პარალელური ხაზები“ დაკარგული დროის ძიებაა, ეს არის პიესა მელოდრამისა და დეტექტივის ელემენტებით.

ამ დრამატულ ქმნილებასაც, ისევე როგორც მაია ჯალიაშვილის არა მხოლოდ მხატვრულ შემოქმედებას, არამედ მის სამეცნიერო თხზულებებს, რეცენზიებს, კრიტიკულ-ესთეტიკურ ნერილებს, ესეებს აშკარად გამოარჩევს ჩვენს საუკუნეში უცნაურად გადარჩენილი ერთი ძვირფასი და საგულისხმო თვისება – სამყაროსადმი რომანტიკული, პოეტური დამოკიდებულება.